# ოჩოკოჩი, ანუ ადამიანი კაფსულიდან 5

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№20 (63)
2 - 8 ივნისი, 2010
საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

# ისევ ჩაისვარეს ამ კოპროფილებმა 2



# გადაჯიშება ტოლერანტულად 11

## ვლადიმერ ვახანიას ქმედებაში არავითარი დანაშაული არ არსებობს



პოლიტპატიმარ-აკადემიკოს **ვლადიმერ ვახანიას** ადვოკატების შუამდგომლობა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავჯდომარეს, ბატონ მალხაზ გურულს

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეებს, ქალბატონ მარინა სირაძეს, ქალბატონ მარინე იმერლიშვილს, ბატონ მურთაზ კაპანაძეს

13

«VINCIT OMNIA VERITAS»

«ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს»



8



# ვაი, ჩვენს პატრონს

4 რამაზ კლიმიაშვილი: „ჩერქეზთა გენოციდის“ აღიარება საქართველოს საბოლოო დაშლით დასრულდება

ნაცმოძრაობის ავტოპორტრეტი გმირთა 10 მოედანზე

საქართველოს «დემოკრატიის შუქურა» ევროპაში 12 ჩაქრა

სკანდალური ფაქტები: ხელისუფლებამ საარჩევნოდ პრობაციონერები 14 დაატერორა

ზურაბ გაგნიძე: პრეზიდენტი მოგზაურობს, 15 ვანო კი აკონტროლებს

THE TIMES 16 კიდევ რამდენჯერ შეძლებს საქართველო 26 მაისის აღნიშვნას?

საფრანგეთი 31 რელიგიური ომების ზღვარზეა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ისევ ჩაისვარეს ამ კოპროფილებმა

**კოპროფილია ბერძნული სიტყვაა, ფეკალიებისადმი ლტოლვასა და სიყვარულს ნიშნავს და ექსკრემენტოფილიის ერთ-ერთი სახეობაა; ერთი სიტყვით, ტვინნაღრძობ დეგენერატთა ხვედრი და გასართობია. სანამ მთავარზე გადავიდოდე, შეგახსენებთ, რომ გიორგობის დღესასწაული — 6 მაისი ვანო მერაბიშვილმა წლეულს პოლიციის დღედ გამოგვიცხადა და აღლუმიც გამართა. ჩვენმა ე.წ. რადიკალურმა ოპოზიციამ ამ აღლუმის ჩაშლა მოინდომა, მაგრამ გაკოტრებულებს საპროტესტო აქციაზე მხოლოდ ას სამოცდაშვიდ-ნახევარი მომიტინგე მიუვიდათ და ეს აქცია იმით დასრულდა, რომ შოკოლადითა და თაფლით ნაკვებმა ვანოს სპეცრაზმელებმა რამდენიმე პროტესტანტი ცემით გაარიჯგვინეს.**



**იმავე საღამოს საპროტესტო აქციაზე ხალხის არმისვლით განრისხებულმა „მგზნებარე რევოლუციონერმა“ გოგა ხაინდრავამ საკუთარი წარუმატებლობა, ანუ მისივე ლექსიკურ მარაგს რომ დავესესხოთ, ჩასვრა საზოგადოების პასიურობით ახსნა და თბილისს (მოგვიტევეთ ციტატაა) „ჩაჯმული ქალაქი“ უწოდა. ვერ გეტყვით, ეს სიტყვა ამ მგზნებარე რევოლუციონერის კოპროფილიისადმი მიდრეკილებას ადასტურებს თუ არა, მაგრამ გეტყვით, რომ ასევე ცნობილი და მგზნებარე რევოლუციონერი კამო თავის დროზე ოხრანკის კლანჭებს სწორედ კოპროფილიის (კერძოდ, კოპროფაგიის – ფეკალიების შთანთქმა) წყალობით გადაურჩა.**

როგორც ჩანს, ამ მგზნებარე რევოლუციონერებს შორის საერთო იმაზე მეტია, ვიდრე ჩვენ გვგონია. თავად განსაჯეთ — კიდევ ერთმა მგზნებარე რევოლუციონერმა გიორგი გაჩეჩილაძემ („უცნობი“) 6 მაისს ჩასვრის შემდეგ ომახიანად დასჭექა: **„ხელისუფლებამ შარშანაც ვერ ჩაიბარა აღლუმი და წელს სულ მარტოც რომ ვიყო, გავალ და რუსთაველის გამზირზე არც ტანკს გავატარებ, არც თვითმფრინავსო“.**

ვერ გეტყვით, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მაგრამ ჩვენი მგზნებარე რევოლუციონერები მალევე მიხვდნენ, რომ 26 მაისს ქუჩაში ას ორმოცდაშვიდ-ნახევარ მომიტინგესაც ვერ გამოიყვანდნენ და 25 მაისს, საღამოს, მოულოდნელად გამოაცხადეს, რომ საპროტესტო აქციის მოწყობა გადაიფიქრეს. მარტივად რომ ვთქვათ, მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს კოპროფაგ კამოსთან სულიერი ნათესაობა და კიდევ ერთხელ ჩაისვარეს. არადა, ამ მგზნებარე რევოლუციონერებმა, ანუ ხაინდრავამ, უცნობმა და კამპანიამ იმდენი იქადნეს, 26 მაისს რუსთაველზე სააღლუმოდ გამოსულ სააკაშვილს კუდით ქვას ვასროლინებთო, საზოგადოების ნაწილმა თითქმის დაიჯერა, რომ „ნაცმოძრაობის“ მამამთავარს პარლამენტის წინ აღმართულ ტრიბუნაზევე გაუთენდებოდა წმინდა მარტინის დღე. თუმცა, მოგეხსენებათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო და ოპოზიციამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჩაისვარა, საკალანდედ გამზადებული პრეზიდენტი კი საღ-სალამათი დარჩა. **უფრო მეტიც, თუკი შარშან, 26 მაისს ხელისუფლებამ ვერ გაბედა რუსთაველზე გამოსვლა და აღლუმ-პარადობა, წლეულს უკვე ხაინდრავა-გრეჩიხები დაძვრებოდნენ ვაკის პარკისა და მთაწმინდის ჩირგვებში.**

სიტყვამ **ჩაისვარა** არ უნდა შეგვაშფოთოს, ეს სიტყვა რიგი ოპოზიციონერების მიმართ არა თუ შეურაცხმყოფელი, შემწყნარებლური უფროა.

დიახ, შემწყნარებლური, რადგან სულ ცოტათი სამართლიანები რომ ვიყოთ, მაშინ რიგ ოპოზიციონერთა მიმართ ის ერთადერთი ზუსტი და ზედგამოჭრილი შეფასება უნდა გავაკეთოთ, რაც ცოტნე გამსახურდიამ მათ ჯერ კიდევ 2007 წლის ნოემბერში დიაგნოზად დაუსვა.

**პატივცემულმა ხაინდრავამ, ჯერ იყო და „ჩაჯმული“ უწოდა თბილისელებს იმის გამო, რომ ყველა ერთად მის მხარდამხარ არ იდგა, ხოლო შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ შეურაცხყოფის გამო საზოგადოებისთვის ბოდიში მოეხადა, თვალდაუხამხამებლად გამოგვიცხადა: — ვისაც ჩემი გამოსვლა არ მოგეწონათ, ცივი წყალი დალიეთო.**

მას შემდეგ, რაც 26 მაისს ოპოებმა აქცია ვერ გამართეს და თავად აღმოჩნდნენ ჩასვრილები, საზოგადოებას ნამდვილად აქვს უფლება, კითხვაბრძანებით კონტექსტში თვითონ ხაინდრავას მიმართოს — აჰა, ცივი წყალი და, თუ არ დალევ, თავი მაინც მოიწესრიგეო. მთავარი სულაც არ არის ჩასვრილი ოპოების პამპერსებითა და ცივი წყლით მომარაგება. ეს არ არის საზოგადოების პრობლემა. **პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამ მრავალგზის ჩასვრილებს კვლავაც აქვთ საზოგადოების მცირე (მაგრამ მნიშვნელოვან) ნაწილში მხარდაჭერა; და სანამ ასე გაგრძელდება, ყოველთვის მოიძებნება თითოოროლა მრავალგზის ჩასვრილი პოლიტიკანი, რომელიც მუდამ დიდაქტიკური ტონით დაგველაპარაკება მაღალი ტრიბუნიდან. მერე კი ჩუმად გაურიგდება მიშიკოს და პროტესტის მუხტის დაგდების სანაცვლოდ მაყუთს ჩაიჯიბავს.**

სიმართლე გითხრათ, ამ ყველაფრის ფონზე არ მეგონა, 26 მაისს მაინც თუ სადმე გამოჩნდებოდა წვერებიანი ორდენოსანი, მაგრამ ნურას უკაცრავად, გამოჩნდა კი არა, ვაკის პარკში აქციაც „დააგუგუნა“ და ლამის ქოში უკუღმა ყარა იმის მტკიცებაში, რომ ოპოზიციის მიერ აღლუმის არჩაშლის მიზეზი მხარდამჭერთა სიმცირე არ ყოფილა. მისთვის არავის უკითხავს, თუ რა იყო მიზეზი, მაგრამ კითხვა არც იყო საჭირო, ისედაც ყველამ იცოდა და იცის, რომ **ოპოზიციამ, კარგა ხანია, დაკარგა საზოგადოების ნდობა, პირადად ხაინდრავას კი ის არასდროს ჰქონია და, თუ გავითვალისწინებთ მის „დამსახურებებს“ ერისა და ქვეყნის წინაშე, ალბათ, არც მომავალში ელირსება.** ეს თვითონაც კარგად იცის და ამიტომაა გულზე გამსკდარი — ხან „ჩაჯმულებს“ გვეძახის და ხან კიდევ მათხოვარივით გვეხვეწება, გვერდით დამიდექით, აქციაზე გამოდითო.

**ახლა რაც შეეხება ოპოზიციის დანარჩენ ლიდერებს. დასაწყისში ვთქვი, რომ ისინი ხელისუფლებას 26 მაისის სამხედრო აღლუმის ჩაშლით ემუქრებოდნენ და ბარემ აქვე იმ განცხადებებსაც შევეხები, რაც მათ ამ საკითხთან დაკავშირებით მედიის, უმეტესად, ტელევიზიის საშუალებით გააკეთეს.**

მაშ ასე, ჯერ კიდევ 9 მაისს, ანუ მაშინ, როცა აღლუმამდე ორ კვირაზე მეტი დრო რჩებოდა, „ეროვნული საბჭოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა და მერობის უიმედო კანდიდატმა ზვიად ძიძიგურმა ბრძანა, — **26 მაისს ჩვენ და ჩვენი პარტნიორი ოპოზიციური პარტიები არ დავუშვებთ, რომ ხელისუფლებამ აღლუმი ჩაატაროს, ვინაიდან ქვეყანას, რომელმაც 2008 წლის ომი გამოიარა და დაკარგა ტერიტორიები, ზეიმის მორალური უფლება არ აქვსო.**

ამ განცხადების გაკეთებიდან რამდენიმე დღის შემდეგ იგივე ძიძიგურმა „ჩვენება“ შეცვალა და მომღიმარი სახით გვაუწყა: — **ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, გაიმართება თუ არა დემონსტრაცია; 25 მაისს კი ოფიციალურად განაცხადეს, რომ აქცია აღარ იქნებოდა და დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას მთაწმინდაზე, მერაბ კოსტავას საფლავთან, აპირებდნენ...**

აი, რამდენჯერ შეიცვალა აზრი დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში ადამიანმა, რომელიც იმავე დროს მერის პოსტზე აპირებდა კენჭისყრას და საზოგადოებისგან აბსოლუტურ მხარდაჭერას მოითხოვდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ რადიკალური ოპოზიციის რიგებში იყვნენ ისეთებიც, რომელთა მხრიდანაც გაცილებით უფრო თამამი დაპირებებიც მოვისმინეთ. კერძოდ, პატარა გრეჩიხა, როგორც უკვე აღვნიშნე, იქადნებოდა, სულ მარტო რომ დავრჩე, აღლუმს მაინც ჩავშლიო.

არა მგონია, ვინმეს ჰქონოდა იმის ილუზია, რომ „მარტოხელა გრეჩიხა“ (თანაც პატარა) ამას შეძლებდა, მაგრამ მთლად მიწისაგან პირისა თუ აღიგვებოდა იმ დღეს მთელი ოპოზიცია, ალბათ, ვერავის წარმოედგინა; თუნდაც იმიტომ, რომ, გრეჩიხასი არ იყოს, შარშან მართლა შეძლეს აღლუმის ჩაშლა, თუმცა დღეს, როგორც ირკვევა, მთლად მარტო ოპოზიციისა და საზოგადოების დამსახურებაც არ ყოფილა ის „საგმირო საქმე“. დიახ, ნაწილობრივ და, შეიძლება ითქვას, დიდწილად ეს ხელისუფლების სურვილიც იყო, რადგან „ვარდოსანთა“ ომგამოვლილ ციტადელს მაშინ ყოველგვარი საფუძველი გამოთხრილი ჰქონდა და საზეიმო განწყობაზე არც თვითონ იყვნენ „ნაცმოძრაობის მამამთავრები“...

**წლეულს სურათი რადიკალურად შეიცვალა — „ვარდოსნებს“ ბაირამობის ჟამი დაუდგა და ყველაფერი თვალნათლივ გამოჩნდა — დავინახეთ, რომ სააკაშვილის შემაკავებელი ძალა საქართველოში არ არსებობს, ამიტომ, რაც უნდა იყეფონ, გნებავთ პარტიამ და გნებავთ დიდმა გრეჩიხამ, ნურავის იმედი ნუ ექნება, რომ „ნაცების“ ქარავანს ამით რამე დააკლდება. პირველ რიგში, ეს თავად პატივცემულმა გრეჩიხებმა უნდა შეიგნონ და, ვგონებ, შეგნებული აქვთ კიდეც, მაგრამ ამდენი ხანი რა აყვირებთ და რა აჩხავლებთ ამ დალოცვილებს, გაუგებარია. თუ ჰგონიათ, შესძახებენ თუ არა, „მიშა, მოვდივარო“, მთელი საქართველო უმალ ფეხზე დადგება, ორივეს შევახსენებ, რომ ის დრო, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა. ასე რომ, პატივცემულო გრეჩიხებო, თქვენი მისია ამოწურულია, შეგიძლიათ, ქუდი დაიხუროთ, გნებავთ, კუდიც ამოიძუოთ და, სანამ ორთავენი განრისხებულ საზოგადოებას საბოლოოდ პოლიტიკურ ჯოჯოხეთში გაუგზავნიხართ, ფეხაკრებით წახვიდეთ სახლში...**

თუ ამას არ იზამთ, მერწმუნეთ, ხელისუფლება დიდად იხეირებს თქვენი პოლიტიკაში ყოფნით. ოღონდ არ გეგონოთ, რომ თქვენც გახეირებთ, ისე, როგორც 2007 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ... მაშინ, ასე თუ ისე, თქვენი კეთილგანწყობა გარკვეულ პოლიტიკურ ღირებულებას წარმოადგენდა, რადგან საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობდით, დღეს კი ორივენი თითივით გალოკილები, მარტოდ-მარტონი ხართ და გაცილებით ადვილად, უხმაუროდ შეიძლება ცხენიდან ჯორზე, ჯორიდან ღორზე, ღორიდან ქათამზე და იქიდან კიდევ ღმერთმა უწყის, რაზე გადაგსვან...

**ოპოზიციის მატრაბაზობით გაოგნებულმა ხალხმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა აღმართში დაწეული ქვის ფუნქცია შეასრულა — არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, მუქარით ენაგადატყავებულმა პოლიტიკანებმა თავი ამჯერადაც ჩირგვებს შეაფარეს. თავიდანვე იცოდნენ, რისი მაქნისებიც იყვნენ და რაკი არც 26 მაისს ჩასვრილი ჰქონდათ ბოლომდე ჩაბანილი, გაიტრუნენ.**

ამ ფონზე გასაკვირი არ არის, რომ „ქრისტიან-დემოკრატებად“ წოდებულთა ფავორიტმა გია ჭანტურიამ გიგი უგულავასთვის გამარჯვების მილოცვა თვით სააკაშვილსაც კი დაასწრო, რითიც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არჩევნებში გიგის გამარჯვების „გასაპრავებლად“ მონაწილეობდა. ალბათ, ამიტომაც შესთავაზა, მიმსახურე და მომიხმარე, როგორც მოგესურვებაო.

ამის შემდეგ რაღა უნდა ვთქვა სააკაშვილის ნათლიმამა დავითაშვილზე, რომელიც დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის სავარძელს ეზომებოდა და ჩანგალი გაციებულ „ნა ვერტილე“-ს შეატოვა. ალბათ, ამ „გამარჯვებასაც“ ისევე მიუტევებს მოძმე ნაციონალებს, როგორც 2007 წლის 7 ნოემბერს თავპირდასისხლინებული მიუტევებდა მისი ცემის აზარტში შესულ „ზონდერებს“ — „ღმერთმა შეგინდოთ, მომიტევებია“. მაშინ კობა სიკვდილს ქრისტესმიერმა სიყვარულმა გადაარჩინა, მაგრამ ახლა მისი, როგორც პოლიტიკოსის რეპუტაცია სამუდამოდ გაცამტვერდა, რადგან გამოჩნდა, რომ ისიც, თავისი მეგობრების მსგავსად, დიდხანს ვერ მოიცილებს კოპროფილის დამღას.

**ამ არჩევნების შედეგები თავიდანვე ცნობილი იყო და ოპოზიციის ლიდერებს, თუკი მართლაც უნდოდათ რაიმეს შეცვლა, აქტიურად უნდა ებრძოლათ მერაბიშვილის მიერ ჯერ კიდევ აპრილში გაცხადებული პროცენტების წინააღმდეგ, შემდეგ კი წინასწარ დაგეგმილი გამოკითხვის შედეგები აქტიურად გაეპროტესტებინათ. ახლა, როცა ცესკო ოფიციალურად გამოაცხადებს შედეგებს, დავინახავთ, რომ „ვანოს პროცენტებსა“ და „ნდი-ის პროცენტებს“ შორის არსებული 3-4-პროცენტიანი სხვაობა ბუნებრივად ჩაჯდება გიგის „გამარჯვების ფორმულაში“.**

ოპოზიციამ სუსტი კნავილის მეტი ვერაფერი მოახერხა. ბუნებრივია, არც მათ სჯეროდათ არჩევნების სამართლიანად ჩატარებისა, თუმცა მაინც ჩაერთვნენ სააკაშვილის თამაშში და საზოგადოებას კიდევ ერთხელ უჩვენეს ჩასვრის ოსტატობა.

**ახლა ცივი წყალი დალიონ, სხვა დროისთვის კი, სანამ მუქარას დაიწყებენ, პამპერსების მომარაგება არ დაავიწყდეთ — ერთობ საჭირო ნივთია და, თუ სუნს ვერ შეაკავებს, საზოგადოებაში მათი „ნაქნარ-ნაგმირალის“ დაფარვა მაინც შეუძლია.**

**და ბოლოს, მათთვისაც, ვისაც საჯაროდ და მრავალგზის ჩასვრა სიამოვნებას გვრის — ამ სიამოვნების მისაღებად პოლიტიკაში ყოფნა აუცილებელი არ არის, ამ „კაიფის დაჭერა“ საზოგადოებრივ საპირფარეშოშიც შეიძლება...**

**ჯაბა ჟვანია**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბანძაი* — აყალბეთ 10 000 წელი

**კვირას, საღამოს რვა საათზე სახელისუფლო არხების ეთერში გამოჩნდა რამდენიმე უცხოელი, რომელთა დანახვაზე წინდახედულ ოჯახებში, დიდი ალბათობით, ვერცხლის კოვზებს გადამალავდნენ. თბილისელებს „ეგზიტ-პოლების“ შედეგები გააცნეს; შემდეგ საქმეში ცესკო ჩაერთო, რომელმაც ოდნავ მოკრძალებული, თუმცა ასევე გამაოგნებელი ციფრები დადო. იმის პროგნოზირება, რომ არჩევნების კვალობაზე მსგავსი რამ გაყალბდებოდა, რასაკვირველია, შეიძლებოდა, მაგრამ, საზოგადოების დიდი ნაწილი, ალბათ, ვერასდროს დაიჯერებს, რომ ეს მონაცემები თბილისელთა რეალურ განწყობას ასახავს. ცხადი, აგრეთვე, ისიც გახდა, რომ ამ არჩევნებს მხოლოდ პოლიტიკური კრიზისის გაღრმავება მოჰყვება.**



## „ჰომო საპიენს“ და „ჰომო მიშიკუს“

**„ჭირმა გაწყვიტოს ეს ორივე საგვარეულო!“, — მერკუციოს ეს რეპლიკა საკმაოდ კარგად გადმოსცემს არჩევნებზე არმისული ადამიანების განწყობას როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიმართ. ასეთი მიდგომა, რასაკვირველია, დესტრუქციულია და ხელისუფლების ის ოპონენტები, რომლებიც სახლში დარჩნენ, ამას, ალბათ, აცნობიერებდნენ კიდეც, თუმცა განწყობა „მაინც არაფერი გამოვა“ და უნდობლობა ოპოზიციის მიმართ ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ არჩევნების შედეგებზე სერიოზული გავლენა მოახდინა. წრე შეიკრა: ისინი არ მივიდნენ არჩევნებზე იმის გამო, რომ მაინც „არაფერი გამოვიდოდა“ და არც არაფერი გამოვიდა, იმიტომაც, რომ ისინი სახლებში დარჩნენ.**

„ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორთა ჯგუფები საარჩევნო უბნებთან, ამომრჩევლებზე ზეწოლისა და დამკვირვებელთა გაძევების ფაქტები, დაუვიწყარი ფოტო სოფელ კაბალიდან, რომელზეც (პირველად საქართველოს ისტორიაში) მკაფიოდაა ასახული ადამიანთა ჯგუფური შესვლა კაბინებში, კიდევ ერთი საგულისხმო ფოტო, რომელზეც გამოსახულია კომისიის წევრის მაგიდაზე მმართველი პარტიის ბუკლეტები, სიები, რომელთა მიხედვით, თბილისელთა 88% თურმე ამომრჩევლად ირიცხება და ყოველივე ამის ცენტრში მომღიმარი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საარჩევნო უბანზე აგიტაციას ეწეოდა. გავითვალისწინოთ ისიც, რომ, როგორც წესი, კადრში დარღვევების მხოლოდ მცირე ნაწილი ხვდება, ასე ვთქვათ, აისბერგის ზედა ნაწილი. რა თქმა უნდა, ვიღაცას შეუძლია ამას „არჩევნები“ უწოდოს და „დემოკრატიის გამარჯვებასა“ თუ „წინ გადადგმულ ნაბიჯებზე“ ისაუბროს, თუმცა, სავარაუდოდ, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში ამისთვის სხვა, უფრო ენაკვიმატ და ტევად ეპითეტებს მოძებნიან.

**ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, 30 მაისი მართლაც ღირსშესანიშნავი დღე გამოდგა. როდესაც უბნებთან ე.წ. კოორდინატორების ჯგუფები შეიკრიბნენ და ამ პოპულაციის დაკვირვებისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, ცხადი გახდა, რომ ევოლუციამ მორიგი გამოცანა შემოგვთავაზა: რით განსხვავდება „ჰომო მიშიკუსი“** („ადამიანი მიშისტური“, ლათ.) **„ჰომო საპიენსისგან“?** (მაგარი სადისერტაციო თემაა).

**იმედია, ის ადამიანები, რომელთაც „ჰომო მიშიკუსები“ სახასიათო შეძახილებით საარჩევნო უბნებისკენ მიერეკებოდნენ, აცნობიერებენ, რომ პასუხისმგებლობა აიღეს იმაზე, რაც ამ ქალაქში უახლოეს მომავალში მოხდება; ის, რომ ცხოვრება შესაძლებლობას მისცემს, ეს პასუხისმგებლობა მალევე სრული სიგრძე-სიგანით შეიგრძნონ, გამორიცხული ნამდვილად არაა.**

30 მაისის შემდეგ ისედაც ფართოდ გავრცელებული პესიმისტური პოსტულატი „ამ ხელისუფლების პირობებში არჩევნებს აზრი არ აქვს“ შეიძლება საპროტესტო ელექტორატში დომინანტური გახდეს. პარადოქსულად ამ შედეგს, როგორც ჩანს, იმ ოპოზიციურმა ძალამ მიაღწია, რომელიც 30 მაისის არჩევნების აუცილებლობასა და უალტერნატივობაზე ყველაზე მეტს საუბრობდა.

ისე, კამიკაძე-მფრინავების გამოჩენამდე გაცილებით ადრე, იაპონელ გენერალ ტომოიუკი იამასიტას (მეტსახელი „მალაიას ვეფხვი“) საგანგებო რაზმი ჰყავდა, რომლის მებრძოლები, ყველაზე წინ, დანაღმულ ველებზე მირბოდნენ, ფეთქდებოდნენ და საკუთარი სიცოცხლის ფასად უკან მიმავალი რაზმებისთვის გასასვლელებს ქმნიდნენ. ამ ადამიანების მოტივაცია ძნელად გასააზრებელი, თუმცა მეტ-ნაკლებად გასაგები, იყო. **გაცილებით უფრო რთული დასადგენია, თუ როგორი იყო „ალიანსი საქართველოსთვის“ მოტივაცია, როდესაც საკუთარი საარჩევნო ოდისეის შედეგად, გზა საპროტესტო ელექტორატის გულისკენ იმ ოპოზიციურ პარტიებს გაუხსნა, რომლებიც, ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის ნაცვლად, გაცილებით რადიკალურ გეგმებს შესთავაზებენ.** კაცმა რომ თქვას, დავით უსუფაშვილს კამიკაძეს თავსახვევი და შეძახილი „ბანძაი!“ ნამდვილად მოუხდება. ყველაზე საინტერესო კი ამ სქემაში გენერალ იამასიტას როლის შემსრულებლის დადგენაა, რომელმაც „რაზმი №2“ დანაღმულ ველზე გაუშვა, თუმცა ეს, ალბათ, ბნელ ოთახში შავი კატის ძიებას დაემსგავსება.

**ყველაზე დრამატული შექმნილ ვითარებაში, სავარაუდოდ, ის არის, რომ ქვეყანაში ძალადობაზე დაფუძნებული კონფრონტაციის ალბათობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.**

**მოქალაქეები, რომლებიც ჩათვლიან, რომ ცივილური ფორმით საკუთარი პოლიტიკური ნების გამოხატვისკენ ყველა გზა მოეჭრათ, სავარაუდოდ, მისი გამოვლენის სხვა მეთოდებისა და ფორმების ძიებას დაიწყებენ.** აქ შეიძლება ცნობილი მაგალითის მოყვანა დახშული ქვაბის შესახებ, რომელსაც თავსახურს თუ არ ახდი, აუცილებლად აფეთქდება. რაც შეეხება საპროტესტო ელექტორატში დამკვიდრებულ უიმედობას, ისტორია ცხადყოფს, რომ სწორედ ასეთ დროს იბადება ყველაზე დიდი იმედები და ირაციონალური რწმენა, რომელსაც ხალხი ბარიკადებზეც კი გამოჰყავს. მეორეს მხრივ, პოზიციების (ხილული) გამყარებით კმაყოფილმა ხელისუფლებამ შეიძლება მოუზომავი ნაბიჯები გადადგას, რის ნათელ მაგალითს წინა წლებში ჩატარებული არჩევნების მომდევნო პერიოდები წარმოადგენს. არადა, შექმნილი მდგომარეობა მას განსაკუთრებული სიფრთხილის აუცილებლობაზე მიუთითებს, საშინაო საქმეებს თავი რომ დავანებოთ, საგარეო ასპარეზზე მისთვის ფრიად არასასურველი პროცესები ვითარდება.

## სკალპელი და ურო

**იმის აღიარებისთვის, რომ რეალობა შეიცვალა, სულაც არ არის აუცილებელი სიტუაციის იმ კონდიციამდე მიყვანა, როდესაც საკუთარი ქვეყნის ნანგრევებზე კაპიტულაციაზე ხელის მოწერა მოგიწევს. თეთრი სახლი ამ მხრივ დიდ წინდახედულობას იჩენს და პრაგმატული მიდგომით ხელმძღვანელობს. 27 მაისს ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფცია წარმოადგინა. ვაშინგტონში რამდენიმე რევოლუციური შინაარსის განცხადება გაკეთდა; თუმცა ჩვენ მხოლოდ იმ თემებს განვიხილავთ, რომლებიც ჩვენს მომავალს შეიძლება უშუალოდ შეეხოს.**

პირველი და მთავარი: შტატებმა მრავალპოლარული სამყაროს პრინციპი აღიარეს. რამდენიმე ციტატა ჰილარი კლინტონის გამოსვლიდან: **„ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ აშშ სადმე მსოფლიოში წარმოდგენილი არ იყოს. მაგრამ მზად ვართ, მრავალმხრივი მიდგომის პრინციპი გამოვიყენოთ; გვინდა, შევცვალოთ ჩვენი მიდგომა მრავალპოლარული სამყაროსა და მულტიპარტნიორული ურთიერთობების მიმართულებით“, „ვეცდებით, ამერიკული ინტერესების უზრუნველყოფისთვის ახალი მოკავშირეები და პარტნიორები შევიძინოთ“. „ჩვენ ვაპირებთ, გავამყაროთ ურთიერთობები და გავაფართოოთ დიალოგი ისეთ საკვანძო ქვეყნებთან, როგორიცაა რუსეთი, ჩინეთი, ინდოეთი“, „შტატებს მარტოს არც ერთი გლობალური პრობლემის გადაწყვეტა არ შეუძლია“.**

„სკალპელი უროს სანაცვლოდ“, — ასე დაახასიათა „Le Temps“-მა სხვაობა ობამასა და ბუშის პოლიტიკას შორის. **„ერთი ღრმად რეალისტურია, მეორე ეფუძნება იდეალიზმს, რომელიც ერთპოლარულ სამყაროზე ფიქრისკენ უბიძგებს“, „ობამა ახდენს დისტანცირებას „ჰიპერსახელმწიფოს“ იდეისგან და აღიარებს, რომ აშშ-ს ყველა ფრონტზე ბრძოლის წარმოება აღარ შეუძლია“.**

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ შტატები საკუთარ საზღვრებში ჩაიკეტება, თუმცა ვაშინგტონმა აღიარა, რომ გავლენის გაფართოება ყველგან ერთდროულად აღარ შეუძლია. მნიშვნელოვანი მომენტია: საუბარია არა იმაზე, სურს თუ არა აშშ-ს რაღაცის გაკეთება, არამედ იმაზე, რომ ეს, უბრალოდ, აღარ ძალუძს. რიგი მოღვაწეებისთვის თბილისში ამის გააზრება, ალბათ, ისეთივე შოკისმომგვრელი იქნება, როგორც ტრადიციონალისტი პაპუასისთვის იმის გაცნობიერება, რომ მისი ღვთაება მაგდუ თურმე ყოვლისშემძლე არ ყოფილა.

**კრიზისით გამოფიტულ შტატებს კონცენტრაციისთვის პაუზა სჭირდება. მისი პოლიტიკა ევრაზიაში, სავარაუდოდ, დაეფუძნება თამაშს ძლიერი კონტინენტური სახელმწიფოების წინააღმდეგობებზე, კონფლიქტებში უშუალო ჩარევის გარეშე. ახალი ამაში არაფერია, ასეთი პოლიტიკით სახელი ჯერ კიდევ ბრიტანეთის იმპერიამ გაითქვა. საერთოდ, საზღვაო ძლიერებაზე დაფუძნებული სახელმწიფოებისთვის ეს ლოგიკური, გეოპოლიტიკურად გამართლებული მიდგომაა. ჩვენს რეგიონთან მიმართებაში ეს ნიშნავს თამაშს რუსეთის, თურქეთისა და ირანის წინააღმდეგობებზე; თუ გაუვათ, ხომ გაუვათ, არ გამოუვათ და ამით ბევრს არაფერს დაკარგავენ.**

ფრანგული “AFP, როგორც ჩანს, ჩასწვდა იმ ციებ-ცხელების არსს, რომელიც ბოლო დროს სააკაშვილის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას ახასიათებს. **„შეშფოთებული იმით, რომ რუსეთთან წარმოებული ომიდან ორი წლის შემდეგ დასავლეთმა ის დაივიწყა, საქართველო აძლიერებს კავშირებს ირანთან და თურქეთთან, რათა კავკასიაში მოსკოვის გავლენას წინ აღუდგეს“.**

აქ დამკვირვებელს, რომელსაც კარგად ახსოვს, რით სრულდება ხოლმე ქვეყნისთვის სააკაშვილის ხელისუფლების მიერ საერთაშორისო არენაზე თუნდაც მცირე დამოუკიდებელი თამაშის წამოწყების მცდელობა (რონალდ ასმუსის ცნობილ წიგნს თუ დავუჯერებთ, მსგავსი პირუეტების ერთ-ერთი შედეგი აგვისტოს ომი იყო; შეგვიძლია გავიხსენოთ უკრაინის არჩევნებში ჩარევის უთავბოლო მცდელობაც), ალბათ, დაუოკებელი სურვილი გაუჩნდება, ხმამაღლა იყვიროს: წადით, სხვა საქმე მოძებნეთ, ააშენეთ რამე ან, ჯანდაბას, დაანგრიეთ (ფრთხილად, ისე, მსხვერპლი რომ არ მოჰყვეს), ოღონდაც სამკუთხედში მოსკოვი-სტამბოლი-თეირანი მკვეთრ მოძრაობებს ნუ გააკეთებთ! ეს შეიძლება იმაზე ძვირი დაჯდეს, ვიდრე ნებისმიერ ჩვენგანს წარმოუდგენია.

## როდის დასრულდება დიდი თამაში?

**„უარი ნატოში გაწევრიანების კურსზე უკრაინის სუვერენული უფლებაა, რომლის რეალიზება, კიევისა და ვაშინგტონის კავშირებზე არანაირად არ აისახება“, — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ფილიპ კროულიმ. ხოლო რუსეთის საგარეო მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯორჯ კროლმა (ცენტრალურ და სამხრეთ აზიას კურირებს) ყირგიზეთის პრობლემებზე იმსჯელეს; „მხარეებმა აღნიშნეს ყირგიზეთში შექმნილი ვითარების რუსული და ამერიკული შეფასებების სიახლოვე და რესპუბლიკაში მდგომარეობის სტაბილიზაციისკენ მიმართული ძალისხმევის კოორდინაციაზე შეთანხმდნენ“.**

ფაქტია, ყოველ ახალ დღეს ბარაკ ობამას ახლად წარმოდგენილი უსაფრთხოების კონცეფციისთვის სულ უფრო მეტი ილუსტრაცია მოაქვს. სიმართლე რომ ვთქვათ, მისი პრეზენტაცია „პოსტ-ფაქტუმ“ მოხდა, უკვე მას შემდეგ, რაც რუსეთის მიმართ ახალი პოლიტიკის გატარება დაიწყო. აქ, ალბათ, რუკაზე სამი კონტურის გავლება დაგვჭირდება: **ა) ზონა, რომელიც აშშ-ის უპირატესი ინტერესების სფეროს წარმოადგენს** (მაგ. ლათინური ამერიკა); **ბ) ზონა, რომელშიც რუსეთი და აშშ თანამშრომლობენ და ზომიერად კინკლაობენ** (მაგ. ახლო აღმოსავლეთი); **გ) ზონა, რომელიც რუსეთის უპირატესი ინტერესების სფეროს წარმოადგენს** (პოსტ-საბჭოთა სივრცე ხომ არა?)

„მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა მოკვდება, დასრულდება დიდი თამაში“, — რედიარდ კიპლინგზე უკეთ ზესახელმწიფოების ურთიერთობებზე, ალბათ, არავინ იტყვის, თუმცა დიდი ბრიტანეთისა და რუსეთის „დიდი თამაში“, რომელზეც იგი წერდა, მხარეებმა 1907-ში საგანგებო კონვენციის ხელმოწერის შემდეგ ერთგვარ „პაუზაზე“ დააყენეს და გააფთრებული ბრძოლა აზიაში (ადგილობრივების მეშვეობით) შეწყვიტეს. ახლოვდებოდა შეტაკება გერმანიასთან და ლონდონს სურდა, რომ რუსეთი მის მხარეზე გამოსულიყო (ამას მიაღწია კიდეც). დღეს აშშ-ს სურს, რომ ჩინეთთან დაპირისპირებაში რუსეთი მისი მოკავშირე გახდეს (ან მინიმუმ, ნეიტრალური პოზიცია დაიკავოს). სხვათა შორის, პეკინს რუსეთთან ურთიერთობაში დაახლოებით იგივე მოტივები ამოძრავებს. ამ თვალსაზრისით, რუსეთი უნიკალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომლისგანაც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ბონუსებს იღებს; ხოლო თეთრი სახლისა და კრემლის ურთიერთობების დღევანდელი დათბობა ძლიერ მოაგონებს რუსულ-ბრიტანული „გადატვირთვის“ 1907 წლის კონვენციის ხელმოწერის მომდევნო პერიოდს. გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, შეტოპავს თუ არა თანამედროვე რუსეთი გამანადგურებელ ბრძოლაში სხვა ძლიერი ევრაზიული სახელმწიფოების წინააღმდეგ, როგორც ეს ძველმა იმპერიამ 1914-ში გააკეთა. პირველი მსოფლიო ომის მთავარი აზრი ბრიტანეთისთვის, ალბათ, არა მხოლოდ გერმანიის დამარცხებაში, არამედ ყველა (მათ შორის მოკავშირე) კონტინენტური სახელმწიფოს დასუსტებაში მდგომარეობდა. დღეს აშშ-ის მოქმედებების მიღმა ამ ვექტორის დანახვა, პრინციპში, არც თუ დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

მოკლედ, ჩვენ აქ ადგილობრივ არჩევნებზე ვმსჯელობთ, ამასობაში კი ჩვენს თავს, როგორც ჩანს, საკმაოდ სერიოზული ამბები ხდება.

**დიმიტრი მონიავა**

**ბანძაი* (ტენო ჰეიკა ბანძაი) იაპონელი სამურაების სამხედრო შეძახილი, აგრეთვე, ტრადიციული მიმართვა ამომავალი მზის ქვეყნის იმპერატორისადმი; ნიშნავს „იცოცხლეთ 10 000 წელი“.**

2 – 8 ივნისი, 2010 წელი. №20 (63)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# რამაზ კლიმიაშვილი: «ჩერქეზთა გენოციდის» აღიარება საქართველოს საბოლოო დაშლით დასრულდება

**ამერიკის მიერ მსოფლიო არენაზე გავლენის დაკარგვას აქვს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური ხასიათი. მართალია, აშშ-ს დღესაც მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სამხედრო ძალები ჰყავს, მაგრამ ამერიკის დაზვერვის ეროვნული საბჭო აფრთხილებს თავისი ქვეყნის ჯარების სარდლებს, რომ „სხვა ქვეყნების მიღწევები მეცნიერებასა და ტექნიკაში, პატარა ქვეყნებისა და დაჯგუფებების მიერ საომარი მოქმედებების არატრადიციული ტაქტიკის გამოყენება, შორეული მოქმედების ძალიან ზუსტი იარაღის გავრცელება, კიბერნეტიკული შეტევის სულ უფრო ხშირი გამოყენება ძალიან შეზღუდავს ამერიკის მოქმედების თავისუფლებას.“ მაგალითად, ამერიკელი კონგრესმენები ამტკიცებენ, რომ ჩინეთი სწორედ კიბერნეტიკული ომის ვარიანტების გამოცდებითაა დაკავებული.**



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილ თავისუფალ სამყაროსა და საბჭოთა კავშირს შორის პოლარული დაპირისპირების გამო ყველა ელოდა ახალი მსოფლიო ომის დაწყებას. მაგრამ, როდესაც გაირკვა, რომ ორივე დაპირისპირებულ მხარეს აქვს იმდენი ბირთვული იარაღი, რომ მთელი მსოფლიო ააფეთქონ, ეს საშიშროება თითქოს განელდა. თუმცა მსოფლიო რამდენჯერმე სულ რამდენიმე საათით იყო დაცილებული ახალ მსოფლიო ომს, განსაკუთრებით 1961 წელს ბერლინის კრიზისისა და 1962 წელს კარიბის კრიზისის დროს, რაც ნიკიტა ხრუშჩოვის ავანტიურიზმით იყო გამოწვეული.

**ყველაზე საინტერესო იყო ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის 1972 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შეზღუდვის შესახებ. ბევრმა მაშინ ვერ გაიგო, თუ რა იდო ამ ხელშეკრულებაში და რატომ ამბობდა უარს ორი ზესახელმწიფო საკუთარი ქვეყნის თავდაცვაზე. არადა, სწორედ ამ ხელშეკრულებით მოხდა მსოფლიო ომის საშიშროების განელება – ორივე მხარემ იცოდა, რომ, თუ აგრესიას დაიწყებდა, საპასუხო დარტყმისას თვითონ სრულიად დაუცველი დარჩებოდა.**

საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის დაშლის შემდეგ ახალი საშიშროება წარმოიქმნა – ახლადშექმნილი სახელმწიფოების ხელში აღმოჩნდა ბირთვული იარაღი, რომლის მიყიდვა მათ ტერორისტული ორგანიზაციებისათვის შეეძლოთ. თავიდან მხოლოდ უკრაინა მოიქცა შეგნებულად, როდესაც მთელი თავისი ბირთვული არსენალი რუსეთს გადასცა და სამხედრო ჩინოვნიკები ცდუნებებს აარიდა.

**სწორედ ამ დროს ამერიკამ, რომელსაც ერთპოლუსიანი მსოფლიოს ლიდერობა ხვდა წილად, დაიწყო თავდაცვითი სტრუქტურების განვითარება და თავი სრულიად დაცული ეგონა, ვიდრე არ დადგა ავადსახსენებელი 2001 წლის 11 სექტემბერი. ამან ნამდვილად ყველაფერი შეცვალა მთელ მსოფლიოში, ნატოს ჯარები კი ავღანეთში გაეროს სანქციით შევიდა და ომში ჩაება.**

დღეს ახალ საშიშროებას წარმოადგენენ არშემდგარი სახელმწიფოები, სადაც უკანონობა არის გაბატონებული (მაგალითად, – სომალი). ასევე სერიოზული საშიშროებაა მრავალეროვანი სახელმწიფოების ეთნიკური ნიშნით დაშლისა და სულ ახალი სახელმწიფო წარმონაქმნების წარმოშობისა (მაგალითად, უკრაინას ექვს სახელმწიფოდ დაშლას უწინასწარმეტყველებენ), რომლებიც, რბილად რომ ვთქვათ, საერთაშორისო სამართლის ვერავითარ ნორმებში ვერ ჯდება. ბევრს მიაჩნია, რომ ერთპოლუსიანი მსოფლიოს პირობებში, აფრიკის ზოგიერთ რეგიონსა და სამხრეთ აზიაში კრიმინალური სტრუქტურები აიღებენ ძალაუფლებას და სახელმწიფოები იმ სახით, როგორც ეს იყო XX საუკუნეში, იქ, ალბათ, აღარ იარსებებს, ვინაიდან ვერ უზრუნველყოფენ საზოგადოების ელემენტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ეს კი შუა საუკუნეებში დაბრუნებას ნიშნავს.

მსოფლიოში ძალთა ბალანსში მკვეთრი ცვლილების გამო უახლოეს ხანში ჩვენი პლანეტის ზოგიერთ ნაწილში დაფიქსირდება ძალაუფლების გადასვლა სახელმწიფოდან „არასახელმწიფოებრივ მოთამაშეებთან“, ისეთები როგორებიცაა კორპორაციები (მაგალითად, თუნდაც „გაზპრომი“), ტომები, რელიგიური დაჯგუფებები და, უბრალოდ, კრიმინალური ბანდები.

აქედან გამომდინარე ჩვენ შეიძლება მოწმე გავხდეთ აქამდე არნახული ომებისა; მაგალითად, აფრიკაში ომია მოსალოდნელი წყლის რესურსების უქონლობის გამო, ასევე ომები ნავთობის საბადოებისთვის (ამაზე ქვემოთ) – ეს უკვე რეალობაა, თუმცა არა ისეთი ფინალით, როგორითაც ისინი ჩაიფიქრეს.

არის დემოგრაფიული პრობლემაც – ევროპისა და იაპონიის მოსახლეობა სულ უფრო „ბერდება“, ხოლო აფრიკისა და აზიის მოსახლეობა სულ უფრო „ახალგაზრდავდება“, განსაკუთრებით ეს არის პალესტინა, იემენი, ერაყი, საუდის არაბეთი და ა.შ. არადა, უმუშევარი ახალგაზრდები სულ უფრო ბოლმით უცქერიან მდიდარ ევროპას (და არა — უფრო მდიდარ ემირატებს) და ლაპარაკობენ სიმდიდრის არათანაბარ განაწილებაზე მსოფლიოში, თან ამის გამოსწორების აუცილებლობაზე მიუთითებენ, რასაკვირველია – ომის გზით.

პარასკევს, 28 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ამერიკის კონგრესს განსახილველად წარუდგინა ახალი ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია. აქ საინტერესო ისაა, რომ **ამერიკა თავის მთავარ სტრატეგიულ პარტნიორებად ასახელებს ჩინეთს, რუსეთსა და ინდოეთს. ამ ახალ სტრატეგიაში ძირითადი აქცენტი სწორედ ტერორიზმთან ბრძოლაა, ისევე, როგორც ბირთვული უსაფრთხოება.** სწორედ ამ ახალი სტრატეგიული კონცეფციის ანალიზისას გვექმნება შთაბეჭდილება, რომ **მესამე მსოფლიო ომი არ იქნება პირველი და მეორე მსოფლიო ომების მსგავსი, როდესაც ეს იყო „ყველა ყველას წინააღმდეგ“. ახალი მსოფლიო ომი განიხილება როგორც უამრავი რეგიონალური ომების კრებული, თან ბევრს ბირთვული იარაღიც გააჩნია და მზად არის მის გამოსაყენებლად!**

არის კი დღეს რუსეთ-ამერიკის ომის წარმოშობის საშიშროება? სწორედ ახალი სტრატეგიული კონცეფციის წარდგენის დღეს ამერიკამ პოლონეთის ტერიტორიაზე, ზედ კალინინგრადის (ანუ რუსეთის) საზღვართან განალაგა „პატრიოტის“ ტიპის თავდაცვითი სარაკეტო სისტემა. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ევროპაზე რუსეთის თავდასხმა რეალურად მიაჩნია. ლაპარაკი იმაზე, რომ ეს ირანისგან მოსალოდნელი თავდასხმის საშიშროების გამო მოხდა, მხოლოდ გეოგრაფიის არ მცოდნეთ თუ მოატყუებს. აი, ის ცნობილი „მისტრალი“ კი კალინინგრადის ტერიტორიულ წყლებში ჩაუშვებს ღუზას, ნატოს წევრების – პოლონეთისა და ლიტვის — საზღვრებთან.

**„ნიუ იორკ ტაიმსი“ იტყობინება, რომ ხელი მოეწერა ბრძანებას საქართველოში, აზერბაიჯანში, თურქეთსა და უზბეკეთში საიდუმლო სამხედრო ბაზების განთავსების შესახებ; და რომ ბარაკ ობამა კარგა ხანი იყო ამის წინააღმდეგი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ის დაარწმუნეს! პენტაგონმა კი ამაზე კომენტარი დღემდე არ გააკეთა.**

**2008 წლის აგვისტოში სააკაშვილი თავისი ავანტიურისტული ნაბიჯით სწორედ ნატო-რუსეთის ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამერიკა-რუსეთის სამხედრო დაპირისპირების იმედით იყო. მაგრამ მაშინ საღმა აზრმა გაიმარჯვა, ჩვენ კი ორი ქართული ტერიტორიის ანექსიის მოწმე გაგვხადა.**

არის რამდენიმე წერტილი მსოფლიოში, სადაც ახალი ომის დაწყება და მისი მსოფლიო ომში გადაზრდა თითქმის გარდაუვალია. პირველ ყოვლისა, ეს არის ახლო აღმოსავლეთი – აქ ირანის პრეზიდენტი, კარგა ხანია, ისრაელის მიწის ზედაპირისგან აღგვით იმუქრება. არადა, ისრაელს ასამდე ბირთვული იარაღი გააჩნია და მზადაა, ირანის წინააღმდეგ გამოიყენოს. ამ შემთხვევაში კი მთელი ისლამური სამყარო ისრაელის წინააღმდეგ გამოვა. ამას, რასაკვირველია, ავტომატურად მოჰყვება ისრაელის მოკავშირე ამერიკისა და, შესაძლოა, ნატოს ჩარევა. რუსეთი კი, რომლის მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი მუსლიმანია, განზე დიდხანს ვერ დარჩება. და დაიწყება ის ომი, რომლისაც ასე ეშინოდა მთელ ორ თაობას.

შემდეგი საშიშროება კორეის ნახევარკუნძულზეა – იქ ჩრდილოეთ კორეის ბანკროტი კომუნისტური რეჟიმი, დიდი ხანია, ბოღმით უყურებს თავის სამხრეთელ კაპიტალისტ თანამოძმეებს და მათ მზარდ და წარმატებულ ეკონომიკას. ჩრდილოელებს უკვე აქვთ ბირთვული იარაღი, რაკეტები და ... შიმშილის პირას მყოფი ქვეყანა. ასეთ დროს ძალიან დიდია შანსი, რომ ცდუნებას ვერ გაუძლონ და სამხრეთელებზე შეტევა განახორციელონ. თან იმედი აქვთ, რომ „დასუსტებული“ ამერიკა არ ჩაერევა, რაც ფანტაზიის სფეროა. ამასთან, არავინ იცის, თუ ასეთ სიტუაციაში როგორ მოიქცევა ჩინეთი. **29 მაისის გაზეთი „ტაიმსი“ კი აქვეყნებს სენსაციურ მასალას, რომ ჩრდილოკორეელებს აქვთ რვაასი (800)** ▶

## მოკლედ



### აშშ-ში დეფოლტები მატულობს

**ანალიტიკური ცენტრის კვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ აშშ-ში კომერციული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი იპოთეკური ფასიანი ქაღალდების დეფოლტების რაოდენობა იზრდება.** უახლოესი წელიწადნახევრის განმავლობაში ამ ზრდის შეჩერების იმედი არ არის. აღნიშნული საკითხი ხანგრძლივი და სერიოზული პრობლემებით ემუქრება ქვეყნის უმსხვილეს ბანკებსაც, არამც თუ წვრილ და რეგიონალურ ფინანსურ დაწესებულებებს. ამჟამად იპოთეკური დეფოლტების საერთო მოცულობა 45,5 მილიარდია.



### აშშ ნავთობით იწამლება

**ბარაკ ობამას მრჩეველმა ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების საკითხებში კეროლ ბრაუნერმა განაცხადა, რომ ამერიკის ისტორიაში ყველაზე დიდი ეკოლოგიური კატასტროფა მოხდა.** უკვე რამდენიმე კვირაა, მექსიკის ყურეში დღე-ღამეში 12-19 ათასი ბარელი ნავთობი იღვრება და ჭაბურღილის ჩაბეტონების მცდელობის წარუმატებლობის შემდეგ კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა. ბრაუნერის აღიარებით, ხელისუფლება აგვისტომდე პრობლემის მოგვარებას ვერ შეძლებს და უმძიმესი შედეგებისთვის ემზადება.



### პრეზიდენტი ბაყაყებს ირჩევს

**თუ პრეზიდენტის ბათუმურ გამოსვლას დავუჯერებთ, მას საკუთარ ოპოზიციას ბაყაყები ურჩევია.** „თბილისში ტელევიზიებით ვიღაცები გამოდიან და ჩემზე ამბობენ, აუუ, წაიღო ტვინი სააკაშვილმა ამ ზღაპრებითო... ყოველთვის არის ხალხი, რომელსაც არაფრის სჯერა და ყოველთვის ვართ ჩვენ, რომლებსაც ყოველთვის გვჯერა, ამიტომ ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ. ამ ოპოზიციონერებს შეუძლიათ, თავიანთ ტელევიზიებში ისხდნენ და იყიყინონ, თუმცა ბათუმის ახალ ტბაზე ბაყაყები უფრო კარგად ყიყინებენ, ვიდრე ზოგიერთი მათგანი“.



### ავღანელებს შეცდომით ხოცავენ

**ამერიკის სამხედრო სარდლობამ გამოძიების შემდეგ აღიარა, რომ მიმდინარე წლის თებერვალში ავღანეთის პროვინცია ურუზგანში 23 მშვიდობიანი მოსახლე შეცდომით ამოწყვიტა.** 21 თებერვალს ნატოს სამხედრო ვერტმფრენმა რაკეტები დაუშინა სამ ავტომანქანას, რომლებითაც მშვიდობიანი მოსახლეობა გადაადგილდებოდა. სადაზვერვო ინფორმაციის მოგროვების სპეცჯგუფის ცნობით, მანქანებში ბოევიკები უნდა მსხდარიყვნენ. ამერიკელ სამხედროებს სუსტი მომზადებისა და არაპროფესიონალიზმის სტატუსი დაუმკვიდრდათ.



### არც ერთი ნაბიჯი უკან

**ხელისუფლება ყოველ დღე ახალ-ახალ სიმაღლეებს იპყრობს და, თუ აქამდე ადგილობრივ მოსახლეობას ატყუებდა, ახლა მთელ მსოფლიოს გადასწვდა.** „ეროვნული საბჭოს“ საარჩევნო მდივნის — ლადო ბოჟაძის შეფასებით, „ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოების წინაშე დემოკრატიული არჩევნების ჩატარების თაობაზე დადებული პირობა დაარღვია და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახალი, დახვეწილი მეთოდებით გააყალბა“. როგორც პრეზიდენტი დაგვპირდა, წინსვლის კურსი უცვლელია.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



**◀ ბალისტიკური რაკეტა, რომლებიც არა მარტო სეულსა და ტოკიოს მისწვდება, არამედ — ამერიკასაც!**

აქ კომენტარები ზედმეტია.

შემდეგი საშიშროების სფერო ინდოეთის ნახევარკუნძულზეა – აქ ინდოეთი და პაკისტანი, დიდი ხანია, ერთმანეთთან დაპირისპირებულია, თან ორივეს გააჩნია ბირთვული იარაღი. აქ კიდევ ერთი პატარა ინციდენტი და დიდი ომი სახეზეა. შეიძლება სხვა სახელმწიფოები არ ჩაერიონ, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი (უფრო პაკისტანი) ბირთვულ იარაღს აუცილებლად იხმარს და დედამიწას რადიაციის ღრუბელი დაფარავს.

ვინაიდან პაკისტანი ვახსენეთ, არ უნდა დავივიწყოთ მის გვერდზე ავღანეთში მებრძოლი თალიბები, ხოლო „ალ-ქაიდა" ხომ სწორედ პაკისტანის მიუვალ მთებში იმალება. პაკისტანის ეს ბირთვული არსენალი კი არის სხვადასხვა ჯურის ტერორისტების მსუყე ლუკმა, ხოლო, თუ მათ ეს ხელში ჩაიგდეს, როგორც იტყვიან, დედა შვილს ვერ აიყვანს. ამიტომ ამერიკელებსა და ინგლისელებს შექმნილი აქვთ სწრაფი რეაგირების სადესანტო რაზმები სწორედ პაკისტანის ბირთვული არსენალის ტერორისტებისაგან დასაცავად.

პრობლემებია ამერიკის კონტინენტზეც – ნავთობით მდიდარი ვენესუელა ამერიკას დაუპირისპირდა თავისი ექსცენტრიული პრეზიდენტის სახით (ამ ბოლო დროს რაღაც მომრავლდნენ ეს ექსცენტრიული პრეზიდენტები, რაც დიდი ომის საშიშროებას სულ უფრო ზრდის). ვენესუელის ნავთობი, ძირითადად, სწორედ ამერიკაში მოიხმარება. და თუ უგო ჩავესი შეასრულებს თავის დაპირებას და ამერიკას ნავთობს აღარ მიაწვდის, ამერიკა აუცილებლად დაარტყამს ვენესუელას და სამხრეთ ამერიკა ახალი დიდი ომის პოლიგონი გახდება.

**სამხრეთ კავკასიის პრობლემებთან დაკავშირებით, თითქმის ოთხი წელია, საიდუმლო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. შარშან თითქოს რაღაც შეთანხმებას მიაღწიეს, ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებდა მაშინ მოლაპარაკებათა ჯგუფის თანათავმჯდომარე მეთიუ ბრაიზა. მაგრამ ეს პროცესი მაინც პრაქტიკულად ჩაიშალა. და თუ ილჰამ ალიევი საბოლოოდ დარწმუნდა ამაში, საომარი მოქმედებები გარდაუვალია, მაშინ გაცილებით უფრო ცხელი ომი ამჟამად ჩვენს საზღვრებთან იქნება, გარე მეზობლები კი, ალბათ, ჩართული იქნებიან.** სწორედ ამის ასაცილებლად ამერიკელებმა ელჩად ბაქოში კვლავ მეთიუ ბრაიზა გააგზავნეს. მაგრამ შეძლებს კი ის რამეს? ამას მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს. წესია, რომ ახლო მეზობელი, ომის შემთხვევაში, ნეიტრალიტეტს ვერ შეინარჩუნებს, მაშინ ორივე მოჩხუბარი მას შეიძულებს. ასე რომ, **საქართველო მძიმე არჩევანის წინაშე დადგება — ვის დაუჭიროს მხარი; არჩევანის შემთხვევაში მეორე მხარე მას ამას ვერ აპატიებს.**

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საშიში განვითარება მაინც ჩრდილო კავკასიაშია. აქ ყოველ დღე ადგილი აქვს ტერაქტებს, რომლებიც, როგორც ამტკიცებენ, არაბული ფულითაა დაფინანსებული. სამწუხაროდ ჩვენი ხელისუფლება აქ ცეცხლს ეთამაშება და არამც თუ არ აქარწყლებს მოარულ ხმებს ტერორისტებთან მათი კავშირის შესახებ, არამედ ცეცხლზე ნავთს ასხამს. ამერიკა კი ტერორისტებთან მოთანამშრომლე ქვეყნებს თავის პირად მტრად აღიქვამს და თვალებს დახუჭავს რუსების ყოველ „ანტიტერორისტულ" აქციაზე.

**ერთერთი ყველაზე მტკივნეული და პროვოკაციული საკითხია „ჩერქეზ ხალხთა გენოციდის" თემა. ამ ხალხებში იგულისხმებიან შემდეგი ჩრდილო კავკასიელი ეთნოსები: თვითონ ჩერქეზები, ყაბარდოელები, ადიღელები, აფხაზები და სხვა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქ ნამდვილად მოაწყვეს სასტიკი ეთნოწმენდა, ხოლო მათი ძირითადი ნაწილი თურქეთში იძულებით გადასახლდა და ამ პროცესს თურქულად „მუჰაჯირობა" ეწოდა. ამჟამად თურქეთში დაახლოებით ხუთ მილიონამდე მუჰაჯირთა შთამომავალი ცხოვრობს, ასევე მათი გარკვეული ნაწილი დასახლდა იორდანიასა და პალესტინაში, ხოლო მათ შორის დაახლოებით ნახევარი მილიონი აფხაზთა შთამომავალია. თუ ესენი აფხაზეთში დაბრუნდებოდნენ, ის რაც სეპარატისტულ ხელისუფლებას ასე ძალიან უნდა, ქართველ დევნილთათვის იქ ადგილი ნამდვილად აღარ იქნებოდა.**

მაგრამ ეთნოწმენდის „გენოციდად" მონათვლა, რასაც ქართული პარლამენტი განიხილავს, იქნებოდა კიდევ ერთი პროვოკაცია რუსეთის წინააღმდეგ და მათთვის ხელების გახსნა, რომ ამჟამად უკვე მთელი საქართველოს ანექსია მოახდინონ. ასეთ შემთხვევაში კი დასავლეთი, 2008 წლისგან განსხვავებით, ხმას აღარ ამოიღებდა, იმდენად ღია პროვოკაციად აღიქმებოდა პარლამენტის ასეთი უაზრო აქტი. ხოლო ვინაიდან რუსეთმა ჩვენგან უკვე წაიღო ის, რაც მას უნდოდა, ქვეყნის დანარჩენ ნაწილებს მეზობელ ქვეყნებს გადაუნაწილებდნენ. ხოლო ამ შემთხვევაში საქართველო მხოლოდ გეოგრაფიულ რუკებზე თუ დარჩებოდა.

# ოჩოკოჩი, ანუ ადამიანი კაფსულიდან

**...ძრავა იწვოდა, თვითმფრინავი სიმაღლეს კარგავდა. დაცვის წევრებმა, ინსტრუქციის თანახმად, ქეჩოში წაავლეს ხელი ობიექტს, რომელიც უცნაურად მაღალ ნოტაზე ქვითინებდა და სამაშველო კაფსულისკენ წაათრიეს. როდესაც ჰერმეტული კარი დაიხურა, რამდენიმე მათგანი მფრინავების კაბინაში შევარდა.**

— არანაირი გარანტია, — მოკლედ მოჭრა პილოტმა.

— ჩვენ გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ, — ენის ბორძიკით თქვა ერთ-ერთმა „შკაფმა".

— თქვენი ბარგია, ძმაო, თქვენ მიხედეთ! — იყვირა მფრინავმა, წამით შემოტრიალდა და დაცვის უფროსს თვალებში ჩახედა, როგორც მას მოეჩვენა, ოდნავ ირონიულად, თუმცა ეს საკმარისი გამოდგა, რომ ამ ორ ადამიანს ერთმანეთისთვის მშვენივრად გაეგოთ. რამდენიმე წამში კაფსულა მოწყდა თვითმფრინავს და მის თავზე კოხტა წითელი პარაშუტი გაიშალა. ეკიპაჟმა კი ბრძოლა განაგრძო და ერთ საათში გამჭვარტლული თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დასვა.

**კაფსულა უღრან ტყეში ჩავარდა. მისი გადამცემი დაზიანდა და მაშველებმა სიგნალი დაკარგეს. საქმეს ვერც ამერიკულმა თანამგზავრებმა უშველეს. კონსპიროლოგები ამბობენ, რომ არც მაშველებს და არც ამერიკელებს ძებნით თავი არ მოუკლავთ. კაფსულაში გამოკეტილ ადამიანს კი მობილურზე უფრო რთულ ხელსაწყოსთან საქმე არასდროს ჰქონია და, რამდენიც უნდა დაეჭირა ხელი ღილაკებისთვის, კარის გაღებას შიგნიდან ვერა და ვერ მოახერხებდა. დრო გადიოდა. ცინიკურად წიკწიკებდა მაჯის საათი, რომლის ციფერბლატზე ბაჭიები კამასუტრის მაცდურ ხელოვნებას ეუფლებოდნენ. კაფსულა აღჭურვილი იყო სიცოცხლის უზრუნველყოფისთვის ყველა აუცილებელი სისტემით, ვენტილაციით, წყლისა და სურსათის არც თუ მცირე მარაგით. დრო გადიოდა, ბაჭიები დახტოდნენ; ღამით კაფსულის შორიახლოს ყმუოდნენ მგლები და ილუმინატორში სავსე მთვარე იჭყიტებოდა.**

ბოლოს, როდესაც მარაგში ორი „სნიკერსი" და ნახევარი ჰალტუხი დარჩა, იგი თავგანწირული კივილით ეცა პულტს და მუშტის ბრახუნი დაუწყო, შემდეგ პირქვე დაემხო და ატირდა. მოულოდნელად რაღაც აშიშინდა და ჰერმეტული კარი, რომელიც ამდენ ხანს გადაულახავ დაბრკოლებად მიაჩნდა, გაიღო.

— დედას გიტირებთ, ყველას გიტირებთ დედას! — შელოცვასავით იმეორებდა იგი და მირბოდა სადღაც; რამდენჯერმე დაეცა, ტანსაცმელი შემოეხა. ბოლოს გაუმართლა და ისეთ ადგილას მოხვდა, რომელსაც ადამიანის კვალი ემჩნეოდა, ჩამქრალი კოცონიც ნახა, სიგარეტების ნამწვავებიც და, რაც მთავარია, გაზეთიც!



ქვაზე ჩამოჯდა და გაზეთი ფრთხილად გადაშალა, ცოტა ხანში შფოთვა დაეტყო, რადგან სათაურები სულ სხვა იყო, ვიდრე მოელოდა: **„თბილისი-სოხუმის რეისები აღდგა", „დენაციფიკაციის კანონი: სიმკაცრე თუ ჰუმანიზმი?", „ყოფილი მინისტრი მეეზოვის კარიერას ირჩევს", „ევროკავშირი, რუსეთი, აშშ: თბილისი უსაფრთხოების კონფერენციას მასპინძლობს", „31-ე ქარხანამ მსხვილი შეკვეთა მიიღო", „გაიხსნა რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალი", „ნუგზარ წიკლაური დოსტოევსკის „იდიოტს" თარგმნის", „პარტიის ოქრო: დავა შვეიცარიულ ბანკებთან გრძელდება", „ჰონდურასის პოლიციამ ვასილიჩის კვალს მიაგნო", „კავკასიის ეკონომიკური თანამეგობრობა — აწმყო და პერსპექტივები", „გუბერნატორმა შეცდომა აღიარა, ბოდიში მოიხადა და გადადგა", „ავლაბრის რეზიდენცია ავლიპ ზურაბაშვილის სახელობის კვლევით ინსტიტუტს გადაეცა",** — ბოლო სათაური რამდენჯერმე ყურადღებით გადაიკითხა.

ამოიოხრა და ფოტოების დათვალიერება დაიწყო. სხვადასხვა ადამიანებს ფოტოებზე ერთი რამ აერთიანებდათ — დამშვიდებული სახეები ჰქონდათ, ჩვეულებრივი თავისუფალი ადამიანების სახეები. დიდად არც ახლა ულხინდათ, თუმცა იმედიანები ჩანდნენ. იგი ეძებდა საკუთარ ადგილს ამ მომავალში, მაგრამ ვერა და ვერ პოულობდა მას.

უცებ გაზეთი მოისროლა და ისევ სგაიქცა. ახლა კაფსულისკენ მირბოდა, რომელიც ამ შეშლილ ქვეყანაში ერთადერთ მყუდრო თავშესაფრად მიაჩნდა.

**ორიოდე წელიწადში ადგილობრივ გლეხებში იფეთქა ცრურწმენამ „ტყის კაცის" შესახებ, რომელიც ტყის პირას დატოვებული საჭმლის სანაცვლოდ, თითქოსდა რქოსან პირუტყვს მფარველობდა. გლეხები მას მოფერებით „მიშიკოს" ეძახდნენ და მის დასაჭერად ჩამოსულ პარანორმალური მოვლენების უცხოელ მკვლევარებს გზა-კვალს წარმატებით უბნევდნენ.**

**დიმიტრი მონიავა**

**P.S.** ოჩოკოჩი ზეპირსიტყვიერების პერსონაჟია, რომელიც ტყეში ცხოვრობს და გამუდმებული კონფლიქტი აქვს მონადირეებთან; მისი სხეულის ერთი ნაწილი ვაცის (მამალი თხის), მეორე კი ადამიანის მსგავსია. მკერდზე რქისებრი წანაზარდი აქვს. გადმოცემით, ოჩოკოჩს დალაგებული მეტყველება არ შეუძლია, მაგრამ მისი ხმა ადამიანებს თავზარს სცემს. გავრცელებული სიუჟეტების თანახმად ოჩოკოჩი ელტვის ტყის დედოფლის — ტყაში-მაფას სიყვარულს.

# ხალხი უფრო ბრძენი აღმოჩნდა, ვიდრე ოპოზიცია

**30 მაისის არჩევნებმა დაგვარწმუნა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთ-ერთი სწორი გამოსავალი არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადება იყო. ეს თუნდაც ზუგდიდის მაგალითიდან ჩანს. მოსახლეობამ გამოხატა თავისი დამოკიდებულება და, შეიძლება ითქვას, ოპოზიციური პარტიებისგან განსხვავებით, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. ფაქტობრივად, არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 15%, თუმცა ოფიციალურად 37% დაფიქსირდა. ასე რომ, ხალხი უფრო ბრძენი ალმოჩნდა, ვიდრე პოლიტიკური პარტიები და მათი ხელმძღვანელობა.**

30 მაისის არჩევნები 4 წლისწინანდელი (2006 წლის 5 ოქტომბრის) არჩევნების იდენტური იყო. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ, წინა არჩევნებთან შედარებით, ოპოზიციამ „მნიშვნელოვან" წარმატებას მიაღწია. თუ 41-კაციან საკრებულოში ოთხი წლისწინანდელი არჩევნების შედეგად ოთხი ოპოზიციონერი მოხვდა, ახლანდელ საკრებულოში მათი რაოდენობა შვიდამდე გაიზარდა (თუ „ქრისტიან-დემოკრატებსაც" ოპოზიციად ჩავთვლით).

არჩევნებს უნდობლობა გამოუცხადეს ზუგდიდში მცხოვრებმა დევნილებმაც, თუმცა არც ხელისუფლება გარჯილა მაინც და მაინც მათ გასააქტიურებლად. თუ ადრე დევნილები ხელისუფლებას არჩევნების წინ მაინც გაახსენდებოდა, ამჟამად საერთოდ იგნორირებულნი იყვნენ. მათ ის ერთჯერადი დახმარებაც მოუხსნეს, რომელსაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა აძლევდა და ისინი ზუგდიდში განთავსებულ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობისკენ გადაამისამართეს.

**„თუ ჩვენ ზუგდიდის ადგილობრივი ხელისუფლება არაფერში გვეხმარება, მაშინ რა აზრი აქვს მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და რატომ უნდა ავირჩიოთ ზუგდიდის საკრებულო?"** – კითხულობდნენ დევნილები. არადა,

ხელისუფლებამ დევნილების გული ვერც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ზუგდიდში გამართული გრანდიოზული კონცერტით მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლო ტელევიზიები აცხადებდნენ, კონცერტი დევნილების მხარდასაჭერად გაიმართებაო. არადა, ეს კონცერტი უფრო წინასაარჩევნო კამპანია იყო, ვიდრე დევნილების მხარდასაჭერი აქცია. **სად კონცერტი, ტაშ-ფანდური და სად დევნილები. ან რა როლი უნდა შეესრულებინა ამ კონცერტს მათ კეთილდღეობაში. დევნილებს ერჩიათ, ის კოლოსალური თანხა, რომელიც კონცერტის გამართვაზე დაიხარჯა, უმჯობესი იყო მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მოეხმარათ.**

**„ენგურის ხიდთან გამართული აქციაც არაფრისმომცემი იყო. შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში ენგურის ხიდთან თვეობით რამდენჯერმე ჩაგვიტარებია აქციები, კარვებიც გაგვიშლია და გზებიც გადაგვიკეტია, მაგრამ შედეგი არ გამოუღია. აქციები კი არა, აფხაზებთან და რუსებთან ნორმალური და მეგობრული ურთიერთობაა საჭირო",** – აღნიშნა იმდროინდელი აქციების ერთ-ერთმა აქტიურმა წარმომადგენელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საქართველოა გადასარჩენი!

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა, რომ საქართველოში „положение хуже губернаторского“. ვინც ამ გამონათქვამის მნიშვნელობა არ იცის, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვა, „დასერჩოს“ და გაიგებს.**

## ავტორიტარულიდან ტოტალურ სახელმწიფოდ ტრანსფორმირების შემდეგ გაქცევაც ველარ გვიშველის: ხელისუფლების გრძელი საცეცები ყველგან მოგვწვდება

„ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სლოგანი „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“ სხვადასხვა ინტერპრეტაციით არაერთხელ მოვისმინეთ და ახლა, როცა ხელისუფლება გამარჯვებას ზეიმობს, ძნელი წარმოსადგენი არ არის, მათი უკიდურეს დაჭიმულობამდე მისული იძულებითი თმენა და ღიმილით მოქცეული სახე როგორ შეიცვლება.

**ახლა გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილე, რადგან რამდენიმეთვიანი თავშეკავება არამხოლოდ საქართველოში, მის ფარგლებს გარეთ მყოფი ქართველებისთვისაც ბოლმად და ბალღამად ამოინთხევა.**

ნაციონალებისთვის ზოგადად ადამიანის უფლებები ისეთივე ღირებულებაა, როგორი ფასიც აქვს უკვე დათვლილ ბიულეტენებს. არც არასოდეს ჰქონია და ამის დასტურია ბოლო ექვსი წლის მანძილზე განხორციელებული მიზანმიმართული რეპრესიები, რის გამართლებასაც სახელმწიფო ინტერესების მოშველიებით ცდილობენ.

შეუძლებელია, სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდეს კერძო საკუთრების ხელყოფა და ცალკეული მაღალი რანგის ჩინოვნიკების მიერ მისი მითვისება; შეუძლებელია, სახელმწიფოს ინტერესებს სჭირდებოდეს ათეულობით ქუჩაში ჩაცხრილული ახალგაზრდის მსხვერპლშეწირვა. ეს მხოლოდ ნულოვნად ტოლერანტული საააკაშვილისა და მისი ხელისუფლების პირადი ინტერესების, ძალაუფლების განმტკიცების დაუოკებელი ცხოველური ჟინის დაკმაყოფილებისთვის კეთდება და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების გაფორმების შემდეგაც არაერთი შემზარავი დანაშაულის მომსწრენი გავხდებით.

**ქვეყანა, რომელსაც საქართველო ჰქვია, ახლა ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა და, თუ ქართველი ხალხი გონს არ მოეგება, სხვა გზა, ამ ქვეყნიდან გაქცევის გარდა, არ გვექნება და ერთი ძველი ოცნებაღა დაგვრჩება ძველმოტივიდან — ოცნება საქართველოზე!**

ძნელი მისახვედრი არ არის, რასთან გვაქვს საქმე — ფეხქვეშ ითელება კონსტიტუციით გარანტირებული სიცოცხლის უფლება, კერძო საკუთრების უფლება. ამ დროს განათლების უფლებაზე ლაპარაკიც კი ღიმილის მომგვრელია. ხალხი შიმშილის ზღვარზეა და უკიდურესად გაჭირ-



ვებულ ოჯახებს ბავშვი სკოლაში ვერ მიუყვანიათ.

საკუთარი ოჯახებისა და თავის გადასარჩენად ქართველები სამშობლოდან გარბიან და თავშესაფარს ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებში ეძებენ, ხშირად იქაურ მოქალაქეობასაც იღებენ, მაგრამ სამშობლოში არსებული ვითარება არ ასვენებთ, აქტიურობენ და ცდილობენ, ევროპელებს გააგებინონ, რომ პრეზიდენტ ბუშისგან „დემოკრატიის შუქურად“ მონათლულ საქართველოში იმაზე სავალალო მდგომარეობაა, ვიდრე წარმოუდგენიათ.

ამ არჩევნების შემდეგ კი საქართველო ავტორიტარულიდან ტოტალურ სახელმწიფოდ ტრანსფორმირდება და გაქცევაც ველარ გიშველის: ხელისუფლების გრძელი საცეცები ყველგან მოგვწვდება — თბილისშიც და რეგიონებშიც, ევროპაშიც და ამერიკაშიც, საქართველოს მოქალაქესაც და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომსაც.

**თუკი ძალაუფლებით თავდაჯერებულ ხელისუფალთა პირად ინტერესებს თუნდაც უმნიშვნელო საფრთხეს უქმნი, მათ კაპრიზებს არ ემორჩილები, სულერთია, ვინ ხარ და სად ხარ, მთელი სახელმწიფო მანქანა შენ წინააღმდეგ მოიმართება და გაყალბებული დოკუმენტებით თვით ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის ხელისუფლებასაც დაარწმუნებენ, რომ სამშობლოდან დევნილი და ახლა უკვე მისი ქვეშევრდომი გამოუსწორებელი კრიმინალია.**

**დასჯასაც მოითხოვს და ექსტრადიციასაც ერთ დიდ საკონცენტრაციო ბანაკად გადაქცეულ საქართველოში, სადაც გაზის კამერები და კრემატორიუმებიღა გვაკლია...**

ალბათ, ამიტომაც არის, რომ უკვე გაევროპელებული საქართველოს ყოფილი მოქალაქეების დიდი ნაწილი უფრთხის საქართველოს ხელისუფლებასთან დაპირისპირებას, მით უფრო, თუკი სამშობლოში მათ იმედზე მყოფი ოჯახის წევრები და ნათესავმეგობრები ეგულებათ.

რას იზამ, სოციალური მიზეზების გარდა, არსებობს პოლიტიკური და, რაც კიდევ უფრო საშიშია ტოტალიტარული მართვის პირობებში, პიროვნული დაპირისპირება. ამ შემთხვევაში კი ანგარიშსწორების მასშტაბი მართლაც წარმოუდგენელია.

ამიტომ ვამბობ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვება წაახალისებს ისედაც ადამიანებზე დაგეშილ ნაცცერბერებს და უკონტროლო პროცესები უახლოეს მომავალში ქვეყნის იზოლაციით დამთავრდება, რაც, უპირველესად, ჯერ კიდევ მყიფე ქართულ სახელმწიფოებრიობას უქმნის საფრთხეს.

**საქართველოს პოლიტიკური სპექტრიც და საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებიც სწორედ ამ საფრთხეებზე უნდა დაფიქრდნენ და ერთხელ და სამუდამოდ მიხვდნენ, რომ უმწიფარ და მიზანთროპ ხელისუფალთა თამაშს აყოლით ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებენ.**

„გასაკეთებელი კიდევ ბევრია!“ — ხელისუფლების მიერ ხალხის თვალის ასახვევად მოგონილი ეს სლოგანი მალე საქმედ იქცევა. მათ კი როგორ იციან თავიანთი საქმის კეთება, არაერთხელ გვინახავს. ახლა ისღაა გასარკვევი, ვინ მოყვება რეპრესიების პირველ ტალღაში და ვინ აღმოჩნდება „ნაცმოძრაობის“ ხორცსაკეპში.

**არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ჩვენ დავუშვით, უფლება მივეცით ხელისუფალთ, რომ კიდევ ერთი გამარჯვება გაეფორმებინათ. გამარჯვება, რომელიც ქართველი ხალხის დამარცხებაა.**

მეტი რაღა უნდა დააშავოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, რომ მივხვდეთ — ამათ ხელში საქართველოს განვითარების პერსპექტივა ნულის ტოლია. ახლა ერთადერთი საზრუნავიღა დაგვრჩა და მთელი ძალისხმევა იქეთკენ უნდა მივმართოთ — საქართველოა გადასარჩენი!

**ბონდო მქინარაშვილი**

# «არ გვჭირდება ყალბი მერი»

## სააკაშვილმა გაკვეთილი ვერ ჩააბარა

**ევროპამ და დანარჩენმა მსოფლიომ სააკაშვილს კიდევ ერთი გაკვეთილის ჩაბარების საშუალება მისცა, რომელიც ვერ ჩააბარა. გაკვეთილში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები იგულისხმება. თბილისის სხვადასხვა უბანში ახალი სკვერების, ესტაკადების, ხიდებისა და გაურკვეველი კონსტრუქციების მოწყობის მიუხედავად, გიგი უგულავას რეიტინგი მაინც ვერ მიუახლოვდა იმ ზღვარს, რაც მას „გამერებაში“ დაეხმარებოდა.**



29 მაისის ღამეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სრული მობილიზაცია გამოცხადდა, გაიმართა შემაჯამებელი ბრიფინგიც, გაირკვა, რომ ცესკოში ყველაფერი რიგზეა და მათ ყველანაირი რესურსი აქვთ არჩევნების დემოკრატიულად და მოწესრიგებულად ჩატარებისთვის.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. არჩევნების დღე დამდგარი არც იყო, სერიოზული დარღვევა და გაყალბების მცდელობა რომ დადასტურდა.

კრწანისში არჩევნების ჩაშლის საფრთხე მას შემდეგ დადგა, დადგინდა, რომ კრწანისის რაიონში საარჩევნო უბნებზე 29 მაისის გვიან საღამომდე ბიულეტენები მიტანილი არ იყო. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, უბნებზე ბიულეტენები 29 მაისის 20:00 საათამდე უნდა ყოფილიყო, თუმცა 30 მაისის ღამის 2 საათამდე ბიულეტენები არათუ საარჩევნო უბნებზე, საოლქო კომისიებშიც არ შეუტანიათ გასანაწილებლად.

არჩევნების დღეს „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა დილიდანვე თავის მოწონება დაიწყეს: „არჩევნები მშვიდ და დემოკრატიულ ვითარებაში მიმდინარეობს“.

ამ განცხადების პარალელურად კი საქართველოს სხვადასხვა რაიონში ოპოზიციონერი ლიდერების კანდიდატებმა საარჩევნო უბნები დატოვეს და მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ძალადობაში დასდეს ბრალი.

**როგორც გორელები ამბობენ, სხვადასხვა უბანზე „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები საარჩევნო უბნის შესასვლელთან იდგნენ და, მმართველი გუნდის მხარდაჭერის სანაცვლოდ, მოსახლეობას ფულს სთავაზობდნენ. თვითმხილველების თქმით, ადგილზე იმყოფებოდნენ ადგილობრივი ჟურნალისტები (ამის ფოტომასალაც არსებობს).**

**განსაკუთრებით აქტიურობდა გორის რესურსცენტრის დირექტორი გიორგი სოსიაშვილი, რომელიც ზეწოლის გზით პედაგოგებს აიძულებდა, არჩევანი „ნაციონალების“ სასარგებლოდ გაეკეთებინა. სოსიაშვილი წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც შემჩნეული იყო პედაგოგებზე ზეწოლასა და მათ დაშანტაჟებაში. თუკი გორში მცხოვრები პედაგოგები „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ არ ჩაერთვებოდნენ წინასაარჩევნო კამპანიაში, ისინი სამსახურებს დაკარგავდნენ.**

საკუთარი არჩევანის გასაკეთებლად საარჩევნო უბანზე 12 საათისთვის გიგი უგულავაც მივიდა. უგულავამ საარჩევნო უბანზე კომენტარიც გააკეთა და განაცხადა, რომ არჩევნები დემოკრატიულად მიდის და არც ერთი დარღვევა არ ყოფილა.

ამ განცხადების პარალელურად კი მისი აქტივისტები იმავე საარჩევნო უბანზე, **მთაწმინდის რაიონის №15 უბანზე სატელეფონო ზარებით „ნაციონალების“ მობილიზაციას აწარმოებდნენ და ცდილობდნენ ადგილზე ბევრი „ნაციონალისთვის“ მოეყარათ თავი. მის შემდეგ, რაც უგულავას მხარდამჭერებმა ოპოზიციონერი დამკვირვებლებისგან შენიშვნა მიიღეს, ისინი მანქანებში ჩასხდნენ და წინასწარ ამობეჭდილი სიების მეშვეობით განაგრძობდნენ აგიტაცია-პროპაგანდას.**

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რას აკეთებდნენ, გვიპასუხეს, რომ საკუთარ ოჯახის წევრებს ურეკავდნენ და არჩევნებზე მისვლას სთხოვდნენ.

**განსაკუთრებული დარღვევებით ჩაიარა არჩევნებმა ლაგოდეხის რაონის სოფელ კაბალში, სადაც არჩევნების გაყალბება ტრადიციად იქცა. „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენლებს შორის შელაპარაკება ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა, რასაც ადგილზე საპატრულო პოლიციის მისვლა და მათი დაკავება მოჰყვა. ჩხუბის მიზეზი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ უხეში აგიტაცია-** ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვაშა, ამ ახალ საქართველოს! ვაშა, შენებას!

**სხვისი არ ვიცი და 30-მა მაისმა მე პირადად სწორედ ეს ლოზუნგი (დღევანდელი ენით — სლოგანი) გამახსენა საბჭოთა საქართველოს სინამდვილიდან. 30 მაისი ნამდვილად ახალი ეტაპია დღევანდელ საქართველოში. ვისთვის – შენების, ვისთვის – პოლიტიკურ მოუსავლეთში წასასვლელი ბილეთის შეძენის, ვისთვის კი – ჩუმი პროტესტისა და სერიოზული აპათიის.**




ხელისუფლებისთვის ამ არჩევნებმა ნამდვილად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. საბოლოოდ დადასტურდა, რომ „ნაცების" ხელისუფლებას თუ ვინმე დაასრულებს, ეს ისევ „ნაცების" წიაღში აღმოცენებული ძალა იქნება და არა დღევანდელი „ოპოზიციის" რომელიმე წარმომადგენელი. ამდენად, ჯერჯერობით, მათ სანერვიულო მართლაც არაფერი აქვთ, თუ, რასაკვირველია, თავის ჩვეულ სტილში კიდევ რაიმე მარაზმი არ მოიფიქრეს და მთელი ქვეყანა მართლაც ჭკუიდან არ გადაიყვანეს, რასაც უმართავი პროცესები და ქაოსი მოჰყვება.

**ოპოზიციამ საკუთარი თავის „გაშიფვრის" სამწლიანი პროცესი, როგორც იქნა, დააგვირგვინა და წარმატებით შეაძულა ხალხს თავი.** მერე რა მოხდა, რომ ამ მართლაც მტკივნეული სამი წლის განმავლობაში ბევრი თავისი მომხრე დააჭერინა ხელისუფლებას და ველარ გამოაშვებინა, ბევრი სასიკვდილოდ გაიმეტა და, აბა, ჩვენ რა შეგვიძლიაო, გვითხრა, გულში ისე იბაგუნა მუშტი, კინაღამ ფიცარი ჩაინგრია (არადა, ცუდი არ იქნებოდა), ხალხს საბოლოოდ დაუკარგა ქუჩაში გამოსვლისა და პროტესტის გამოხატვის სურვილი...

**უკვე წინასაარჩევნო პერიოდში აშკარა გახდა, რომ რეალურად ოპოზიციის თითოეული სუბიექტი მხოლოდ იმისთვის მონაწილეობდა არჩევნებში, რომ ხელისუფლების შემდეგ მეორე ადგილზე გასულიყო, რაც ავტომატურად ნიშნავდა ოპოზიციონერთა შორის პირველ ადგილზე გასვლას.** ეს კი (მათი ჭკუით) ახალ შანსებს იძლეოდა „ახალი ოპოზიციური მოძრაობის" დაწყების შემთხვევაში – ოპოზიციურ ძალთა შორის ყველაზე მაღალი პროცენტის მომპოვებელს ავტომატურად ექნებოდა პრეტენზია ლიდერობაზე.

ეს შესაძლოა, ასეც ყოფილიყო, რომ არა ორი გარემოება — პირველი ის, რომ რამდენიმე ყველაზე რეიტინგულმა ოპოზიციურმა ძალამ (ლეიბორისტები, ეროვნული ფორუმი, ბურჯანაძე) ამ არჩევნებს საერთოდ „ნივიჟუ" გაუკეთა და არ შეიმჩნია. ასე რომ, ვინც უნდა გასულიყო მეორე საპრიზო ადგილზე ოპოზიციიდან, მისი ლიდერობა მომავალ პროცესებში მაინც ერთობ საორჭოფო იქნებოდა; და მეორე – ვის უნდა ულიდერობა, ბატონებო? ხალხს, რომელიც თქვენ მიერ ორგანიზებულ აქციებზე აღარ მოვა? და თუ ამ ხელისუფლების სისულელით ხალხი ქუჩაში მაინც გამოვიდა, გგონიათ, რომ თქვენ მიმართ ნაკლები აგრესია ექნება, ვიდრე ხელისუფლების მიმართ?

**ამ ეტაპზე ყველაზე ცუდი და იმავე დროს ყველაზე კარგი პოზიცია ისევ ხალხმა გამოხატა. ამომრჩეველი საარჩევნო უბნებზე უბრალოდ არ გამოცხადდა. 30-40%-იან აქტიურობას აქტიურობა არ ჰქვია. ეს აპათიაა და ამავე დროს — პროტესტიც; პროტესტი როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიმართ. ვერ შეძლო ოპოზიციის არჩევნებში მონაწილე ნაწილმა ხალხის დაჯერება იმაში, რომ ან თბილისის და თბილისელების ბედს შეცვლიდა უკეთესობისკენ, ან მერის პოსტს ტრამპლინად გამოიყენებდა ახლო მომავალში ხელისუფლების მთლიანად შესაცვლელად.**

საპროტესტო მოძრაობა არ არსებობს ლიდერის გარეშე — გნებავთ, პოლიტიკური ძალის, გნებავთ პიროვნების გარეშე. ჯერ ოქრუაშვილში, ხოლო შემდეგ „გრეჩიხაში" ხალხმა რეალური ალტერნატივა დაინახა. სხვა საქმეა, რამდენად გამართლებული იყო ეს მოლოდინი. თავისთავად ცხადია, არც ერთ მათგანს საკუთარი უმაქნისობა და მანკიერი თვისებები ჯერ სათანადოდ გამჟღავნებული არ ჰქონდა და მათი მაღალი რეიტინგიც სწორედ ამან განაპირობა. დღეს ალტერნატივა არ ჩანს. ამ მხრივ ჭკვიანური იყო ლეიბორისტებისა და ფორუმის გათვლაც – ამ არჩევნებში არმონაწილეობით მათ ხელი არ მოაწერეს თავ-თავიანთი გარდაცვალების მოწმობაზე და სხვა ოპოზიციონერებზე უფრო ჭკვიანი აღმოჩნდნენ. სამომავლოდ მათ რაღაცის თეორიული შანსი მაინც დაუტოვეს საკუთარ თავს, რასაც არჩევნებში მონაწილეებზე ნამდვილად ვერ ვიტყვით.

**მაგრამ არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობა იქეთ იყოს და, თუნდაც წაგებული არჩევნები ნამდვილად არ არის საფუძველი იმისთვის, რომ ესა თუ ის პოლიტიკური ძალა ხალხმა „ჩამოწეროს", საფუძველი სხვა გარემოებებია.**

რამდენიმე თვის წინათ, როცა „კონსერვატორების", სალომეს „პარტიისა" და კიდევ ერთი რომელიღაც „პოლიტიკური ძალის" ოფისებში დამონტაჟებული მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს, ერთი ვაიუშველებელი ატყდა, როგორ თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო ბედავს და გვისმენსო.

ჩემთვის საკმაოდ მოულოდნელად (ჩვენი დღევანდელი ჟურნალისტების დონიდან გამომდინარე), ერთმა ჩვენმა კოლეგამ საკმაოდ ჭკვიანური შეკითხვა დაუსვა „კონსერვატორ" კუკავას. შეგახსენებთ, ეს ის კუკავაა, რომელსაც შეუძლია, მთელ საქართველოს უტიფრად უყუროს თვალებში და ამტკიცოს, რომ ცოტნე გამსახურდია საზოგადოებისთვის საშიში არ გახლავთ, არაფერი დაუშავებია და, შესაბამისად, ციხეშიც არ უნდა იჯდეს. მაგრამ დავანებოთ გამსახურდიას თავი. ზემოხსენებულმა ჟურნალისტმა კუკავას ასეთი რამ ჰკითხა: კი მაგრამ, ეს „ჟუჩოკები" რომ აღმოაჩინეთ, რა მოიგეთ ამხელა სკანდალის ატეხვით, ყოფილიყავით ჩუმად, ვითომც არაფერი გიპოვიათ, დამჯდარიყავით ოფისში ამ „ჟუჩოკებთან" ახლოს და გელაპარაკათ ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმებულ საკითხებზე, შეგეგდოთ დეზინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის და გაგერთულებინათ მათთვის მუშაობა, ამასობაში კი მართლა რამე ჭკვიანური გეკეთებინათო. კუკავას პასუხი კი ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში პოლიტიკიდან წასვლის საბაბი გახდებოდა – ჩვენო, გენაცვალეო, მოსმენებსა და ეგეთ მამაძაღლობებში მაგათ ვერ ვაჯობებდითო... აი, ესეც ჩვენი „ჭკვიანი" ოპოზიცია. დალოცვილო, იმის თავი და ერთი ადგილი არ გაქვს, რომ უშიშროებას, უბრალოდ, „დეზა" შეუგდო და მცდარ კვალზე დააყენო და ქვეყნის მართვაზე გაქვს პრეტენზია?

**მმართველი პარტიისთვის კი ისევ მშენებლობის პერიოდი გრძელდება. ავაშენებთ ხიდებს, მონუმენტებს (მძღოლები გმირთა მოედნის ქვეშ, გვირაბში, გავლისას პირჯვარს რომ იწერენ, ეს 260-ტონიანი ჯანდაბა თავზე არ დაგვემხოსო), შადრევნებს, სასტუმროებსა და უოპოზიციო საქართველოს — მდუმარეს და აპათიაში ჩავარდნილს. ვაშა!**

**სალვადორ დვალი**

---

**◀ პროპაგანდა გახდა. ჯუმსუნ ბაირამოვის საქციელი არც სხვებისთვის დარჩენილა შეუმჩნეველი.** ბაირამოვი ამომრჩევლებს აფრთხილებდა: **„თუკი „ნაციონალურ მოძრაობას" არ მისცემთ ხმას, კარგად იცით, რა მოგელით. არ გეგონოთ, გაურკვეველი რჩებოდეს, ვინ ვის მისცა ხმა".**

წინასაარჩევნოდ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პატიმრები და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ხმას, ჩვეულებრივ, საარჩევნო უბნებზე მისცემდნენ. ამის გამო დიდი აზრთა სხვადასხვაობა იყო „თავისუფლების ინსტიტუტსა" და ვანო მერაბიშვილის კლანს შორის. ამის გამო მთელი რიგი დარღვევებით წარიმართა საარჩევნო პროცესი.

**ზუგდიდში 200-მდე წინასწარ პატიმრობაში მყოფმა პირმა არჩევნებში მონაწილეობის მიღება ვერ მოახერხა, ვინაიდან არც ერთს არ აღმოაჩნდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. პატიმრებამდე მისვლა ჟურნალისტებმა და დამკვირვებლებმა ვერ მოახერხეს, თავად ციხის ადმინისტრაცია კი არ აკონკრეტებს, რატომ არ აქვთ პატიმრებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები.**

ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა თბილისის წინასწარი დაკავების იზოლატორში. **1500 პატიმრიდან პირადობის მოწმობა მხოლოდ ერთს აღმოაჩნდა. დანარჩენებმა კი საჭირო დოკუმენტაციის არქონის გამო ხმის მიცემა ვერ შეძლეს. არც ამ ფაქტთან დაკავშირებით აკეთებს კომენტარს წინასწარი დაკავების იზოლატორის ხელმძღვანელობა.**






მარკირების აპარატი ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნებში ერთი ადამიანის მიერ ორჯერ მონაწილეობას გამორიცხავს, რაც არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების ერთგვარ გარანტიას ქმნის, თუმცა ეს მეთოდი საქართველოზე არ ვრცელდება. **ნაძალადევის რაიონსა და ფონიჭალაში დაფიქსირდა შემთხვევები, სადაც მარკირების აპარატში სპეციალური სითხის ნაცვლად წყალი აღმოჩნდა. ამავე უბნებზე დაფიქსირდა ამომრჩევლების არარეალურად მაღალი მაჩვენებელი. დამკვირვებლები აცხადებენ, რომ სამჯერ და ოთხჯერ მიდიან უბანზე პირები, რომლებიც ჩვეულებრივად გადიან საარჩევნო პროცესს.**

საარჩევნო დღის ბოლომდე ხელისუფლება ცდილობდა, მოსახლეობა დაერწმუნებინა არჩევნების პატიოსნად ჩატარებაში. თუმცა ათობით გამოვლენილი დარღვევა ხელისუფლების არგუმენტებს ეწინააღმდეგებოდა.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც არჩევანის გაკეთების შემდეგ განაცხადა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" ალტერნატივა არ ჰყავს და რომ ისინი დამაჯერებლად გაიმარჯვებდნენ.

— ასეთი მშვიდი არჩევნები საქართველოში არ ყოფილა, არც დარღვევები გამოვლენილა, — აცხადებდა პრეზიდენტი, პარალელურად არჩევნებისთვის სპეციალურად გახსნილ მედიაცენტრში ყოველ საათში ერთხელ ბრიფინგი ტარდებოდა, სადაც საქართველოს სხვადასხვა რაიონში არსებულ უბნებზე დაფიქსირებული დარღვევების შესახებ ვრცელდებოდა ინფორმაცია.

**ყველაზე დიდი პრეტენზია ადგილობრივ დამკვირვებლებს უცხოელების მიმართ აქვთ.** „უბანზე იყვნენ უცხოელი დამკვირვებლები, თუმცა ისინი შემოდიან, რამდენიმე კითხვას სვამენ და გადიან. მათი დასკვნა არ არის სანდო, ვინაიდან ისინი უბნებზე, ძირითადად, მხოლოდ იმას ამოწმებენ, არის თუ არა სიმშვიდე და ხომ არ არის ჩხუბი. საარჩევნო უბანზე დღის განმავლობაში 5 წუთით შევლით როგორ შეიძლება, რეალური დასკვნა დადო?" – განაცხადა „თოფაძე-მრეწველების" წარმომადგენელმა კომისიაში, თეა იმნაიშვილმა.

**ოპოზიციური სპექტრი აცხადებს, რომ, თუკი ექნებათ რეალური დოკუმენტები არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით, ისინი სააკაშვილს ამას არ აპატიებენ; პრეზიდენტი — ოპონენტების დასჯით, ოპოზიცია კი საპროტესტო აქციებით იმუქრება. მთავარი კი ის არის, ვის ექნება ხალხის მხარდაჭერა. შეეგუება თუ არა ოპოზიცია და საზოგადოება არჩევნების გაყალბებას, ამას უახლოეს მომავალში განვითარებული პოლიტიკური პროცესები გვიჩვენებს.**

**ლიზა ბენდელიანი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# შეპყრობილი

## რა დგას რეალურად პრეზიდენტის ალოგიკური გამონათქვამების უკან?

**მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელე და, მითუმეტეს, ქვეყნის პრეზიდენტი, მისი უცნაური გამონათქვამების, მანერებისა თუ საზოგადოებისთვის ცნობილი თვისებების საშუალებით ფსიქოლოგების ყურადღების ქვეშ ექცევა. შემდეგ კი საჯარო პირების ფსიქოპორტრეტს ადგენენ. მიხეილ სააკაშვილის ფსიქოპორტრეტი ასეთია:**

„აღიზარდა არასრულფასოვან ოჯახში, ჰქონდა ძლიერი მიდრეკილება დედისადმი. ღრმა ემოციური ტრამვის შედეგად გამოუმუშავდა უკიდურესად ნეგატიური, აგრესიული და დაძაბული დამოკიდებულება ბიოლოგიური მამისა და მამინაცვლისადმი. ვერ პოულობდა საერთო ენას თანატოლებთან, რომლებიც მას არასრულფასოვნად აღიქვამდნენ და ემიჯნებოდნენ. არის ექსპრესიული, არაადეკვატური, პათოლოგიურად თავმოყვარე, აშკარად გაზვიადებული თვითშეფასებით, განსაკუთრებულად აგრესიულია მაშინ, როდესაც ჰგონია, რომ დაამცირეს და ეჭვქვეშ დააყენეს მისი ძლევამოსილება.

**გარეგნული ალტრუიზმისა და კომუნიკაბელობის მიუხედავად, შინაგანად კაცთმოძულე სოციოპათია, შეპყრობილი საკუთარი ზეიდეებისა და პერსონის ფსევდოსიდიადით... საზოგადოება მისთვის ბრბოა, რომელიც მხოლოდ აპლოდისმენტებისა და მისი ზეიდეების ტკბობისთვის არის გაჩენილი.**

**ნებისმიერ ადამიანს, ვისზეც გაუჩნდება ეჭვი, რომ რამე ასპექტით მასზე ძლიერია, აღიქვამს მტრად. ახასიათებს იდეების აკვიატება“.**

პრეზიდენტის ამგვარ შეფასებას მისი ქცევები და გამოთქმებიც აძლიერებს. მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ხშირად ისმის ისეთი ფრაზები, რაც მსმენელსა თუ მაყურებელს ართობს. შესაძლებელია, პრეზიდენტს ამგვარი განცხადებების კეთება პიარისთვისაც უნდოდეს, თუმცა სხვა ქვეყნების ლიდერებს გაცილებით მაღალი რეიტინგი აქვთ, მაგრამ არა ამგვარი განცხადებების ხარჯზე.

ჩვენ გავიხსენეთ პრეზიდენტ სააკაშვილის არაადეკვატური ფრაზები და ფსიქოლოგს მათი შეფასება ვთხოვეთ.

**„ჯარი იყო რამდენიმე თვის უჭმელი“;**
**„ჩვენი ქალები ყველაზე მაგრები არიან, კაცებს ჯიბეში ჩაისვამენ“;**
**„მე მეორედ მოსვლამდე დავაგებ ასფალტს“;**
**„მაიკროსოფტმა შექმნა ქართული ანბანი“;**
**„მათი** (ოპოზიციის) **ხმები არსად არ წამიღია“.**

არის თუ არა ამგვარი განცხადებების ავტორი ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანი?

ფსიქოლოგი **შალვა აბზიანიძე:**

**„ძალიან ბევრი პოლიტიკოსი ხშირად ბევრ სისულელეს ლაპარაკობს. პირველი პირები ხშირად უშვებენ შეცდომებს, ამბობენ გაუმართავ წინადადებებს, რომლებიც არანაირ ლოგიკაში არ ჯდება, მაგრამ მე ამას უფრო წამოცდომას დავარქმევ“.**

ფსიქოლოგის თქმით, გამორიცხულია, უაზრო გამონათქვამების ხარჯზე შეიქმნას ადამიანის იმიჯი, რომელიც მას პოლიტიკურ წინსვლაში დაეხმარება.

**„რაც საქართველოში ხდება, გამოსვლების დროს რომ შეცდომებს უშვებენ, ეს, ძირითადად, წამოცდომების ან არცოდნის შედეგია. კონტექსტში ნაგულისხმები აქვთ ხშირად რაღაც, მაგრამ მათ არ აზუსტებენ, არ აკონკრეტებენ. თუმცა არის სპეციალურად გაკეთებული ალოგიკური განცხადებებიც“.**

პრეზიდენტის შეფასებისას აბზიანიძე ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილი არ თამაშობს და ის ისეთია, როგორიც ეკრანზე ჩანს.

პრეზიდენტი თავის გამონათქვამებს, რომლებიც კონტექსტიდან ამოვარდნილია, ხშირად თავადვე განმარტავს, თუმცა ბევრი ქმედება უკომენტაროდ რჩება. ფსიქოლოგთა დასკვნის გარეშეც ცნობილი იყო, რომ მიხეილ სააკაშვილს თანატოლებთან ურთიერთობა უჭირდა და ამ მხრივ ბავშვობაში პრობლემები ჰქონდა. ეს მან თავადვე აღიარა. ხოლო პიარით ქვეყნის მართვა რომ შეუძლებელია და კატასტროფული შედეგებით მთავრდება, ეს ბოლო წლებმაც დაადასტურა.

**შორენა გოგოლაძე**

# ვაი, ჩვენს პატრონს

**ერთმა ჩემმა ნაცნობმა რამდენიმე წლის წინათ, როცა მიხეილ აღმაშფოთებლის მმართველობა ახალი დაწებული იყო, იკითხა: — ადამიანს ავტომანქანის მართვის მოწმობის აღებამდე „ფსიხოს“ თხოვენ; და ქვეყნის მმართავს „ფსიხო“ რატომ არ მოეთხოვებაო? რა დაგიმალოთ და ამ კითხვაზე პასუხი არც მაშინ მქონდა და არც ახლა მაქვს.**





სააკაშვილის მიერ რეალურად განხორციელებულ ქმედებებს რომც შევეშვათ, მხოლოდ მის მიერ ამ რამდენიმე წლის მანძილზე წამოროშილი ფრაზებიც კი საკმარისია, რომ მისით მსოფლიოს წამყვანი ფსიქიატრები თუ არა, ფსიქოთერაპევტები მაინც დაინტერესდნენ და გამოიკვლიონ, ეს მართლაც „ნადოლგოა“, თუ მკურნალობა შესაძლებელია.

**დავანებოთ თავი იმას, შეიძლება თუ არა, რომ ნორმალური ქვეყნის ნორმალური ლიდერი ქუჩაში სიარულისას ბუჩქს ახტებოდეს, აეროპორტში ტრაპიდან ჩამოსვლისას მესამე საფეხურიდან ხტებოდეს, ვიცე-პრემიერს თავში უთაქებდეს, ხარაჩოებზე მიძვრებოდეს, მთავრობის სხდომას კარლსონივით მაღალსართულიანი კორპუსის სახურავზე ატარებდეს, აუზში გადახტომას აპირებდეს და თვითონვე ამბობდეს – გადავხტები, ჭკუა კი არ დამიშლისო, კიკასავით იცინოდეს, სუფრაზე გადაჭამოს ყველაფერი და ა.შ. როგორც იტყვიან, „ია ტოჟე ნე ენდოკრინოლოგ“, მაგრამ მაინც...**

## ბერლინში, პირველი ოფიციალური ვიზიტისას, ღამის სამ საათზე სააკაშვილმა პირადი დაცვის თანამშრომელი გააღვიძა, — წავიდეთ, ავტოსალონები დავათვალიეროთ, მიყვარს კარგი მანქანების ყურებაო.

ამ ფოტოების ნახვისას კი დალაგებულ ადამიანს, ალბათ, აღარ გაუჩნდება კითხვა, რად უნდა მიშიკოს პრეზიდენტობა. თანატოლები ბავშვობაში ფეხბურთს არ ათამაშებდნენ – ა, ბატონო, აისრულა ოცნება და დღეს პიერლუიჯი კოლინასავით უჭირავს მწვანე მინდვრის ცენტრში ბურთი, მერე რა, რომ სახეზე ცოტა არ იყოს და დუჩეს გამომეტყველება აქვს... ეს კაცი რომ სტადიონზე შევა და სახეზე ასეთი გამომეტყველება ექნება, იმ ქვეყანაში ფეხბურთი განვითარდება? ქვეყანა თავზე დაექცა, ტერიტორიები დაკარგა, ჰალსტუხების კოლექცია შემოეჭამა... მერე რა, წავა სადმე ფეშენ კურორტზე და პლაჟის ფრენბურთს ითამაშებს... ე.წ. მასაჟისტკის ჩამოყვანაც არ გაუჭირდება გერმანიიდან. **რომელიმე დალხენილი ქვეყნის პრეზიდენტი ასეთ დღეში გინახავთ? მაგრამ ჩვენ ხომ ქართველები ვართ. აბა, რა, ბანანის რესპუბლიკა რა ბანანის რესპუბლიკაა, თავისი პლაჟის პრეზიდენტი თუ არ ჰყავს? არ უნდა ამ კაცს სერიოზულობა, გართობა უნდა, თამაში, ზოოპარკში სიარული და ატრაქციონები, ჩაიბარეთ ვინმემ, ხალხი არ ხართ? რა გახდა ერთი დიდი ბავშვის მოვლა! წაიყვანთ ცირკში, მაქსიმუმ ნაყინი მოგთხოვოთ, უყიდით ბუშტებს და ისიც ბედნიერი იქნება და თქვენც. ასე არ ჯობია? აბა, ის ჯობია, ცირკად მთელი ქვეყანა რომ გადააქცია და №1 ჯამბაზის როლს რომ თამაშობს?**

მაგრამ, არცთუ დალაგებულ საქციელთან ერთად, არის გამონათქვამები, რომლებიც ისტორიას მიშა სააკაშვილს შემოუნახავს.

სააკაშვილის მეზღაპრეობაზე წინა ნომერში უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ იმთავითვე ნათელი იყო, რომ სწორუპოვარი მიშიკო მიღწეულით არ დაკმაყოფილდებოდა და უახლოეს მომავალში კიდევ იტყოდა რაღაც ისეთს, რაც ნორმალურ ადამიანს არასოდეს მოუვა თავში.

ის, რომ სააკაშვილს ბათუმის მიმართ რაღაც სექსუალური გრძნობის მსგავსი აქვს, არახალია. ნეტავ, საქართველო და მისი მოქალაქეები უყვარდეს ისე, როგორც ქათქათა ბათუმი უყვარს. უყვარდეს, ბატონო, ეჭვიანი არც ერთი ვართ, ეს ბათუმელების საქმეა, როგორ ურთიერთობას დაამყარებს მათთან პრეზიდენტად წოდებული, მაგრამ მისგან საღ და ჯანმრთელ დამოკიდებულებას არ უნდა ელოდოს ადამიანი. და როგორც ხშირად ხდება ხოლმე ამა თუ იმ პათოლოგიის შემთხვევაში, აქაც გაუკუღმართებულმა სიყვარულმა სააკაშვილს არაერთი სისულელე, თუ ბოდვა არა, ათქმევინა.

**„ბათუმზე ლამაზი ადგილი შავზღვისპირეთში თუ კიდევ არსებობს სადმე, მზად ვარ, ხელმეორედ შევჭამო ჰალსტუხიო“,** — დაახეთქა რამდენიმე დღის წინათ ჭკვიანმა და დალაგებულმა.

მიშა, გაგრაში თუ ხარ ნამყოფი? ფოტოებზე მაინც თუ გაქვს ნანახი? დავანებოთ თავი გაგრას, მაინც აღარაა ჩვენი (ვაღიაროთ რეალობა, ეს შეგუებასა და დავიწყებას არ ნიშნავს). მაგრამ, შენ თუ ჰალსტუხის გემო მოგეწონა და მისი ჭამა მოგინდა კიდევ ერთხელ, ბათუმი რაღა შუაშია?

## მიშიაკებო, აბა, არ უჭამია მიშას ჰალსტუხი, მხოლოდ პირს იწმენდდაო?! თვალს რომ იბრმავებდით და ჩვენს დაბოლებასაც ცდილობდით, როგორ მოგეწონათ თქვენი კერპის აღიარებითი ჩვენება?

მაგრამ არ მგონია, ეს ფრთიანი ფრაზა მხოლოდ იმიტომ წამოესროლა სააკაშვილს, რომ ჰალსტუხის გემო გაახსენდა მშიერს. საქმე უფრო შავზღვისპირეთის (რომელიც მიშას მცდელობების შედეგად ჯერ კიდევ შემოგვრჩა) მიმართ მის პლატონურ ვნებაში უნდა იყოს. ან, რაც კიდევ უფრო მეტად სავარაუდოა, მიშას, როგორც ჩანს, გეოგრაფიის მასწავლებელი სცემდა ხოლმე სკოლაში და შესძულდა ეს საგანი, ისტორიის პედაგოგი კი მთელი დღის მანძილზე კუთხეში აყენებდა, ჰოდა, გაიზარდა თუ არა (მეტი არაა ჩემი მტერი), ისტორიის დედაც გაიხსენა (ჰეროდოტეს მეუღლე), გეოგრაფიას მამაც მოუკითხა და ფსიქიატრიაშიც ხომ, ახალი სიტყვა თქვა კი არა, ახალი მიმართულება დააფუძნა საერთოდ.

**ხომ თქვა ერთხელ, ანაკლია რომ ნიცაზე უკეთესი იქნება, თბილისი სიღნაღს შეუერთდება და ამის გამო პარიზი შურით გასკდება, რომ თბილისი უფრო კარგადაა განათებული, ვიდრე მიუნჰენი და ამსტერდამი, ერთად აღებული (უბედურმა გერმანელებმა იციან ამის შესახებ?), რომ მსოფლიო ტურისტული რუკებიდან სულ მალე გაქრება ფიჯისა თუ სეიშელის კუნძულები, მალაიზია, რივიერა, ნიცა, შარმ-ელ-შეიხი და მთელი მსოფლიოს ტურისტები მხოლოდ ბათუმსა და ანაკლიაში ივლიან, სადაც თურმე მზე ანათებს და გარუჯვა შეიძლება. აიო, უნაოჭო შუბლი დაგვანახა მიშიკომ, მე ასე ანაკლიაში გავირუჯეო. ეწერა ახლა ვითომ იმ შუბლზე „დამზადებულია ანაკლიაშიო“?**

მაგრამ, ნათქვამია, „ესლი ჩელოვეკ იდიოტ, ტო ეტო ნადოლგო“...

**სალვადორ დვალი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «პაჩკა-პაჩკა» ორდენები ცვიოდა

## რა დამსახურებისთვის დააჯილდოვა მიხეილ სააკაშვილმა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით ათეულობით ადამიანი?

**ღირსების ორდენი საქართველოს პირველმა პირმა ისე გაამასხარავა, რომ მასზე უკვე თავად ორდენოსნებსაც ეცინებათ და მისი ხსენებაც კი ესირცხვილებათ. კლიპში მონაწილეობისთვის რომ ორდენს მიიღებ, ცხადია, მას უკვე ფასი აღარ აქვს. საქართველოში ათასობით ასეთი დაჯილდოებული გვყავს. ამიტომ ახლა სააკაშვილი სხვა ორდენებს არიგებს. 26 მაისს მან რამდენიმე ადამიანი ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურებისთვის ვახტანგ გორგასლის I ხარისხისა და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენებით დააჯილდოვა.**

**რა დამსახურებები უნდა გქონდეთ ქვეყნის წინაშე, რომ ქვეყნის მეთაურმა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენითა და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დაგაჯილდოოს? ამ კითხვაზე პასუხის მოსაძებნად გადავხედოთ მიხეილ სააკაშვილის მიერ 26 მაისს დაჯილდოებულ ადამიანთა სიას.**

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი გადაეცა წაგებული ომის პერიოდში გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილეს, ამჟამად გენშტაბის უფროს **დევი ჭანკოტაძეს** — საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისთვის; ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლეს, საქართველოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელს, ბალერინა **ნინო ანანიაშვილს** ქართული საბალეტო სკოლის აღორძინებისა და საქართველოს წარმოჩენისთვის მთელ მსოფლიოში. შეგახსენებთ, რომ ორდენამდე პრეზიდენტის ბრძანებულებით, უზურფრუქტის წესით, ვერაზე, 300 კვ.მ მიწის ნაკვეთი გადასცა, ასევე აჩუქა შენობა დახურული ბაზრის ტერიტორიაზე, სადაც ადრე ენერგეტიკის სამინისტროს ერთ-ერთი ობიექტი იყო. მისთვის ახალგაზრდობის სასახლის გადაცემასაც აპირებდა, მაგრამ ამას სერიოზული პროტესტი მოჰყვა და ბალერინამ ამ შენობის მისაკუთრება ველარ გაბედა.

საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელობისთვის ყველაზე რთულ დროს ქართულ ბიზნესში ნოვატორობისთვის დაჯილდოვდა „ლიბერთი ბანკის“ ხელმძღვანელი **ლადო გურგენიძე**. რაში გამოიხატა მისი ნოვაციები, გაუგებარია, რაც შეეხება მის მოღვაწეობას რთულ პერიოდში, როგორც გვახსოვს, კრახით დასრულდა, რადგან მისი მუშაობით უკმაყოფილო პრეზიდენტმა ბიზნესიდან პრემიერ-მინისტრის პოსტზე იძულებით გადაყვანილი ბანკირი სასწრაფოდ ჩამოაშორა მაღალ სახელმწიფო თანამდებობას და გეგა მგალობლიშვილით ჩაანაცვლა. ამ ორი ადამიანის მოღვაწეობა პრემიერის პოსტზე ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** 100-ზე მეტი ქართული ძეგლის აღდგენისთვის დაჯილდოვდა. თუმცა რამდენიმე წლის წინათ იგივე ვაჩეიშვილი, რომელიც ყველაზე კარგი რეპუტაციით სარგებლობდა მინისტრთა კაბინეტში, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრობიდან მოხსნა, რათა ვაშაძისთვის გამოეთავისუფლებინა ადგილი.

**ალბერტო დომინგო კაბო** დაჯილდოვდა ბათუმისა და ანაკლიის ბულვარების, თბილისის გმირთა მემორიალისა და საქართველოს პარლამენტის ახალი შენობის პროექტების შექმნისთვის.

პატრიოტიზმისა და ქართულ ბიზნესში ახალი სტანდარტების დანერგვისთვის დაჯილდოვდა **კობა ნაყოფია**. შეგახსენებთ, რომ ნაყოფია შპს „კვარციტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. იგი აფინანსებს, გიგა ბოკერიას მეუღლის ჟურნალ „ტაბულას“ და, რაც ყველაზე მთავარია, ბოლნისის რაიონში „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტაროზის კანდიდატი და პარტიულ სიაში 141-ე ნომერია.

დაჯილდოებულთა შორისაა **როლანდ ახალია**, 70-იანი წლების შემდეგ კორუფციასთან, უკანონობასთან და მაფიასთან ხმალამოღებული, თავდადებული ბრძოლისთვის. ეს პრეზიდენტის შეფასებით. საზოგადოებისთვის კი ის სანდრო გირგვლიანის მშობლების მიერ, სანდროს მკვლელობის დამკვეთად მხილებული კუდის უფროსის, დათა ახალაიასა და თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას მამაა. მისი შვილების ცოდვებზე არაერთხელ დაიწერა, თავად როლანდ ახალაიასაც არაერთ დანაშაულში სდებენ ბრალს, რომელიც სამეგრელო-ზემო სვანეთის მრავალწლიანი პროკურორობის დროს ჩაიდინა.

**ხატერ მასადი** — ფოთის საზღვაო ნავსადგურისა და „რაკიინ დეველოპმენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დაჯილდოვდა საქართველოში ასეულობით მილიონი დოლარის ინვესტიციის სწორად ორგანიზებისა და წარმატებული ბიზნესსაქმიანობისთვის.

**იულონ გაგოშიძე** ბრწყინვალე ექსპედიციებისა და დიდი პატრიოტული ღვაწლისთვის დააჯილდოვა პრეზიდენტმა, თუმცა საინტერესოა, რატომ მაშინ არ გაახსენდა ეს ღვაწლი პრეზიდენტს, როცა მთავრობის ყველაზე ჭარმაგი წარმომადგენელი მინისტრთა კაბინეტიდან მოისროლა.

ყველაზე რთულ პერიოდში გამოჩენილი თავდადებისთვის, ქართული პატრიოტული ახალგაზრდობის საუკეთესო სახის წარმოჩენისთვის დაჯილდოვდა შს მინისტრის მოადგილე **ეკა ზღულაძე**



(საინტერესოა, რაში გამოიხატა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ზღულაძის თავდადება);

**რამაზ ნიკოლაიშვილი**, საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარე — წარმატებული საქმიანობისთვის ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის საქმეში. საზოგადოებისთვის კი ნიკოლაიშვილი ფინანსურ პოლიციაში მუშაობის დროს ბიზნესისა და მცირე მეწარმეების დამტერორებლად ასოცირდება, საგზაო დეპარტამენტში მუშაობის დროს კი მის მიერ მილიონების გაფლანგვის ეჭვი მონიტორინგის დროს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ გაუჩნდა.

ამავე სიაშია **დანიელ კუნინი**, დაჯილდოებულია თითქმის 20-წლიანი ნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოში. კუნინი გახლდათ სააკაშვილის ამერიკელი მრჩეველი, რომელიც, როგორც ამბობენ, „იმედში“ გასული იმიტირებული ქრონიკის შემდეგ ჩამოსცილდა სააკაშვილს.

**ირაკლი ეზუგბაია**, „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის საქმეში წარმატებული საქმიანობისთვის დააჯილდოვა; ეზუგბაიას მიმართ უამრავი ბრალდება არსებობს, თუმცა ჩვენ მხოლოდ უკანასკნელს მოგახსენებთ. ახლახან რკინიგზელთა ასოციაციამ „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობა სარკინიგზო სტრუქტურის განადგურებაში, კორუფციასა და ადამიანის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა. რკინიგზელებს ქვეყნის მასშტაბით ყველაზე დაბალი ხელფასები აქვთ, მაშინ, როცა ხელმძღვანელების ხელფასი 17 დან 20 ათასამდეა, მოადგილეებისა კი — 15 ათასი ლარი.

ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით ასევე დაჯილდოვდნენ: **პაატა ბურჭულაძე**, საქართველოს სახელის წარმოჩენისა და ხელოვნებაში წარმატებული მოღვაწეობისათვის; **შამილ ქორთოშიძე**, საცხენოსნო სკოლის შექმნისა და მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობისთვის ქართულ ავიაციაში; საქართველოს სახელის წარმოჩენისთვის: **ილიკო სუხიშვილი, ნინო სუხიშვილი,** ანსაბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი **ჯემალ ჭკუასელი, ნანი ბრეგვაძე;** ნოვატორობისა და პატრიოტული საქმიანობისთვის — მომღერალი **ნიაზ დიასამიძე;** სამეცნიერო მოღვაწეობისთვის, ქართული საერთაშორისო სამართლის სკოლის შექმნისთვის — საერთაშორისო სამართლის პროფესორი **ლევან ალექსიძე;** 102 წლის **ალექსანდრე ბესტავაშვილი**, საფრანგეთში ქართული დიასპორის ხელმძღვანელი, რომელიც საქართველოში სულ რამდენიმე დღეა, რაც დაბრუნდა. მას ორდენი უცხოეთში, ქართულ დიასპორაში, ქართულ საქმეში მრავალწლიანი თავდადებისთვის გადასცეს.

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯიდოვდნენ აჭარის სპეციალური დანიშნულების რაზმის, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენაერთის თანამშრომლები: **ნუგზარ შარაშიძე, მირზა კონცელიძე, ასლან ინაიშვილი, ალბერტ ხინკივაძე.** პრეზიდენტის განცხადებით, აჭარის სპეციალური დანიშნულების რაზმი საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ აჯანყებულმა ასლან აბაშიძემ რუსი ინსტრუქტორების მეშვეობით მოამზადა. აღნიშნულმა რაზმმა 2004 წელს აჭარაში ცენტრალური ხელისუფლება არ შეუშვა, თუმცა ის შემდეგ საქართველოს სამსახურში ჩადგა. აღნიშნული პირები ველისციხეში სტიქიის დროს 80 მეტრი სიღრმის წყალსაცავში საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ჩავიდნენ და წყალსაცავი გახსნეს, რამაც ველისციხე დატბორვას გადაარჩინა.

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ



### გალანძღეთ პრეზიდენტი

**პრეზიდენტი სააკაშვილი, როგორც ჩანს, მხოლოდ მაშინ აღიქვამს თავს საჭიროდ და მნიშვნელოვნად, როდესაც საკუთარი პერსონის გაუთავებელ ლანძღვას ისმენს.**

დემოკრატიული არჩევნების ჩატარებით აღფრთოვანებულმა სააკაშვილმა წინასაარჩევნო კამპანიის შეფასებისას განაცხადა: „იყო ბევრად უფრო კონკრეტული და ბევრად უფრო საგნობრივი საუბარი, შედარებით ნაკლები იყო ლანძღვა. პრეზიდენტის ლანძღვაც კი უფრო ნაკლები იყო, რის გამოც ლამის მიტოვებულად ვიგრძენი თავი“, — იუმორით აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.





### კალანდაძემ არაფერი იცის

**საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ამერიკული დელეგაციის საქართველოში მოსალოდნელი ვიზიტის თაობაზე უზუსტესი ინფორმაცია მოგვაწოდა — რატომ მოდიან და რაზე უნდა ვიმსჯელოთ, ჯერ არ ვიცით, მაგრამ რომ მოდიან, ვიცითო.**

კალანდაძემ არ იცის, კონკრეტულად ვინ არიან ეს მაღალი რანგის პირები, არ იცის, ვინ უხელმძღვანელებს ამ დელეგაციას და მით უმეტეს მისთვის „ჯერჯერობით უცნობია“, რა საკითხებზე და ვისთან უნდა იმსჯელონ პატივცემულმა სტუმრებმა.



### რას იწვნევენ თბილისელები

**მერობის კანდიდატმა გოგი თოფაძემ ჯერ მხედველობის პრობლემაზე დაიჩივლა, შემდეგ კი ნაცადი მეთოდით სცადა დარდის განქარვება და სადღეგრძელოებზე გადავიდა.** „ვინ არის ეს 60% ვინც სახელისუფლო კანდიდატსა და პარტიას მისცა ხმა? მე მათ ვერ ვხედავ! ხოლო თუ ხალხს მართლაც მოსწონს ახლანდელი მთავრობა, ღმერთმა გაუმარჯოს! თბილისელები მალე იწვნევენ იმას, თუ ვის მისცეს ხმა“. რაღა უნდა იწვნიონ თბილისელებმა, არ უთქვამს, მაგრამ დაგვპირდა, ამ 4 წლის გასვლასაც დაველოდებიო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ნაცმოძრაობის ავტოპორტრეტი გმირთა მოედანზე

**26 მაისს თბილისი კიდევ ერთი ძვირადღირებული, პატრიოტული თემატიკით შენიღბული მარაზმით დამშვენდა. გმირთა მოედანზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა დაღუპულ გმირთა მონუმენტი გახსნა. ცნობილი გახდა, რომ მონუმენტზე საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული ყველა ქართველის (და არა მხოლოდ ქართველის) გვარი იქნება ამოტვიფრული.**
**თუ მემორიალი უნდოდათ, იმ ქართველებისთვის აეშენებინათ, რომლებიც საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში გმირულად დაეცნენ. ისტორიის მანძილზე რამდენი სისხლი დაგვიღვრია სპარსელების, ბიზანტიელების, თურქების, არაბებისა და სხვათა ომებში. რაღა შორს წავიდეთ, თუნდაც გასული საუკუნის 20-იან წლებში საქართველო-სომხეთის ომი, განსაკუთრებით, ტაშირის ბრძოლა გავიხსენოთ, ანდა იმავე პერიოდის ბრძოლები პრეზიდენტის ეგზომ საყვარელი ბათუმის თურქთაგან გასათავისუფლებლად. ის მებრძოლები არ იმსახურებენ პატივისცემასა და მემორიალს?**



## გიგა ბათიაშვილი: კაცობრიობის ისტორიაში ზიზილპიპილოებით არასოდეს შეუქმნიათ დაღუპულ გმირთა მემორიალი

როგორც ხშირ შემთხვევაში ხდება, საქართველოში მიშას კაპრიზების ასასრულებლად არქიტექტორები საზღვარგარეთიდან ჩამოჰყავთ. ამ შემთხვევაშიც ტრადიცია არ დაირღვა და მონუმენტის ასაშენებლად ესპანელი არქიტექტორი ალბერტო დომინგო კაბო ჩამოიყვანეს. ამ „საოცრების“ შექმნას, აბა, ქართველი არქიტექტორები როგორ შეძლებდნენ?! ზოგს კი ჯერ არაშენებული **ფრიდომ თაუერი** გაახსენდა. ისიც მემორიალია (პრინციპში) და დიზაინიც იქიდან აიღეს (მოიპარეს).

**ისინი, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას შეეწირა, მემორიალს კი იმსახურებენ, მაგრამ ასეთს — ნამდვილად არა!** შეიძლება ხელოვნების არაფერი გამეგება, მაგრამ ეს „რაღაც“ გმირების დაღუპვის ტრაგედიას ნამდვილად არ გადმოსცემს, არც რუსეთთან ომში დაღუპულ ქართველებს მახსენებს რატომღაც. ამ უგემოვნო მონუმენტში ამდენი ფულის გადაყრას, სჯობდა, ეს თანხა დაღუპულთა ოჯახებისთვის — დაობლებული ბავშვებისა და მათი დაქვრივებული დედებისთვის ეწილადებინათ.

**ესაა სამშობლოსთვის ბრძოლაში დაღუპული ადამიანების მემორიალი? ნაძვის ხესავით ციმციმებს. რა დროს ნაძვის ხეა, მიშა, მაისია, მაისი! ესპანელებს ეს ესპანეთში არ გააკეთებინეს, რომელიღაც სოფელში და ამან აქ, გმირთა მოედანზე, დედაქალაქის ცენტრში დაგვირჭო.**

ყველაფრის ცენტრში დადგმა რა წესია, იქნებ ყვავილების მიტანა უნდა შვილმკვდარ დედას. გადასასვლელზე მანქანამ თუ არ გაგჭყლიტა და მემორიალამდე მიაღწიე, კი დადგები ცათამბჯენის წინ... ვერ წაიკითხავ, მაგრამ ხომ იცი, რომ ასე 30 მეტრის სიმაღლეზე შენი ახლობლის გვარია ამოტვიფრული. თუმცა კაცმა არ იცის, ეწერება თუ არა რამე. შეამოწმებს ვინმე თუ რა? ან ის რა იყო, ბატონმა პრეზიდენტმა რომ განაცხადა, ცარიელ ფილებსაც დავტოვებთ, წინ კიდევ ბევრი საგმირო საქმეები გვაქვსო. კიდევ ერთ ომს ხომ არ აპირებს ჩვენი პრეზიდენტი?

**დღისით მონუმენტი გამჭვირვალე პლასტმასის ნატეხებისგან შეკოწიწებულ რაღაც უსახო კონსტრუქციას ჰგავს. ღამით ნორმალურია თითქოს, მაგრამ დღისით რა ვქნათ? თვალები დავხუჭოთ და ისე გავიაროთ? რომ ვნახე, უცებ უცხო პლანეტელების ხომალდი მეგონა, მერე რომ შევიცანი, საახალწლო ნაძვის ხესავით აჭრელებული დაღუპულთა მემორიალი, ვიფიქრე, დაგვცინიან-მეთქი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 40-50 მეტრის რადიუსიდან ჟანგის ეფექტი რომ ადევს, არა უშავს? დაჟანგულ, 100 წლის მიტოვებულ დაუსრულებელ ნაგებობას ჰგავს. მარტო იმიტომ უნდა მომწონდეს, რომ პრეზიდენტს მოსწონს?**

**მემორიალი მემორიალს უნდა ჰგავდეს და არა ღამის კლუბს და სტრიპტიზ ბარს. თერთმეტსართულიანში ვინც ცხოვრობს, ექნება უფასო დისკოთეკა.**

ჯერ იყო და შადრევნებმა გაიტაცა ჩვენი პრეზიდენტი, ახლა მინისა და რკინის კონსტრუქციებით ერთობა. თანაც, როგორც ამბობენ, ესპანეთში ისეთი მაგარი კრიზისი ყოფილა, რომ არქიტექტორებმა ანტიკრიზისული პროექტი შეიმუშავესო, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ მანამდე დგამდნენ ერთ მონუმენტს, ახლა მეორეს საჩუქრის სახით უფასოდ გვთავაზობენ. მიშამაც გამოიყენა ეგ მომენტი და აწი ასეთი მშვენიერი კონსტრუქციები არ მოაკლდება ქალაქს.

გმირთა მოედანი კი არა, თვითონაა ეს მოედანი გმირი, იმდენი რამ აქვს გადატანილი. ყოველ წელიწადს ჩიჩქნიან და ახალ-ახალ შედევრებს ადგამენ გულზე. ალბათ, არც ამ მემორიალს უწერია გმირთა მოედანზე დიდხანს ციმციმი. შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს პრომეთეს მღვიმის შესასვლელთანაც გადაიტანონ, რა იცი, რა გუნებაზე გაეღვიძება მემორიალის სულისჩამდგმელს!

ჩვენი ახალი მემორიალი კი იცვლის ფერებს — ხან ვარდისფერია, ხან ცისფერი, ხანაც სტაფილოსფერი. მთავარია, ქარმა არ დაშალოს, იაფიანი მასალითაა გაკეთებული გარსი.

**გიგა ბათიაშვილი, არქიტექტორი:** — ეროვნული გმირებისადმი მიძღვნილი მემორიალის დადგმა მხოლოდ და მხოლოდ გასახარელი ფაქტია.

თუმცა, როდესაც მისი ადგილმდებარეობის შესახებ შევიტყვე, უკმაყოფილო დავრჩი, იმიტომ, რომ **მემორიალი ნიშნავს უდიდეს პატივისცემას იმ ადამიანებისა, ვინც გმირობა ჩაიდინა. მემორიალი უნდა იდგეს ისეთ ადგილას, სადაც ყველას შეეძლება მისვლა და მათთვის პატივის მიგება.** ამ შემთხვევაში კი **მემორიალის გარშემო მანქანების კარუსელი ტრიალებს.**

**კაცობრიობის ისტორიაში ზიზილპიპილოებით არასოდეს შეუქმნიათ დაღუპულ გმირთა მემორიალი.** არ შეიძლება მემორიალი ნაძვისხის სათამაშოს დაამსგავსო. არსებობს გარკვეული ტაქტი და მხატვრული გემოვნება, რისი გაკეთება შეიძლება გმირებთან მიმართებაში და რისი — არა. მთლიანობაში უკმაყოფილო დავრჩი როგორც ფორმითა და იერით, ისე მისი ადგილმდებარეობით.

**თეო ტაბატაძე**

# მიზანმიმართული

**რამდენიმე დღეა ინტერნეტსაიტებზე ახალი ვიდეო გავრცელდა. ჯგუფმა „დერვიშებმა“ საზოგადოებას კიდევ ერთი ახალი „შედევრი“ შესთავაზა. ჯგუფის ანგარიშზე ახლა უკვე სამი მარაზმია. როგორც ჩანს, „დერვიშების“ ფანტაზია შეზღუდულია, რადგან სამივე კლიპი მათ მიერ ინტერპრეტირებულ სიმღერა „სულიკოზეა“ შექმნილი. გარდა იმისა, რომ ტექსტი მათ არ ეკუთვნით, მუსიკაც სხვისი აქვთ გამოყენებული. უაზრო კლიპების გადაღებას კი „ფორმულა კრეატივი“ წარმატებულ პროექტად მიიჩნევს.**
**ამ ყველაფრის პიარში კი, როგორც ყოველთვის, წამყვანი ტელევიზიებიც აქტიურად მონაწილეობენ. მათი ყურადღება, ალბათ, კლიპის ბოლოს სქესობრივი აქტის დამყარებისკენ მოწოდებამ მიიქცია, რომელიც აშკარად უადგილო და დამატებული ელემენტია იმისთვის, რომ სიმღერამ ერთგვარი სკანდალურობა შეიძინოს. მოგეხსენებათ, ბოლო დროს ქართული ტელევიზიებისთვის სექსის პროპაგანდა ერთობ აქტულურია და არც ეს შანსი გაუშვეს ხელიდან.**

## სოსო ჯაჭვლიანი: ჯიშიანი ძაღლის ან ცხენის გამოსაყვანად შეჯვარებისას თუ სისხლის აღრევას ერიდებიან, ადამიანებმაც რომ დაიცვათ ეს წესი, რა მოხდება?!

ქართველებმა პოპულარობის მოხვეჭისა და ხმაურის ატეხვის უადვილეს ხერხს მიაგნეს. საკმარისია, ეროვნულ ღირებულებას ან ტრადიციებს უხეშად და უზრდელად შეეხო, რომ რამდენიმე სიუჟეტი წამყვან ტელევიზიებში გარანტირებული გაქვს. თუმცა, არა მგონია, ეს ყველაფერი მხოლოდ პოპულარობისთვის კეთდებოდეს. დიდი ხანია, ქართული ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ აქტიური ბრძოლაა დაწყებული. ყველანაირ ღირსებასა და მრწამსს ებრძვიან გარყვნილებით, რომელსაც მასმედიის მეშვეობით ახალგაზრდობას თავს ახვევენ. ჩართავ ტელევიზორს, უყურებ გადაცემებს და ყველაფერი ნათლად ჩანს: რაზე საუბრობენ... რა ფილმებს აჩვენებენ... რა მუსიკას უსმენენ... რით ამაყობენ... რწმენა და ღირსებადაკარგული, საკუთარი წინაპრების წარსულის უცოდინარი ხალხი ყოველთვის უფრო ადვილი სამართავია, ვიდრე მორწმუნე, ეროვნულად განწყობილი ადამიანები.

ღირებულებების გაუფასურებისა და ტრადიციებთან ბრძოლის მაგალითები ჩვენს რეალობაში იმდენად მომრავლდა, რამდენიმეს გახსენებაც საკმარისი იქნება საერთო სურათის აღსაქმელად. გახსოვთ, ალბათ, ქართველი ქალის სიმბოლოზე, „ქართლის დედაზე“ ზურაბ ჭიაბერაშვილმა რომ თქვა, „ხმალი ქალიშვილობის ინსტიტუტის დაცვისთვისაა და თასი სპერმის მოსაგროვებლადო“. მანამდე გიორგი მაისურაძემ გაარჩია ძეგლი და ბოლო ჭანჭიკამდე შეურაცხყო (უფრო ჩვენი მენტალიტეტი, ვიდრე ძეგლი). „მოყვარეს თასით და მტერს ხმლით“ — ამ განმარტებამ რატომ არ დააკმაყოფილა, გაუგებარია.

**ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობა არც ლიტერატურაშია. საზოგადოებას, ალბათ, არასდროს დაავიწყდება ლაშა ბუღაძის უნიჭო მცდელობა, როდესაც თამარ მეფის პირადი ცხოვრების „გამოაშკარავება“ სცადა. წმინდან მეფეზე რომ არ დაეწერა ნაწარმოები, წიგნის ყველა ეგზემპლარი დიდხანს იდებოდა მაღაზიის თაროებზე. ეს იყო აუდიტორიის შოკირებით პოპულარობის მოხვეჭის უნიჭო მცდელობა. ლაშა ბუღაძე, ზაზა ბურჭულაძე და მათი მსგავსნი, მიუხედავად იმისა, რას ქმნიან, ჩვენი დროის „ჭკუის მასწავლებლები“ არიან, კარიკატურები, რომლებისთვისაც რეალურობის მინიჭებას გოიმი ტელევიზიები ცდილობენ.**

რადგან ზაზა ბურჭულაძე ვახსენე, არ შემიძლია მის „დიდებულ“ შემოქმედებას არ შევეხო. ვისაც მისი ერთი ნაწარმოები მაინც წაუკითხავს, მწერლის „ბუმბერაზობაში“ ეჭვი აღარ შეეპარება. მადლობა ღმერთს, ამ ქვეყანაში კიდევ არიან ადამიანები, წერა ბურ- ▶

# მიხეილ სააკაშვილი 2013 წლამდეც და შემდგომაც სამუდამოდ მოგვესაჯა?

**საქართველოს კონსტიტუციაში კონკრეტული პუნქტები მუდმივად იმის მიხედვით იცვლება, როგორც ხელისუფლებას სჭირდება კონკრეტული სიტუაციისთვის. ამჯერად ქვეყნის პირველი პირის მომავალია გასარკვევი 2013 წლისთვის და რა გასაკვირია, რომ ამის გათვალისწინებით კინსტიტუციის შეცვლაზე მუშაობა დაიწყო.**



**პროექტი, რომელიც საკონსტიტუციო კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით გავიდა, პრემიერ მინისტრის ფუნქციების გაზრდასა და პრეზიდენტის ფუნქციების შეკვეცას ითვალისწინებს. მოგეხსენებათ, სააკაშვილს 2013 წელს პრეზიდენტობის მეორე ვადა ეწურება. საკონსტიტუციო ცვლილებების ეს პაკეტი კი აჩენს ეჭვს, რომ იგი სააკაშვილის ხელისუფლებაში დასატოვებლად იქმნება, მითუმეტეს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საჭირო ხმათა რაოდენობა აქვს.**

**გელა ნიკოლეიშვილი, იურისტი**: — დეტალურად არ ვიცნობ პროექტს, რომელიც საბაზისოდ აღიარეს, თუმცა ზოგადი პრინციპები, რაც ჩემთვის არის ცნობილი, მიანიშნებს იმაზე, რომ პრემიერ მინისტრის უფლებამოსილების გაძლიერებითა და პრეზიდენტის უფლებამოსილების შესუსტებით ახალი კონსტიტუცია ათავისუფლებს გზას, რომ საქართველოში გამეორდეს რუსეთის მოდელი, ანუ პრემიერ-მინისტრად დაინიშნოს ყოფილი პრეზიდენტი. ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილი უფლებამოსილებით ისევ პირველ პირად დარჩება, ოღონდ შეცვლილი თანამდებობით. ამიტომ ვამსგავსებ ამას რუსეთის მოდელს, თუმცა რუსეთში მაინცდამაინც არ გაძლიერებულა პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება საკონსტიტუციო ცვლილებებით. ჩვენთან კი ამას არა მხოლოდ პრაქტიკული, დე ფაქტო მდგომარეობით აძლიერებენ, არამედ იურიდიულად ქმნიან ბაზას, რომ სააკაშვილი პოლიტიკაში დარჩეს და კვლავ იყოს პირველი პირი. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ახალი პროექტი. დანარჩენი დეტალები არ ვიცი, მაგრამ მიმართულება აშკარად ასეთია.

**საკონსტიტუციო ცვლილებებზე უფრო დეტალურად საუბრობს ჟურნალისტი ია ანთაძე, რომელიც აღნიშნულ კანონპროექტებს დეტალურად იცნობს:**

— არსებობს კონსტიტუციის ორი მოდელი, ერთ-ერთი გათვლილია ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტზე, მეორე კი — სუსტი პრეზიდენტის ინსტიტუტზე. ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტზე გათვლილია ლევან რამიშვილის პროექტი, რომელიც, თუ პერსონალიებზე ვისაუბრებთ, უბრალოდ, არ შეიძლება გულისხმობდეს მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობას მესამე ვადით, იმიტომ, რომ წარმოუდგენელია, მესამე ვადით მოხდეს პრეზიდენტის არჩევა, დაირღვეს ყველანაირი ნორმა და შეიცვალოს კონსტიტუცია ისე, რომ ამ ადამიანს იმაზე ძლიერი ფუნქციები ჰქონდეს, ვიდრე დღეს აქვს. ამიტომ, სავარაუდოდ, ეს მოდელი როცა იწერებოდა, მასში მოიაზრებოდა, რომ პრეზიდენტი ამ ქვეყანაში უნდა შეიცვალოს ისე, როგორც ეს კონსტიტუციით არის განსაზღვრული.

მეორე მოდელი ჯერ მომზადების ფაზაშია, რომლის ავტორიც არის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ დემეტრაშვილი. მოდელი, რომელსაც დემეტრაშვილი და თენგიზ შარმანაშვილი ამუშავებენ, გულისხმობს პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის გაძლიერებას, პრეზიდენტი კი იქნება სუსტი და წარმომადგენლობითი. მეორე მოდელი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სააკაშვილისთვის საუკეთესოა და, ჩემი აზრით, იმიტომაც შეიქმნა ეს საკონსტიტუციო კომისია. ასეთი მოდელი დაახლოებით რუსულ სცენარს გულისხმობს საქართველოს რეალობაში, ანუ გულისხმობს იმას, რომ შეიძლება მიხეილ სააკაშვილი შეცვლილი ფუნქციით ისევ დარჩეს ყველაზე ძლიერ სახელმწიფო მმართველად. მაგრამ კონკრეტულად რა ფუნქციები იქნება და როგორ გადანაწილდება ისინი, ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის, დამუშავების სტადიაშია.

**2012 წელს, სანამ ამ პარლამენტს ვადა ამოეწურება, ის საკონსტიტუციო ცვლილებას განახორციელებს. იმიტომ იყო ასეთი მძიმე არჩევნები 2008 წლის 21 მაისს საქართველოში, მაშინ საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დასვა, რაც ბევრისთვის მოულოდნელი იყო.**

**ამ გადასახედიდან ჩანს, რომ მთავარი, რაც იმ არჩევნებზე სჭირდებოდა სააკაშვილს, იყო ის უმრავლესობა, რომელიც 2012 წელს შეცვლიდა კონსტიტუციას და მოარგებდა მის ინტერესებს. ჩვენ ჯერ კონკრეტულად არ ვიცით, რა არის სააკაშვილის ინტერესი 2013 წლისთვის, როგორ ხედავს თავის ფუნქციას.**

სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს კონსტიტუცია ნელნელა დაიხვეწება და სააკაშვილი დაინახავს თავის პოლიტიკურ მომავალს. რაც შეეხება ლევან რამიშვილის კონსტიტუციას, ჩემი ღრმა რწმენით, ის სააკაშვილს, როგორც ძლიერ მმართველს, გამორიცხავს.

**— იქნებ ის იმისთვის შეიქმნა, რომ რაიმე ალტერნატიული ვერსია ყოფილიყო?**

— არც ესაა გამორიცხული, მაგრამ თავის არსში ის გულისხმობს ახალ პრეზიდენტს. **სხვათაშორის, თუ თვალს მივადევნებთ სოციალური ქსელის, „ფეისბუქის“ იმ ჯგუფს, რომელიც ლევან რამიშვილის გარშემოა შემოკრებილი და რომელიც ფიქრობს, რომ შესაძლებელია, გიგა ბოკერია გახდეს საქართველოს მომავალი პრეზიდენტი, მაშინ უკვე გასაგებია, რომ ლევან რამიშვილის კონსტიტუცია არ იწერებოდა ჰაერზე — მხოლოდ იმისთვის, რომ რაღაცის ალტერნატივა ყოფილიყო.**

**სოფო გელაშვილი**

# გადაჯიშება ტოლერანტულად

ჭულაძეზე უკეთ რომ ეხერხებათ. ბურჭულაძე და მისთანანი, ერის გამომფხიზლებლის როლში თეთრ რაშზე ამხედრებულნი ყველაზე ნაკლებად წარმომიდგენია. ბურჭულაძის შემოქმედებიდან მხოლოდ ერთი ნაწარმოები მაქვს წაკითხული, „მინერალური ჯაზი“, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ბერძენიშვილისა და გვახარიას ისეთი რეცენზიები ახლდა, დამაინტერესა. ეტყობა, ორივეს მაგარი უძილობა სჭირდათ, როცა დადებით რეცენზიას უწერდნენ ამ „ძილის წამალს“.

ქალიშვილობის ინსტიტუტს რომ, დიდი ხანია, ხმალამოღებული ებრძვიან, უკვე აღარავის უკვირს და ახალსაც ვერაფერს ვიტყვი. მაგრამ ჯგერენაიას მიერ ქართული სუფრის მიმართ გამოთქმულმა „ბრძნულმა აზრებმა“ საზოგადოებაში ნამდვილი შოკი გამოიწვია. ალბათ, უფრო მამაკაცებში, რადგან აქცენტი სწორედ მამაკაცებზე იყო გადატანილი. მხოლოდ ჯგერენაიასა და მსგავს „ღრმადმოაზროვნეებს“ თუ შეუძლიათ ქართულ სუფრას „გეიფი“ უწოდონ. ქართული სუფრა თურმე ჰომოსექსუალური აქტის არშემდგარობაა და ის სიტყვები, რომლითაც მამაკაცები ქართულ სუფრაზე ერთმანეთს მიმართავენ, ღრმა ეროტიზმსა და ურთიერთნდომას შეიცავს.

**ამ ყველაფერზე თუ თვალი დავხუჭეთ და შევეგუეთ, ცოტა ხანში არავის გაუკვირდება, ედინბურგის მგავსად, 50 წლის ბებია-ბაბუას ობოლი შვილიშვილი ხანდაზმულობის მოტივით რომ ჩამოართვან და ჰომოსექსუალ მამაკაცთა წყვილს გადასცენ. გვინდა საქართველოში ასეთი ტოლერანტობა და ლიბერალიზმი? — ამ შეკითხვით საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს მივმართეთ.**





**გივი სიხარულიძე, მსახიობი:** — იმდენი ვილაპარაკე ამ თემასთან დაკავშირებით, უკვე სათქმელი აღარაფერი მაქვს. 3 წელია, იმას გავიძახი, ეროვნულ ფასეულობებს შეურაცხყოფენ-მეთქი და გვერდით არავინ დამიდგა. ხმას არავინ იღებს და მგონია, ჩემ გარდა ეს საკითხი არც არავის აინტერესებს. სულ ტყუილად მილაპარაკია, ჩემს საუბარს შედეგი მაინც არაფერი მოჰყვა. დღეს კი, როცა ამ საკითხმა ბევრი შეაწუხა, ხმის ამომღები აღარ ვარ.

**სოსო ჯაჭვლიანი, მსახიობი, რეჟისორი:** — ბოლო დროს საქართველოში ტოლერანტობა და ლიბერალიზმი, ბოდიშს მოვითხოვ ამ სიტყვისთვის და, სირობაში გადავიდა. დღეს ღვთისმშობლის გინებაა მოდაში. ზოგიერთს თურმე დედა რომ პომადას ისვამს და პირჯვარს იწერს, მასთან დაწოლის სურვილი უჩნდება. დაწვეს, ჩვენ ხომ ხელს ვერ შევუშლით. თუ მათ ამის გაკეთება უნდათ, გააკეთონ, მხოლოდ სახლში და საზოგადოებაში ნუ გამოაქვთ და ამით ნუ უნდათ კარიერის გაკეთება. პოპულარობა თუ უნდათ, საკუთარი ნიჭით მოიპოვონ, ეროვნული ფასეულობების გაუბრალოებითა და წმინდანების შეურაცხყოფით ნუ ცდილობენ მის მოხვეჭას.

სხვათაშორის, ჯიშიანი ძაღლის ან ცხენის გამოსაყვანად შეჯვარებისას თუ სისხლის აღრევას ერიდებიან, ადამიანებმაც რომ დავიცვათ ეს წესი, რა მოხდება?!

საერთოდ, ეს პოპულარობის მოპოვების ერთგვარი ხერხი გახდა, თუმცა ამას პრესამ და ტელევიზიებმა ნაკლები ყურადღება უნდა დაუთმოს და საერთოდ არ უნდა აშუქებდეს, მე რომ მკითხოთ. თორემ რამდენი მესაჯდომე იყო შუა საუკუნეებში, ანუ, ამათ ენაზე რომ ვთქვათ, ბოდიში მომითხოვია და, მეტრაკე, იმდენივეა დღესაც. დღეს ამას დემოკრატიასა და ტოლერანტობას ეძახიან, ისინიც თავს აღარ მალავენ. როგორც ნარკომანებს მკურნალობენ, ისე უნდა უმკურნალონ ასეთ ხალხს. მათ ფსიქოლოგების დახმარება სჭირდებათ.

**ლილი მიროტაძე**

**P.S ამ ყველაფრის შემხედვარე მახსენდება ამერიკის მთავარი სადაზვერვო სამსახურის მეთაურის — ალენ დალესის შემუშავებული მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სამოქმედო გეგმა: „დავთესავთ რა ქაოსს, შეუმჩნევლად გავუყალბებთ ფასეულობებს და იძულებულს ვყოფთ, ირწმუნონ მცდარი ფასეულობები... ახალგაზრდებისგან ჩვენ შევქმნით ზნედაცემულ, სულიერებისგან დაცლილ ჯაშუშებსა და მოღალატეებს“...**

**მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომისშემდგომ გეგმას თითქოს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს ჩვენთან, რამდენადაც სამწუხარო არ უნდა იყოს, ძალიან ბევრ პარალელს ვხედავ ამ გეგმასა და ჩვენს რეალობას შორის.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# საქართველოს «დემოკრატიის შუქურა» ევროპაში ჩაქრა

**25-26 მაისს ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივისა“ და მისი პარტნიორი ფრანგული ჟურნალისტური ორგანიზაციის „ჟურნალისტები ჟურნალისტებისათვის“ ინიციატივით ბრიუსელში, სასტუმრო „ქროუნ პლაზაში“ გაიმართა დოკუმენტური ფილმების ჩვენება და მშვიდობიანი დემოსტრანტების დარბევების ამსახველი ფოტოსურათების გამოფენა. აქვე წარმოდგენილი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ გამოცემული კრებული „უუფლებობის ზონა“ (ინგლისურად), რომელშიც თავმოყრილია ადამიანის უფლებათა შელახვის ფაქტები და უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნები, ფრაგმენტები სახალხო დამცველის ანგარიშებიდან. პრეზენტაციაზე გავრცელდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ სპეციალური ინგლისურენოვანი გამოცემა, რომელიც მკითხველს „უუფლებობის ზონის“ გამოცემისა და პრეზენტაციის შემდეგ რედაქციისა და „ისტორიული მემკვიდრეობის“ ოფისების გაძარცვისა და დარბევის შესახებ მოუთხრობს.**



ევროკომისიაში კრებულის შეტანა დამატებით გახდა საჭირო: გიორგი ფოფხაძე, ირაკლი კორძაია, ნინო ცხოიძე



ექსპოზიცია „ქროუნ პლაზას“ დარბაზში

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო 8 საგამოძიებო დოკუმენტური ფილმი: ნინო ზურიაშვილის, ვახტანგ კომახიძის, ირმა ინაშვილის, ლევან ანჯაფარიძის, მოძრაობა „7 ნოემბრის“ ავტორობით. პრეზენტაციის დღეებში ბრიუსელს ფრანგი კოლეგების მიწვევით ვესტუმრეთ ქართველი ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების ჯგუფი: ნანა კაკაბაძე, ირაკლი კორძაია, ჯაბა ჯიშკარიანი, ნინო ცხოიძე, ირმა ინაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი.

**ფილმებმა და კრებულმა ბრიუსელში მყოფი ქართული დიასპორის წარმომადგენლების დიდი ინტერესი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ მათგანს ფილმების ნაწილი ნანახი ჰქონდა, ერთად ჩვენებას შოკისმომგვრელი რეაქცია მოჰყვა. იქაური ქართველებისა და სხვა ქვეყნების დიასპორების წევრებისთვის ეს იყო დოკუმენტურად დადასტურებული სიმართლე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ვერაფერს უპირისპირებს.**

მიუხედავად ამისა, ჩვენი მოლოდინი, რომ „ქროუნ პლაზას“ დარბაზში ხალხს ვერ დავატევდით, არ გამართლდა. მიზეზი კი მოგვიანებით გაცხადდა — პრეზენტაციის დაწყებისას და მსვლელობის დროს საქართველოს საკონსულომ ბრიუსელში, კონკრეტულად, კონსულმა მაია ბართაიამ ადგილობრივ ქართველებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის მასობრივად გაავრცელა მოკლე სატელეფონო გზავნილი, რომელშიც ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების ჯგუფი და მისი პარტნიორი ფრანგული ორგანიზაცია „ჟურნალისტები ჟურნალისტებისათვის“ მოხსენიებული იყვნენ **„ანტიქართულ ძალად და რუსეთის საელჩოს მიერ დაფინანსებულ ორგანიზაციებად“**. ამ სატელეფონო ტექსტურ შეტყობინებას **„საქართველოს საელჩოსა და დიასპორის სახელით“** ხელს აწერს საქართველოს კონსული ბელგიაში **მაია ბართაია.**

**სამწუხაროდ, საქართველომ თავი ვერ დააღწია პარტიულ დიპლომატიას. ქართველი დიპლომატები თავს არა საქართველოს სახელმწიფოს, არამედ ცალკეული პოლიტიკური დაჯგუფებების წარმომადგენლებად მიიჩნევენ და შედეგიც სავალალო გვაქვს — ქართულ დიპლომატიურ კორპუსს არავინ აღიქვამს სერიოზულად.**

საქართველოს დიპლომატიური მისიის მცდელობამ, ქართველი ჟურნალისტები და უფლებადამცველები სახელმწიფოს წინააღმდეგ მომართულ ძალად წარმოედგინა, არა მარტო ჩვენ, „ბრალდებულები“ აღგვაშფოთა, არამედ ბელგიაში მცხოვრები ქართველებიც. ბელგიის ქართველთა კავშირის ხელმძღვანელები და წევრები — მერაბ ბლადაძე, გიორგი ლაფანაშვილი, მარინა ბარბაქაძე და სხვები გაოგნებულები იყვნენ საელჩოსა და საკონსულოს უპასუხისმგებლობით. ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი მაშინვე მიხვდა, რომ პროვოკაციას გვიწყობდნენ; მოძრაობა „7 ნოემბრის“ ლიდერი ჯაბა ჯიშკარიანი ემოციებს ვერ მალავდა; ფრანგული ჟურნალისტური ორგანიზაციის „ჟურნალისტები ჟურნალისტებისათვის“ წარმომადგენელმა და ჩვენი ვიზიტის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა გიორგი ფოფხაძემ კი ამ ბრალდების გამო საელჩოსა და საკონსულოს უკვე 27 მაისს საპროტესტო წერილით მიმართა.

**ყოჩაღმა დიპლომატებმა არამარტო ქართველებს, არამედ სხვა ქვეყნების დიპლომატიურ მისიებსა და ევროკომისრებსაც კი გაუგზავნეს ანალოგიური შინაარსის შეტყობინებები. ამის შემდეგ აღარ გაგვკვირვებია, რომ 25 მაისს მიღებული მტკიცე დაპირებების მიუხედავად, ჩვენებას აუცილებლად დავესწრებითო, ისინი აღარ გამოჩენილან.**

მივხვდით, რომ დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიწევდა და 26 მაისს, დილაადრიან ევროკომისიაში წავედით, სადაც ევროკონგრესი იმართებოდა. **„უუფლებობის ზონამ“ იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ კრებულის დამატებითი ეგზემპლარების შეტანა მოგვიწია. არამარტო იქ აკრედიტებული ჟურნალისტები, კონგრესმენებიც ყურადღებით ეცნობოდნენ საქართველოში ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტებს.**

**კრებულის, გაზეთისა და მოსაწვევების დარიგების შემდეგ, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელის, ნანა კაკაბაძის მეთაურობით „ჰუმან რაითს ვოტჩის“ ოფისისკენ გავემართეთ და ევროსასამართლოს ევროპის კოორდინატორს, სისხლის სამართლის კოლეგიის წევრს — ლუიზა მასციას და ევროპის პროგრამების ოფიცერს — ვირჯინია ამატოს შევხვდით. მათთან საუბარმა დაგვარწმუნა, რომ, მიუხედავად სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების წარმომადგენლების მცდელობისა, მსოფლიოს ვარდისფრად წარმოუდგინონ ქართული დემოკრატია, ევროპაში რეალურად აღიქვამენ საქართველოში არსებულ სავალალო ვითარებას.**

სასტუმრო „ქროუნ პლაზაში“ დაბრუნებულებს სხვადასხვა დიასპორების წარმომადგენლები დაგვხვდნენ, რომლებიც დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ გამოფენილ ფოტოსურათებს და კრებულს „უუფლებობის ზონა“ და მოუთმენლად ელოდნენ ფილმების ჩვენების დაწყებას.

თითქოს დავძლიეთ ბარიერები, მაგრამ მოულოდნელად დარბაზში საკონსულოს თანამშრომელი, ვინმე ქალბატონი მედეა და, როგორც თვითონ განგვიცხადა, ბელგიის თამარ მეფის საზოგადოების (რომელიც, მისივე თქმით, ახლა უმოქმედოდაა) თავმჯდომარე, მხატვარი მერაბ სურვილაძე გამოჩნდნენ. ფილმების ჩვენება ის-ის იყო იწყებოდა, რომ სიტყვის თქმა ითხოვეს. თურმე მათ არ სცოდნიათ, რომ ასეთი ღონისძიება იგეგმებოდა, არადა, მთელი ერთი თვის მანძილზე უამრავმა ადამიანმა მიიღო მოწვევა და, როგორც ჩანს, მათ შორის, ამ ადამიანებმაც. თუმცა მათი მოსვლის მიზანი მალევე გაცხადდა — „უჩემოდ ვით იმღერეთაო“. მივხვდით, რომ მათი ერთადერთი მიზანი ფილმების ჩვენების ჩაშლა იყო, რადგან კრებულის დიდი ნაწილი უკვე გავავრცელეთ.

საპრეზენტაციო დარბაზის გარეთ, ფოიეში ცალ-ცალკე თუ ერთობლივად ვუხსნიდით ამ ადამიანებს, რომ ჩვენი ვიზიტის მიზანი ქართულ დიასპორაში დაპირისპირების გარკვევა კი არა, საქართველოში არსებული ვითარების მათთვის გაცნობა იყო და, თუ სურდათ, ფილმები ენახათ, თუ არა, მიბრძანებულიყვნენ. აქვე ვიტყვი, რომ სანამ მათ ვესაუბრებოდით, ფილმების ჩვენება არ შეწყვეტილა. პროვოკაცია გაგრძელდა და მხოლოდ ქალბატონი ნანა კაკაბაძის მკვეთრი პასუხის შემდეგ ინებეს წასვლა. მერაბ სურვილაძეც მიხვდა, რომ ადამიანის უფლებათა დამცველები და ჟურნალისტები საკუთარი უფლებების დაცვასაც წარმატებით ახერხებდნენ და ჩვენება არ ჩაიშლებოდა.

**სხვადასხვა ქვეყნის დიასპორების, ევროკომისიის და „ჰუმან რაითს ვოტჩის“ წარმომადგენლები გააოგნა ნანახმა. ისინი არც ფარავდნენ, რომ მათთვის უცნობ ბევრ ფაქტს მხოლოდ ამ ფილმებითა და კრებულით გაეცნენ და მადლობას გვიხდიდნენ, ბელგიაში აკრედიტებული ჟურნალისტები კი დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ფაქტოლოგიურ მასალას.**

27 მაისს, ბრიუსელიდან გამომგზავრებამდე, საკონსულოს მივაკითხეთ, საპროტესტო წერილი გადავეცით და კონსულისგან განმარტება მოვითხოვეთ. მაია ბართაიას არც დაუმალავს, რომ სატელეფონო შეტყობინების დაგზავნა უშუალოდ ელჩმა სალომე სამადაშვილმა დაავალა და მალე თვით ელჩიც გააკეთებდა განცხადებას. ამას ნამდვილად არ ველოდით და ახლა ჩვენი გაოგნების ჯერი დადგა. ირმა ინაშვილი რამდენჯერმე ჩაეკითხა, მართლა ასე იყო თუ არა. კონსულიც ადასტურებდა. ყველაფერი გასაგები იყო — დავალება თბილისიდან მიიღეს. თურმე მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობდა ჩვენს წინააღმდეგ. ამ ფაქტმა კიდევ უფრო განგვიმტკიცა რწმენა, რომ სწორ გზას ვადექით და ქართველი ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ განხორციელებული დეზინფორმაციული კამპანიაც სწორედ სააკაშვილის ხელისუფლების ორგანიზებული იყო.

**სამწუხაროა, რომ ამ პროვოკაციამ მიზანმიმართულად შეიყვანა შეცდომაში როგორც ადგილობრივი ქართველები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები. მაგრამ ხელისუფლებას დაავიწყდა, რომ უფლებადამცველების, ჟურნალისტური ორგანიზაციისა და მისი ფრანგი პარტნიორების დისკრედიტაციის კამპანიამ სერიოზული ზიანი მიაყენა არა მარტო ჩვენი კოლეგების საქმიან რეპუტაციას, არამედ საქართველოს საერთაშორისო იმიჯს.**

**ამიტომაც 29 მაისს, თბილისში დაბრუნების შემდეგ, საინიციატივო ჯგუფმა გაავრცელა საგანგებო განცხადება, რომელშიც ქალბატონი ელჩისგან ვითხოვდით, ორი დღის ვადაში წარმოედგინა „ობიექტივის“, მოძრაობის „7 ნოემბერი“, „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“, „ისტორიული მემკვიდრეობის“ „ანტიქართულობის“ დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გავიდა ორ დღეზე მეტი, მაგრამ ქალბატონი სალომე სამადაშვილი ამ განცხადებას არ გამოხმაურებია. ახლა უკვე საგარეო საქმეთა მინისტრს — გრიგოლ ვაშაძეს მივმართეთ და მისგან მოვითხოვეთ განმარტება და უპასუხისმგებლო ელჩისა და კონსულის გამოწვევა.**

ბელგიაში ვიზიტმა ნათლად გამოაჩინა, რა შიშები აქვს ხელისუფლებას — აქ რაც გინდა აკეთე და წერე, მთავარია, იქ, ევროპაში, არ შეიტყონ ქართული რეალობა. ჩვენ ეს ბარიერი გადავლახეთ. ეს იყო პირველი საინფორმაციო გარღვევა, რამაც ხელისუფლებას ისტერიკა დამართა. ეს უკვე პათოლოგიაა.

**ბონდო მძინარაშვილი**

**P.S.** **მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ დელეგაციის წევრთა და ბელგიაში მცხოვრებ ქართველთა დაკრისტალებულ შთაბეჭდილებებს საინფორმაციო ომის პრიზმაში.**



ლუიზა მასციასთან (მარცხნიდან მესამე) შეხვედრის დროს

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვლადიმერ ვახანიას ქმედებაში არავითარი დანაშაული არ არსებობს

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს
თავჯდომარეს, ბატონ მალხაზ გურულს**

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლეებს,
ქალბატონ მარინა სირაძეს,
ქალბატონ მარინე იმერლიშვილს,
ბატონ მურთაზ კაპანაძეს**

**პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიას ადვოკატების:
ლილი გელაშვილის, ლალი აფციაურის,
ილია ლომიას, ჯემალ შელიას,
ნუგზარ კვარაცხელიას, გია ებრაელიძის**

## შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა

**(გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შესახებ საქართველოს კონსტიტუციის მე-17, მე-18, მე-40, 42-ე მუხლების, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის, ამავე კოდექსის 504-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 543-ე მუხლის და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-5, მე-6, მე-13 მუხლების შესაბამისად)**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე №1/გ-944-09წ. ვლადიმერ ვახანიას სააპელაციო საჩივრის გამო ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის II ნაწილითა და 236-ე მუხლის I ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 04 წლით თავისუფლების აღკვეთა, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლების სამი წლის ვადით ჩამორთმევით.

**აღნიშნული განაჩენი გასაჩივრებულია, შეტანილია შუამდგომლობები, განცხადებები, მიწოდებულია უტყუარი მტკიცებულებები, საიდანაც საპროცესო კანონმდებლობის, საქართველოს კონსტიტუციისა და ევროკონვენციის ნორმების თანახმად, აშკარად დასტურდება ვლადიმერ ვახანიას სრული უდანაშაულობა.**

1. ვლადიმერ ვახანიას მიმართ საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ამავე კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წაყენებული ბრალდებები და სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი არ ემყარება კანონის მოთხოვნებს და ფაქტობრივ გარემოებებს. წინასწარი გამოძიების მიერ წარდგენილი ბრალდება და სასამართლო განაჩენი არის სრულიად დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო, იგი ემყარება კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს და უკანონო საპროცესო აქტებს, მათ შორის, ფალსიფიცირებულ მტკიცებულებებს. ეს არის დაკავების ოქმი, ჩხრეკის ოქმი, დადგენილებები ჩხრეკის წარმოების შესახებ. ვლადიმერ ვახანიას ხელმოწერები ამ დოკუმენტებზე გაყალბებულია, რაც დასტურდება ექსპერტიზების დასკვნებით, ვლადიმერ ვახანიას მიერ 2009 წლის 17 მარტს (აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას) სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენებებით. თვით ამ სასამართლოს სხდომის ოქმით დადგენილია, რომ ჩხრეკის ოქმზე ხელმოწერები მას არ ეკუთვნის, დაკავების ოქმი მისთვის არ გადაუციათ (აღნიშნულ საკითხზე შეკითხვა პროცესზე მონაწილე პროკურორმა უპასუხოდ დატოვა) და, ასევე, ვ. ვახანიას მიერ სააპელაციო სასამართლოში 2010 წლის 15 იანვარს მიცემული ნაწილობრივი ჩვენებით.

საგამოძიებო მოქმედებები, დაკავება და ჩხრეკა-ამოღება ჩატარდა რაიმე საფუძვლიანი აუცილებლობის გარეშე, საპროცესო კოდექსის 141–150-ე და 315–327-ე მუხლების სრული დარღვევით. მათი კანონიერება სრულიად დაუსაბუთებლად იყო ცნობილი მოსამართლეების ი. აბშილავასა და დ. კეკენაძის მიერ მანამდე, ვიდრე პროკურორი დ. ხვიტია შეადგენდა ოქმს ჩხრეკების ოქმებზე და ნივთმტკიცებების ამოღება-დალუქვის ფირნიშებზე ხელმოწერების არარსებობის მიზეზების გარკვევის შესახებ. დაკავებისა და ჩხრეკის უკანონობას ამხელს თვით მოყვანილი საგამოძიებო დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ ჩხრეკა ჩატარდა დაკავებიდან ერთი საათის შემდეგ; ჩხრეკა ნაწილობრივ მიმდინარეობდა და დასრულდა დამსწრეების (ჯ. ჩიქოვანის, მ. მაქაცარიას) მონაწილეობის გარეშე, რაც დადასტურებულია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოძახებული სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურის ცნობით. ამოღება-ჩხრეკის უკანონობაზე მიუთითებს ასევე 2009 წლის 15 მარტს ამოღებული ნივთების მიღება-ჩაბარების (01.08.2009 წ.) აქტი, შედგენილი სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურატურის გამომძიებლის ვ. ქორთუას მიერ, საიდანაც აშკარად ჩანს ამოღებული ნივთების არდალუქვა. გარდა ამისა, ამ მიღება-ჩაბარების აქტის ჩხრეკის ოქმთან შედარებით, იკვეთება 300 აშშ დოლარის მითვისების ფაქტი, დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლით, ჩადენილი სამართალმწარმოებელი პირების მხრიდან.

**აღნიშნულთან ერთად, ვლადიმერ ვახანიას მიმართ 2009 წლის 15 მარტს მართლსაწინააღმდეგო საგამოძიებო ქმედებების განხორციელებას მთლიანად და ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს საცხოვრებელი სახლ-კარის სათვალთვალო კამერის ვიდეოჩანაწერი, უტყუარი მტკიცებულება, რომელიც მიღებულია ექსპერტიზის დასკვნით და ფაქტობრივად ასახავს განხორციელებულ არაკანონიერ (დანაშაულებრივ) ქმედებას: შეიარაღებული ძალადობის გამოყენებას, მუქარას, მოტყუებასა და სხვა უკანონო ხერხების გამოყენებას პოლიციელების და სპეცრაზმელების მხრიდან.**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ასეთი საგამოძიებო ქმედების ჩატარება დაუშვებელია. ასეთი უკანონო ქმედებით მოპოვებული მტკიცებულებები ამავე კოდექსის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად დაუშვებლად მიიჩნევა. დასახელებული ვიდეოჩანაწერისა და ექსპერტიზის დასკვნის როგორც მტკიცებულების იგნორირება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლს, რადგან ის პირდაპირ და უდავოდ ამტკიცებს და ადასტურებს მოწმეების მ. მაქაცარიას, ჯ. ჩიქოვანის და თვით ვლადიმერ ვახანიას ჩვენებებს. მოყვანილი ფაქტები და მტკიცებულებები სრულად უარყოფს პოლიციელების ჩვენებებს, ამხელს მათ სიცრუეში და მოწმობს მათი მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღის და სხვა საბრძოლო მასალების ჩადება-ამოღების იმიტაციას უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით.

ამდენად, ყველა მოქმედება, რაც განხორციელდა პოლიციელების მიერ 2009 წლის 15 მარტს, არის უკანონო და დანაშაულებრივი, და ასეთი საშუალებებით მოპოვებულ მტკიცებულებებს არ აქვს არავითარი იურიდიული ძალა და მიიჩნევა დაუშვებლად.

**ცალსახად შეიძლება დავასკვნათ, რომ ვლადიმერ ვახანიას არ ჩაუდენია ინკრიმინებული (შეთითხნილი) დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ანუ მისი მხრიდან არ არსებობს სისხლის სამართლის აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ქმედება. პოლიციელების მხრიდან ჩადენილი დანაშაული კი ექვემდებარება ცალკე ძიების დაწყებას.**

2. რაც შეეხება ვლადიმერ ვახანიას მიმართ ძიების დაწყების საბაბს ან „საფუძველს" სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით მის ინტერვიუსთან დაკავშირებით, საერთოდ ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო. ვლადიმერ ვახანიას, როგორც ინტერვიუს ავტორს, ყველა შემთხვევაში ჰქონდა უფლება, უარი ეთქვა თავისი სიტყვის (აზრის) გავრცელებაზე. ყველა შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 23-ე და 24-ე მუხლებით დაცული ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე, ავტორის — რესპოდენტის თანხმობის გარეშე, მისი ინტერვიუს, ე.ი. მისი სიტყვების (აზრის) გავრცელება არის კანონდარღვევა და წარმოადგენს ადამიანის (მისი) სიტყვის თავისუფლების ხელყოფას, რაც დაუშვებელია და რაც მარტივად მეტყველებს ჟურნალისტ ლ. ხუბულავას მხრიდან დანაშაულის პროვოცირებაზე, ხოლო პოლიციელების (შსს ზუგდიდის სამმართველოს) მხრიდან დანაშაულის ჩადენას „უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში".

**ამდენად, ინტერვიუ, როგორც სიტყვის (აზრის) თავისუფლების გამოხატვის საშუალება, წარმოადგენს ადამიანის ინტელექტუალურ, არაქონებრივ საკუთრებას და უფლებას და ამდენადაც ჟურნალისტების მიერ მის გავრცელებაზე უარი, არანაირად არ ქმნის სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის („ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა") შემადგენლობას ვლადიმერ ვახანიას ქმედებაში. თვით ინფორმაციის გავრცელებაზე ჟურნალისტ ლ. ხუბულავასა და გაზეთ „სამეგრელოს ქრონიკის" სხვა ჟურნალისტებს არავინ ხელს არ უშლიდა: მათ ჰქონდათ სრულყოფილი მასალები მოცემულ მოვლენებზე, რაც სასამართლოში დაადასტურა თავად ლელა ხუბულავამ, რომ აუდიოფირში ჩაწერილი ინფორმაცია ჟურნალისტებს გაუშიფრიათ და ე.ი. ჰქონდათ ყველა საშუალება მისი გავრცელებისა ნებისმიერი ჟურნალისტური ხერხით.**

სააპელაციო სასამართლოს ასევე ხელთ აქვს ამ ინტერვიუს ჩანაწერი, აუდიოფირი (კასეტა) ნივთმტკიცების სახით და მისი გაშიფრული ტექსტი, ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით იძლევა გაანალიზების შესაძლებლობას მისი შინაარსისა, რომლითაც დგინდება, რომ მოცემული ინტერვიუ არავითარ ღირებულებითი ხასიათის ინფორმაციას (მათ შორის, მაკომპრომეტირებელს) არ შეიცავს. მიუხედავად აღნიშნულისა, ვლადიმერ ვახანიას ინტერვიუს გამოქვეყნებაზე უარი არ უთქვამს, მას მხოლოდ სურდა გამოსაქვეყნებელი ტექსტის კორექტირება, რაც მან უჩვენა სასამართლოში, მაგრამ ამის საშუალება არ მიეცა.

ამრიგად, კანონის შესაბამისად, უდავოდ დგინდება, რომ ვლადიმერ ვახანიას ქმედებაში არავითარი დანაშაული არ არსებობს, მათ შორის, აუდიოფირის (კასეტის) წართმევისა მუქარის გამოყენებით, რაც დაადასტურა მოწმემ ჯ. ჩიქოვანმა, და დაადასტურებენ სხვა მოწმეებიც გამოძახება-დაკითხვის შემთხვევაში, რაც კანონის დარღვევით არ შეასრულა (არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა დაცვის მოწმეების დაკითხვის შესახებ) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დ. კეკენაძემ, რითაც მრავალი სხვა, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევასთან ერთად, დაარღვია საქართველოს სსსკ-ის 538-ე, 539-ე, 563-ე მუხლების მოთხოვნები. რაც თავად სააპელაციო სასამართლომ, დაცვის შუამდგომლობების დაკმაყოფილებით (მოწმეების გამოძახება-დაკითხვის და გრაფიკული ექსპერტიზების საქმეზე დართვისა და განხილვის შესახებ) დაადასტურა სასამართლოს სხდომაზე,

**ე.ი. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევა და სასამართლოს განაჩენი ჩათვალა ცალმხრივად, არასრულყოფილად და დაუსაბუთებლად. რად ღირს მარტო მოსამართლე დ. კეკენაძის მოგონილი, დაუსაბუთებელი და მიკერძოებული შეფასება მოწმეების ჯ. ჩიქოვანისა და მ. მაქაცარიას ჩვენებების გაუზიარებლობის შესახებ იმ საფუძვლით, რომ ისინი ვლადიმერ ვახანიას მეზობლობი არიან. საერთო ჯამში, მოსამართლეების ი. აბშილავასა და დ. კეკენაძის ქმედებაში, საქმის მასალების შესწავლით, აშკარად იკვეთება დანაშაულის ნიშნები, რაც გათვალისიწნებულია საქართველოს სსკ-ის 147- მუხლით: „განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება".**

3. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დროულად, კანონით დადგენილი წესების ფარგლებში არ განიხილა (არ გამოიძია, არ გამოიკვლია) საქმე და საქართველოს სსსკ-ის 216-ე, 528-ე, მუხლების თანახმად დაკარგა უფლებამოსილება შემდგომი საპროცესო მოქმედებისა, რითაც სრულად დაარღვია ვლადიმერ ვახანიას საქართველოს კონსტიტუციის მე-17-ე, 18-ე, 40-ე, 42-ე მუხლებით და ევროპული კონვეცნიის მე-5, მე-6, მე-13 მუხლებით დაცული, მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ, როგორც დისკრიმინაციის განხორციელების მომდევნო გაგრძელება. საქართველოს სსსკ-ის 528-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს საქმე უნდა განეხილა მისი მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საქმე №1/გ-944-09 წ. ვლადიმერ ვახანიას მიმართ მიღებული აქვს 2009 წლის 15 ოქტომბერს და, ამრიგად, საქმე უნდა განეხილა და მიეღო სამართლებრივი გადაწყვეტილება 2010 წლის 15 იანვრამდე. ამ თარიღის შემდეგ ყოველგვარი საპროცესო მოქმედება, რომელიც ჩატარებულია სასამართლოს მიერ საქართველოს სსსკ-ის 216-ე მუხლის თანახმად, ითვლება ბათილად.

**მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის აღდგენას ან გაგრძელებას, რაც ნიშნავს ვლადიმერ ვახანიას უკანონო პატიმრობას მთლიანად 2009 წლის 15 მარტიდან და 2010 წლის 15 იანრიდან დღემდე, უკვე, სააპელაციო სასამართლოს კანონდარღვევითი უმოქმედობის გამო ყოველი საათი და დღე გრძელდება ვლ. ვახანიას უკანონო პატიმრობა.**

ამრიგად, ვლადიმერ ვახანია არა მარტო იურიდიულად, არამედ ფორმალურადაც არის უკანონო პატიმარი. მისი უკანონო პატიმრობისათვის პასუხისმგებლობა (2010 წლის 15 იანრიდან) პროცესუალურად ეკისრება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რადგან ვლადიმერ ვახანია ყველა შემთხვევაში ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, რითაც მას უხეშად დაერღვა და ეს სრული მოცულობით აღწერილია კონსტიტუციურ სარჩელში, რომელიც ვლადიმერ ვახანიას მიერ შეტანილია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში და რომელსაც ვურთავთ, როგორც ამ განცხადების განუყოფელ ნაწილს დასაბუთების საფუძვლად.

ჩვენ უნდა დავასკნათ, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანონდარღვევითი ქმედება-უმოქმედობაში ასევე იკვეთება დანაშაულის ნიშნები (თანამონაწილეობა), რაც გათვალისიწნებულია სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლით: „განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება".

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პასუხისმგებლობას ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლო წერილი №3-441/2010, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი №8494, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 საპყრობილეს მკაცრი რეჟიმის დაწესებულება წერილი №10/37-7-1425. მოყვანილი უწყებები თავს არიდებენ გადაწყვეტილების მიღებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობის საფუძვლით, ანუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმისადმი კანონდარღვევითი უმოქმედობის გამო და პირდაპირ მიუთითებენ მის პასუხისმგებლობას.

**ყველა შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის და კანონის შესაბამისად, საპროცესო ვადების ამოწურვისთანავე ვლადიმერ ვახანია უნდა ყოფილიყო გათავისუფლებული პატიმრობიდან და უნდა გათავისუფლდეს, რადგან არის და ითვლება უდანაშაულოდ, მაგრამ ამ ვალდებულებას სასჯელარსრულების დაწესებულება არ ასრულებს სააპელაციო სასამართლოზე დაყრდნობით. ამდენად, ვლადიმერ ვახანიას მიმდინარე უკანონო პატიმრობა პირდაპირ უკავშირდება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დამთავრებულ კანონდარღვევებს, კანონით დადგენილი წესების დარღვევებს.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან შემდეგი სააპელაციო სასამართლო პროცესი არ შედგება, რადგან მის ჩატარებას (საპროცესო მოქმედებას) არ მოჰყვება სამართლებრივი შედეგი (ითვლება ბათილად). ვხელმძღვანელობთ რა:

**ევროპული კონვენციის მე-5, მე-6, მე-13, მე-14 მუხლებით, მე-12 დამატებითი ოქმით „დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა";**

**საქართველოს კონსტიტუციის მე-17, მე-18, მე-40, 42-ე მუხლებით;**

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისიწნებული უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპებიდან და სააპელაციო სასამართლოს სარევიზიო საწყისიდან გამომდინარე (მუხლის 543), ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილითა და ამავე კოდექსის 504-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით,**

**გთხოვთ,**

**გადაუდებლად გამოიტანოთ გამამართლებელი განაჩენი ვლადიმერ ვახანიას მიმართ და გაათავისუფლოთ უკანონო პატიმრობიდან.**

**ადვოკატები:**
**ლილი გელაშვილი**
**ლალი აფციაური**
**ილია ლომია**
**ჯემალ შელია**
**ნუგზარ კვარაცხელია**
**გია ებრალიძე**

**ვლადიმერ ვახანია**
*პოლიტპატიმარი,*
*სამართლის დოქტორი,*
*აკადემიკოსი*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სკანდალური ფაქტები

# ხელისუფლებამ საარჩევნოდ პრობაციონერები დააბერორა

**„ჩემი პოლიტიკაში მოღვაწეობის 8-წლიან პერიოდში ეს ყველაზე სკანდალური ფაქტია“, — აცხადებს დეპუტატი გია ცაგარეიშვილი და 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს პრობაციონერებზე ზეწოლის დამადასტურებელ მასალებს პროკურატურას უგზავნის. დოკუმენტაციით, რომელიც დეპუტატს მაშინდელი სოდის უფროსის, ერეკლე კოდუას დიდი ძალისხმევით დარეგისტრირებულმა არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომელმა ნატო ხოხიაშვილმა მიაწოდა, ცხადი ხდება, როგორ იგებს არჩევნებს ხელისუფლება, როგორ არიან ჩართული წინასაარჩევნო მარათონში ძალოვანი სტრუქტურები და რა მეთოდებს იყენებენ ხმების მოსაგროვებლად.**



**ნატო ხოხიაშვილი:**

**ცესკომ ჯერ უარი გვითხრა, თანხმობა მას შემდეგ მივიღეთ, თარხნიშვილს რომ აგინა კოდუამ**



აღნიშნული დოკუმენტაცია კონფიდენციალურია და შეუძლებელია, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელის — ბაჩო ახალაიას გარეშე ვინმეს ჩავარდნოდა ხელში. სიებში მითითებულია პრობაციონერების სახელი, გვარი მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილი (სია დახარისხებულია საარჩევნო რაიონების მიხედვით) სასჯელის ძალაში შესვლისა და ვადის გასვლის თარიღები, პირადი და სისხლის სამართლის საქმის ნომრები. სიები დაყოფილია რამდენიმე ნაწილად: ცალ-ცალკეა მამაკაცების, ქალებისა და არასრულწლოვანთა სიები. გია ცაგარეიშვილის განცხადებით, **თითოეულ პრობაციონერს ავალებდნენ ხმების მოგროვებას, რაც დასტურდება სიით, რომელშიც მითითებულია პრობაციონერის სახელი და გვარი, შემდეგ კი მის მიერ მიწოდებული სიის გადამოწმების შედეგები, ანუ აღნიშნულია ამომრჩეველთა სახელი, გვარი, მისამართი, პასპორტის ნომერი და დასტურდება თუ არა მათი რეალობა.**

**ასევე არსებობს ხელნაწერი სიები, სადაც ჩამოთვლილია პრობაციონერთა და, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი მშობლების სახელი და გვარი, ტელეფონის ნომერი, მითითებულია, თუ ვის რამდენი ხმა აქვს შეგროვებული „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებისთვის.** ამ სიებს შეგნებულად არ ვაქვეყნებთ, რადგან ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა და მისი საჯაროდ გამოქვეყნება კანონს ეწინააღმდეგება.

**ნატო ხოხიაშვილი 2008 წლის არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ ვაკის რაიონის საარჩევნო შტაბში მუშაობდა, რომელიც აბაშიძის №47-ში მდებარეობს. შტაბს ოფიციალურად მარიკა წერეთელი ხელმძღვანელობდა. ხოხიაშვილის განცხადებით, შტაბი მაშინდელი სოდ-ის უფროსს — ერეკლე კოდუას ექვემდებარებოდა. იქ მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა: ომის ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახის წევრებთან; სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებთან და პრობაციონერებთან; ასევე აქტიურად მუშაობდნენ პირადობის მოწმობების გაყალბებით „კარუსელის“ დასატრიალებლად. ხოხიაშვილი და მისი რამდენიმე მეგობარი ამ შტაბში არასამთავრობო ორგანიზაცია „ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო ცენტრის“ წარმომადგენლები იყვნენ. თავად ხოხიაშვილს დამკვირვებლების მომზადება ევალებოდა და ამ სიებთან შეხება არ ჰქონდა. ისინი მას ხელში შემთხვევით არჩევნების დასრულების შემდეგ ჩაუვარდა.**

**გია ცაგარეიშვილი:**

— ეს არის აბსოლუტურად კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შეუძლებელია ვინმეს ჩაუვარდეს ხელში. იგი ინახება იუსტიციის სამინისტროში. მაშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი იყო ბაჩო ახალია, რომელმაც ეს ინფორმაცია გამოიტანა. აქ არის რამდენიმე გრაფა: სახელი, გვარი, მამის სახელი, პირადი ნომერი, სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის თარიღი, სამართლებრივი აქტის მოქმედების ვადის გასვლის თარიღი და სამართლებრივი აქტის პრობაციის ბიუროში შესვლის თარიღი. ეს თარიღები იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ შუაში უნდა მოექცეს 2008 წლის 21 მაისი. თუ შუაშია მოქცეული, მაშინ ამ ადამიანების „დაკაჩავება“, „დატერორება“, დაშინება ძალიან ადვილია. ეტყვი, ნარკოტიკს ან იარაღს ჩაგიდებ და შეგაბრუნებ ციხეშიო. ამ შემთხვევაში პირობითი მსჯავრი რაც აქვს, იმას დაემატება ახალი სასჯელიც, რაც, ფაქტობრივად, კატასტროფაა.

**— ამ სიებში ბევრია ისეთი, ვისაც სასჯელის ვადა 2011 წელს უმთავრდება, ანუ ეს სიები შესაძლოა მათ კიდევ გამოადგეთ?**

— დიახ, დარწმუნებული ვარ ასე მუშაობენ ამ ხალხზე. აქ არის დაახლოებით 1000 ადამიანი. გამორიცხულია, რომ თქვენ სისხლის სამართლის საქმის ნომერი მოძებნოთ. ეს იცის მარტო გამოძიებამ და მისმა ადვოკატმა, რომელსაც სხვისთვის ინფორმაციის განდობა კანონით აქვს აკრძალული.

**ყველაზე საშინელი კი ამ სიებს შორის არის ქალბატონებისა და არასრულწლოვანების სიები, 16-17 წლის ბავშვებზეა საუბარი. ამ გზით გახდა სააკაშვილი პრეზიდენტი და ისინი, ვინც საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს, ამ ხალხის უბედურების ხარჯზე არიან პარლამენტარები.**

ყოველი კონკრეტული ადამიანის უკან დგანან მისი ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, რომლებიც 21 მაისს უნდა მისულიყვნენ და ნომერი ხუთი შემოეხაზათ. ეს სია დახარისხებულია საარჩევნო უბნების მიხედვით.

40 წელია, ვაკეში ვცხოვრობ, აბაშიძის ქუჩაზე, ამ სიებში ბევრი ჩემი მეზობელი აღმოვაჩინე, გადავამოწმე მათთან ეს ფაქტი და დამიდასტურეს, პრობაციონერთა და პატიმართა მშობლები დადიოდნენ და ხელს ვუწერდით, რომ ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ მივცემდითო. ნაციონალებმა ვაკეში 34 პროცენტი მიიღეს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ხმები ამ სიიდან აიღეს. აქ არის ათასობით ადამიანი და მათგან 10%-იც რომ მისულიყო, უკვე 34 პროცენტია.

თბილისსა თუ სხვა რაიონებში „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებში პრობაციონერების ხარჯზე იმარჯვებდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ვაკეში, ჩემი სახლიდან 100 მეტრში, იყო კანტორა, სადაც ბატონი კოდუა ყოველღამე თათბირებს ატარებდა. პირადად მიდიოდა, აშინებდა პრობაციონერებს, მათ მშობლებს. პრობაციონერებიც მიჰყავდათ იქ და ეუბნებოდნენ, მოიტანეთ ხმები, თორემ ციხეებში შეგაბრუნებთო. ამაზე მეტი მტკიცებულება საჭირო აღარ არის, ამას სჭირდება მხოლოდ მოწმეების დაკითხვა და საქმის ბოლომდე მიყვანა. ამ საქმეს მე ბოლომდე მივიყვან, ბატონი კოდუა და სხვები წარდგებიან სამართლიანი სასამართლოს წინაშე.

**— ახლა, შესაძლოა, ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი მომენტი იყოს და ამ ყველაფერზე კოდუას შეაწმინდონ ხელი.**

— კოდუა არის ადამიანი, რომელმაც ამის ორგანიზება მოახდინა, მაგრამ აქ ის მარტო არ არის, რა თქმა უნდა, ის მოქმედებდა ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის უშუალო მითითებით. ახლა აღარ მიჩნდება კითხვა, რატომ იჭერენ ასე მასობრივად ადამიანებს. 20 000 პატიმარი იმიტომ სჭირდებათ, რომ ეს არის სულ მცირე 100 000 ხმა. „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს ქვეყნის სათავეში არის პრობაციონერების ხარჯზე, მათ შორის არასრულწლოვნებისა და ქალბატონების.

**ქალბატონს, რომელიც ციხეგამოვლილია ან სასამართლოგამოვლილია, რომელსაც საზოგადოებაში გამოჩენისა და ქუჩაში გამოსვლის რცხვენია, იბარებენ და აშინებენ: თუ არ მოიყვან ხალხს, ვინც ხმას მოგვცემს, ციხეში შეგაბრუნებო. ეს არის ჩვენი ხელისუფლების მორალური სახე. იმ ადამიანებისგან, რომლებმაც გირგვლიანების ოჯახი ამოწყვიტა, შვიდი ნოემბერი მოაწყო და ლამის დაგვხოცა, ტაძრებს ანგრევს და ტერიტორიებს ჩუქნის რუსებს, არაფერი მიკვირს. მაგრამ მე ხელთ მაქვს დოკუმენტები, რომლებიც შესწავლასა და გამოძიებას საჭიროებს.**

თუნდაც იმისთვის, რომ ეს დოკუმენტაცია ჩემს ხელში მოხვდა, პასუხი ხომ უნდა აგოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელმა უფროსმა ბაჩო ახალაიამ? მაშინ ეს დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარებოდა. პასუხი უნდა აგოს მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა, რომელიც ასევე ჩართული იქნებოდა ამ დანაშაულში, რადგან მისი უწყებიდანაა გასული ეს ინფორმაცია; შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ, რადგან დილიდან დაღამებამდე იქ იმყოფებოდა ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს უფროსი ზაზა ჭაია და მისი მოადგილე ვინმე ვალერი თელია. ჭაია დააწინაურეს და ქალაქის კრიმინალური სამსახურის უფროსად გადაიყვანეს. იქ უამრავი ადამიანი ტრიალებდა: მამა-შვილი გაბაშვილები, დეპუტატი ზაზა გამცემლიძე, გამგებელი გიორგი ქორქაშვილი და სხვები.

ჩვენ მივმართეთ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, ეუთოს გრძელვადიან მისისას; ჩემი ხელით გადავეცი ასლები ქალბატონ ელჩს, რომელიც ეუთოს გრძელვადიან მისიას ხელმძღვანელობს. პატიმრებზე ზეწოლა უკვე ასახულია ეუთოს შუალედურ დასკვნაში, ეს ჩვენი დამსახურებაა.

**საინტერესოა, არასამთავრობო ორგანიზაციის დარეგისტრირების ფაქტიც, რომელსაც ნატო ხოხიაშვილი ასე იხსენებს:**

— არასამთავრობო ორგანიზაცია „ჟურნალისტთა დაცვის საერთაშორისო ცენტრი“ მანამდე იყო დარეგისტრირებული, მაგრამ არანაირ პროექტზე არ მუშაობდა და არ ფუნქციონირებდა. არჩევნების წინ ბატონმა ირაკლი კოდუამ მოგვცა გარანტია, რომ დაგვარეგისტრირებდა ცესკოში. ცესკომ ჯერ უარი Gგვითხრა, თანხმობა მას შემდეგ მივიღეთ, თარხნიშვილს რომ აგინა კოდუამ.

ჩემი მიმართულება იყო დამკვირვებლების მომზადება და უბნებზე განაწილება, სხვას უნდა ემუშავა პენსიონერებთან, ვეტერანებთან, მოესყიდა მათი ოჯახების წევრები, ვიღაც პრობაციონერებთან მუშაობდა და ა.შ.

**— თქვენ თუ ესწრებოდით მითითებების გაცემას და ვისგან მოდიოდა ისინი?**

— მე რომ მივედი, ეს ფუნქციები უკვე განაწილებული იყო, მაგრამ იქ მუშაობდნენ ჩემი მეგობრები, რომლებიც ამბობდნენ, რომ უშუალოდ კოდუა იძლეოდა ამ დავალებებს, მოდიოდა და ყოველ საღამოს თათბირებს ატარებდა. ვაკის პოლიციის უფროსი ზაზა ჭაია და მისი მოადგილე ვალერი თელია თითქმის სულ იქ იყვნენ და აკვირდებოდნენ ყველაფერს. ძალიან ბევრი პოლიციის თანამშრომელი მოდიოდა, ასევე, — რაიონის გამგებელი გიორგი ქორქაშვილი და მაჟორიტარი ზაზა გამცემლიძე. ამჟამინდელი პარლამენტის მანდატურის უფროსიც მუდმივად იქ იყო.

**— ეს დოკუმენტაცია საიდან მოხვდა თქვენთან?**

— როცა არჩევნები დასრულდა, საბუთები, რომლებიც მაგიდაზე მქონდა, სახლში წამოვიღე. როგორც ჩანს, ეს სიები ვიღაცას შემთხვევით დარჩა ჩემთან. საარჩევნო მზადება რომ დაიწყო, გადავხედე ამ საბუთებს და აღმოვაჩინე ეს დოკუმენტაციაც. თავიდან ცოტა შემეშინდა, რადგან რამდენჯერმე დამირეკეს, რაიმე საბუთი თქვენთან ხომ არ არისო. მე მაქვს არასამთავრობო ორგანიზაცია და მინდა ადამიანის უფლებები დავიცვა. ამიტომ დავუკავშირდი იმ ადამიანებსაც, ვინც მაშინ ჩემთან ერთად მუშაობდა და შევაგროვე ეს დოკუმენტაცია, რომელიც მივაწოდე ბატონ გია ცაგარეიშვილს. მანამდეც ბევრ პოლიტიკოსს დავკავშირებივარ. ისინი ამბობდნენ, თეორიულად ვიცით, რომ ასეთი ფაქტები ხდება, მაგრამ სად არის ფაქტები, სად არის დოკუმენტაციაო. ახლა უკვე არსებობს ისინი.

**ნატო ხოხიაშვილი და კიდევ ორი მოწმე, ვინც 2008 წლის არჩევნების წინა პერიოდში ხელისუფლების მიერ ამომრჩევლებზე ზეწოლას ესწრებოდა, მზად არიან, გამოძიებას ჩვენება მისცენ. აღნიშნული დოკუმენტაცია კი გია ცაგარეიშვილმა უკვე გადასცა მთავარ პროკურორს. საინტერესოა, როგორ გამოიძიებენ აღნიშნულ დანაშაულს.**

**სოფო გელაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## ზურაბ გაგნიძე:

# პრეზიდენტი მოგზაურობს, ვანო კი აკონტროლებს

**ქვეყნის კონსტიტუცია სხვადასხვა თარგზე არაერთხელ გამოიჭრა და შეიკერა, მაგრამ ხელისუფალთა „სიშიშვლე“ ვერ დაფარა. ადგილობრივმა არჩევნებმა იმაზე მეტი მნიშვნელობა შეიძინა, რაც რეალურად აქვს. სიტუაცია ყალყზე დგას. ქვეყნის ხერხემლად წოდებული შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი კი ხერხემალგადატეხილ ქვეყანაში სტაბილურად ინარჩუნებს თანამდებობას და ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს „დამჭკნარ, ეკლებად დარჩენილ ვარდთა“ გადარჩენას. ვანო მერაბიშვილის პოლიტპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, მმართველ გუნდში მერაბიშვილის გავლენა ძალიან მაღალია, ხოლო საზოგადოებაში მის მიმართ პროტესტი ისევ ძლიერია. ამას როგორ ახსნით?**

— დღეს მერაბიშვილი პოლიტიკის სათავეებთან მდგარი გაცილებით ძლიერი ფიგურაა, ვიდრე პრეზიდენტი. იგი არა მარტო ქვეყნის ხერხემალია, არამედ — ქვეყნის ყური, ხელები და თანაც შეუზღუდავი ნებელობის ძლიერ სახიფათო ძლევამოსილებით. იგი **გასათვალისწინებელი ძალაა ავზნიანობით შენიღბული, რომელსაც უდიდესი ზიანის მოტანა შეუძლია როგორც ქვეყნისთვის, ასევე ქართველი ხალხისთვის.** ვინ შექმნა მერაბიშვილის პოლიტფიგურა?.. სააკაშვილის ნაკლოვანებებმა, გაუწონასწორებელმა ხასიათმა, გაუთავებელმა პომპეზურობამ, ზეიმომანიამ, მისმა პოლიტიკურმა შეცდომებმა და დანაშაულებებმა შექმნა მერაბიშვილი და მისი ურყევი რეიტინგი მმართველ გუნდში. ირგვლივ მყოფ მედროვეთა ხოტბას კი მისადმი შიში უდევს საფუძვლად.

ვარდების რევოლუციის შემდგომ საქართველოში ორი კლანი ჩამოყალიბდა: პირველი — პრეზიდენტისა და მერაბიშვილ-ადეიშვილის; ხოლო მეორე — „თავისუფლების ინსტიტუტის“ კახა ლომაიათი, ირაკლი ოქრუაშვილით, გიგი უგულავათი და გიგა ბოკერიათი. **თავდაპირველად მერაბიშვილი იყო „ლომს ადევნებული ტურა“, რომელიც ბრდღვინვისა და ხმაურის გარეშე ილებდა ნადავლს. მერე მოახერხა პრეზიდენტზე გავლენის მქონეთა პრივილეგიების მოსპობა. ვერაგობა და ღალატი მისი მახვილია. ფრთხილია და მოქიშპეებს ორმოს ისე უთხრის, რომ მათი ერთი მოუზომავი ნაბიჯი და სამიზნე თვითონ ვარდება ვანოს მიერ გათხრილ თხრილში. მუხთალ ვანოს შეუძლია თვალი მოუხუჭოს მტრადმიჩნეულს გარკვეულ დრომდე და კარგად გათვლილი ტაქტიკით სძლიოს.**

ასე მოექცა პრეზიდენტთან ახლო მდგომს, სოროსის ფონდის „მოლარეს“, აღზევებულ სანტექნიკოს კახა ლომაიას. მან შეძლო ლომაიას ჯერ ჩამოქვეითება, ხოლო შემდგომ გაეროში მისი ელჩად გამწესება. იგი მოერია თავხედ თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილსაც, რომელმაც, მოარული ხმებით, ამ ლაჩარ ტურას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ღონესა და სიმამაცეს ცბიერებითა და სიმუხთლით აჯობა. შემდეგ გულღრძო მერაბიშვილმა გაანადგურა და განაიარაღა, გაძარცვა ოქრუაშვილის მარჯვენა ხელი ქიბარ ხალვაში. ირაკლის სხვა მომხრეებს კი ათონელის ქ. №27-ში მდებარე შენობა ისე ჩამოართვა, რომ მესაკუთრეებს სასამართლოში თავის დასაცავი საშუალებაც არ მისცა.

**ჟვანიას ყოფილ გუნდს ვანოსი ეშინია, რადგან მან მათი ყველა კორუფციული გარიგება იცის, აშანტაჟებს, ვინიცობაა, რამეს „მიჰქარავენ“, არ დაინდობს.**

**«გავა წლები და 7 ნოემბერი საუკუნის დანაშაულად დასახელდება, ხოლო მერაბიშვილს არავიძესავით მიწიდან ამოთხრიან»**

პოლიტიკაში კარგი მადის ხალხია, ყველა მათგანს სჭირდება შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან დაცვა, არავის სურს კომპრომატების ომი. ამიტომ გამოხატავენ ვანოს მიმართ ულრმეს მოწიწებასა და მისადმი ხოტბას აღავლენენ. თავისი თანამდებობრივი მდგომარეობით ვანო საპალნეაკიდებული ვირის როლშია.

თავის მხრივ, **ამ გაიძვერა, თაღლითმა პიროვნებამ, მიზანტროპული მიდრეკილებებით შეძლო ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმის დამყარება და თავის უწყების გავლენის ქვეშ სასამართლოს, მედიის, ბიზნესის, ელიტარული კორუფციის მოქცევა. ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ხელისუფლებისგან მართულ, ჯიბის ოპოზიციად აქცია.**

მოსასმენი აპარატებით იგი ყველგან და ყველაფერს თვალყურს ადევნებს. მოსასმენმა აპარატმა აამღვრია წყალი უგულავასა და მერაბიშვილს შორის. უგულავას მეგობარმა და პოლიტიკური გუნდის წევრმა, ძველი თბილისის რაიონის გამგებელმა მოსასმენი აპარატი კაბინეტში აღმოაჩინა. უგულავამ ეს ფაქტი ფრიად იუკადრისა და კიდეც დაზარალდა. ამ უსიამოვნო ინციდენტმა განაპირობა გიგის მერობის კანდიდატად წარდგენის პროცესის გაჭიანურება, ხოლო შემდგომში მის საარჩევნო კამპანიაში ნაკლებ რეიტინგული ფიგურების თანხლება. გულბოროტია და გულღვარძლიანი მერაბიშვილი. მან კბილი გიგის მეგობარ კობა სუბელიანსაც დაასო, რადგან ლტოლვილთა სახლების აშენების კურირება ყოვლად შეუფერებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა. ამ მშენებლობაში დიდი ფული ტყდებოდა და ეს ლუკმა კობას არ დაუთმო. თუ სუბელიანი ამ უსამართლო ნაბიჯს გააპროტესტებდა, მაშინ მერაბიშვილი კობას კეთილმოწყობის სამსახურში გაფლანგულ 200 მილიონის დოკუმენტს მოსთხოვდა, რაზეც ოპოზიცია, დიდი ხანია, ყვირის.

**მერაბიშვილი იმდენად თვალთმაქცია, რომ ახერხებს და ქმნის ილუზიას, რომ მზადაა, პრეზიდენტს მსხვერპლად შეეწიროს და კისრად იდოს დროების ტვირთი. ამიტომ აყვირებს სპეცრაზმს: „მიშა, მიშა!“, პოლიციელები კი მერაბიშვილის სადღეგრძელოს სკამზე შემდგარნი სვამენ.**

**— ბატონო ზურაბ, გასაგებია მმართველი გუნდის ლიქნი და პოზიცია, მაგრამ რეიტინგი ხომ საზოგადოებრივი აზრით იზომება?**

— დიახ, ხალხს სძულს მერაბიშვილი, იმიტომ, რომ მერაბიშვილმა შექმნა პოლიციური სახელმწიფო მონური ფსიქოლოგიით. 35-ათასიანი პოლიცია თანამედროვე მანქურთებად აქცია, ქართველთა ღირსება არაერთგზის შეურაცხყო, ურთიერთობა სიყალბესა და პირმოთნეობაზე ააგო, სხვანაირად ქართველი კაცი სამსახურს ვერ ეღირსება. ქვეყანა დამსმენთა და ჯაშუშთა სათარეშოდ აქცია. ღირსეულთ კი ცრუ ბრალდებებითა და იარაღის, ნარკოტიკების ჩადებით აპატიმრებს. ზოგს კი ჯერ მოისყიდის და მერე აფუჭებს. ვისზეც ეს მეთოდები არ ჭრის, თავიდან იშორებს დევიზით „აღარ არის პიროვნება და აღარც პრობლემებია“. ასე მოექცა ჟვანიას, პატარკაციშვილს.

**მერაბიშვილი ჯერ კიდევ გირგვლიანის მკვლელობისას უნდა გადამდგარიყო „სიკვდილის ბრიგადების“ ჩამოყალიბებისთვის. მას ცოდვად ადევს გირგვლიანების ოჯახის ამოწყვეტა. მოძრაობა „დაიცავი სიცოცხლე“ წლების მანძილზე აპროტესტებს ზურა ვაზაგაშვილისა და ბუტა რობაქიძის მკვლელობებს. საზოგადოება დღრტვინავს გირგვლიანის მკვლელების გათავისუფლებაზე.**

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი კრიმინალია. გუშინდელი პრემიერი ნოღაიდელი მას ბრალს დებს იარაღით უკანონო ვაჭრობაში. შს სამინისტროს საიდუმლო ფონდებიდან მილიონები იხარჯება იარაღის ყიდვა-გაყიდვაზე. შეუძლებელია, საქართველოში აყვავებულ ნარკობიზნესში შინაგან საქმეთა მინისტრს წილი არ ედოს. იარაღით ვაჭრობა და ნარკობიზნესი მსოფლიო მასშტაბით ყველაზე მომგებიანი ბიზნესია, მასში დიდძალი შავი ფული კეთდება.** იცის ეს ბატონმა ვანომ და ამიტომაც ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, გაიძვერა მერაბიშვილზე ერთი თბილისური „ხრუშოვკა“ ირიცხება ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტალში.

ნოღაიდელი იმასაც აცხადებს, რომ არაბული კომპანიის „რაკიინ ჯორჯიას“ უკან პრეზიდენტთან ერთად ვანო მერაბიშვილიც დგას. ამ კომპანიის კუთვნილ „სახალხო ბანკს“, რომლის ერთპიროვნული მფლობელი ვანოა, ბიუჯეტიდან 50 მილიონი გადაერიცხა ფულის გასაკეთებლად. მერაბიშვილს ეკუთვნის კომპანია „კოდა“, სამშენებლო კომპანია „აფთაუნი“, რომელიც დედაქალაქის განაშენიანებას აპირებს. იგი წილში იყო ფოთის პორტშიც, რომელიც 85 მილიონად გაიყიდა. ჟოზეფ ქეიმ „იმედის“ მთელი ჰოლდინგი ამავე კომპანიას მიჰყიდა.

ყოფილმა პრემიერმა ისიც ხმამაღლა განაცხადა, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე მონოპოლისტებად მიჩნეულ „ავერსსა“ და „პე-ეს-პეს“ ვანო მერაბიშვილი მფარველობს. ეს ბაზარი ვანომ ავთო ჯორბენაძეს წაართვა და სამადლოდ 5% დაუტოვა. მერაბიშვილი ფარმაცევტულ ბიზნესში ჩართულთ უფლებას არ აძლევს, წამლები იაფად შემოიტანონ, ატერორებს, მათ მიმართ სისხლის სამართლის დევნას ახორციელებს, ფინანსური და საგადასახადო სამსახურებით ახრჩობს.

**კრიზისის დროს წამლები 30%-ით გაიაფდა, მაგრამ დღეს უკვე 200%-ით გაძვირდა. წამლები პირველადი მოთხოვნილების კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ ხალხი ვანოს არ ადარდებს. საიდუმლო არაა, რომ საქართველოს ტყეების მონოპოლისტ მეპატრონედ მერაბიშვილი ითვლება. არც ის, რომ მთელი აჭარის მიწა, ზღვა და პლაჟები მერაბიშვილის კლანის ხელშია, ზღვისპირეთი კი მისი მეუღლის კუთვნილი ბუნგალოებითაა მოფენილი.**

დეკლარაციის მიხედვით, მერაბიშვილი 10.000 ლარზე მეტი ღირებულების ქონებას არ ფლობს. მის მეუღლეს მეტად პრესტიჟული ადგილი უკავია მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციაში და წლიურად 15.853 ლარს ღებულობს. ნეტავ, როგორ შოულობენ პოლიტიკოსთა მეუღლეები ასე მაღალ ანაზღაურებად სამსახურებს? **მილიარდების მფლობელმა მინისტრმა მაინც ვერაფრით მოიცილა „მეჯლანუაშვილის კომპლექსი“ და ისევ „ხრუშოვკაში“ ცხოვრობს. გჯერათ?!**

მეორედ მერაბიშვილი 2008 წლის ნოემბერში უნდა გადამდგარიყო, როდესაც 4 ნოემბერს მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევა მის კაბინეტში დაიგეგმა. როდესაც ხალხის წინააღმდეგ რეზინის ტყვიები და ფსიქოტროპული იარაღი გამოიყენეს. **გავა წლები და 7 ნოემბერი საუკუნის დანაშაულად დასახელდება, ხოლო მერაბიშვილს არავიძესავით ქართული მიწიდან ამოთხრიან.** ეს რომ შერჩა, ამიტომ გამოაცხადა 6 მაისი — გიორგობა — პოლიციის დღედ. ის არ იკმარეს, რომ 23 ნოემბერი „ვარდების რევოლუციად“ გამოცხადდა; 6 მაისი — აჭარის გათავისუფლების დღედ, იმ აჭარისა, რომელიც შემდეგ თურქეთს დოლარებად მიჰყიდეს. ჩვენ კი განგვიცხადა: **„ეს დღე ქართველებში კარგ ასოციაციას იწვევს და ამიტომ ავირჩიეთ, წმიდა გიორგი ბოროტებასთან იბრძვის და ქართული პოლიციის მფარველიაო“.** ზუსტად კაენის ცოდვით დაიმძიმა ამ დღეს პოლიციის შეფმა სული და „ბოროტებასთან მებრძოლ“ პოლიციელებს საკუთარი ხალხი აცემინა. სინამდვილეში კი ყრუ და ბლაგვი გონების პატრონი მერაბიშვილი ემსახურება გლობალისტთა მიერ ნაკარნახევ დავალებათა აღსრულებას — ეროვნულ და სარწმუნოებრივ ღირებულებათა გადაფასებას. სულიერ ჭაობში ჩაფლული ახალ ღმერთს ქმნის, რითაც სავსებით გასცილდა საქართველოს ცხოვრების გზას...

**— ბატონო ზურაბ, ნუთუ არჩევნების ბედსაც მერაბიშვილი წყვეტს?**

— პოლიტიკურ კრიზისში ვართ, ამიტომ იქცა არჩევნები საეტაპო მოვლენად. პრეზიდენტი მოგზაურობს, ვანო კი ყველაფერს აკონტროლებს. რამდენიმე წელია, რაც საქართველოში არჩევნებს პოლიციის ზონდერბრიგადები ატარებენ კრიმინალურ ავტორტეტებთან და ნარკომანებთან ერთად. გახსოვთ, უკრაინაში არჩევნებისას თარგამაძისა და მერაბიშვილის სატელეფონო საუბარი, სადაც იქ მოღვაწე კრიმინალური ავტორიტეტის — ვატო ყიფიანის სახელმა გაიჟღერა? ეს მოწმობს, რომ ეს მეთოდი ნაცადია და წარმატებული. ავტორიტარულ სახელმწიფოში არჩევნების ბედს პოლიცია წყვეტს.

**დღეს, სამწუხაროდ, საქართველოში არჩევნებს ატარებს ანტიპატრიოტი, ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური არმია ვანო მერაბიშვილის ხელმძღვანელობით. ამიტომ მომავალში თუ გაუთვალისწინებელმა მოვლენებმა ქვეყნის დესტაბილიზაცია გამოიწვია, შეიძლება უგვირგვინო მერაბიშვილი „ქვეყნის ხერხემალთან“ ერთად „ქვეყნის თავიც“ გახდეს.**

დღეს კი ასკეტურ კაბინეტში შეკეტილი, მუდმივად ჩრდილში მყოფი, განუკითხავი ძალაუფლების მქონე მერაბიშვილი მართავს ქვეყანასაც და ნებელობადაკარგულ, მოდელირებულ პრეზიდენტსაც. ხალხი კი ეჭვობს, რომ თავისი ნების გამოხატულებით ამ ხელისუფლების პირობებში ვარდოსნების შეცვლა შეუძლებელია.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

2 – 8 ივნისი, 2010 წელი. №20 (63)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# «ირწეოდნენ, ვითარცა ლერწამნი

**ჩამოდის The TIMES კორესპონდენტი ბარნი ტომპსონი რეპორტაჟის მოსამზადებლად საქართველოში, სადაც ქვეყნის მოდერნიზაცია და კორუფციის აღმოფხვრა „2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ხელისუფლებაში მოსული მიხეილ სააკაშვილის წყალობით მოხდა“. დაწერს და იქვე ამ დასკვნისგან დისტანცირებას ახდენს: პოლიტიკოსები აცხადებენო ასე. და კიდევ უფრო შორს დაიჭერს იმით, რომ მომდევნო წინადადებას იწყებს ასეთი შეფასების საწინააღმდეგო დებულებით: „უცხოელი ექსპერტები მათ არ ეთანხმებიან“. რა თქმა უნდა, არ ეთანხმებიან და ჩვენი ერთგული მკითხველი ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომრის პუბლიკაციის გაცნობისას („სმ“ №19, „Good bye, Mikheil, good bye“).**

## საქართველო დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობს, მაგრამ კიდევ რამდენჯერ შეძლებს ამ დღის აღნიშვნას?

**დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევდა, რომ ბარნი ტომპსონი ჩვენი ხელისუფლების მოწვევით იყო ჩამოსული ქვეყანაში დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარებაში მიღწეული წარმატებების საქმეში ამათი მოღვაწეობის გასაპიარებლად. ამას პირდაპირ არავინ იტყვის, მაგრამ, როგორც წესი, თვითონ ჟურნალისტი გაიყიდება ხოლმე, მისი პუბლიკაცია გაყიდის.**



მთავარსარდალი

ტომპსონის რესპონდენტები — უშიშროების საბჭოს მდივანი ეკა ტყეშელაშვილი (ეკა ზღულაძის ნაირსახეობა) და პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე არიან. სხვა არავინ. უკაცრავად, არის კიდევ ვიღაც უჩინმაჩინი — „საქართველოს დაზვერვის მაღალჩინოსანი“, და სამივე, რა თქმა უნდა, სააკაშვილს ადიდებს და რუსეთს უტევს.

ბაქრაძე — თავისი მომაბეზრებელი გამეორებებით: „ჩვენ და არა კრემლი წყვეტს, ვინ იქნება ჩვენი პრეზიდენტი და ჩვენ და არა კრემლი წყვეტს, შევალთ თუ არა ნატოში“...

უსმენს ამ მომაბეზრებლობას The TIMES-ის კორესპონდენტი და იმეორებს, მაგრამ „პროფესიის ყივილი“ უკარნახებს დაიცვას ობიექტურობა, რომელიც ამ ხელისუფლების სასარგებლოდ არაფერს იტყვის.

**„აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაკარგვით (ეს უკანასკნელი ქვეყანამ 2008 წლის აგვისტოს ხანმოკლე, მაგრამ კატასტროფული ომის შედეგად დაკარგა) საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი აღარ ეკუთვნის... სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ომის შემდეგ საქართველოს 22 ათასი დევნილისთვის თავშესაფრის ძიება მოუწია. ზოგიერთები ახლა პატარა სახლებში ცხოვრობენ, რომელთა გრძელი რიგი თბილისი-გორის გზის გასწვრივაა გაშენებული, რა თქმა უნდა, კარვებს სჯობია, მაგრამ ვერანაირად შეედრება იმ სახლებს, საიდანაც ისინი გამოყარეს“.**

გაიარა, დაინახა, დაწერა. სწორია.

აი, მიზეზიც ასევე სწორად და ობიექტურად რომ გამოეკვეთა, მაშინ ამერიკის ჟურნალისტიკის მოუსყიდველობაზე უეჭველად დადებითი წარმოდგენა შეგვექმნებოდა. თუმცა ამ ჩამოსულ კაცს რას ვერჩი, რაც აქ უთხრეს, ის გაიმეორა. სხვა რესპონდენტების აზრიც რომ მოესმინა, აჯობებდა.

მაგრამ ან არ მიუშვეს, ან... რა ჩემი საქმეა სხვისი პროფესიონალიზმის შეფასება?!

აი, მაგალითად, როცა რეპორტიორი „საქართველოს დაზვერვის მაღალჩინოსნის“ ნათქვამს გაიმეორებს, რომ ყველა ჩვენი უბედურების მიზეზთა მიზეზი რუსეთია, რომ „კრემლმა შეიძლება ეთნიკური დაპირისპირებების პროვოცირება მოახდინოს, შექმნას (!) სამხრეთ ოსეთის ტიპის ახალი კონფლიქტები. საქართველოში ბევრი სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფია (!), მათ შორის (!) რუსებიც ცხოვრობენ... ჩვენ გადარჩენისთვის ვიბრძვით“, და ამ აბდაუბდას კრიტიკული თვალით არ შეხედავს, დაემსგავსება მისი პროფესია კარნახით ჩაწერის ხელობას.

სამაგიეროდ, როცა ჟურნალისტი რეპორტაჟის ელემენტს შემოიტანს თავის პუბლიკაციაში, დაწერს იმას, რაც დაინახა და გვერდით არ ეყოლება დავით ბაქრაძისნაირი კონსულტანტი, იქ აუცილებლად თავს იჩენს ჩვენი მთავრობის მიდრეიკლება ფასადური პოლიტიკისადმი, რომელიც სიბრიყვის დონემდეა დახვეწილი:

**„თბილისში სამთავრობო დაწესებულებებზე დემონსტრაციულად არა მხოლოდ ქართული, არამედ ევროკავშირის დროშაც ფრიალებს, რაც ამ კლუბში გაწევრებაზე ქვეყნის ურყევი გადაწყვეტილების შესახებ მიუთითებს“.**

უბედურებაც ეგ არის — დროშების ფრიალის იქით ეს „ურყევი გადაწყვეტილება“ არ მიდის, რადგან, სხვა თუ არაფერი, როგორც The TIMES-ის კორესპონდენტი წერს, **„ძალიან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ნატოს ქვეყნები ამ ფეთქებადსაშიშ რეგიონში რუსეთთან კონფლიქტს გარისკავენ“.**

არ გარისკავენ, ცხადია.

ჰოდა, ეს მოწვეული კაციც კი საქართველოს პერსპექტივას პესიმისტის თვალით შეხედავს: „საქართველო დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობს, მაგრამ კიდევ რამდენჯერ შეძლებს იგი ამ დღის აღნიშვნას?“ და ეს ეჭვი პუბლიკაციის სათაურშიც გამოაქვს.

THE TIMES

## ამერიკული «თავისუფლების პროგრამის» დასასრული

**„ფერადი რევოლუციების“ უსახელო დასასრულზე ამ ბოლო დროს იმდენი დაიწერა, რომ, გინდა-არგინდა, უნდა ირწმუნო მატერიალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლური დებულება რაოდენობრიობის თვისობრიობაში გადასვლის შესახებ: უფრო და უფრო დამაჯერებელი და არგუმენტირებული ხდება პუბლიკაციები. დასასრულის შესახებ, რომელიც ძალიან შორს დგას ამერიკის ტრადიციული „ჰეფი ენდისგან“, არავინ კამათობს, მაგრამ ამ მოვლენის გამო ისეთ სიხარულს, რომელსაც დენიელ ლარისონი The Week-ში დაუფარავად გამოხატავს, იშვიათად შეხვდებით: „უკანასკნელმა პროამერიკულმა „ფერადმა რევოლუციამ“ ყირგიზეთში... სული დალია და — მადლობა ღმერთს!“**

უხარია კაცს, რომ „თავისუფლების პროგრამა“ (Freedom agenda) ოფიციალურად შეწყდა, და ვაპატიოთ პოლიტოლოგს ასეთი ემოციური მიკერძოება.

დანიელ ლარისონისთვის, როგორც პრინციპული მიმომხილველისთვის, ვისთვისაც შინაგანად მიუღებელია ქვეყნის სათავეში მარიონეტი ხელისუფალის ყოფნა, ტიტების, თუ ვარდების, თუ ნარინჯისფერი რევოლუციების კრახი ჭეშმარიტი დემოკრატიზმისა და სუვერენიტეტის იდეალების გამარჯვებას ნიშნავს. ამიტომაც მოურიდებელია მისი დასკვნები და შეფასებები:

**„ბაკიევის დამხობა „თავისუფლების პროგრამის“ რეალიზაციის პროცესში მხოლოდ მორიგი მარცხია. ახლა ყირგიზეთის გადაყენებულ პრეზიდენტს შეუძლია შეუერთდეს უკრაინის ყოფილ პრეზიდენტს ვიქტორ იუშჩენკოს, რომელმაც საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა და საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. ყველა მათგანი „ფერადი რევოლუციის“ ლიდერები არიან, რომლებმაც ან უნიჭო მმართველობა დაამკვიდრეს, ან საკუთარ ქვეყნებში სხვა უბედურებების მიზეზად იქცნენ.**

**როგორც იუშჩენკოს ან სააკაშვილის მმართველობა, ბაკიევის რეჟიმი ადამიანის უფლებების მრავალრიცხოვანი დარღვევებით გამოირჩეოდა, ასევე, კორუფციის გავრცელებით, და ის იმ ხელისუფლებაზე უარესი აღმოჩნდა, რომელიც თავად შეცვალა. უფრო მეტად, ვიდრე „ნარინჯისფერი რევოლუცია“ (უკრაინა) ან „ვარდების რევოლუცია“ (საქართველო), ყირგიზული „ტიტების რევოლუცია“ თავისი არსით სახელმწიფო გადატრიალება იყო, რომლის მამოძრავებელ ძალად წარმოდგა რეგიონული ელიტის კონკურენცია, ასევე, იმდროინდელი პრეზიდენტის მიმართ ელიტის მტრული დამოკიდებულება“.**

კრიტიკულადაა განწყობილი ავტორი დასავლური მედიის მიმართ, რადგან სწორეს მან — მასმედიამ **„ფერადი რევოლუციები რომანტიზმის საბურველით შემოსა როგორც „ხალხის ძალაუფლების“ ჭეშმარიტი გამოვლინება**, რომელიც კორუმპირებული რეჟიმების წინააღმდეგ ილაშქრებდა. **სინამდვილეში, ეს რევოლუციები წარმოადგენდა ჩინოვნიკების ერთი ჯგუფის მეორეთი შეცვლას, ხოლო მათ შორის მთელი სხვაობა ის იყო, რომ ახალი ჯგუფი რუსეთის გავლენის მიმართ უფრო მტრულად იყო განწყობილი“.**

გავიხსენოთ, რომ The Week-ის მიმომხილველის ეს დასკვნა რეზონირებს 2003-04 წლებში ქართულ პრესაში (მაგალითად, „საქართველოს რესპუბლიკა“, ბონდო მძინარაშვილი „ასი დღე და შეცდომით ჩართული წამმზომი“) გამოთქმულ შეხედულებებს, რომლებშიც ეჭვქვეშ იყო დაყენებული მომხდარი გადატრიალების რევოლუციურობა.

შემდეგ და შემდეგ ასეთი შეფასებები გავრცელდა ადგილობრივ თუ უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და ამჟამად თითქმის საყოველთაოდ მიღებული პოზიციაა. ცხადია, ხელისუფლების წარმომადგენელთა და მათი მეხოტბეების გამოკლებით. ამ კატეგორიაში თავისთავად იგულისხმება პროსოროსული ორგანიზაციები შინ თუ გარეთ.

**„ეს ფერადი რევოლუციები**, — აგრძელებს პუბლიკაციის ავტორი, — **სამივე ქვეყანას ძვირი დაუჯდა, მაგრამ შედეგად აშშ-ს ინტერესებიც დაზარალდა. ვაშინგტონის და მოსკოვის ურთიერთობის აღდგენა მხოლოდ ახლა ხდება, ხანგრძლივი დაძაბულობის შემდეგ, რაც ანტირუსული რეჟიმებისადმი ამერიკულ მხარდაჭერას მოჰყვა. მეტიც, ფერადი რევოლუციების მარცხმა სამივე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში მტკიცედ დაუკავშირა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკური კატასტროფა პროამერიკულ ორიენტაციას. როგორიც გინდა იყოს შეერთებული შტატების ლეგიტიმური ინტერესები ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებში, ყველა ამ ინტერესს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა...**

**საბოლოო ჯამში ცხადი გახდა, თუ რამდენად ფუჭია რუსეთის მეზობელ ეზოში მისი უფლებების შეზღუდვის მცდელობა“.**

მცდელობის ასეთი სასტარტო მოედნიდან არეკლილი დანიელ ლარისონი შემდეგ დასკვნას გვთავაზობს:

„დემოკრატიისა და „თავისუფლების პროგრამის“ სადიდებელი რიტორიკის მიუხედავად, **ვაშინგტონმა მაინც ვერ შეძლო ყველაზე ცხადი და მნიშვნელოვანი ელემენტის სწორად შეფასება: ხალხის ჭეშმარიტი ინტერესებისა და მათი მოთხოვნის.** 2008 წლის ივლისში კომპანია Gallup-ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევების თანახმად, ამ სამივე რესპუბლიკაში ხალხის დიდ უმრავლესობას სურდა ან რუსეთთან კარგი ურთიერთობა, ან კარგი ურთიერთობა ერთდროულად შეერთებულ შტატებთანაც და რუსეთთანაც. ამ ქვეყნებში არასდროს დაუჭერიათ მხარი ისეთი ვარიანტისთვის, როგორიცაა აშშ-ს ანტირუსულ სატელიტებად ყოფნის სურვილი“.

THE WEEK



„კონტრრევოლუციური“ ბიშკეკი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქართაგან ძლიერთა»

## ტანკები და მერის არჩევნები ნუგეშისთვის

**„მიშა ბრუნდება!“ — ასეთი პრომიშისტული შეძახილით იწყება მარკუს ბერნატის წერილი Der Standard-ში, — „2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ პირველ პოლიტიკურ არჩევნებში საქართველოს პრეზიდენტს — მიხეილ სააკაშვილს გარანტირებული გამარჯვება ელის“. და აქ მთავრდება ავტორის ოპტიმიზმი, რადგან მთელი ეს პუბლიკაცია სააკაშვილის გაბიაბურების კლასიკური ნიმუშია და, ნუ დაიზარებთ, წაიკითხეთ!**

თუნდაც იმიტომ, რომ გაიგოთ, როგორ ახერხებენ უცხოელი ჟურნალისტები, თავი აარიდონ მათი ინტერესის ობიექტის პიროვნულ შეურაცხყოფას და, ამასთან, ისე ჩადონ მიწაში, რომ ვერანაირი ადვოკატი ვერ აუხირდება. პოულობენ ნეიტრალურ ამოსავალ წერტილს, ზოგად ჭეშმარიტებას, მაგალითად, ასეთს:

**„არამდგრადი ადამიანები ხშირად უცნაური ჭორების წყარო ხდებიან“.** ასეა. ჰოდა, თუ ასეა, იმასაც გეტყვით, რასაც „ჭორად“ ავრცელებენ: **„საქართველოს მეთაურზე, მიხეილ სააკაშვილზე ახლა იმასაც ამბობენ, რომ თავის საპრეზიდენტო თვითმფრინავში ჯეიმს ბონდივით სავარძელს კატაპულტირების ღილაკი დაუყენა. რადგან მისი ახლო მოკავშირის, პოლონეთის პრეზიდენტის — ლეხ კაჩინსკის ტრაგიკული კატასტროფის შემდეგ, პილოტის შეცდომის ეშინიაო“.**


2010 წლის 26 მაისი

ჭორი უძახე და „არამდგრადია“ და „მშიშარა“ შემოგვასაღა. შემდეგ შიშის მომენტს ამძაფრებს შარშან სამხედრო აღლუმის ჩაუტარებლობის მიზეზის მოხმობით: ეგვიპტის პრეზიდენტის — ანვარ სადათის ბედის გაზიარების შეეშინდაო: ანვარი სამხედრო აღლუმის დროს ჩაცხრილეს.

გენიალური ანდაზაა — რაც უფრო ღრმად შედიხარ ტყეში, უფრო მეტი შეშაა. „შედიხარ“ ამ პუბლიკაციაში და ასეთი „შეშა“ შტაბელებად დაწყობილი გხვდება: **„პრეზიდენტი, რომლის ქმედებებიც ხშირად გაუთვლელია“, „წაგებული ომი“, „2008 წლის ომის მარცხი“, „ომში მარცხი, დევნილების დრამა და სამხედრო დაუდევრობა (ომის დაწყებაზე პასუხისმგებლობა, რომელიც ტალიავინის კომისიამ უშუალოდ მას დააკისრა“. — ა.ს.) საქართველოს დღემდე მძიმე ტვირთად აწევს“** და ა.შ.

დამარცხებულ მთავარსარდალს ტანკები აღლუმზე გამოჰყავს და თბილისის მერის არჩევნებში თავისი კანდიდატის გამარჯვებას სამხედრო ძალის დემონსტრირებით ცდილობს:

**„ადგილობრივ არჩევნებამდე სულ რაღაც ოთხი დღით ადრე, წაგებული ომის შემდეგ პირველი პოლიტიკური გამოცდის დროს, სააკაშვილს თბილისში კვლავ ტანკები გამოჰყავს და ქართულ ხუთჯვრიან დროშებს აფრიალებს. გზავნილი ასეთია: პრეზიდენტი კვლავაც მყარად ზის უნაგირზე“.**

დავაზუსტოთ: უნდა რომ მყარად იჯდეს, ასე გვაჩვენებს. უნაგირია მოყანყალებული და დღეს-ხვალ იორღას ზურგიდან მხედრიანად ჩამოსრიალდება.

რა შეიძლება ითქვას წინასაარჩევნო პერიოდის ოპოზიციაზე? წერილის ავტორი ასაბუთებს, რომ **ოპოზიცია ამ ვითარებაში ერთსულოვანი არ არის. ყველა ლიდერი პოსტსააკაშვილის პერიოდზე უფროა აქცენტირებული, ვიდრე საარჩევნო კამპანიის შედეგიან ორგანიზებაზე.** ამათი ლოგიკა, როგორც ერთ ძველ გამოცემაში ამოვიკითხე, არის „თავდაჯერებული მოძრაობა მცდარი მიმართულებით“.

DER STANDARD

# ამერიკამ ბიშკეკს საქართველოს ხელი გაუწოდა

**„როზა უთუნბაევას ეახლნენ ქართველი მრჩევლები, რომლებიც აშშ-დან ფინანსდებიან“, — გვატყობინებს ალექსანდრ გრიშინი Комсомольская правда-ს 28 მაისი-3 ივნისის ნომერში.**

ეს ნიშნავს, რომ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიწვევით ყირგიზეთის ხელისუფლებას კონსულტაციას გაუწევს დამოუკიდებელი ქართული კომპანია Policy and Management consulting Group (PMCG). ოფიციალური განმარტებით, ამ „გრუპმა“ დახმარება უნდა აღმოუჩინოს ყირგიზეთის პოსტრევოლუციურ მთავრობას მაკროეკონომიკის, გადასახადების დაგეგმვის პრობლემების განსაზღვრასა და პრიორიტეტების გარკვევაში და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„ამერიკელებმა უთუოდ იჩქარეს. — შენიშნავს ავტორი, — ოფიციალური რელიზების მიხედვით, ქართველმა კონსულტანტებმა კრიზისის შემდგომი განვითარებისთვის უნდა გასცენ რეცეპტები, კრიზისი კი ყირგიზეთში (გინდა — პოლიტიკური, გინდა — ეკონომიკური, გინდა — სოციალური) დასრულებისგან შორს არის.

**ყირგიზეთს ახლა ექსპერტები კი არ სჭირდება, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების მიხედვით დაუდგენენ დასაშვები ინფლაციის დონეს, არამედ ადამიანები, რომლებიც გაჩანაგებისგან იხსნიან ქვეყანას. როგორც ერთ-ერთი ვარიანტი — მისცემენ ფულს, რომელიც, საეჭვოა, ყირგიზებს ქართველებისგან ეღირსოთ. რჩევებისგან განსხვავებით“.**

ჩვენ რას გამოვრჩებით აქედან, ქართველები?

შერცხვენას და თავის მოჭრას, რადგან ამერიკული ჯგუფის ხელმძღვანელს — **ლექსო ალექსიშვილს** კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა რომ შეძლებოდა, საქართველოს ჯერ ეკონომიკის, შემდეგ ფინანსთა (თუ პირიქით?) მინისტრობის დროს საქმით გამოავლენდა. მაგრამ თუ შეძლო და ფეხზე დააყენა „კონტრრევოლუციური“ ყირგიზეთი, მაშინ — სირცხვილი და თავის მოჭრა მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც ალექსიშვილი მოიცილა მთავრობიდან: ვერ შეაფასა კადრი!

ხოლო საქართველოს ახლანდელი ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრები (ვისი გვარებიც არ ვიცი და, არა მგონია, ნაადრევი სკლეროზის გამო) ააყვავებენ.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА!


როზა ოთუნბაევა

# აღელვებული საქართველო ირანს და თურქეთს ეხუტება

**ასეთი სათაურით აქვეყნებს მოკლე წერილს The News. გამოცემის საავტორო ფუნქციებში ჩარევა, არაპროფესიონალიზმის პირველი ნიშანია. მაგრამ, არა მგონია, რჩევის მიცემაზეც ვრცელდებოდეს ამგვარი მიდგომა. ვთქვათ, — ასეთის:**

**ჯერ ერთი**, საქართველო არც ირანს, არც თურქეთს არ ეხუტება. ეს ხელისუფლების პრეროგატივაა. **მეორე,** ხელისუფლება კი არ ეხუტება, დაუწვა. **მესამე:** დაუწვა იმიტომ, რომ პრეზიდენტმა ორიენტაცია შეიცვალა. ამიტომ — „აღელვებული“ კი არა, „ორიენტაციაშეცვლილი“ უნდა გამოვიტანოთ სათაურში.

ამ შენიშვნებით ახალ სათაურს თუ ააწყობთ, თქვენი საქმეა. მე განზე ვდგავარ.

ფაქტებს კი მოვლენის პრეტენზია გაუჩნდა: ერთმანეთის მიყოლებით საქართველოში ჩამოდიან თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯიპ ტაიპ ერდოღანი და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩეხრ მოტაკი, პირველს სააკაშვილი ოქროს საწმისის ორდენით აჯილდოებს, მეორეს — ჯერ-ჯერობით არა. სამაგიეროდ, ირან-საქართველოს შორის უვიზო რეჟიმზე შეუთანხმდება ჩვენი მთავარი დიპლომატი.

ვაშაძე ირანს ბოდიშს უხდის ტერორიზმში ეჭვმიტანილი ირანელი მოქალაქის აშშ-სთვის გადაცემის გამო.

მხოლოდ ფაქტებია? რა თქმა უნდა, მაგრამ ამ ფაქტებში ზის ის ეშმაკი, რომელმაც თავის დროზე ადამი და ევა შეაცდინა.

ორიენტაციის არჩევის საკითხია — ვისთან გსურს იყო.

ქართველი ანალიტიკოსების აზრით, „იმ პირობებში, როცა აშშ და ევროპის ყურადღება საქართველოს მიმართ შემცირდა, თბილისს სხვა არჩევანი აღარ დარჩენია, თუ არა აქტიური თანამშრომლობა ორ აღმოცენებულ სერიოზულ ძალასთან — თურქეთთან და ირანთან“ (**ანდრო ბარნოვი**).

აძლევს თუ არა ხელს ეს არჩევანი აშშ ადმინისტრაციას, საკითხავი არც არის. ამიტომ, ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, ჰილარი კლინტონი ჩამოდის საქართველოში. ყურის ასაწევად? ყოველ შემთხვევაში, არა საქართველოს ხელისუფლებისთვის მხარდაჭერის დემონსტრაციის მიზნით.

**„საქართველოს პროდასავლურ მთავრობას,** — ნათქვამია The News-ის პუბლიკაციაში, — **აშშ ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ფართო რეკლამირებას უწევდა როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის დემოკრატიული განვითარების მისაბაძ მოდელს,** ასევე მხარს უჭერდა პატარა კავკასიურ სახელმწიფოს რუსეთთან კონფლიქტში.

მაგრამ ზოგიერთი ანალიტიკოსი ამჩნევს, რომ **პრეზიდენტ ბარაკ ობამას დროს, რომელიც აშშ-რუსეთის ურთიერთობის „გადატვირთვას“ ცდილობს** (იმ ურთიერთობის, რომელმაც ცივი ომის შემდგომ პერიოდში, 2008 წლის მოსკოვის საქართველოსთან ომის შემდეგ ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია), **წარსულით დაინტერესებამ იკლო“.**

INTERNATIONAL THE NEWS

# ნასყიდობის 51 პროცენტი

**ვინც არ იცის, იმათთვის: ნასყიდი იგივეა, რაც ნაყიდი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, გვ. 353).**
**ვინც ვერ მიხვდა, იმათთვის:**
**ნაცბოლების 51 პროცენტზე ვლაპარაკობ.**

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა დაამტკიცა, რომ 51 პროცენტით, ოდნავ მეტით თუ ოდნავ ნაკლებით, ნასყიდები ვართ მმართველი პარტიის მიერ, სააკაშვილის მიერ, რომელსაც მსოფლიო თანამეგობრობამ ზურგი შეაქცია.

ნასყიდები!

გნებავთ, — მხოლოდ ელექტორატის 51 პროცენტი — ცოტა მეტი ან ცოტა ნაკლები.



ძველი რომიდან მოდის მომხრეების ნასყიდობა და რამ უნდა გაგვაკვირვოს?!

**ალბათ, მხოლოდ იმან, რომ დემოკრატიის ნაცვლად მატრიარქატი დაგვიმკვიდრეს საქართველოში: თუ პირველად „კარვის ქალები“ იყვნენ, ამათ იდეალი მაინც ჰქონდათ; ახლა ნაცბოლების ამორძალები, ბალზაკის ასაკის ქალები გამოვიდნენ ფრონტის წინა ხაზზე და ჭიანჭველებივით (სხვისი შედარებაა) მიესივნენ საარჩევნო უბნებსა და მათ შემოგარენ კუთხე-კუნჭულს, განსაკუთრებით, ვაკეში, ვერაზე, მთაწმინდაზე, საბურთალოზე — ტრადიციულად ოპოზიციურ უბნებში.**

ტელეკამერების წინ კი დემოკრატიის ამ ავანგარდს იმის ახსნაც არ შეეძლო, თუ რას ნიშნავდა მათი გუნდური გაფაციცება „ჩვენი ამომრჩევლების“ (!) სიების შრიალის ფონზე.

მეთვალყურეები — ივანე მრისხანეს ფხიზელი თვალი და გაწაფული ყური! ოპრიჩნინას უდღეური ვარიანტი.

ნახევარმა საქართველომ, დავაზუსტოთ, ელექტორატის ნახევარზე ცოტა მეტმა, უნდობლობა გამოუცხადა არჩევნებს — შინ დარჩა. ეგებ, სწორადაც მოიქცა...

მეორე ნახევრის 51-მა (მეტმა თუ ნაკლებმა) პროცენტმა მიიღო ის, რაც 33 ვერცხლის სანაცვლოდ მოსთხოვეს.

**შეირგეთ და მშვიდობაში მოგახმაროთ!**

მიმოხილვა მოამზადა **არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# კრისტოფერ კოუკი აშშ-ის წინააღმდეგ, ანუ გლობალური ელიტა და ნარკოტიკები

**კინგსტონის ღატაკ უბნებში მიმდინარე პოლიციის სპეცოპერაცია სულ უფრო მეტად ემსგავსება ხოცვა-ჟლეტას. იამაიკის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ნარკობარონი კრისტოფერ კოუკი ამერიკის შეერთებულ შტატებს გადასცეს, ამ უკანასკნელის შეიარაღებულ მომხრეებს შორის კი, როგორც ახლა ირკვევა, კინგსტონის ღარიბთა კვარტლების მშვიდობიანი მცხოვრებლებიც შედიან. მაფიისა და სპეცსამსახურების, კორუმპირებული ადგილობრივი პოლიტიკოსებისა და ზესახელმწიფოების ინტერესების სასწაულებრივი გადახლართვა და იამაიკის მოსახლეობის სიღატაკე ერთ-ერთი უსაშინელესი მანკიერების ინსტიტუციონალიზაციაზე დაფუძნებულ ახალ სოციალობას ქმნის.**

## აშშ-ის სპეცსამსახურები ნარკოვაჭრობით ფინანსდება



**კრისტოფერ კოუკი იამაიკის იმ ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების მეთაურია, რომელიც აშშ-ს, კანადასა და ბრიტანეთს მარიხუანითა და კოკაინით ამარაგებს, პარალელურად კი იარაღით არალეგალურ ვაჭრობასაც ეწევა. თავად დაჯგუფება დაუნდობლობითა და მოწინააღმდეგეთა რიტუალური მკვლელობებით სახელგანთქმული ბანდების ქსელია. აშშ-ის ნარკოტიკების ბრუნვის მაკონტროლებელი სამმართველო კოუკს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ნარკობარონად მიიჩნევს.**

კრისტოფერი, სულ მცირე, მეორე თაობის ნარკობარონია. მისი მამა ლესტერ ლოიდ კოუკი იმავე ორგანიზაციის ლიდერი იყო და 1987 წელს აშშ-დან ექსტრადირების შემდეგ ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ იამაიკის ციხეში გარდაიცვალა. სწორედ მაშინ გადაიბარა კრისტოფერმა მამის დაწყებული საქმე.

ერთი წლის წინათ ნიუ იორკის სამხრეთ ოლქის საოლქო სასამართლომ კოუკს აშშ-ში იარაღისა და ნარკოტიკების კონტრაბანდის ბრალდება წაუყენა. უწყების მტკიცებით, ის შტატების ტერიტორიაზე დამნაშავეობრივ ქმედებას 1994 წლიდან ეწევა და ბრალდებათა შეკრების მეთოდით სამუდამო პატიმრობა ელის. აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ იამაიკის ხელისუფლებას მოსთხოვა, გადასცეს დამნაშავე, რათა მისი სასამართლო შედგეს.

**აღნიშნული მოთხოვნა უკიდურესად სულელურია, რადგან როგორი ფესვგადგმული დამნაშავეც არ უნდა იყოს კოუკი, ის იამაიკის მოქალაქეა და პრინციპულად დაუშვებელია, გასასამართლებლად სხვა ქვეყანას გადაეცეს. ამერიკას დამნაშავის სამშობლოსთვის უნდა გადაეცა მისი დანაშაულის დამამტკიცებელი მასალები და დასჯა მოეთხოვა, მაგრამ ამერიკელებმა, რატომღაც, ამ საკითხში ყველაფერი თავდაყირა დააყენეს.**

იამაიკის პრემიერ-მინისტრი ბრიუს გოლდინგი დამნაშავის აშშ-სთვის გადაცემაზე ცხრა თვის განმავლობაში აცხადებდა მტკიცე უარს, მაგრამ არა იმ მოტივით, რომ კოუკი იამაიკის მოქალაქეა და ვინმესთვის გადაცემას არ ექვემდებარება, არამედ იმის გამო, რომ უკანონოდ მიიჩნია დანაშაულის მტკიცებულებების მოპოვების გზა — კრისტოფერის სატელეფონო საუბრების მოსმენა.

## ნარკობარონებზე ნადირობის მოტივით აშშ ახალ ექსპანსიას გეგმავს

**პრემიერის გაჯიუტების გამო აშშ-სა და იამაიკას შორის ურთიერთობა დაიძაბა, ამ უკანასკნელს შტატებში ოფიციალური პირები ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არასაიმედო მოკავშირედ აცხადებენ. მართალია, დამნაშავის დასაკავებლად პანამის მსგავსად იამაიკაში აშშ-ის შეჭრაზე გახსნილად საუბარი ჯერ არავის წამოუწყია, მაგრამ საამისო მინიშნებები იმდენად ცალსახა იყო, რომ იამაიკის პრემიერი შეშფოთდა.**

**შეშფოთდა იმის გამოც, რომ გოლდინგსა და კოუკს შორის იყო და არის მჭიდრო კავშირი, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება კორუფციად კვალიფიცირდეს. კოუკი ლეიბორისტული პარტიის მთავარი სპონსორი იყო, ამ პარტიის ხელმძღვანელ გოლდინგის ხელისუფლებაში მოსვლა კი დიდწილად სწორედ ნარკობარონის დამსახურებაა. პარტიის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სენატორი ბოლო დრომდე კოუკის ადვოკატი გახლდათ. კოუკის წინააღმდეგ წასვლა პრემიერისთვის იმ ტოტის მოჭრას ნიშნავდა, რომელზეც თავად იჯდა.**

კოუკის სამშენებლო კომპანია ამერიკული მოთხოვნის შემდეგაც სახელმწიფოსგან მილიონიან კონტრაქტებს იღებდა. ნარკობარონის მეორე კომპანია კვლავაც მასიური ღონისძიებების, კონცერტებისა და ფესტივალების მთავარი ორგანიზატორია ქვეყანაში. გოლდინგის წარმომადგენლებმა დაიქირავეს ლობისტური ფირმა „Manatt, Phelps & Phillips“, რომელსაც ამერიკელი ჩინოვნიკებისათვის კოუკის გადაცემის მოთხოვნა უნდა გადაეფიქრებინათ. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამის თაობაზე ოპოზიციამ შეიტყო და პრემიერის გადადგომა მოითხოვა, გოლდინგი იძულებული გახდა, კრისტოფერ კოუკის დაპატიმრების ბრძანება გაეცა.

ეს იმ კატეგორიის ბრძანება აღმოჩნდა, რომლის გაცემაც ადვილია, შესრულება კი — ძნელი. ნარკობარონს რობინ ჰუდის იმიჯი აქვს, მის დასაცავად არა მხოლოდ მის დაქვემდებარებაში მყოფი დაჯგუფებები, არამედ ყველა ღატაკი ფეხზე დადგა. აღმოჩნდა, რომ კოუკი წლების განმავლობაში ზრუნავდა ქვეყნის ღატაკთა კვებაზე, იხდიდა მათ გადასახადებს, ასწავლიდა მათ შვილებს — აკეთებდა ყველაფერს, რაც, წესით, სახელმწიფოს უნდა ეკეთებინა. ამიტომაც ხალხი მას „პრეზიდენტს“ უწოდებდა. ორიოდე დღის წინ მისი დაკავების ოპერაციის მსხვერპლთა რაოდენობა 60-ს აჭარბებდა, დამნაშავე კი კვლავ თავისუფალი იყო.

**კრისტოფერ კოუკის ისტორიაში არის უამრავი ფაქტი, რომელიც ამერიკის მხრიდან ნარკოვაჭრობასთან ბრძოლის დეკლარირებულ სურვილს ეჭვქვეშ აყენებს, თუმცა კოუკი კიდევ ერთი მტკიცებულებაა. ეს ეჭვი იუგოსლავიის ომის დროიდან ცოცხლობს, ამერიკული ჯარის ავღანეთში შესვლის დროიდან იქ ნარკოტიკების წარმოების აყვავებაზე სათქმელიც აღარაფერია.**

გაურკვეველია, რატომ დაინტერესდა იუსტიციის სამინისტრო მისით მხოლოდ 2009 წელს, თუ, მისივე მტკიცებით, კოუკი აშშ-ში 1994 წლიდან „მოღვაწეობს“? ან რით დამთავრდებოდა ლობისტური ფირმის ამბავი, იამაიკელ ოპოზიციას რომ არ ეყოჩაღა? როგორც ჩანს, კოუკი, ისევე, როგორც თავის დროზე ნორიეგა, ამერიკელებს გარკვეულ დრომდე აწყობდათ, შემდეგ კი მან ან ზედმეტის ლაპარაკი დაიწყო, ან პოლიტიკური ამბიციები გაუჩნდა, ან გაძუნწდა და მსოფლიოს ძლიერთა მასთან დაკავშირებული გეგმებიც შესაბამისად შეიცვალა.

**სინამდვილეში აშშ-ის ეგიდით მიმდინარე ანტინარკოტიკული კამპანია ის ფარსია, რომელმაც მთავარი უნდა დაფაროს; მსოფლიო ნარკომაფია გლობალური ისტებლიშმენტის ინტერესებს ექვემდებარება და მისი განუყოფელი ნაწილია.**

მესამე მსოფლიოს ქვეყნების — იამაიკის, ავღანეთისა და სხვათა ექსპლოატაცია ამ ქვეყნების მოსახლეობას, ნარკოეკონომიკაში ჩართვის გარდა, გადარჩენის გზას არ უტოვებს. ამერიკის მიერ კონტროლირებადი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მითითებით ამ ქვეყნების კორუმპირებული ხელისუფლებები ეკონომიკური განვითარების სხვა ყველა განშტოებას მიზანმიმართულად ანადგურებენ.

**ნარკოვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები აშშ-ის, ბრიტანეთისა და მთელი რიგი ქვეყნების სპეცსამსახურების არასაბიუჯეტო დაფინანსების ნაცადი წყაროა. ამ ფულით მოისყიდებიან პოლიტიკოსები, ხორციელდება ხავერდოვანი რევოლუციები, ფეთქდება ცათამბჯენები და კეთდება კიდევ ბევრი ისეთი საქმე, რომელთა შესახებაც პარლამენტის სპეციალურ კომისიებსაც არ უყვებიან. ნარკობარონები კი ხშირად თავად არიან სპეცსამსახურების აგენტები.**

კრისტოფერ კოუკის დევნა, შესაძლოა, ლათინურ ამერიკაში აშშ-ის ფართოდ შეჭრის დასაწყისი აღმოჩნდეს. ლათინურ ამერიკაში მემარცხენეების ხელისუფლებაში მოსვლა აშშ-ის ხელისუფლების აღფრთოვანებას სულაც არ იწვევს და დაკარგული გავლენის დასაბრუნებლად გეგმები, დიდი ხანია, მუშავდება. ნებისმიერ ცინიკურ გეგმას მორალურად უმწიკვლო იდეოლოგიური ნიღაბი სჭირდება. სერბებისთვის ამგვარი ნიღაბი ადამიანის უფლებების დაცვა იყო, ავღანეთისთვის — საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა, ერაყისთვის — მასობრივი განადგურების იარაღთან ბრძოლა. ნარკოტიკებთან ბრძოლა ლათინურ ამერიკაში აშშ-ის მორიგი ექსპანსიისთვის მშვენიერი მიზეზია, მით უფრო, თუ გარკვეული დროის შემდეგ კოუკის საქმეში ვენესუელის კვალიც გამოიჩხრიკება.

*newsland.ru*

# ლიბერალიზმიდან თვითმკვლელობამდე — დასავლეთის საზოგადოებამ ცხოვრების აზრი დაკარგა

**პოსტლიბერალური საზოგადოება, რომელიც თავის საფუძვლად მორალის, ტრადიციებისა და თვით ჯანსაღი აზრის კონტროლს მოკლებულ სიამოვნებას აცხადებს, კოლოსალური პრობლემების პირისპირ აღმოჩნდა. ამ საზოგადოების წევრებს შორის სულ თვითგანადგურების გზაზე დამდგართა რაოდენობა იზრდება. საუბარია არა მხოლოდ ალკოჰოლით, ნარკოტიკებით, ათასგვარი გარყვნილებით განპირობებულ „ნელ თვითმკვლელობაზე“, არამედ — სუიციდზეც.**



მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ შოტლანდიის ხელისუფლება იძულებული გახდა, გადაეღო სოციალური სატელევიზიო რეკლამა, რომლის მეშვეობითაც, ქვეყანაში თვითმკვლელობათა ზრდას თუ ვერ შეაჩერებს, პრობლემისადმი ყურადღების მიპყრობას მაინც მოახერხებს. სუიციდის რაოდენობის შესამცირებელი სარეკლამო რგოლი ხელისუფლების ათწლიანი პროგრამა „Choose Life“-ის ნაწილია. მისი მიზნობრივი აუდიტორია 18-დან 44-წლამდე ასაკის მამაკაცებისაგან შედგება. რეკლამამ ადამიანებს მათთვის პრობლემური საკითხების განხილვისაკენ უნდა უბიძგოს, რათა დროულად მიიღონ დახმარება. ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის მტკიცებით, უკიდურესად მნიშვნელოვანია, თვითმკვლელობის პრობლემის ირგვლივ გამეფებული მდუმარება დაირღვეს.

**„Choose Life“-ის ორგანიზატორების მონაცემებით, შოტლანდიაში** ►

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

**მაშ ასე, მსოფლიო ფინანსური კრიზისის მეორე ტალღა აზვირთდა, ამჯერად — ევროპაში. და როგორც არ უნდა ამშვიდებდნენ მსოფლიოს ევროპელი ოფიციალური პირები, ევროპის ცენტრალური ბანკის მასშტაბური დახმარებები სუსტ ქვეყნებს ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში დაეხმარებაო, არ უნდა მოვტყუვდეთ: ოფიციალური პირების პირდაპირი მოვალეობაა, ობივატელს უკანასკნელ წუთამდე უმტკიცონ, რომ მდგომარეობა კონტროლს ექვემდებარება. სინამდვილეში ევროპა იძირება.**

# მესამე მსოფლიოს საზღვრები ფართოვდება — ზესახელმწიფოებმა საბერძნეთი გაწირეს

ახლა ევროკავშირის ხელმძღვანელობა ცდილობს, მდგომარეობის კრიზისამდე მისვლა საბერძნეთის ხელისუფლების მანკიერებებს, ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობასა და ბერძნების დარდიმანდობას დააბრალოს.

**თანამედროვე კრიზისის სპეციფიურობა ისაა, რომ ეს ინფორმირებული საზოგადოების კრიზისია, იმ ეპოქისა, სადაც ცნობიერების ფორმირების ტექნოლოგიები ბატონობენ. როდესაც მმართველი ელიტა კრიზისისაკენ მიმავალ პრობლემებს ვერ აგვარებს, სწორედ ამ ტექნოლოგიებს მიმართავს და ცდილობს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ყველაფერი კარგადაა. მეორეს მხრივ, თანამედროვე ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად ვირტუალური ხასიათისაა. მისი პარამეტრები, ძირითადად, ბირჟებზე განისაზღვრება, ბირჟების მდგომარეობა კი ახალ ამბებზეა დამოკიდებული. ამის გამო ელიტა ცდილობს, მიუხედავად რეალობისა, რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოს პოზიტივი ახალ ამბებში, რათა გარკვეული დროით მაინც აკონტროლოს მდგომარეობა და რაც შეიძლება მეტი მოგება გამოწუროს. მაქსიმალური შემოსავალი და ხელისუფლების შენარჩუნება მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობაში ელიტებისთვის უმთავრეს მოტივად რჩება.**

ცხადია, მიჩქმალვა საქმეს ვერ შველის. რეალური პრობლემები რთულდება და, როდესაც კრიზისი მაინც იწყება, ის გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე ანტიკრიზისული პოლიტიკის პიარით ჩაუნაცვლებლობის შემთხვევაში იქნებოდა. ცნობიერების ფორმირების ტექნოლოგიები კი




## ევროპა მსოფლიო სავალუტო ფონდს ჩაბარდა, ბედნიერი საბერძნეთი — ისტორიას

დღითიდღე იხვეწება და უფრო ხანგრძლივი დროით იძლევა საგანგაშო მდგომარეობის შენიღბვის საშუალებას. შესაბამისად, კრიზისიც უფრო მასშტაბურ ფორმებამდე მწიფდება და მოსახლეობისთვის მისი შედეგებისგან მიყენებული დარტყმა ყოველ ჯერზე ძლიერდება; მით უფრო, რომ ნებისმიერი დაგვიანებული ანტიკრიზისული პოლიტიკა არაპრივილეგირებული ფენების ხარჯზე ხორციელდება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მეორე თავისებურება ისაა, რომ ისინი ზემოქმედებას ახდენენ თავად მათ მომხმარებელ ელიტაზეც. ელიტას თავადაც ავიწყდება, რომ სასიკეთო ახალი ამბები ობივატელისთვის გამოიგონა და საკუთარ მითებს იჯერებს. ამიტომაა, რომ კრიზისი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით გამოჩნდება ხოლმე ყველასათვის — უბრალო მოკვდავებისთვისაც და ელიტის წარმომადგენელთათვისაც.

**მაშ ასე, ინვესტორები, მიუხედავად ვალის, ბიუჯეტის დეფიციტისა და სხვა ინდიკატორების საგანგაშო მაჩვენებლებისა, ბერძნული და სხვა პრობლემური ეკონომიკებისადმი ნდობას განაგრძობდნენ. ისინი თვლიდნენ, რომ ევროკავშირი თავისი წევრი საბერძნეთის გაკოტრებას არ დაუშვებდა, მაგრამ თავად ევროკავშირის მდგრადობის თაობაზე ეჭვი არავის გასჩენია. ინვესტორების ამგვარი დამოკიდებულება ციდან არ ჩამოვარდნილა, ის რეიტინგულმა სააგენტოებმა, საინვესტიციო კონსულტანტებმა, ბანკების ანალიტიკოსებმა და რესპექტაბელურმა ეკონომიკურმა პრესამ ჩამოაყალიბა.**

ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით რეალობის შელამაზებამ შესაძლოა პრობლემები გააღრმაოს, მაგრამ ის თავისთავად პრობლემებს ვერ წარმოქმნის. მართალია, საბერძნეთის ხელისუფლებას სოციალიზმის მშენებლობაში ადანაშაულებენ და კრიზისის მიზეზადაც ამას ასახელებენ, მაგრამ საბერძნეთისა და ევროპის დანარჩენი კრიზისსმიახლოებული ქვეყნების პრობლემა ისაა, რომ ისინი ძალიან დიდხანს ცდილობდნენ, ერთდროულად აეშენებინათ კაპიტალიზმიცა და სოციალიზმიც. ამ ქვეყნების მოსახლეობა შედგება უმდიდრესი უმცირესობისგან, როგორც ეს კაპიტალიზმს შეეფერება და მოსახლეობის თითქმის 100%-ის მომცველი საშუალო ფენისაგან, რაც წმინდად სოციალისტური ფენომენია.

**ამ საშუალო ფენას ახლა ნამდვილად რთულად ექნება საქმე, უკვე აქვს კიდეც რაც, გარკვეულწილად, დაიმსახურეს — ხანგრძლივი დროის განმავლობაში მათ კარგად უხდიდნენ იმისთვის, რომ კაპიტალისტურ-სოციალისტურ ქვეყანაში მდიდრებსა და საშუალო ფენას შორის კლასობრივი მშვიდობა შეენარჩუნებინათ და ხალხს რევოლუციები აზრადაც არ მოსვლოდა. უხდიდნენ მესამე მსოფლიოს, ფაქტიურად, კლასის მიხედვით მათივე თანასწორების არაადამიანური ექსპლოატაციით ნაშოვნ ფულს. ამ ექსპლოატაციას თავად საბერძნეთი არ ეწეოდა, მას თავის დროზე დიდმა კოლონიალურმა ზესახელმწიფოებმა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო მსოფლიოს „ოქროს მილიარდში“ ადგილი აჩუქეს.**

ხელისუფლება მოსახლეობას არწმუნებდა, რომ მათ უზრუნველი ცხოვრების საშუალება ბრძენი ხელისუფლების წყალობით ჰქონდათ. თავად ბერძნები კი ფიქრობდნენ, რომ ყველაფერს საკუთარი შრომით მიაღწიეს. ცნობიერების ფორმირების ტექნოლოგიებმა კარგად იმუშავეს და მოახერხეს, რომ ეს ორი მტკიცებულება კლასობრივი თანხმობის ქვეყანაში კონფლიქტისათვის აერიდებინათ.

**ახლა, როდესაც გაირკვა, რომ მიმდინარე ხარჯებისათვის ფულს აღარავინ იძლევა, ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ისეთი დაპირისპირება მწიფდება, რომ კლასობრივი მშვიდობისგან, შესაძლოა, მოგონებაც აღარ დარჩეს.**

**კრიზისი ერთდროულად სამი — ეროვნული, ევროპული და გლობალური იდენტურობის ფონზე ვითარდება. ბერძნები, როგორც ევროპის უძველესი ხალხი, ვერაფრით ეგუებიან იმ აზრს, რომ საკუთარ ბედს თავად აღარ განაგებენ, ვინაიდან საამისოდ ფული არ აქვთ. მათ ცოცხალი თავით არ სურთ გერმანიას კუნძულები გადასცენ და ამით უამრავი პრობლემა აიცილონ. ერთის მხრივ, მართალია, სისხლს წყალზე არავინ ცვლის, მაგრამ, მეორეს მხრივ, უკვე მეამბოხე ბერძნებს მდგომარეობიდან გამოსვლის საკუთარი ვერსიები არ გააჩნიათ.**

ევროპული იდენტურობა ამ კრიზისის მიმდინარეობისას სერიოზული სტრესის ქვეშაა. გამორიცხული არაა, რომ კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში სტრესი დეკონსტრუქციაში გადაიზარდოს. ერთიანი ევროპა წმინდად ეკონომიკურ საფუძველზე შენდებოდა და ამ იდეის ირგვლივ ქვეყნები კიდევ უფრო უკეთესი ცხოვრების სურვილმა გააერთიანა. ევროპული კავშირის საფუძველში იდეალური არაფერი ჩადებულა, მისი კონსტრუქციის პროექტიდან ქრისტიანული ერთიანობის თეზისიც კი საგულდაგულოდ ამოშალეს.

**კრიზისის პირველივე მახარობლების გამოჩენისას გაცხადდა, რომ არც გერმანიასა და არც საფრანგეთს სხვების სისულელეების გამო საკუთარ ჯიბეში ხელის ჩაყოფა არ სურთ. და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული სახსრების გაღება მაინც მოუხდათ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ევროკავშირის მდიდარი ქვეყნები ყოველთვის ასე მოიქცევიან, როცა ვიღაცას რესტორანში გადასახდელი ფული არ აღმოაჩნდება. თუ დამხმარე მაინც მოიძებნა, სანაცვლოდ ევროკავშირის არქიტექტურაში ცვლილებების შეტანა და ეკონომიკური ძლიერების შესაბამისად ქვეყნების უთანასწორო მდგომარეობის დადგენა გარდაუვალი მოთხოვნა იქნება.**

რაც შეეხება მიმდინარე პროცესების გლობალურ არსს, იმისათვის, რომ ტექნოლოგიური განვითარება ანაზღაურდეს, გასაღების ბაზრები მუდმივად უნდა იზრდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოიქმნება კრიზისი, რომელმაც შესაძლოა თავად კაპიტალიზმის არსებობას შეუქმნას საფრთხე. ამავე დროს, კაპიტალიზმი არის სისტემა, რომელიც ბირთვისა და პერიფერიისაგან შედგება. ბირთვი ახალი ტექნოლოგიების შემმუშავებელი ქვეყნები არიან, სხვა დანარჩენი კი პერიფერიაა.

**სსრკ-ის დაშლის შემდეგ კაპიტალისტური სისტემა გლობალური გახდა. მის ბირთვში ოქროს მილიარდის ქვეყნები — ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა და იაპონია აღმოჩნდნენ, პერიფერიაში კი — დანარჩენი დედამიწა. მაგრამ ტექნოლოგიური განვითარების ახალ ეტაპზე ოქროს მილიარდის მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ჯეროვანი გასაღებისთვის მთელი დანარჩენი მსოფლიოც აღარ კმარა. კაპიტალიზმი ისევ თავისი ექსპანსიის ზღვარზეა და ამან ახალი კრიზისი გააჩინა. პერიფერიის განვრცობა უკვე შეუძლებელია, მთელი პლანეტაა მოცული, გამოდის, რომ ბირთვი უნდა შემცირდეს.**

ვინაიდან სხვა გამოსავალი არ დარჩა და კაპიტალისტური სისტემის გადარჩენის გარდაუვალი პირობა ბირთვის შემცირებაა, გადაწყდა, რომ პროცესი ევროპიდან, მისი ყველაზე სუსტი ქვეყნებიდან უნდა დაიწყოს. იმ ქვეყნებიდან, რომლებიც არავის დაენანება და რომლებსაც არავინ გამოესარჩლება. ჰოდა, ევროპის სტაბილიზაციის ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი მსოფლიო სავალუტო ფონდი გახდა. როგორც ამბობენ, გამგები გაიგებს.

რაც შეეხება საბერძნეთის კუნძულებს, რომელთა დათმობასაც მას უკვე სთხოვენ, სულაც არაა ყველაზე დიდი საშინელება იმ საშინელებებიდან, რომლებიც ბერძნებსაც და სხვებსაც წინ ელით.

*newsland.ru*

---

**ყოველდღიურად ორი ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. პროგრამის დახმარებით სამ წელიწადში ამ მაჩვენებლის 20%-ით შემცირებას იმედოვნებენ, მაგრამ სოციალური ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ პრობლემის არსი ერის საბაზო საფუძველშია და მას ვერანაირი რეკლამა ვერ უშველის.**

**ბრიტანულ საზოგადოებაში რამდენიმე თაობის მანძილზე გამეფებულმა მატერიალიზმმა და არასულიერებამ ადამიანების სრული მორალური დეზორიენტირება განაპირობა. მათ ცხოვრების აზრი დაკარგეს.**

**უმთავრეს ღირებულებად მიჩნეული სიამოვნებისაკენ გაუმაძღარ სწრაფვას არ შესწევს უნარი, ადამიანისათვის საყრდენად იქცეს და უპასუხოს მის მთავარ კითხვას — რისთვის გაჩნ-**




**და ამ ქვეყანაზე.** ეს სულაც არაა რიტორიკული კითხვა და მასზე პასუხგაუცემლად ცოტა ვინმეს თუ შეუძლია მედგრად დაუხვდეს ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ადრე თუ გვიან დამდგარ რთულ პერიოდებსა და გამოცდებს.

**თუ არსებობის მიზანი სიამოვნების მიღებაა, როდესაც ადამიანი ამა თუ იმ მიზეზით ვერ ღებულობს სიამოვნებას, მისი სიცოცხლეც აზრს კარგავს. ზუსტად იგივე ხდება მაშინაც, როდესაც ამ სიამოვნებებს ადამიანისთვის სიხარული აღარ მოაქვს. სიცოცხლე უაზრო ტანჯვას ემსგავსება და „გონიერი“ ადამიანი ამ ტანჯვის გზას შეგნებულად ამოკლებს. ამ მდგომარეობის შესაცვლელად თავად საზოგადოების შეცვლაა საჭირო. საზოგადოების ორიენტირების შეცვლა კი გაცილებით რთულია, ვიდრე სარეკლამო რგოლების გადაღება.**

სუიციდზე სპეციალიზებული ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ თვითმკვლელობის ნებისმიერი ხსენება (თვით მასთან ბრძოლის მიზნითაც კი) უკიდურესად სახიფათოა, რადგან ეს დეპრესიასა და სასოწარკვეთილებაში მყოფთ „გამოსავალზე“ მიანიშნებს.

**ამიტომ „პრობლემისაკენ ყურადღების მიპყრობის“ მცდელობა მხოლოდ გაზრდის თვითმკვლელთა რაოდენობას. სამაგიეროდ, ნებისმიერი სოციალური რეკლამა ბიუჯეტის მითვისების საუკეთესო საშუალებაა, მით უფრო, როდესაც მისი ეფექტურობის გადამოწმება პრაქტიკულად შეუძლებელია.**

*segodnia.ru*



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# იდი ამინი — დიქტატორი, რომელმაც ამერიკას ომი გამოუცხადა

**დადა უმე იდი ამინმა, სხვა აფრიკელი ლიდერების მსგავსად, თავისი დაბადების ზუსტი თარიღი არ იცოდა. ოფიციალურად იგი 1928 წლის (შესაძლოა 1925 წლის 1 იანვარსაც) 17 მაისს დაიბადა. მისი სრული ტიტული შემდეგნაირად ჟღერდა: „მისი უდიდებულესობა მუდმივი პრეზიდენტი, ფელდმარშალი, ხმელეთზე ყველა ცხოველისა და ზღვაში ყველა თევზის გამგებელი, ბრიტანული იმპერიის დამლაშქრავი აფრიკაში, ორდენების — „ვიქტორიას ჯვარი," „სამხედრო ჯვარი," „საბრძოლო დამსახურებისათვის" — კავალერი."**





იდი და მუჰამედ ამინები

ამინის მშობლები კაკვასა და ლუგბარის ტომიდან იყვნენ. **მომავალი დიქტატორის დედა ასა აატე, ოფიციალური წყაროების თანახმად, მედდა იყო, თუმცა უგანდელები ირწმუნებოდნენ, ყველაზე გავლენიანი ჯადოქარია ქვეყანაშიო. ამასთან, იგი ლუგბარის მთავარი ქურუმი და კანიბალი იყო. ჰოდა, ჩანს, იდი ამინს გასტრონომიული მისწრაფებებიც დედისგან გადაეცა...**

16 წლის ამინმა ისლამი მიიღო, 1964 წელს ბრიტანულ არმიაში დაიწყო სამსახური, მანამდე კი ტკბილეულს ჰყიდდა ყაზარმებთან. თავიდან მზარეულის შეგირდი იყო, შემდეგ მაუ-მაუს აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობდა კენიაში. **სწორედ არმიაში შეარქვეს „დადა," ანუ „და," იმის გამო, რომ რიგითი ამინის კარავში სისტემატურად იყვნენ ქალები, რომლებსაც ის დებს უწოდებდა...**

1948 წელს დადა აფრიკელ სამეფო მსროლელთა პოლკის მე-4 ბატალიონის კაპრალი გახდა. მალე ბრიტანულ არმიაში იმ დროს შავკანიანებისთვის მისაწვდომი ყველაზე მაღალი — ეფენდის ჩინი მიიღო, ხოლო კენიელი მოჯანყეების გენერლის ლიკვიდაციის შემდეგ, ლეიტენანტის წოდებაც მიანიჭეს.

1962 წელს, უგანდის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, იდი ამინი ქვეყნის პრემიერ-მინისტრ მილტონ ობოტეს დაუახლოვდა. ერთად ოქროს, სპილოს ძვლისა და ყავის კონტრაბანდასაც ეწეოდნენ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან. „დამსახურებებისთვის" დადას მაიორის ჩინიც მისცეს. უგანდის პრეზიდენტმა (იმავე დროს ბუგანდას ტომის მეფემ) მუტესა II-მ ამხილა თავისი მთავრობის მეთაურის მაქინაციები. პრეზიდენტის მხარდასაჭერად და კორუმპირებული პრემიერის დასამხობად ბუგანდელები აჯანყდნენ. საპასუხოდ, ობოტემ, ამინის სრული მხარდაჭერით, არმია მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართა, დაითხოვა პარლამენტი, შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, დააპატიმრა 5 მინისტრი და თავი პრეზიდენტად გამოაცხადა, ხოლო მუტესა ქვეყნიდან გააძევა.

ობოტეს მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ამინი უგანდის არმიის გენერალი და სარდალი გახდა. უფლებამოსილებათა მიღების შემდეგ ამინმა არმიაში მისდამი ლოიალურად განწყობილი მუსლიმანები შემოიკრიბა, რადგან იცოდა, რომ



ამინი და მობუტუ

ობოტე უახლოეს ხანებში ხაზინის ძარცვისთვის მის დაპატიმრებას აპირებდა და ამიტომ გადამწყვეტ მოქმედებებზე გადავიდა. **1971 წლის 25 იანვარს, როცა ობოტე სინგაპურში ბრიტანეთის თანამეგობრობის სამიტზე იმყოფებოდა, ამინმა მორიგი (უსისხლო) სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელში ჩაიგდო ძალაუფლება.**

პრეზიდენტის პოსტზე ამინ იდის პირველმა ნაბიჯებმა მის მიმართ კეთილად განაწყო მოსახლეობაც და უცხოეთის სახელმწიფოებიც. პირველი დეკრეტით მან აღადგინა კონსტიტუცია და საკუთარი თავი პრეზიდენტად და უმაღლეს მთავარსარდლად გამოაცხადა, გააუქმა საიდუმლო პოლიცია, ციხეებიდან გამოუშვა პოლიტპატიმრები, მთავრობის ყველა წევრი სამხედრო წოდებებითა და ავტომანქანა „მერსედესით" დააჯილდოვა.

**რეფორმების პროპაგანდის მიუხედავად, ამინი სინამდვილეში მასობრივ ტერორს ამზადებდა. მალულად შექმნა სიკვდილის ესკადრონები, რომლის პირველ მსხვერპლად 70 ოფიცერი იქცა. ერთ-ერთი მათგანის, შტაბის უფროსის, სულეიმან ჰუსეინის თავი დადამ მაცივარში შეინახა, დროდადრო გამოიღებდა ხოლმე და ესაუბრებოდა...** საერთოდ, იგი საკუთარ თავს არაფერში ზღუდავდა — არც მოქმედებებში და არც ლაპარაკში. ერთხელ ისიც აღიარა, რომ ადამიანის ხორცს მიირთმევდა, რომელიც მეტისმეტად მარილიანი ეჩვენებოდა... **1971 წლის მაისამდე დიქტატორმა თავისი ესკადრონების დახმარებით 10.000-ზე მეტი კაცი გამოასალმა სიცოცხლეს.**

1972 წლის 4 აგვისტოს ამინმა განაცხადა, რომ სიზმარში ალაჰი გამოეცხადა და ქვეყნიდან ყველა წვრილბურჟუა აზიელის განდევნა უბრძანა, რის შემდეგაც უაგანდაში მცხოვრებ 50.000 ინდოელსა და პაკისტანელს 90 დღე მისცეს იმისთვის, რომ იქაურობას მოშორებოდნენ. მათი ქონება ჯერ სახელმწიფომ დაისაკუთრა, შემდეგ კი ამინის დიქტატორული რეჟიმის მხარდამჭერ უნტერ-ოფიცრებს გადაეცა.

1975 წელს ამინ იდიმ საკუთარ თავს თვითონ მიანიჭა მარშლის წოდება, ხოლო 1976 წელს თავი უგანდის მუდმივ პრეზიდენტად გამოაცხადა. მან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ისრაელთან და ლიბიის უახლოესი მოკავშირე გახდა. აშშ-მა უგანდაში თავისი საელჩო 1973 წელს დახურა, ხოლო დიდმა ბრიტანეთმა — 1976 წელს.

1976 წელს დადამ კიდევ ერთხელ „გამოიჩინა" თავი: ქვეყნის დედაქალაქ კამპალაში გამართული სამხედრო აღლუმის დროს მას თავს დაესხნენ, რის გამოც მთელი ქალაქის დასჯა გადაწყვიტა. რამდენიმე დღის განმავლობაში კამპალა მისი ჯარისკაცების განკარგულებაში იყო, რომლებიც ძარცვავდნენ და კლავდნენ მოსახლეობას. **მსხვერპლთა საერთო რაოდენობამ ამინის მმართველობის განმავლობაში 300.000 კაცი შეადგინა, აქედან 2000 მან საკუთარი ხელით მოკლა...**

**სხვაგვარად მოაზროვნეებთან საბრძოლველად იდი ამინმა უშიშროების საკუთარი სამსახური — სახელმწიფო საგამოძიებო ბიურო შექმნა, რომელსაც თავადვე აკონტროლებდა. ეს ორგანიზაცია საფუძველშივე ალკვეთდა ყოველგვარ ოპოზიციას და ქალაქის მოსახლეობასაც მეთვალყურეობდა.** ბიუროს თანამშრომლებს უფლება ჰქონდათ, დაეპატიმრებიათ და მოეკლათ შემთხვევითი ადამიანები, ხოლო უკანონოდ მოკლულის ოჯახებს ცხედრების გამოსყიდვა უხდებოდათ. ამინმა სასტიკი ტერორი წამოიწყო ქრისტიანი მოსახლეობის წინააღმდეგაც. მათი დამცველი არქიეპისკოპოსი იანანი ლუვუმი კი საკუთარი ხელით დახვრიტა სასტუმროს ნომერში.



გენოციდი უგანდაში

დადას მჭიდრო კავშირები ჰქონდა მოამარ კადაფსა და პალესტინის გამათავისუფლებელ ორგანიზაციასთან, რომელსაც ისრაელის ყოფილი საელჩოს შენობაც კი დაუთმო. **ამინმა ნება დართო პალესტინელ და გერმანელ ტერორისტებს, რომლებმაც 1976 წლის 27 ივნისს ათენში ფრანგული ავიაკომპანია „ეარ ფრანსის" თვითმფრინავი გაიტაცეს, მანქანა ენტებეს (სიდიდით უგანდის მეორე ქალაქი) საერთაშორისო აეროპორტში დაესვათ.**

ტერორისტები ენტებეს სამგზავრო ტერმინალში დატყვევებული 256 მძევლის მოკვლით იმუქრებოდნენ, თუ ევროპისა და ისრაელის რამდენიმე ქვეყნის საპატიმროში მყოფ 53 ბოევიკს არ გაათავისუფლებდნენ. ულტიმატუმის ვადა 4 ივლისს იწურებოდა. მავრიკიიდან დაბრუნებულმა დადამ თავი შუამავლად გამოაცხადა ისრაელთან მოლაპარაკებებში, ტერორისტებს აეროპორტის დასაცავად ჯარები დაუთმო და რამდენჯერმე მოინახულა მძევლები, რომლებსაც უმტკიცებდა, რომ მათ დასახმარებლად თავად ღმერთმა გამოგზავნა. მან მხოლოდ ის მძევლები გაათავისუფლებინა, რომლებიც ისრაელის მოქალაქეები არ იყვნენ. თუმცა 1976 წლის 3 ივლისს ისრაელის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული ბრწყინვალე ოპერაციის შედეგად მძევლები გაათავისუფლეს, 20 უგანდელი ჯარისკაცი და 7 ტერორისტი მოკლეს და ენტებეში ყველა სამხედრო თვითმფრინავი ააფეთქეს. მძევალთაგან უგანდაში მხოლოდ 73 წლის თარჯიმანი დორა ბლოხი დარჩა, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საავადმყოფოში მოათავსეს. ამინის პირადი განკარგულებით, ბლოხი უგანდის არმიის ორმა ოფიცერმა დახვრიტა.

1978 წლის ოქტომბერში იდი ამინმა სამხედრო მოქმედებები წამოიწყო მეზობელი ტანზანიის მიმართ, რომელმაც ობოტეს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა. **ომის გამოცხადებისას ამინმა ტანზანიის პრეზიდენტი ჯულიუს ნიერერე ხუმრობით რინგზე საბრძოლველად გამოიძახა.** ლიბიის დახმარებით უგანდის ჯარებმა იერიში მიიტანეს ტანზანიის პროვინცია კაგერაზე, თუმცა მოკლე ხანში ტანზანიის არმიამ, რომლის შემადგენლობაშიც მრავლად იყვნენ უგანდიდან გაძევებული ემიგრანტები და დადას დიქტატურით უკმაყოფილო უგანდური არმიის ნაწილები, ამინის ჯარები ტანზანიიდან გააძევა და უგანდის ტერიტორიაზე გადაინაცვლა.

1979 წლის 11 აპრილს იდი ამინი კამპალიდან გაიქცა. დედაქალაქი ტანზანიის ჯარებმა აიღეს უგანდელი და რუანდელი პარტიზანების ხელშეწყობით. ყოფილმა დიქტატორმა, რომელსაც სამხედრო ტრიბუნალი ემუქრებოდა, გარკვეულ ხანს ლიბიაში დაჰყო, ხოლო 1979 წლის დეკემბერში საუდის არაბეთში გადასახლდა. 2003 წლის 20 ივლისს, ამინის ერთ-ერთი ცოლის ცნობით, იგი კომაში ჩავარდა და ჯიდაში, მეფე ფეისალის სახელობის ჰოსპიტალში იმყოფებოდა. უგანდის პრეზიდენტმა იოვერი მუსევინიმ უგულებელყო ამინის ოჯახის თხოვნა, ყოფილი დიქტატორისთვის სამშობლოში დაბრუნებისა და იქ მშვიდად სიკვდილის უფლება მიეცა. იდი ამინი 2003 წლის 16 აგვისტოს 75 წლის ასაკში საუდის არაბეთში გარდაიცვალა და ჯიდაში დაკრძალეს.

იდი ამინი XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე კურიოზულ, ოდიოზურ და ეპატაჟურ ფიგურად მიიჩნევა. **დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში მას ექსცენტრიკულ და კომიკურ პერსონად თვლიდნენ და გამუდმებით დასცინოდნენ** კარიკატურებით. კერძოდ, ცნობილია, რომ უგანდის დიქტატორი თავის მასწავლებლად და კერპად ადოლფ ჰიტლერს მიიჩნევდა და ფიურერისთვის ძეგლის დადგმაც სურდა, მაგრამ სსრკ-ის ზეწოლით გადაიფიქრა. **მის ერთ-ერთ ყველაზე აბსურდულ გადაწყვეტილებად აშშ-სთვის ერთდღიანი ომის გამოცხადება მიიჩნევა, რაც დიქტატორმა იმისთვის მოიმოქმედა, რომ მეორე დღეს თავი გამარჯვებულად გამოეცხადებინა...**



იდი ამინი და საუდის არაბეთის მეფე ფაისალი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «შავი პანტერები» — თეთრების წინააღმდეგ

**XX საუკუნის შუა ხანებში საყოველაოდ ცნობილი „კუ-კლუქს-კლანი“ უწინდებურად შიშის ზარს სცემდა ამერიკის შავკანიან მოსახლეობას და ობივატელებს მკვლელობის ჩვევას უმუშავებდა. სწორედ ამიტომ იშვნენ „შავი პანტერები,“ რომლებიც თეთრკანიან რასისტებს არანაკლები სისასტიკით უსწორდებოდნენ.**







ახალი „შავი პანტერები“



მალიკ ზულუ შაბაზი, „შავი პანტერების“ ლიდერი



ჰიუ ნიუტონი

ორგანიზაციის სულის ჩამდგმელი მალკოლმ ლითლი 1925 წლის 19 მაისს დაიბადა ომახაში. ნაციონალიზმის პირველი გაკვეთილები ლითლმა მარკუს ჰარვეის მიმდევარი მამისგან მიიღო. შავკანიანიების უფლებათა თავგამოდებული დამცველი მამილო ლითლი 1931 წელს მოკლეს, რის გამოც მის ცოლს ნერვული აშლილობა დაემართა და ბავშვის აღზრდა ვეღარ შეძლო. ასე მოხვდა ლითლ-უმცროსი ჯერ უცხო ოჯახში, შემდეგ კი — ციხეში, სადაც ისლამის სწავლებას ეზიარა. გვარიც იქვე გადაიკეთა — „იქსად“ გადაიქცა და აშშ-ის ყველაზე ცნობილი შავკანიანი მუსლიმანი გახდა. 40 წლისაც არ იყო, როცა ჰარლემში სიტყვით გამოსვლის დროს მოკლეს. მისმა მკვლელობამ ორი სხვა ადამიანის — ნიუტონისა და სეალის გაერთიანებას შეუწყო ხელი.

**რობერტ სეალი**, ჰიუ პერსი ნიუტონთან ერთად, „პანტერების“ შემქმნელი გახლდათ. იგი დალასში (კალიფორნიაში) იზრდებოდა, აშშ-ის არმიაში მსახურობდა, განათლება ოკლენდის მერითი-კოლეჯში მიიღო და სწორედ იქ გახდა რადიკალი. მალკოლმ იქსის გამოსვლებმა ის ხალხი მოაძებნინა, ვინც შემდგომ „შავი პანტერების“ ბირთვად იქცა. ეს 1966 წელს მოხდა. სეალი „პანტერების“ ერთ-ერთი აქტივისტი იყო და ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც დაზარალდა.

**1969 წელს იგი ჩიკაგოში შეთქმულების მოწყობასა და ამბოხისკენ წაქეზებაში დაადანაშაულეს. საპყრობილიდან 4 წელიწადში გამოვიდა, მაგრამ დაასკვნა, რომ ბრძოლის ძალისმიერ მეთოდს ლეგალური მოქმედება სჯობდა.** 1973 წელს კინაღამ ოკლენდის მერიც გახდა. იმ დროისათვის „პანტერები,“ როგორც ორგანიზაცია, უკვე განადგურებული იყო და სეალიც პოლიტიკით დაკავდა. **მოგვიანებით პუბლიცისტიც გახდა. მისი ნაშრომები: „მოტაცებული დრო“ და „შავი პანტერების ისტორია“ აშშ-ის საზღვრებს მიღმაც გავრცელდა.**

**ჰიუ პერსი-ნიუტონმა** (1942-1989 წ.წ.) რობერტ სეალი სან-ფრანცისკოში, სამართლის სკოლაში გაიცნო. **სწორედ იქ ჩამოაყალიბეს „პანტერები“ — თეთრი რასიზმისგან შავკანიანების დამცველი ჯგუფი.** 1976 წელს ნიუტონი პოლიციელის მოკვლის ბრალდებით დააპატიმრეს, თუმცა 22 თვის შემდეგ მისი საქმე ხელახლა განიხილეს და საპყრობილიდან გამოუშვეს. 1971 წელს მან განაცხადა, რომ პარტია თავს ანებებს ბრძოლის ძალისმიერ მეთოდებს და შავკანიანი მოძმეების სოციალური უზრუნველყოფის საკითხებით დაკავდება. 1974 წელს იგი კვლავ დაადანაშაულეს მკვლელობაში და იძულებული შეიქნა, კუბაში გაქცეულიყო, საიდანაც მხოლოდ სამი წლის შემდეგ დაბრუნდა. შემდეგ კალიფორნიის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო.

**მის დისერტაციას ეწოდებოდა: „ბრძოლა „შავი პანტერების“ წინააღმდეგ. რეპრესიები ამერიკაში.“ 1982 წელს ნიუტონი ოკლენდის ერთ-ერთ ქუჩაზე დაცხრილული იპოვეს.**

60-იანი წლების ამერიკა მარტინ ლუთერ კინგის ლამაზ იდეებს მოეცვა, ბოროტების წინააღმდეგ სიკეთით ბრძოლის შესახებ. სწორედ ამ დროს მოკლეს შავკანიანი ახალგაზრდების კერპი მალკოლმ იქსი, რაც წინააღმდეგობის გაუწევლობის დასასრულის სიმბოლოდ იქცა. ამ დროს გაიცნეს ერთმანეთი ჰიუ ნიუტონმა, ბობი სეალმა და კიდევ რამდენიმე ახალგაზრდამ, რომლებმაც „შავი პანტერები“ შექმნეს პოლიციელთა და თეთრკანიანი რასისტების თავდასხმებისაგან შავი გეტოების დასაცავად. **ემბლემად შავი პანტერა აირჩიეს, რადგან ეს მხეცი პირველი არასდროს ესხმის თავს, მაგრამ მასზე თავდასხმის შემთხვევაში, მოწინააღმდეგეს აუცილებლად ანადგურებს. ახალგაზრდებმა ფორმაც შეირჩიეს: შავი ბერეტები, შავი ტყავის ქურთუკები და შავი პანტერას გამოსახულებიანი ცისფერი მაისურები.**

თავდაცვის პირველი, ლეგენდარული აქტი შავკანიანთა კვარტალში განხორციელდა: პოლიციის მანქანას წინ აესვეტა კბილებამდე შეიარაღებული ჰიუ ნიუტონი და დაიქუხა: „შენ იარაღი გაქვს, მაგრამ მეც მაქვს იარაღი და თუ შენ, არამზადავ, თითს დამაკარებ, სათანადოდ გაგისწორდები!“ გარშემო სეირის მოყვარულებმა მოიყარეს თავი. პოლიციელებმა სცადეს თავშეყრილთა ყვირილით დაშლა, მაგრამ ნიუტონმა უმალ განუმარტა გარშემომყოფებს მათი უფლებები, მოუთხრო ახალი პარტიის, მისი მიზნებისა და „ქუჩების პატრულირების“ მეთოდების შესახებ. პოლიციელები იქაურობას გაეცალნენ, კვარტლის ახალგაზრდობა კი შავ პანტერებში“ ჩაეწერა.

„შავი პანტერები“ თითქოსდა პოლიციას ეთამაშებოდნენ. თავიანთი მანქანებით, კბილებამდე შეიარაღებულები, პოლიციას უკან დაჰყვებოდნენ, საგზაო მოძრაობის წესებს არ არღვევდნენ და მხოლოდ თვალ-ყურს ადევნებდნენ პოლიციელებს. სამართალდამცველები, ცხადია, ნერვიულობდნენ.

„შავი პანტერების“ მოძრაობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე, შავ გეტოებში ვრცელდებოდა. მალე 2000-ს მიაღწია. 1968 წლის ზაფხულში დევიდ ბროთერსმა „შავი პანტერების“ დანაყოფები ნიუ იორკსა და ბრუკლინში ჩამოაყალიბა, მოგვიანებით კი „პანტერები“ ჰარლემშიც გაჩნდნენ. მოკლე ხანში **„პანტერები“ რადიკალურ მარქსისტულ დაჯგუფებად იქცნენ და ყველა შავკანიანს შეიარაღებისა და თეთრი ამერიკის სამარცხვინო სანქციებისგან თავის გათავისუფლებისკენ მოუწოდეს.**

ცხადია, „პანტერები“ სავსებით ლეგალურად, დღისით მოქმედებდნენ, თუმცა იგივე ადამიანები ღამით ქუჩებს მოედებოდნენ და რასისტობაში ეჭვმიტანილებს ანგარიშს უსწორებდნენ. სწორედ ამის გამო გაასამართლეს მოგვიანებით ისინი, თუმცა ვერ დაუმტკიცეს...

1968 წლის აპრილში მარტინ ლუთერ კინგი მოკლეს. მართალია, შავი რადიკალები ლუთერ კინგს მაინცდამაინც სერიოზულად არ აღიქვამდნენ, მაგრამ... მოკლეს შავკანიანი, რომელიც სახელმწიფოს თანამოძმეთა უფლებებისთვის ებრძოდა! ჰოდა, რამდენიმე „პანტერამ“ შურისძიება გადაწყვიტა, მაგრამ პოლიციის ალყაში მოექცა და დააკავეს. **შეტაკებისას „პანტერების“ ერთ-ერთი ბელადი, 15 წლის ბობი ჰატონი დაიღუპა, მეორე ბელადი — ელდრიჯ კლივერი კუბაში გაიქცა და რამდენიმე წელი იქ იმალებოდა. ამ მოვლენების შემდეგ გამართულ ერთ-ერთ მიტინგზე „პანტერების“ წევრმა დევიდ ჰილიარდმა მომიტინგეებს ჰკითხა, სურთ თუ არ მშვიდობა. მათაც ხალისით უპასუხეს, რომ, ცხადია, სურთ; „ჰოდა, დაივიწყეთ მშვიდობა! ბრძოლის დროა!“** — განუცხადა მათ ჰილიარდმა. ასე დაუპირისპირეს „პანტერებმა“ თავიანთი ლოზუნგი „არა — მშვიდობას!“ ჰიპების ლოზუნგს „არა — ომს!“

ამავე დროს „პანტერებმა“ მათთვის აქამდე უჩვეულო ქმედებებს მიმართეს: ღარიბ შავკანიანთა სკოლებში უფასო საუზმე დაარიგეს. მაშინ მდიდარმა შავკანიანებმა პოლიციას ანონიმურად აცნობეს, რომ ეს ნამდვილი რეკეტი იყო, რომელიც მათ რადიკალებმა მოუწყვეს. გეტოში ხომ საკუთარი კანონები მოქმედებდა...

მალე „პანტერებმა“ პოლიციას ომი გამოუცხადეს. **1968 წელს შეტაკებები გაიმართა დეტროიტსა და ლოს-ანჯელესში. ზაფხულში პოლიცია თავს დაესხა „პანტერების“ ოფისებს ინდიანოპოლისში, დეტროიტში, სიეთლში, ოკლენდში, დენვერში, სან-ფრანცისკოსა და ნიუ იორკში. სექტემბერში კი 150 პოლიციელი პირდაპირ სასამართლო დარბაზში დაესხა თავს 12 „პანტერას.“ 1969 წელს 348 „პანტერა“ დააპატიმრეს. ორგანიზაციამ 1967-69 წლებში გირაოსა და ჯარიმებზე 5 მლნ დოლარი დახარჯა.**

1969 წელს პოლიციამ პარტიის ჩიკაგოს განყოფილებას ცეცხლი გაუხსნა, ოფისში მყოფებმა სროლითვე უპასუხეს. დეკემბერში იგივე განმეორდა ლოს-ანჯელესშიც, სადაც სროლა 5 საათს გაგრძელდა. ეს ნამდვილი ომი იყო...

1970 წლის ბოლოს **პოლიციელებმა 469 „პანტერა“ დააკავეს. 48 შეტაკებაში 10 შავკანიანი და 12 სამართალდამცველი დაიღუპა. გფბ-ს ხელმძღვანელმა მაშინ განაცხადა, რომ პანტერები ქვეყნის შიდა უსაფრთხოებისთვის სერიოზულ მუქარას წარმოადგენდნენ.**

შემდეგ კი „პანტერები“ ერთმანეთს წაეკიდნენ: ზოგმა პოლიტიკა არჩია, ზოგი რადიკალიზმით დაიღალა და გაიქცა, ზოგიც მოკლეს... მოკლედ, მათი დრო ამოიწურა, თუმცა ბევრი რამ, რისთვისაც ისინი იბრძოდნენ, საზოგადოდ მიღებული შეიქნა.

ამერიკის ცხოვრებაში „პანტერებმა“ ბევრი რამ შეცვალეს: შავკანიანები თავიანთი უფლებების დაცვას მიაჩვიეს; მხარი დაუჭირეს ქალთა და სექსუალურ უმცირესობათა მოძრაობებს; თავიანთ მიმდევრებს პროპაგანდის წარმოება ასწავლეს. აკი მანამდე ვერავინ მოახერხა პრესისა და ტელევიზიის ამგვარად გამოყენება და სასამართლო სხდომებისა და დაკრძალვის ცერემონიების პოლიტიკურ პროცესებად გადაქცევა; მათ გრაფიტი მასობრივ მოვლენად გადააქციეს; აშშ-ში, თუნდაც ხანმოკლე, მაგრამ ნამდვილი ომი გააჩაღეს...

90-იან წლებში მათ, ვინც საკუთარ თავს „ახალ შავ პანტერებს“ უწოდებდნენ, კვლავ აალაპარაკეს საზოგადოება. „ახლებს“ სათავეში ჩაუდგა მალიკ ზულუ შაბაზი, რომელმაც “ფოქს ნიუს ჩენელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამ ანტიამერიკელმა რადიკალმა სიამაყით დაუჭირა მხარი ბარაქ ობამას გაპრეზიდენტებას. გავრცელდა აზრი, რომ ობამა „ახალი შავი პანტერების“ მხარდაჭერას იწონებდა, რადგან ეს ფაქტი მის საიტზე გამოქვეყნდა. ინტერვიუს დაბეჭდვამ საზოგადოების ნაწილი ობამასადმი ნეგატიურად განაწყო, რამაც თავის მხრივ, მის საარჩევნო კამპანიაზე უარყოფითად იმოქმედა. მაშინ საიტზე გამოქვეყნებული პუბლიკაცია წაშალეს...




ბობი სილი და ჰიუ ნიუტონი



„შავი პანტერები“ ოკლენდში, 1968 წელი

**გვერდები მოამზადა**
**ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ოპერაცია «ბეირუთი» — ბლეფი სამართებლის პირზე

**2002 წლის შემოდგომაზე, როცა ბარაევის ბოევიკებმა მოსკოვში ხელთ იგდეს საკონცერტო დარბაზი და 700-ზე მეტი მძევლის აფეთქებით დაიმუქრნენ, თუ კრემლი ჩეჩნეთიდან ფედერალურ ჯარებს არ გაიყვანდა, ცოტას თუ გაახსენდა, რომ რაღაც ამდაგვარი ერთხელ უკვე მოხდა. პირველად ისლამისტმა ტერორისტებმა რუსი მოქალაქეები 1985 წლის 31 სექტემბერს გაიტაცეს. მაშინ ბეირუთში საბჭოთა საელჩოს ოთხი თანამშრომელი დაიკარგა: საკონსულოს მუშაკი არკადი კატკოვი, ექიმი ნიკოლაი სვირსკი და კა-გე-ბეს საგარეო დაზვერვის ორი ოფიცერი: ოლეგ სპირინი და ვალერი მირიკოვი.**



იური პერფილიევი



მუჰამედ ჰუსეინ ფადლალა

მოგვიანებით თვითმხილველები იუწყებოდნენ, რომ სპირინისა და მირიკოვის „დაცუნს," რომლითაც ისინი საელჩოში ბრუნდებოდნენ, ვატა-მუსეიტბეს რაიონის ერთ-ერთ ქუჩაზე ორი ავტომანქანით გზა გადაუკეტეს. შემდეგ იარაღის მუქარით გამტაცებლებმა დიპლომატები მანქანიდან გადმოიყვანეს, „მერსედესში" ჩასვეს და უცნობი მიმართულებით გააქანეს. მოკლე ხანში იმავე კვარტალში ამგვარადვე გააჩერეს „ლადა," რომელშიც კატკოვი და სვირსკი ისხდნენ. როცა თავდამსხმელებს ისინი მანქანიდან გადმოჰყავდათ, ერთ-ერთმა რუსმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ბოევიკებმა ფეხები დაუცხრილეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ კატკოვმა წვივის გამავალი ჭრილობა მიიღო.

როგორც ეს საერთოდ უცხოელი მძევლების გატაცების შემთხვევაში ხდება, მალე ბეირუთის ყველა დასავლურ საინფორმაციო სააგენტოში სატელეფონო ზარები გაისმა. ამ ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა აიღო უცნობმა ისლამისტურმა ორგანიზაციამ „ჰალედ ბენ ელ-ვალიდის ძალები." გამტაცებლების განცხადებით: **„რუსები სირიის მეგობრები არიან, ხოლო სირიამ ლიბანის ქალაქ ტრიპოლის რაიონის ოკუპაცია მოახდინა. დაე, მოსკოვმა აიძულოს დამასკო, შეწყვიტოს სისხლის ღვრა, სხვაგვარად, მძევლებს მოკლავენ, ხოლო საბჭოთა საელჩოს შტურმით აიღებენ."**

იმ დროს ლიბანის ტერიტორიაზე მეათე წელი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. სუნიტების, შიიტების, ქრისტიანების, დრუზებისა და პალესტინელების შეიარაღებული ფორმირებების გარდა, მასში აქტიურად მონაწილეობდნენ სირია და ისრაელი. ამ პერიოდში ჰაფეზ ასადის რეჟიმი მხარს უჭერდა შიიტურ ორგანიზაცია „ამალსა" და პალესტინურ დაჯგუფებებს, რომლებიც პროირანული „ჰეზბოლაჰისა" („ალაჰის პარტია") და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

1985 წლის სექტემბერში სირიის ჯარები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ ბეირუთისა და ტრიპოლის უდიდეს ქალაქებში. შედეგად, „ჰეზბოლაჰისა" და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ადგილობრივ რაზმებს უკან დასახევი გზა მოუჭრეს, რის შემდეგაც ისინი პრაქტიკულად განწირული აღმოჩნდნენ. „სიტუაციის გამოსასწორებლად" გადაწყდა უცხოელ დიპლომატთა მძევლებად აყვანა და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ ლიბანიდან ჯარების გაყვანის მოთხოვნა. საყოველთაოდ ცნობილია მოსკოვზე დამასკოს ფინანსური და სამხედრო დამოკიდებულების შესახებ, ამიტომაც მსხვერპლი საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებს შორის შეირჩა.

ბეირუთში მომხდარი კრემლმა საგანგებო მდგომარეობად მიიღო. სახელმწიფო მანქანა მაშინვე რამდენიმე მიმართულებით ამუშავდა. პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობდნენ სკკპ ცკ-ი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო სამმართველო, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და უცხოეთის რიგი სახელმწიფოების რეზიდენტურები. საბჭოთა მოქალაქეების ძებნა სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგარეო დაზვერვას დაევალა. შეიქმნა მცირერიცხოვანი სადაზვერვო-სამძებრო ჯგუფი, ჩეკისტებისა და საელჩოს დიპლომატების შემადგენლობით. იური პერფილიევი, საბჭოთა დაზვერვის მაშინდელი რეზიდენტი ლიბანში, იხსენებდა: „თავიდან ვფიქრობდით, რომ ეს მორიგი და ჩვეულებრივი ძარცვა იყო: იმ პერიოდში ლიბანში 25 თუ 28 ავტომაქანა წაგვართვეს. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ეს ადამიანთა გატაცებაა. შოკში ვიყავით: უწინ ჩვენი ხალხისთვის ლიბანში არც ერთ მხარეს თითი არ დაუკარებია! ლიბანის საგარეო საქმეთა სამინისტროში რომ დავრეკეთ, ძალიან გაუკვირდათ: რა გატაცება? რა მძევლები? ხალხი მოგტაცეს? თქვენ ხომ ჩინებული ურთიერთობა გაქვთ ყველასთან!"

იმავე დროს ბეირუთში **კა-გე-ბეს რეზიდენტურამ დაადგინა, რომ ამ აქციის ნამდვილი ორგანიზატორები „ჰეზბოლაჰის" შიიტი ფუნდამენტალისტები და „საბჭოთა ხალხის საუკეთესო მეგობრის" იასირ არაფატის პალესტინელი აქტივისტები იყვნენ.** დაზვერვის ცნობით, დიპლომატების გატაცება შეთანხმებული იყო ირანის სასულიერო ფენის რადიკალურად განწყობილ წარმომადგენლებთან და „ალაჰის პარტიის" რელიგიური ლიდერის — შეიხ საიდ მუჰამედ ჰუსეინ ფადლალის კურთხევით განხორციელდა. **ოთხი საბჭოთა მოქალაქის გატაცების ოპერაციას სამხრეთ ლიბანური სოფლის — ტირ დაბას მკვიდრი, 1962 წელს დაბადებული იმად მუგნიე, მეტსახელად „აფთარი" ხელმძღვანელობდა. 1983 წლიდან იგი „ჰეზბოლაჰის" სულიერი ლიდერის შეიხ ფადლალის პირადი დაცვის უფროსი იყო. იმავე წლის შემოდგომაზე „ჰეზბოლაჰის" ოპერატიული ქვედანაყოფის „მუნათამათ ალ-ჯიჰად ალ-ისლა-მის" ხელმძღვანელად დაინიშნა.** „ჰეზბოლაჰის" ეს ყველაზე გასაიდუმლოებული და ძლიერი ქვედანაყოფი, ქვეყნის უშიშროების სამინისტროს დახმარებითა და კოორდინაციით, პასუხისმგებელი იყო სადაზვერვო, დივერსიული და ტერორისტული ოპერაციების განხორციელებაზე ლიბანის საზღვრებს მიღმა.



განთავისუფლებული მძევლები

კა-გე-ბეს რეზიდენტურამ ლიბანის პროგრესულ-სოციალისტური პარტიის (ლიდერი ვალიდ ჯუმბლატი) დახმარებით მნიშვნელოვანად გაააქტიურა ინფორმაციის შეკრება ლიბანის შიიტურ დაჯგუფებებზე. ჩეკისტებმა მოახერხეს რამდენიმე კაცის გადაბირება იმად მუგნიეს უახლოესი გარემოცვიდან. გადაწყვეტილი იყო, რომ, თუ მძევლებს ვერ გაათავისუფლებდნენ, მუგნიესა და სლმ-ს მთელი შტაბის ლიკვიდირება უნდა მოეხდინათ.

ამასობაში, გამტაცებლებს კვალის ასარევად მძევლები ადგილიდან ადგილზე გადაჰყავდათ. თავდაპირველად ისინი მოთავსებული ჰყავდათ ე. წ. ზინდანში — მეჩეთის ქვეშ მდებარე ციხეში, სადაც ორ გალიაში საბჭოთა მძევლები სრულ სიბნელეში მშიერ-მწყურვალნი ისხდნენ. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იყო არკადი კატკოვი, რომელსაც ფეხზე მიყენებული ჭრილობის გამო განგრენა დაეწყო.

მეორე მძევალი, ვალერი მირიკოვი, იხსენებდა: **„გატაცების მიზნების შესახებ პირველივე დღეს გვაცნობეს. ისიც ვიცოდით, რომ მრავალი უცხოელი მძევლიდან უკან ცოცხალი არავინ დაბრუნებულა. სიმართლე გითხრათ, არც მჯეროდა, რომ ჩვენ გამო სსრკ-ის ხელმძღვანელობა სირიის მეთაურს ჰაფეზ ასადს ლიბანიდან ჯარების გაყვანას სთხოვდა. თუმცა თავად გამტაცებლებს, როგორც ჩანს, ამაში ეჭვი არ ეპარებოდათ... მალე გალიიდან ოთახში გადაგვიყვანეს. ოლეგი მთელი დღეები კართან იწვა და მათ მოსმენას ცდილობდა. მესამე დღეს გაუპარსავებს, დაუვარცხნელებსა და საფეთქელზე პისტოლეტმიბჯენილებს ფოტოები გადაგვიღეს. ამ ფოტოებმა მთელი მსოფლიო მოიარა, ისინი მხოლოდ საბჭოთა პრესამ არ გამოაქვეყნა. მეოთხე დღეს დაჭრილი არკადი საელჩოში წაიყვანეს მოლაპარაკებებზე. იმ საღამოს ოლეგმა, რომელიც, ჩვეულებრივ, კარზე ყურმიდებული იწვა, ტუჩებათრთოლებულმა გვაცნობა: „ამბობენ, არკადის გვამი სტადიონზე იპოვეს. ერთი დღე-ღამის შემდეგ რომელიმე ჩვენგანის რიგი დადგება..."**

კატკოვი პოლიციამ აღმოაჩინა სტადიონის გვერდით და ამერიკულ ჰოსპიტალში გადაიყვანა. მოკლულის სხეულის დათვალიერებისას გაარკვიეს, რომ იგი სხვადასხვა კალიბრიანი პისტოლეტებით იყო დაცხრილული. ადგილობრივების თქმით, ასეთი ხელწერა **„მუნათამათ ალ-ჯიჰად ალ-ისლამის"** ბოევიკებს ახასიათებდათ.

**პერფილიევმა დაასკვნა, რომ ტერორისტებთან მხოლოდ მათთვის გასაგებ — ძალისმიერ ენაზე უნდა ელაპარაკა. რამდენიმე დღის შემდეგ იმად მუგნიეს ერთ-ერთი უახლოესი ნათესავის ყელგამოჭრილი გვამი მისივე სახლის შესასვლელთან იპოვეს. გვამის გვერდით იდო ბარათი გაფრთხილებით, რომ მუგნიეს მეორე ნათესავსაც იგივე ბედი ეწეოდა, თუ საბჭოთა მძევლებს არ გაათავისუფლებდნენ.** ამავე დროს ლიბანის პროგრესულ-სოციალისტური პარტიის ბოევიკებმა მუგნიეს ძმა, სალამე მოკლეს... მალე ცნობილი შეიქნა, რომ იმად მუგნიე დაიმალა, ხოლო მძევლების ზედამხედველობა სხვა ბოევიკებს დაევალათ.

1985 წლის 28 ოქტომბერს „ჰეზბოლაჰის" სულიერი ლიდერი შეიხი საიდ მუჰამედ ჰუსეინ ფადლალა საბჭოთა სპეცსამსახურების წარმომადგენელთან მორიგ შეხვედრაზე დათანხმდა. ფადლალამ რუსები თავის რეზიდენციაში მიიღო, რომელიც ბეირუთის იმ რაიონში მდებარეობდა, სადაც ევროპელები გამოჩენას ვერ ბედავდნენ, თანაც ამ რაიონს ოფიციალურ ხელისუფლებაც კი ვერ აკონტროლებდა. მოგვიანებით პერფილიევი იხსენებდა: „შეიხთან ერთად ჩაის მივირთმევთ და ვსაუბრობთ. ვაცნობებ, რომ გამტაცებლებს კვალში ვუდგავართ. შეიხი დუმს. მისი მრჩეველი ჰასანიც ჩუმადაა. ვამბობ: „ჩვენ ვიცით, ვინ განახორციელა ეს აქცია და თვალყურსაც ვადევნებთ"... ისინი კვლავ დუმან. გადავდივარ მთავარზე: „ძლიერ სახელმწიფოს დიდხანს შეუძლია ითმინოს, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. მან შესაძლოა სერიოზული მოქმედებები წამოიწყოს, რაც გაუთვალისწინებელ შედეგებს გამოიღებს..." ისევ დუმან. მაშინ გადავწყვიტე, გამერისკა: **„საუბარია არა მარტო ბეირუთზე, ვგულისხმობ თეირანსა და ყუმსაც კი (იქ კი აიათოლა ჰომეინის რეზიდენციაა), რომელიც არც ისე შორსაა რუსეთის საზღვრიდან..."** ვხედავ, ყურები დაცქვიტეს და გამომეტყველებაც შეეცვალათ. თუ ცენტრის მითითების თანახმად ვიმოქმედებდი, აქ უნდა შევჩერებულიყავი, მაგრამ დაძაბულობის ზღვარზე მყოფმა გადავწყვიტე: თუ ბლეფია, ბლეფი იყოს! **„დიახ, ყუმი ძალიან ახლოსაა, ხოლო რაკეტის გაშვებისას ტექნიკური შეცდომა გამორიცხული როდია. ამაზე ხშირად წერენ და ღმერთმა ან ალაჰმა არ ქნას, რაკეტა საბრძოლო ქობინიანი აღმოჩნდეს!"**

ოთახში სრული სიჩუმე ჩამოვარდა და ვიფიქრე, რომ აქედან ცოცხალი ველარ გავაღწევდი. შეიხი დიდხანს დუმდა, შემდეგ კი თქვა: „ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება..."

ზუსტად ორი დღის შემდეგ, 30 სექტემბრის საღამოს, ლიბანში სსრკ-ის საელჩოს მორიგემ მონიტორის ეკრანზე სამი წვერმოშვებული უცნობი შენიშნა, რომლებიც კარის გაღებას ითხოვდნენ. მირიკოვი, სპირინი და სვირსკი იყვნენ. რამდენიმე წუთის წინ ისინი თვალახვეულები მოიყვანეს საელჩოს შორიახლოს და უბრძანეს, სახვევი მაშინ მოეხსნათ, როცა ავტომანქანის ხმა მიწყდებოდა. როცა ძრავის ხმაური შეწყდა, მათ სახვევები მოიგლიჯეს და საელჩოს შენობას მისცვივდნენ.

**ერთ-ერთ შეხვედრაზე ლიბანის მაშინდელმა პრეზიდენტმა ამინ ჟმაიელმა აღფრთოვანებით წარმოთქვა: „მძევლები საერთოდ არ გვეყოლებოდა, მათ რომ ისე ეძებდნენ, როგორც ეს რუსებმა მოიმოქმედეს!"**



„ჰეზბოლაჰის" მებრძოლები

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბელოსტოკ-მინსკის ბრძოლა

**1941 წლის 22 ივნისს-8 ივლისს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ცენტრალურ მონაკვეთზე გაიმართა ბელოსტოკო-მინსკის ბრძოლა, რომლის შედეგადაც საბჭოთა დასავლეთის ფრონტის ძალები ალყაში მოექცნენ, 28 ივნისს კი გერმანულმა ჯარებმა მინსკი აიღეს...**



მარშალი ტიმოშენკო



ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის 1941 წლის 29 ივნისის ცნობიდან:

**„ბელოსტოკის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში შეტევითი ოპერაციის შედეგად ორი საბჭოთა არმია ალყაშია მოქცეული. უახლოეს დღეებში ისინი ან დაგვნებდებიან, ან გავანადგურებთ. ამგვარად, გადაწყდება იმ მრავალრიცხოვანი საბჭოთა დივიზიების ბედი, რომლებსაც იერიში უნდა მიეტანათ გერმანიაზე ცენტრალური მიმართულებით. ეს-ესის ქვეითმა ჯარებმა და შენაერთებმა ბრძოლების უმთავრესი სიმძიმე აქ გადაიტანეს... ბელოსტოკის ქვაბურის ორივე მხარეს ჩვენი სატანკო შენაერთები და მოტორიზებული დივიზიები მინსკის რაიონთან გავიდნენ...“**

საბჭოთა სარდლობამ ვითარების სახიფათოობა სათანადოდ შეაფასა და 25 ივნისს ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ თავისი ჯარები გერმანელების ალყიდან გაეთავისუფლებინა. ამ დროიდან დაიწყო გერმანული ქვეითი ჯარების მრავალდღიანი თავდაცვითი ბრძოლები სამ საბჭოთა არმიასთან, რომლებიც უშიშრად და თავდადებით ცდილობდნენ ალყის გარღვევას. ადგილ-ადგილ გერმანული ნაწილები იძულებული იყვნენ თავდაცვაზე გადასულიყვნენ და თავად ექცეოდნენ ალყაში. განსაკუთრებით დიდი იყო დანაკარგი ოფიცერთა რიგებში.

ალყის წარმომქმნელ კორპუსთა მოქმედების სამართავად ვერმახტმა მე-2 არმიის ხელმძღვანელად გენერალ-პოლკოვნიკი ფრაიგერ ფონ ვეიხსი დანიშნა, რის შემდეგაც მე-9 არმიამ შეძლო იერიშის გაგრძელება წინწასული მე-3 სატანკო ჯგუფის კვალადაკვალ.

თუმცა ალყის მთლიანი ფრონტი ჯერ შექმნილი არ იყო, ალაგ-ალაგ რჩებოდა ღვეულები, რომლისკენაც საბჭოთა მსროლელი პოლკებისა და საკავალერიო ესკადრონების მასები მიემართებოდნენ. **ვითარება მეტისმეტად გართულდა, არმია „ცენტრის“ დაჯგუფების 32 ქვეითი დივიზიის მთავარ ძალებს 8 დღის განმავლობაში უწყვეტი თავდაცვით ბრძოლების წარმოება მოუხდათ. მე-8 საარმიო კორპუსი იძულებით რჩებოდა ნოვოგრუდკის ჩრდილო-დასავლეთით. აქ საბჭოთა საკავალერიო ნაწილები გამუდმებით ლამობდნენ ალყის გარღვევას. ეს მცდელობები საარტილერიო და ტყვიამფრქვევების ცეცხლით ალიკვეთებოდა.** დროებითი კრიზისის დაძლევას გერმანელები დიდი დანაკარგის ფასად ახერხებდნენ.

საბჭოთა სარდლობა დაწყებულ ქაოსში წესრიგის დამყარებას ცდილობდა. ჯერ კიდევ შენარჩუნებულმა სამეთაურო ინსტანციებმა, რომლებსაც ზოგჯერ სატალეფონო კავშირიც არ ჰქონდა, ალყის გარღვევის მიმართულება განსაზღვრეს ჩრდილოეთით — გროდნოს, ხოლო სამხრეთით — სლონიმისკენ. გერმანულმა მე-17 სატანკო დივიზიამ სლონიმთან ძლივს მოახერხა პოზიციების შენარჩუნება, არმიის გენერალ-ლეიტენანტი ფონ არნიმი კი დაიჭრა. ვითარების სტაბილიზება აქ მხოლოდ გენერალ-ლეიტენანტ ფონ ბოლტენშტერნის 29-ე მოტორიზებული ქვეითი დივიზიის გამოჩენის შემდეგ მოხერხდა. დივიზიის ამოცანა იყო სლონიმ-ზელვის გზის დაცვა და ზელვის ხიდის გადაკეტვა, რათა მოწინააღმდეგისთვის ალყის გარღვევის საშუალება არ მიეცათ. ხოლო მე-15 ქვეით პოლკს ზელვიანკის აღმოსავლეთით მდებარე მიდამოები მოწინააღმდეგისგან უნდა გაეწმინდა.

**გზის ორივე მხარეს კი დაღუპული რუსი ჯარისკაცები იწვნენ. გერმანელები ტყვეებს ფრონტის ზურგში მიერეკებოდნენ. დროდადრო სროლის ხმა ისმოდა. 27 ივნისის დილას ფალკეს დივიზიამ სლონიმსა და ზელვიანკას შორის თავდაცვითი პოზიციები დაიკავა და ფრონტის ხაზი 60-70 კმ-ზე გადაიჭიმა.** თავდაცვა საკმაოდ სუსტი იყო, თანაც ბელოვეჟი პუშჩიდან საბჭოთა ჯარების მძლავრ შემოტევას ელოდნენ. გენერალ ჰაინრიცის 43-ე ქვეითი კორპუსი, სამი დივიზიის შემადგენლობით (131-ე, 13ე, 252-ე ქვეითი დივიზიები) პრუჟანის დასავლეთით ბელოვეჟი პუშჩის ნაკრძალ ტყეებში შევიდნენ, სადაც მძლავრი სატანკო იერიშის მოგერიება მოუხდათ, ამასთან, გენერალ-ლეიტენანტ ფონ კოჰენჰაუზენის 134-ე ქვეითი დივიზია რამდენიმე დღით ალყაში მოექცა. ზელვიანკაზე კი სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა სოფლებისა და გორაკების, ტყეების, ჭაობებისა და გზაჯვარედინებისთვის.





„სიკვდილის ბანაკი“ მინსკის რაიონში



ვალტერ ფონ ბოლტენშტერნი

გენერალ შროტის 12-ე საარმიო კორპუსი, 31-ე და 34-ე ქვეითი დივიზიების შემადგენლობით, რომელიც მანამდე ადგილიდან არ იძროდა, გუდერიანის სატანკო ჯგუფის წინსვლის ხელშეწყობის ნაცვლად, იძულებული შეიქნა, გეზი ჩრდილოეთისკენ აელო.

იმ დროს, როცა ბელოსტოკის გარშემო ვითარება უცვლელი რჩებოდა, გერმანიის სატანკო ჯგუფები მინსკზე იერიშს აგრძელებდნენ, რათა იქ კიდევ უფრო შეემჭიდროებინათ ალყა. გენერალ-მაიორ ჰარპეს მე-12 სატანკო დივიზიამ ღამით წინ გადაუსწრო საკუთარ მოწინავე ქვედანაყოფებს და 27 ივნისს მინსკთან გაჩერდა.

მინსკს დივიზიის მეთაურის ვ. იუშკევიჩის 44-ე და მე-2 მსროლელი პოლკები (მეთაური — გენერალ-მაიორი ა. ერმაკოვი) იცავდნენ. სულ მინსკის რაიონში 4 საბჭოთა მსროლელი დივიზია იმყოფებოდა. 27 ივნისს მინსკის დამცველი ჯარების მეთაურობა მე-13 არმიის შტაბმა მიიღო (გენერალ-ლეიტენანტი პ. ფილატოვი). **სსრკ-ის მარშალმა ს. ტიმოშენკომ ბრძანება გასცა არავითარ შემთხვევაში არ დაეთმოთ ქალაქი, თუნდაც მისი დამცველი ჯარები მთლიანად მტრის ალყაში მოქცეულიყვნენ!**

იმავე დღეს საბჭოთა მე-100 მსროლელმა დივიზიამ კოტრშეტევა განახორციელა მინსკის ჩრდილოეთით, ოსტროშიცკის დასახლებაზე, მაგრამ გერმანელებმა ეს შეტევა მოიგერიეს. გერმანულმა 47-ე მოტორიზებულმა კორპუსმა დაიკავა ბარანოვიჩი და მინსკს სამხრეთიდან მიადგა. 27 ივნისს აიღო სტოლბცი, ხოლო 28 ივნისს — ძერჟინსკი.

**28 ივნისს 17.00 საათზე გერმანული მე-20 სატანკო დივიზიის ნაწილები მინსკში ჩრდილო-დასავლეთიდან შეიჭრნენ.** 44-ე მსროლელი კორპუსის ორი დივიზია მინსკის დასავლეთი პოზიციების შესანარჩუნებლად დარჩა, მაშინ, როცა მე-2 მსროლელმა კორპუსმა მინსკის აღმოსავლეთით, მდინარე ვოლმის მიჯნისკენ დაიხია. გერმანულმა მე-2 და მე-3 სატანკო ჯგუფებმა ნალიბოკის პუშჩაში ალყაში მოაქციეს მოწინააღმდეგის მე-3, მე-10, მე-13 და მე-4 არმიის ნაშთები. 8 ივლისისთვის მინსკის „ქვაბურაში“ ბრძოლები დასრულდა.

ამ ბრძოლებში გერმანულმა ჯარებმა მძიმე დარტყმა მიაყენეს საბჭოთა დასავლეთის ფრონტს, დაიკავეს ბელორუსიის მნიშვნელოვანი ნაწილი და 300 კმ-ით წინ წაიწიეს. მოსკოვისკენ ვერმახტის სვლა მხოლოდ სმოლენსკის ბრძოლამ და მეორე სტრატეგიულმა ეშელონმა შეაჩერა, რომელმაც პოზიციები დაიკავა დასავლეთ დვინისა და დნეპრის სანაპიროებზე.

**სულ ბელოსტოკისა და მინსკის „ქვაბურებში“ განადგურდა 11 მსროლელი, 2 საკავალერიო, 6 სატანკო და 4 მოტორიზებული დივიზია, ტყვედ ჩავარდა 324 ათასი კაცი, მათ შორის რამდენიმე გენერალი. მინსკთან დამარცხებამ ძლიერი ფსიქოლოგიური ზეგავლენა იქონია საბჭოთა ხელმძღვანელობაზე. გერმანულმა ჯარებმა ხელში ჩაიგდეს 245 დაუზიანებელი თვითმფრინავი და 1449 საბრძოლო აღჭურვილობა. სამი წლის შემდეგ ბრძოლის ველებზე კიდევ რჩებოდა განადგურებულ არმიათა ნაშთები.**

30 ივნისს ბელოსტოკ-მინსკთან დამარცხების გამო დააკავეს ფრონტის სარდალი, არმიის გენერალი დ. პავლოვი და სხვა გენერლები. ხანმოკლე გამოძიების შემდეგ პავლოვს დახვრეტა მიუსაჯეს. 22 ივლისს მასთან ერთად დახვრიტეს ფრონტის შტაბის მეთაური, გენერალ-მაიორი ე. კლიმოვსკიხი და ფრონტის კავშირგაბმულობის უფროსი, გენერალ-მაიორი ა. გრიგორიევი. ყველა დახვრეტილი სარდალი სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებული იქნა...







გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

2 – 8 ივნისი, 2010 წელი. №20 (63)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# «წითელი ჯვარი» ჩრდილოეთ კავკასიაში ჯაშუშის როლს ასრულებს

**მეხუთე თაობის ომების წარმოების თანამედროვე მეთოდები ცნობიერებით მანიპულირების პრინციპებს ემყარება. საინფორმაციო კონტექსტის მცირედმა ცვლილებამ, რომელიც მის ხასიათს თითქოს არც ცვლის, შესაძლოა საპირისპირო ეფექტი გამოიწვიოს. მაგალითად, „საიდუმლო" შეიძლება „კონფიდენციალობად" გადაკეთდეს, ტერორისტების შესაძლო მოკავშირეებთან ურთიერთობა და ექსტრემისტების დახმარება — სამოქალაქო პირების დაცვად და კონფლიქტის მსხვერპლთა გადარჩენად. „წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტის ჩრდილოეთ კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელი ბეატრის ოქსლი ცდილობს, ორგანიზაციის ირგვლივ დაგროვილ კომპრომატებსა და ორგანიზაციის წესდებისათვის შეუსაბამო საქმიანობის ფაქტებს მისი მოღვაწეობის ნეიტრალობა, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა დაუპირისპიროს.**






„წითელ ჯვარს" ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ადანაშაულებდნენ ებრაელების მიმართ განხორციელებულ ძალადობებზე თვალის დახუჭვაში. იმის გამო, რომ „წითელი ჯვარი" მუდმივად თავს არიდებდა ნაცისტური რეჟიმის ქმედებების განკითხვას, მთელი რიგი მკვლევარები იძულებულნი გახდნენ, ის ეთიკურად არასაიმედო ორგანიზაციის დაღით აღენიშნათ და „მორალური შეცდომების" დაშვებაში დაედანაშაულებინათ. დასავლეთის მრავალმა ისტორიკოსმა ორგანიზაციის ორმაგ სტანდარტებს მიუძღვნა სერიოზული ნაშრომები, რომლებშიც სკურპულოზურადაა აღწერილი ამგვარი ქმედების მიზეზები და მისი სერიოზული შედეგები, რაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილში აისახა.

**ზუსტად ანალოგიურ — დუმილის პოზიციას ინარჩუნებს „წითელი ჯვარი" მსოფლიოში ამჟამად გამეფებული ძალადობის მიმართაც. ეს ორგანიზაცია ავღანეთისა და ერაყის ომების ცოცხალი მოწმეა, მაგრამ ეჭვმიტანილების აბუჩად აგდებისა თუ აბუ გრეიბისა და გუანტანამოს ციხეებში ტერორისტებისათვის ხელშეწყობის თაობაზე სხვა ორგანიზაციები იტყობინებოდნენ. არა „წითელმა ჯვარმა", არამედ ამერიკის სამოქალაქო თავისუფლების კავშირმა ატეხა განგაში იმის გამო, რომ ეჭვმიტანილებს მხოლოდ აბუ გრეიბში კი არა, ყველგან აწამებდნენ, სადაც აშშ-ის ჯარისკაცები არიან.**

სამაგიეროდ, „წითელი ჯვარი" აბსოლუტურად სხვაგვარად იქცევა, როდესაც საქმე რუსეთს ეხება. ორგანიზაცია ჩრდილოეთ კავკასიაში ჰუმანიტარული პროცესების აქტიური მონაწილის სტატუსს იჩემებს და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების რუსულ საკანონმდებლო-სამართლებრივ დოკუმენტებში იმპლემენტაციის პროცესის ფორსირებას ცდილობს. **საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დანერგვის საქმეში „წითელმა ჯვარმა" მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, ამ შედეგებს ნეგატიური გაგრძელება შესაძლოა უკვე ახლო მომავალში მოჰყვეს. მოცემული ნორმები ფაქტიურად მთლიანობაში ცვლის რუსეთის იმ საკანონმდებლო ბაზას, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ძალოვანი და სამართალდამცავი სტრუქტურების ქმედება შეიარაღებული საერთაშორისო და შიდა კონფლიქტების პირობებში.** „წითელი ჯვარი" კი განაგრძობს იმ სახელმწიფოების მოდრეკას, რომლებმაც საერთაშორისო სამართლის ძირითად ხელშეკრულებებს მოაწერეს ხელი, რაც აიძულებს მათ, მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, გააფართოვონ პერსონალის სწავლების საგანმანათლებლო პროგრამები, შექმნან სპეციალიზებული სტრუქტურები და დანერგონ დაგეგმვისა და მართვის პროცედურები.

ამ სფეროში „წითელი ჯვრის" პირველ სერიოზულ მიღწევად შეიძლება რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მიერ 2001 წლის აგვისტოში გამოცემული №360-ე ბრძანება დასახელდეს. ბრძანებას ერქვა „რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვის ზომების შესახებ". ანალოგიური ბრძანებები და დირექტივები გაიცა ფედერალურ სასაზღვრო სამსახურსა და შინაგან ჯარებშიც. გარდა ამისა, აღნიშნული „ინტეგრაციის" პროცესის წყალობით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ცალკეული ნორმები გათვალისწინებულია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-სასწავლო დაწესებულებების საწესდებო დოკუმენტებსა და სასწავლო პროგრამებში.

სინამდვილეში იმპლემენტაცია მიმართულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების, სამართალდამცავი ორგანოებისა და ძალოვანი სტრუქტურების ქმედებათა გამიჯვნისაკენ საომარი და სამშვიდობო მდგომარეობებისას.

**ამჟამად „წითელი ჯვრის" მიზანია, რომ საბრძოლო მოქმედებების (ჩეჩნეთის კონტრტერორისტული ოპერაცია) პირობებში განხორციელებული მკვლელობა კვალიფიცირდეს არა როგორც დანაშაული, რომელსაც რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლი ითვალისწინებს, არამედ როგორც საომარი მდგომარეობისას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დაცვით განხორციელებული ქმედება. ამავე დროს, „წითელი ჯვარი" აქტუალურ პრობლემად მიიჩნევს ორი ნორმატიული აქტის — რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაძლო კონფლიქტს.**

იდეალურ მდგომარეობად ორგანიზაცია მიიჩნევს ერთ სამართლებრივ დოკუმენტს, რომელიც საომარ და სამშვიდობო მდგომარეობებს მკვეთრად გამიჯნავს ერთმანეთისაგან და ორივე შემთხვევაში დაარეგულირებს სიტუაციას. აღნიშნული პრობლემა მოიცავს საერთაშორისო სამართლის მიერ უარყოფილ „ტერორისტის" მცნებასაც.

„წითელი ჯვრის" დელეგაციის შეფასებით, ჩრდილოეთ კავკასიაში ლიკვიდირებული ბოევიკების ცხედრების მათი ნათესავებისთვის გადაცემის პრობლემა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პოზიციიდან დადებითად გადაწყდებოდა, მაგრამ რუსეთის შემთხვევაში ეს საკითხი „ტერორიზმის შესახებ" რუსეთის კანონს ეწინააღმდეგება. უცხოელთა აზრით, ეს კანონი მთლიანად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების ნორმებს.

**ანალოგიურად, ნალჩიკის 2005 წლის მოვლენები, იმის გამო, რომ არ ჩანდა ხელისუფლების მკვეთრად გამოხატული ოპოზიცია და ოფიციალურად ომი არავის გამოუცხადებია, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით კვალიფიცირდება როგორც „მასიური არეულობა" და არა როგორც შეიარაღებული ან შიდა კონფლიქტი.**

აღნიშნული მიმართულებით მუშაობის მორიგი ეტაპი გახდა ჯერ სათანადო შეთანხმების მიღწევა, შემდეგ კი 2008 წლის სექტემბერში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრასნოდარის უნივერსიტეტის ნალჩიკის ფილიალში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა შემსწავლელი ჩრდილოკავკასიური ცენტრის გახსნა.

ნალჩიკის ჩრდილოკავკასიური ცენტრი რუსეთის ანალოგიურ დაწესებულებებს შორის უმსხვილესია, ამიტომ „წითელი ჯვარი" სხვადასხვა თემატური კონფერენციებისთვის აქტიურად იყენებს. მაგალითად, 2009 წლის 30-31 მარტს გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული სემინარი „საერთაშორისო სტანდარტები სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში". სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ადიღეის, ყაბარდო-ბალყარეთის, ალანიის შინაგან საქმეთა სამინისტროების სხვადასხვა ქვედანაყოფები, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ინსტიტუტის, რუსეთის შსს-ს კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის პიატიგორსკის ფილიალის, რუსეთის შსს-ს კრასნოდარის უნივერსიტეტის მახაჩკალის ფილიალის, რუსეთის შსს-ს შინაგანი ჯარის ჩრდილოკავკასიური ინსტიტუტის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შსს-ების წარმომადგენლები.

კონფერენციისთვის ადგილი, დრო და მონაწილეები საგულდაგულოდ შეირჩნენ. პარალელურად ნალჩიკში 2005 წელს ყაბარდო-ბალყანეთის დედაქალაქზე შეიარაღებული თავდასხმის მონაწილეებს ასამართლებდნენ. **ცენტრში შესასწავლად წარმოდგენილი „წითელი ჯვრის" მასალების შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმების რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაში სრული „ინტეგრაციის" შემთხვევაში რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების ქმედებები ყაბარდო-ბალყანეთის ტერიტორიაზე 2005 წლის 13-14 ოქტომბერს შესაძლოა გასაჩივრდეს ჟენევის კონვენციის შესაბამისად და რუსეთი „ძალოვან ჩარევასა" და ბოევიკების განადგურებაში იქნეს დადანაშაულებული.**

სასწავლო დაწესებულებებში კურსების ჩატარებისას „წითელი ჯვრის" წარმომადგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და სამართალდამცავი ორგანოების საწესდებო დოკუმენტებში საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების იმპლემენტაციამ შესაძლებელი გახადა, აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმეები იმ სამხედრო მოსამსახურეთა წინააღმდეგ, რომელთაც საბრძოლო დანაშაულებები ჩაიდინეს.

**გამოდის, რომ „წითელი ჯვრის" საერთაშორისო კომიტეტი ჩრდილოეთ კავკასიაში იმ აგენტის როლს ასრულებს, რომელსაც რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და სამხედროებისათვის ტვინების გამორეცხვა ევალება. მათ მიერ სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულება საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევად ფასდება. ეს კი რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოებისათვის საშიშია. საშიშია რუსეთის მიერ „ტერორისტებად" მიჩნეული პირების ლიკვიდაციის კუთხითაც, რადგან ამ ტერმინის განსაზღვრებას საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საერთოდ არ იცნობს.**

„წითელი ჯვრის" **ხელმძღვანელობა დონორებისათვის თავისი აბსოლუტურად არაჰუმანიტარული მოღვაწეობის დემონსტრირებით ასაბუთებს საკუთარი მუშაობის აუცილებლობას რეგიონში, სადაც კონფლიქტი უკვე ამოწურულია.**

newsland.ru

## მოკლედ



### აშშ-მა ხელი შეგვაწმინდა

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ამერიკის უუნარობა, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობები დაემყარებინა, საქართველოს დააბრალა.** „ჩვენ შორის ძალიან დიდი უნდობლობა იყო, მსოფლიოს სრულიად განსხვავებულად ვხედავდით. უდიდესი გავლენა კი ამ მიმართულებით საქართველოში შექმნილმა ვითარებამ მოახდინა", — ბრძანა მან ბრუკინგის ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლისას და მერე იმ პასუხისმგებლობაზეც დაიჩივლა, რომელიც რუსეთთან „გზასაცდენილი" ურთიერთობების „გადატვირთვისას" იტვირთა.



### ომი დიდხანს გაგრძელდება

**ავღანეთში საერთაშორისო ძალების სარდალმა, გენერალმა სტენლი მაკკრისტალმა განაცხადა, რომ ავღანეთში ომი კიდევ დიდხანს არ დამთავრდება.** გენერლის მტკიცებით, ამის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თავის ხელისუფლებას არ ენდობა. შედეგად კი იქმნება მდგომარეობა, რომლის გამოც აშშ-ის პრეზიდენტი დადებულ პირობას ვერ შეასრულებს და ავღანეთიდან ამერიკულ ჯარს 2011 წლისათვის ვერ გაიყვანს. მხოლოდ მაისში ნატოს მხრიდან ომს 49 ადამიანი ემსხვერპლა, მათგან 32 ამერიკელია.



### ევროპა საპენსიო ასაკს ზრდის

**პენსიონერთა რაოდენობა შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედს არ უნდა აღემატებოდეს, ამიტომ ევროკომისია ევროსაბჭოს ქვეყნებს ურჩევს, საპენსიო ასაკი 65 წლამდე გაზარდონ.** წინააღმდეგ შემთხვევაში, საპენსიო ფონდებს სახიფათო დეფიციტი ელის. ახლა ევროპელები დამსახურებულ პენსიას 60 წლის ასაკიდან იღებენ. გერმანიამ საპენსიო ასაკის გაზრდის გადაწყვეტილება უკვე მიიღო. ექსპერტები იმავეს გაკეთებისკენ მოუწოდებენ, პირველ რიგში, საფრანგეთს, რომელსაც ევროკავშირში ყველაზე დაბალი საპენსიო ასაკი — 58,7 წელი აქვს.

# მამა გიორგი სხირტლაძე: წარსულით თავმოწონება არ უნდა დაემსგავსოს სიძველეთა კოლექციის სასაფლაოს

**„ადამიანებმა კოსმეტიკური ნიღბებით არ უნდა ვიაროთ, რათა გარეგნობა გვქონდეს ლამაზი. თითქოსდა მშვიდები, წყნარები ვართ, სინამდვილეში კი აგრესია და ძალადობა ბუდობდეს ჩვენში, იმ საფლავების მსგავსად, რომლებიც გარედან შემკულია, შიგნით კი ყოველგვარი სიბინძურითაა სავსე, როგორც ქრისტე ამბობს,“— აღნიშნა ჩვენთან საუბრისას იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზმა მამა გიორგი სხირტლაძემ. მამა გიორგის ტაძარში ვეწვიეთ და ამჯერად მრისხანების, როგორც მომაკვდინებელი ცოდვის, არსში გარკვევა ვთხოვეთ.**



— მრისხანება ერთ-ერთი მომაკვდინებელი ცოდვაა, რომელსაც ადამიანი წონასწორობიდან გამოჰყავს და ინსტიქტების მარიონეტად ხდის, ცხოველურ, განადგურებისა და დესტრუქციის ინსტიქტებს ვგულისხმობ. მრისხანების მომენტში ადამიანი მეტ-ნაკლებად შერაცხადია. როდესაც მრისხანება ავმეხსიერებასა და ხანგრძლივ აგრესიაში გადადის, ადამიანის სულიერი მდგომარეობა იცვლება და მის გულამდე აღწევს. თუ გულის სიღრმემდე ჩავიდა, შეიძლება დააზიანოს და გატეხოს ის. ამიტომ მრისხანების წამალი მოთმინებაა.

**მოთმინებისა და თვინიერების მოპოვება ადვილი არაა, ამას დიდი სიბრძნე სჭირდება. ვინც ბოლომდე დაითმენს, არ იმრისხანებს, ის გადარჩება. ვინც საკუთარ თავს ვერ აკონტროლებს, სულიერ ძალებს სწორი მიმართულებით ვერ წარმართავს, ცათა სასუფეველი კი ჩვენშია, ღვთის ხატებასა და მსგავსებაში.**

რით განსხვავდება მორწმუნე ურწმუნოსაგან? ქრისტიანი, უპირველესად, საკუთარ თავს ადანაშაულებს, ცდილობს, სხვებს გამამართლებელი მიზეზები მოუძებნოს, რათა არ განრისხდეს, ხოლო ურწმუნო ადამიანი სხვას ამტყუნებს, სხვაზე რისხდება და საკუთარ თავს მეტ-ნაკლებად მაინც მართლად თვლის. **იყო ქრისტიანი, ეს ნიშნავს, იყო ყოველდღიურ მოწამეობაში. მრისხანება ის ნახერხია, რომელიც ადამიანის სულიერი გამოთლისას დაიხერხა.** ეს ნახერხი თავიდან რომ არ ხერხო და სულიერი ძალები ტყუილუბრალოდ არ ფანტო, მომთმენი უნდა იყო, სიმშვიდე და სიბრძნე მოიპოვო.

**— მამაო, გამოდის, რომ მრისხანება ცალკეულ შემთხვევაში საკუთარი თავის გამართლების მცდელობაა?**

— მრისხანება ნებისმიერ შემთხვევაში თვითგამართლების, თვითმორჩილების, საკუთარი თავის აბსოლუტიზაციის, ეგოცენტრიზმის გამოვლინებაა. მრისხანება ეს არის შიში და კომპლექსი იმისა, რომ არ აღიარო საკუთარი დამარცხება; არ აღიარო, რომ სუსტი ხარ ან რაიმე შეგეშალა და შენი მცდარი შეხედულებები გაშიშვლდეს. **დიდი სიმამაცე და სიმხნევე საჭირო, რათა ადამიანმა საკუთარი ცოდვები აღიაროს. ქრისტიანობა გულის რელიგიაა, გულის გზაა. გული თუ მრისხანებით და ავმეხსიერებით არის სავსე, იგი კარგს ვერაფერს შეისწავლის, მისი ცხოვრების წესი ვერ იქნება მართალი.** მორწმუნე ადამიანი ისაა, ვისთვისაც ზეციური მადლი მიწაზე ჩამოდის, ხოლო მიწიერი ეკურთხება. ყოველივეს, რაც ჩვენ გარშემოა, კეთილი განწყობით უნდა შევხედოთ. მკრეხელობა არ უნდა მოვიწონოთ, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ მეტ-ნაკლებად გავამართლოთ და გავასულიეროთ ის, რაც ჩვენ გარშემო მრისხანებას იწვევს.

**— შეიძლება მრისხანება და ძალადობა ერთ ჭრილში განვიხილოთ?**

— როდესაც ადამიანი სულიწმიდის მადლსაა მოკლებული, მაშინ ის აგრესიულია და მეტ-ნაკლებად შეპყრობილია. შეპყრობილობა ადამიანში იმ დესტრუქციული ძალების შემოსვლას იწვევს, რომლებიც ბოროტ ძალებად არის წოდებული. შეპყრობილობა, უარეს შემთხვევაში, ეშმაკეულობა ადამიანს შეურაცხადს ხდის. როდესაც ადამიანი მრისხანეა, აგრესიულია, ძალადობისაკენ მიიდრიკება.

**ჩვენ უნიკალურ დროში ვცხოვრობთ. დღევანდელ სოციუმს თუ გადავხედავთ, კაცთმოყვარეობა, თვინიერება და მორჩილება, შეიძლება, სისუსტედ, ნაკლად და სიბეცესიჩლუნგედ იქნეს აღქმული.**

**ამჟამინდელ საზოგადოებაში უზრდელობა, აგრესია, გამოძალვისა და ძალადობის რეფლექს-ინსტიქტები ნორმადაა ქცეული. სრულყოფილების ხელოვნება დინების საწინააღმდეგო პროცესში უნდა გავიაროთ.** როდესაც აკრძალული გაქვს უზრდელობა, აგრესია, ქრისტე გეუბნება: **„გაგზავნით ვითარცა ცხვრებს, შორის მგელთა,“** მაგრამ ამ წუთისოფლის გარემო აგრესიულია შენდამი, როდესაც აქ ქრისტიანი ცხვარია და ძალადობას აწყდება, მოითხოვს საყრდენს. ერთადერთი საყრდენი, განმკურნებელი უფლის ძალაა.

ეს არის ის დიადი ფუნდამენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ძალადობასა და აგრესიას წინააღმდეგობა გავუწიოთ. ცხვარი ცხვარია, მაგრამ, თუ გაცხარდა, ცხარიაო, ამბობს ანდაზა და ეს ცხვარიც, ქრისტიანი, არ არის ადვილად შესაჭმელი. ეს ისეთი ცხვარია, რომელიც სულიწმიდის მადლითაა დაცული და არაერთი აგრესიული და მოძალადე მგელი დაიმტვრევს კბილებს, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ჩვენს პირად ცხოვრებაშიც ხშირად გამოვლენილა.

**ერთგულება იმ საწყისებისა და პრინციპებისა, რასაც ქრისტეს სწავლება ჰქვია, უზარმაზარ გამოცდილებასა და ამ გამოცდილების წარმატებით სინთეზ-ანალიზის საშუალებას გვაძლევს.** ამიტომ ეკლესიის ხმის მოსმენაა საჭირო, რომელიც გვაძლევს საშუალებას, ასე ვთქვათ, ალმოდებული სახლიდან დროზე გავასწროთ.

არ შეიძლება ცეცხლმოდებულ შენობაში ადამიანმა არხეინად დაიწყოს წიგნის კითხვა ან ჭადრაკი ითამაშოს. ასეთ სახლში ყოფნა შეიძლება დროებით ჩანდეს საამო, მაგრამ ძირია მწუხარებისა. ამ წუთისოფლის ალმოდებულ სახლში, ანუ აგრესიულ, მტრულ გარემოში არსებობის ერთადერთი ნავთსაყუდელი, თავშესაფარი ქრისტიანული რჯულის წყალია. წყალი ნათლობისა და ქრისტეს განმასახიერებელია. ეს ის წყალია, რომლის დალევის შემდეგაც ადამიანს აღარ სწყურდება. ამ წყალში ჩვენ უნდა ვპოვოთ სიგრილე, განსვენება, მყუდროება და უსაფრთხოება, რომ საკუთარ ცოდვებში არ დავიფერფლოთ.

აგრესიული ქცევის წესი, ძალადობის მიერ გამოწვეული შიში და მრისხანება კი თვითონ ამ ადამიანების წინააღმდეგ მიიქცევა, რისი უამრავი მაგალითიც გვაქვს.

**— თქვენ ახსენეთ, რომ ერში აგრესია მძლავრობს. თქვენი აზრით, იმ ერში, რომელიც საუკუნეების მანძილზე სტუმართმოყვარეობით, და ყველა ადამიანის მიმართ, განურჩევლად ეროვნებისა და რჯულისა, კეთილგანწყობით გამოირჩეოდა, რატომ იკიდებს ფეხს აგრესია?**

— ყველაფერი ცვალებადია და ის, რაც გუშინ იყო, შეიძლება დღეს გაქრეს; ის რაც დღეს არის, შეიძლება ხვალ სხვანაირი გახდეს. სტაგნაცია და უძრაობა არაფერს არ ახასიათებს, ყოველივე ცვალებადია. ყოველივე მუდმივ მოძრაობაშია და ის კანონზომიერებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ღვთის მიერ ქმნილ ქვეყნიერება-ყოფიერებას და რომლებიც მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლებაშია მოცემული, ადამიანებსა და ერს აძლევს საშუალებას, იყოს ჟამგრძელი და სულიერი იმუნიტეტის მქონე.

**როდესაც სწავლების გზა იკარგება ან, ყოველ შემთხვევაში, ერმა არ იცის ეს კანონზომიერებები, ან იცის და არ ახორციელებს, ან მხოლოდ და მხოლოდ ქვეცნობიერად იცის, ამ შემთხვევაში მისი ჟამგრძელობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.**

თქმა იმისა, რომ ბევრი რამე კარგი გვქონდა, არგუმენტი არაა, ცარიელი სიტყვებია, სიმართლეს მოკლებული, იმიტომაც გვიფარავს უფალი და აქამდე მოგვიყვანა (რად ღირს ღვთისმშობლის წილხვედრობა, წმიდა გიორგისა და წმიდა ნიკოლოზის, თუნდაც ასი ათასი წამებულის მფარველობა, უფლის მფარველობაზე აღარ ვლაპარაკობ) და ამით ამაყობა არ უნდა დაემსგავსოს წარსული ფრაგმენტების და წარსული რეკორდების კოლექციის სასაფლაოს. ცოცხალ აწყმოში უნდა იქმოდე და მყოფობდე. შეუძლებელია ადამიანმა წარსულით იცხოვროს. მხოლოდ და მხოლოდ ის არგუმენტი ჰქონდეს, რომ, რადგანაც შემოვრჩით და ამდენი დადებითი გვქონდა, ჩვენ ისევ კარგები ვართ; თვალები დახუჭოს იმ ნაკლოვანებებზე, რაც დღეს არის. ეს თავის მოტყუებაა.

**— ანუ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ?**

— არ უნდა აიკიდო მკვდარი ცდუნების ნაყოფი, ის დამპალი, ხრწნადი და მყრალი ფრაგმენტები, რაც წარსულში ცუდი ჩაგიდენია, იქნება ეს ინდივიდუალური თუ ეროვნული მასშტაბებით. უნდა უარყო, აღიარო, მოიცილო და თავისუფლად იარო. რა მნიშვნელობა აქვს, დიდი ლოდი მოგწყვეტს წელს და დაგაგდებს, თუ მისი წონა პატარ-პატარა კენჭები? **როდესაც ვემსახურებით უფალს და მოყვასს, ასევე საკუთარი თავის წინსვლას ვემსახურებით და ამის ფონზე თუ გავაცნობიერებთ მართლმადიდებელი ეკლესიის უზარმაზარ ცოდნას, გამორიცხულია, სულიერად არ გავიზრდოთ. ეს შეიძლება ერთ დღეში არ მოხდეს, მაგრამ წლების განმავლობაში ადამიანებსა და ერს აუცილებლად დაეტყობა სულიერი ზრდა.**

იმასაც ნუ ვიტყვით, რომ მარტო დეგრადაცია და აგრესია, ძალადობა არის ჩვენში, უამრავი სიკეთე ამოიზარდა და აღმოცენდა ღვთის მადლით, ტაძრების სიმრავლიდან დაწყებული, მრევლის ნაკადით დამთავრებული. ამ კარგს ეჭიდება მართლმადიდებელი ეკლესია ღვთის მადლითა და მისი სამღვდელოების მეცადინეობით. ამ სიკარგის დაუნახაობა დიდი სულიერი სიბრმავე იქნებოდა, მაგრამ ეს არც გაამაყებისა და თვითკმაყოფილების მიზეზი არ უნდა იყოს. უფალი მოგვიწოდებს, არ ვიყოთ მიღწეულით კმაყოფილნი და მუდამ ახალი გზის გასაკვლევად, ახალი სათნოების მოსაპოვებლად მივმართოთ. თუ გაიხსენებთ იოანე კიბის აღმწერელის ოცდაცამეტ საფეხურს, ის ოცდაცამეტ სათნოებას მოასწავებს და ყველა მათგანი მოსაპოვებელია. ჩვენ თავს უნდა დავუსვათ კითხვა, რამდენი მოვიპოვეთ აქედან, სულიერი კიბის რომელ საფეხურზე ვართ?

**— როცა აგრესია გარკვეული სოციალური ჯგუფების ქცევის საფუძველია, ამ შემთხვევაშიც მომაკვდინებელ ცოდვასთან გვაქვს საქმე?**

— აგრესიის მასობრივი გამოვლინება არ არის სასურველი. იგი კეთილის მომტანი არასდროს ყოფილა. ყოველთვის ტანჯვასა და ადამიანთა ცნობიერების დაბნელებას იწვევდა.

**როდესაც მასები აგრესიულნი ხდებიან, შავი ძალების შემოსვლა ხდება, მასიურ შეპყრობილობასთან გვაქვს საქმე. ასეთ დროს კვეთებული შეიძლება წაეკითხოს მთელ ერსა და მასებს, რასაც დიდი სულიერობა სჭირდება. მასობრივი თავყრილობები და მასობრივი აგრესიის გამოვლინებები იმ ძალებს გამოათავისუფლებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად დაკონსერვდა; უნდა ითქვას, რომ ამ მასების მართვა არასდროს ხდება სტიქიურად, ყოველთვის გარკვეული ცხადი თუ დაფარული ლოჟების მიერ კონტროლდება. არავის ეგონოს, რომ მასობრივი არეულობების უკან ბნელი ან გაუნათლებელი ხალხი დგას. ამის უკან მომზადებული სპეციალისტები არიან, რომლებსაც მრავალმხრივი ცოდნა აქვთ და თავიანთ სანუკვარ მიზნებს ადამიანთა მანიპულირებით ახორციელებენ.**

ცნობიერების მანიპულაცია ფსიქოლოგიის ცალკე დარგია, რომელიც მასმედიის ნებისმიერმა თანამშრომელმა მეტ-ნაკლებად უნდა იცოდეს. მასმედია ეს პარალელური ძალაუფლებაა და მართვის სადავეები აქვს. დააკვირდით, საბჭოთა კავშირის დროს როგორ იყვნენ მანიპულირებულნი მასები. მასებით მანიპულაცია ის მთავარი იარაღია, რომლითაც იმპერიებს ნებისმიერი ბოროტების გამართლება შეუძლიათ.

**— სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი მრისხანებამ?**

— როდესაც ადამიანის გონება დუმს და იძინებს, სიბნელეში იმყოფება, ურჩხულები იბადებიან, როგორც გოიას ნახატშია. მწარე ხიდან ტკბილ ნაყოფს ვერ მოვკრეფთ. რაც ხეა, ნაყოფიც ის იქნება, ამიტომ რა გასაკვირია, რომ მრისხანებამ და აგრესიამ ადამიანი დააკონსერვოს, მისი განვითარება შეზღუდოს, სულიერად გაყინოს, სტაგნაციაში მოათავსოს. **თუ მრისხანება რაღაც მანიაში გადავიდა, ასეთ დროს ადამიანის სხეულებრივი ჰაბიტუსიც კი ეცვლება და მისი გაცხოველება ხდება. ინსტიქტებს აყოლილი ადამიანი კენტავრს ემსგავსება.** ღვთის ქმნილება, რომელიც აგრესიისა და ძალადობის ხისაგან იგემებს ნაყოფს, ადამისა და ევას მსგავსად, გამოგდებული იქნება სამოთხიდან. **მრისხანებისა და ძალადობის დროს პიროვნების დაკარგვა ხდება, ადამიანის ინდივიდუალური სტრუქტურები იდღაბნება, ქრება და ადამიანის გამხეცება იწყება, ანუ სიმბოლურად რომ ვთქვათ, ხდება მიმსგავსება იმ მხეცისადმი, რომლის რიცხვსაც წარმოადგენს 666. უნდა გადავხედოთ იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსს და მის განმარტებას, მიახლოებით რომ გავიგოთ, რა სახის გამხეცებასთან გვაქვს საქმე.**

ადამიანებმა კოსმეტიკური ნიღბებით არ უნდა ვიაროთ, რათა გარეგნობა გვქონდეს ლამაზი, თითქოსდა მშვიდები, წყნარები ვართ, სინამდვილეში კი აგრესია და ძალადობა ბუდობდეს ჩვენში, იმ საფლავების მსგავსად, რომლებიც გარედან შემკულია, შიგნით კი ყოველგვარი სიბინძურითაა სავსეა, როგორც ქრისტე ამბობს. ჩვენ სულიერი ფასადი უნდა იყოს გამომჟღავნება შინაგანი ჰარმონიისა, სულიერი პროცესების მართლმადიდებლურ კალაპოტში უწყვეტი მდინარებისა.

**— რწმენა საქმის გარეშე მკვდარია. როგორ უნდა ვაქციოთ სიტყვა საქმედ?**

— სარწმუნოებით, იმედითა და დიდი სიყვარულით აღსრულებულ ყოველ საქმეს წარმატება ელის. სიფრთხილე და მღვიძარებაა საჭირო. ღვთის მიერ ბოძებულ სიკეთეს უნდა მოვუფრთხილდეთ და თავი დავიცვათ „ყოვლისაგან ბოროტისა.“

**ნათლად უნდა ვიცოდეთ მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლება, დოქტრინა, რომ არ მივეცეთ განსაცდელების წინაშე ფორიაქს და შიშს, არასწორი არჩევანის რისკს არ დავექვემდებაროთ. ყოველივე ეს ერთად და ცალ-ცალკე — მართალი აზროვნება, მეტყველება, ცხოვრება მოგვაშორებს ყოველივე უარყოფითს — სიცარიელეს, მოჩვენებითობას, ცრუ რწმენებს, ამპარტავნულ წარმოდგენებს, ტყუილებს, უსარგებლო დაპირებებს, არათანმიმდევრულ ღვაწლსა და საშუალებას მოგვცემს, ვიცოდეთ თავშეკავება აგრესიისგან და ძალადობისგან; გაგვათავისუფლებს ეჭვებისგან და აგრესიულნი არ გავხდებით.**

ეჭვიანი ადამიანი აგრესიულიცაა. არ შევიზიზღებთ სხვებს და ჩვენი თავიც სხვაზე მეტად საზიზღარი არ მოგვეჩვენება. ეს ორივე უკიდურესობა ცუდია. აქ ოქროს შუალედი უნდა მოვძებნოთ. გზა ჭეშმარიტებისა, გასხივოსნებისა, ცხოვნებისა. მოძალადე გულში ღვთის ნება ვერ შემოდის.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# გზა დამბლუტისაკენ

## დბანის ხევი



**მკითხველს ემახსოვრება, რომ წინა მოგზაურობისას ბალიჭის შემოგარენში, კერძოდ კი სათხეში შევჩერდით და დმანისის რაიონში აღარ გადავსულვართ. ამიტომ ახლა სათხიდან უკან უნდა გამოვბრუნდეთ და ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალს დავუბრუნდეთ, რომელიც დმანისისა და სომხეთისაკენ მიემართება. ბოლნისისა და დმანისის რაიონების საზღვარი პირობითად (საავტომობილო ტრასით თუ ვიმსჯელებთ), ორსაყდრების შემდეგაა, რომელიც ასევე წინა მოგზაურობისას აღვწერეთ. მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და, ჩვენდა გასახარად, საყდრები ლამის ველარ ვიცანით — ისინი ძალიან მოკლე დროში შეუკეთებიათ.**

მაისის შუა რიცხვებია, წვიმებს დარი მოჰყვა და ველებს ყაყაჩოების ცეცხლმა გადაუარა... სანამ სოფელ დიდ დმანისში შევიდოდეთ, გზიდან ხელმარჯვნივ მოზრდილი ნატაძრალი გამოჩნდება. დიდ დმანისში 200 წლის წინათ შიდა ქართლიდან გადმოსახლებულ ქართველობას ამ ადგილისათვის „საყდრის ბაღები“ და „ფოსტის მზვარე“ შეურქმევია, თავად ეკლესიას კი „წმიდა მარიამს“ უწოდებს. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, ამ ალაგს **აბულმუგი** (აბულბუგი, აბულმაგი) ერქვა. ახლა აქ კაზრეთის მადნეულის ერთ-ერთი საბადოა. წარმოიდგინეთ, რომ ასე ყოფილა ადრეც, როცა აქ, საგინაშვილებისა და ყაფლანიშვილების ბატონობის დროს, XVIII საუკუნეში, რკინა, სპილენძი და ლაჟვარდის ლითონი ითხრებოდა.

**აბულმუგის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ქვეშ ჯერ კიდევ ბჟუტავს 7-სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, მაგრამ მისი წაკითხვა შეუძლებელია. ძველი დროის რესტავრატორებს საინტერესო, ბოლნურჯვრიანი ქვა ჩაუდგამთ დასავლეთ კედელშიც. მასზე, ჯვრის ქვეშ, არის ორი ბერძნული აპოკალიფსური ასო „ალფა“ და „ომეგა“. ეს ჩვენი მოგზაურობის პირველი თემენია, წინ კი მრავალი ასეთი ქვა გველოდება...**

კამარაჩამორღვეული და დაზიანებული ეკლესია IX-X საუკუნეებისა უნდა იყოს და XVIII საუკუნეში შეკეთებულს ჰგავს. წარწერიანი ბოლნური ჯვარი კი V-VI საუკუნეებით თარიღდება.

სოფელ დიდი დმანისიდან არა დაბა დმანისისაკენ, არამედ დმანისის ნაქალაქარისაკენ მივეშურებით, მაგრამ მანამდე მდინარის მარჯვენა მხარეს, კლდეზე შეფენილ სოფელ მაშავერაში ავდივართ. დღეს მაშავერა, განთიადის პარალელურად, ერთი ყველაზე დიდი და ღონიერი ქართული სოფელია დმანისის რაიონში.

**გარდა იმისა, რომ 400 კომლი მოსახლე მკვიდრად სახლობს ზამთარზაფხულ, აქაურ ქართველობას იმითაც მოაქვს თავი, რომ იგი ამ სოფლის ძირძველი ბინადარია. სოფელს მაშავერა გვიან დაერქვა მდინარის სახელწოდებიდან გამომდინარე. ადრე მას გორენჯუკი ერქვა. 1721 წლის აღწერით აქ თურქესტანიშვილთა ექვსი ოჯახი ბატონობდა. სოფელში 13 გამომღები და 2 ბოგანო ყმა-კომლი ირიცხებოდა. 1738 წელს გორენჯუკში დემეტრე ყაფლანიშვილიც გამოჩენილა, რომელსაც გოდერძი თურქესტანიშვილისაგან ერთი მამული უყიდია.**

სოფლის ცენტრში დგას XIX საუკუნეში განახლებული, თლილი ქვით ნაგები წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც მართლმადიდებელი სოფლის მოქმედი ტაძარია. XIX საუკუნეში აქ დაფუძნებულ ტერტერებს ეკლესიის დასავლეთ ფრონტონში სამრეკლოს ფანჩატურიც აღუმართავთ და ხელიც „წასცდენიათ“ — აქაიქ სომხური წარწერები გაუკეთებიათ. ერთ-ერთი მათგანი ამოკვეთილია აღმოსავლეთ კედელში ჩაწოლილი ძველი საყდრის საკურთხევლის ტრაპეზის ქვის ფრაგმენტზე. აღსანიშნავია, რომ ასეთი ფორმის ტრაპეზის ქვა, და ისიც რატომღაც საყდრიდან გამოტანილი, ნანახი გვაქვს ჯავახეთში, სოფელ ღულალისის XI საუკუნის ტაძართან, რომელზეც ბაგრატ IV-ს რელიეფური წარწერაა. აღსანიშნავია, რომ ღულალისშიც XIX საუკუნეში გადააკეთეს სომეხმა ტერტერებმა ძველი ტაძარი და საკურთხევლის



### აბულმუგის ეკლესია და მისი უძველესი ქვა

ქვაც მაშინ გამოიტანეს გარეთ. საბედნიეროდ ღულალისის „რესტავრატორებმა“ ასომთავრული წარწერა ქართულად არ მიიჩნიეს და ადგილზე დატოვეს. რაკი მაშავერის ტაძრის კედელში ჩატანებული საკურთხევლის ტრაპეზის ქვის ფრაგმენტი, ღულალისის ტრაპეზის ქვის იდენტურია და სხვაგან მისი მსგავსი ქვა არ შეგვხვედრია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაშავერის ძველი ტაძარიც XI საუკუნისა უნდა ყოფილიყო.



### მაშავერის უძველესი ქვა ახალი წარწერით

სოფელ მაშავერიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ვაგრძელებთ გზას და **დამბლუტის** ხეობის სანახებში გადავდივართ. ეს ხეობა დღეს რუკაზე **უკანგორის** სახელწოდებით არის აღნიშნული, რადგან მის შუაწელზე ისტორიული სოფელი უკანგორია. თავდაპირველად ე.წ. დამბლუტის გვიანი შუასაუკუნეების ეკლესიასთან ვჩერდებით. აქ ადრე სოფელი მარაბდა უნდა ყოფილიყო. ამას მოსდევს რიყის ხევი, წოწოლაველის ხევი და კვრინჩხიანი, მერე კი უკვე სოფელი უკანგორია, რომელიც, მაშავერის (გორენჯუკი) მსგავსად თურქესტანიშვილების კუთვნილება ყოფილა 1721 წელს. უფრო ადრე, 1536 წელს, ბარათაშვილთა გვარის გაყოფის შემდეგ, იგი იოთამს რგებია წილად. სოფელში 10 გამომღები და 1 ბოგანი ყმაკომლი ყოფილა, მაგრამ მერე სრულიად დაცლილა და მხოლოდ XX საუკუნის 30-იან წლებში აუხმიანებია ხელახლა მეზობელ ვარდისუბნიდან გადმოსახლებულ 17 კომლს. უკანგორში ბალიჭიდანაც მიდის გზა, მაგრამ მაშავერიდან უფრო ახლოა — სულ რაღაც 4 კილომეტრი. უკანგორში ორი ძალიან ძველი ძეგლია, მესამე კი აღარ არსებობს. ამ უკანასკნელის, ქვებით XX საუკუნის დასაწყისიდან აქ გამოჩენილ ოქროს მაძიებლებს აბანო აუგიათ. ისინი მცირეოდენ ოქროს, თურმე, დამბლუტის წყლის ჩამონატანი ქვიშის რეცხვით მოიპოვებდნენ.

ორი საყდრიდან პირველი ე.წ. „ორკარიანი ეკლესია“ 1936 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის დროს უნახავს ლევან მუსხელიშვილს. ეს ტაძარი, რომელიც სიგრძეში 14 მეტრს აჭარბებს, ხოლო სიგანეში 7,4 მეტრია, დღესაც დგას სოფლის სასაფლაოზე. აღსანიშნავია, რომ მოყვითალო ქვების მოზრდილი, გათლილი კვადრებით შემოსილი ეს ტაძარი ტრადიციისამებრ დასავლეთიდან აღმოსავლეთით კი არ არის მიმართული, არამედ ჩრდილო-დასავლეთიდან — სამხრეთ-აღმოსავლეთით, ანუ ისე, როგორც ადრე წარმართული ტაძრები იგებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ „ორკარიანი საყდარი“ ძალიან ადრეული პერიოდისაა. ამას ადასტურებს ასევე კედლების სისქე (1,25 მ) და ტაძრის სიმაღლე შიგნიდან (6,65). ლევან მუსხელიშვილი ამ ტაძარს IV-VI საუკუნეებით ათარიღებდა.

ამავე ტერიტორიაზე სახელოვანმა მეცნიერმა სხვა ისტორიულ ღირსშესანიშნაობასაც მიაკვლია, ეს არის ჯვრის მოზრდილი პოსტამენტი (0,7X0,47X0,35 მ), რომლის წარწერა ხანმეტური ტექსტი აღმოჩნდა. წარწერის შემორჩენილი ფრაგმენტი ასე იკითხება: **„ქ. პეტრეს ხოვცობასა მე თათვარაზ აღხოვმართე ესე ჯოვარი სახელითა ღმრთისაითა, შეწევნითა...“** ამ თათვარაზის მეუღლეს რომ მარიამი რქმევია, ეს იქვე არსებული, შედარებით მცირე (0,39X0,35X0,31 მ), ჯვრის პოსტამენტის ნაკლული ხანმეტი ტექსტით დგინდება: **„სახელითა ღმრთისაითა მე თათვარაზ და მარიამ აღხოვმართეთ ესე ჯოვარი სალოცველად ჩუენდა“.** პირველი პოსტამენტის წარწერაში ერთ საინტერესო მომენტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: ჯვრის აღმართვა ადრექრისტიანულ ეპოქაში დიდ საქმედ ითვლებოდა და მას მაღალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი პიროვნება თუ აღასრულებდა ხოლმე. ამ შემთხვევაში ასეთი პიროვნებაა ვინმე **თათვარაზი**, რომელიც მეორე წარწერაში თანამეცხედრე მარიამსაც კი მოიხსენიებს. მაგრამ, როგორც წარწერიდან ირკვევა, თათვარაზზე მაღლა დგას **პეტრე ხუცესი** — მე თათვარაზმა პეტრეს ხუცესობას აღვმართე ჯვარიო. თუ თათვარაზი მაღალი იერარქიის ხელისუფალია, პეტრე ხუცესი კიდევ უფრო მაღლა მდგომი პიროვნება გამოდის — დრო-ჟამი პეტრეს ხუცესობით განიმარტება. ლევან მუსხელიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს პეტრე ხუცესი ის პიროვნებაა, რომელიც მერე საქართველოს პირველი პატრიარქი გახდება. იგი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელად კურთხევამდეც უახლოესი სასულიერო მოღვაწე იყო ვახტანგ გორგასლისათვის. ამდენად თათვარაზის (თუნდაც ქვემო ქართლის მმართველ პეროზიანთა ოჯახის წარმომადგენლის) მოხსენიება პეტრე ხუცესის შემდეგ სავსებით ლოგიკურია. აქედან გამომდინარე, ქვაჯვარი და მისი პოსტამენტი V საუკუნის 60-იან წლებში უნდა იყოს დადგმული, ხოლო ეკლესია ოდნავ მოგვიანებით — V-VI საუკუნეთა მიჯნაზე.

უკანგორის მეორე ეკლესია 1964 წელს აღმოჩნდა და 1968 წელს გაითხარა, მაგრამ იგი ძალიან დანგრეული აღმოჩნდა. კედლები მაქსიმალურად 165 სანტიმეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ეს არის სხვადასხვა ზომის ფაქიზად გათლილი რძისფერი ქვის კვადრებით ნაგები შვერილაფსიდიანი დარბაზული საყდარი (სიგრძეში 8.3, სიგანეში 4,5 მეტრი), რომლის კედლების სისქე 1,2 მეტრია. ამ ეკლესიის საკურთხევლის წინ ქვის ჯვრების, სტელებისა და მათი ბაზისების 50 ფრაგმენტი აღმოჩნდა და ყოველი მათგანი, ისევე როგორც ეკლესია, V საუკუნით თარიღდება. დღეს ეს არქეოლოგიური მონაპოვარი სახელმწიფო მუზეუმშია. მათგან ყველაზე შთამბეჭდავია ღვინისფერი დიდ ლოდში გამოკვეთილი ჯვრის პოსტამენტი (0,75X0,75X0,67 მ), რომლის ერთ წახნაგზე დიდი ბოლნური ჯვარია გამოქანდაკებული, ხოლო მეორე წახნაგზე — სიცოცხლის ხე და მის ორსავ მხარეს მდგარი ორი ვერძი. მარცხენა ვერძის გამოსახულება დამდნარია, მარჯვენა კი ახლაც ჩანს. ამ ვერძის თავზე 3-სტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, მაგრამ მისგან სიტყვა **„აღვმართეს“** გარდა აღარაფერი იკითხება გარკვევით.

**უკანგორიდან სოფელ მაშავერაში, იქიდან კი მთავარ საავტომობილო ტრასაზე ვბრუნდებით, რათა დმანისის ნაქალაქარში ავიდეთ. დმანისის „სიონის“ მორჩილი გიორგი არეშიძე გვირჩევს, რომ ნაქალაქარში არატრადიციული გზით, საიდუმლო შესასვლელით მოვხვდეთ. ეს საიდუმლო შესასვლელი ის გვირაბია, რომელიც მდინარე მაშავერის მარჯვენა სანაპიროდან ადის დმანისქალაქში. მისი სიგრძე, დაახლოებით 200 მეტრია, მაგრამ მიწაში კი არ არის გათხრილი, არამედ კლდეზეა მიშენებული უზარმაზარი ლოდებითა და ფილებით. გვირაბის ნახვა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. მართლაც რომ გასაკვირია, როგორ მოახერხეს X-XII საუკუნეებში ქალაქის მშენებლებმა ასეთი რთული სამთო-საფორტიფიკაციო ნაგებობის შექმნა.**

დროთა განმავლობაში გვირაბის კედლებზე და გადახურვაზე მცენარეული საფარი გაჩნდა, ბევრგან ხეც ამოვიდა და ისე შეინიღბა, რომ ვერანაირი დაკვირვებული თვალი ვერ გამოარჩევს. დასაწყისსა და ბოლოში იგი კაცის სიმაღლეზე მეტია, უმეტეს ნაწილში კი წელში მოხრილი სიარულს მოითხოვს. გვირაბის დასაწყისსა და ბოლოში ყოველ 5-6 მეტრში ლუკია დატანებული სინათლის შემოსასვლელად, მერე კი ეს ლუკები უფრო იშვიათად გვხვდება და სანახევროდ უკუნეთში გიწევს სიარული 30-გრადუსიან დახრილობაზე.

გვირაბი ნაქალაქარის დასავლეთ მონაკვეთში ამოდის...

**ბელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**







დამბლუტი. უკანგორის ორკარიანი ეკლესია და მისი სტელები ხანმეტი ტექსტით



დმანისის ნაქალაქარის გვირაბი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გენერალი პეტრე ბაგრატიონი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19

**1812 წლის 12 ივნისს ფრანგებმა ომის გამოუცხადებლად გადალახეს რუსეთის საზღვრები. პირველ არმიას, რომელიც მტერს პირისპირ შეხვდა, ფაქტიურად მისთვის რაიმე სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევია. მან მიატოვა ვილნო და, ფულის გეგმის თანახმად, დრისას ბანაკისაკენ დაიხია. ფრანგები შევიდნენ მიტოვებულ ქალაქში, ხოოლ ნაპოლეონი 220-ათასიანი არმიით ბარკლაის დაედევნა და განიზრახა მისი განადგურება დრისას მხარეში.**



ამავე დროს ფრანგების 136-ათასიანი არმია მისდევდა ბაგრატიონს, რომელიც ვოლკოვისკიდან მინსკ-ბორისოვის მიმართულებით მიდიოდა. ფრანგების მრავალრიცხოვანი ძალების მეთაურებს დავუს, პონიატოვსკის, ნაპოლეონის ძმას ჟერომ ბონაპარტეს, ლატურ-მობურსა და სხვებს ნაბრძანები ჰქონდათ მეორე არმიის სრული იზოლაცია და განადგურება.

**კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მეორე არმიას მთელი ძალები უნდა დაეძაბა, გამოეჩინა უდიდესი გამძლეობა. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში წარმოუდგენელი დაბრკოლებების გადალახვით არმია მინსკ-ბორისოვოს გზით მიემართებოდა პირველ არმიასთან შესაერთებლად. მაგრამ მინსკთან მოწინააღმდეგის მნიშვნელოვან ძალებს მოეყარა თავი, რამაც აიძულა ბაგრატიონი, აექცია მხარი ქალაქისათვის და ლუცკ-ბობრუისკზე გავლით მოგილიოვისკენ წასულიყო. ეს 300-ვერსიანი გზა მას ძალზე მოკლე დროში უნდა დაეფარა. რა თქმა უნდა, ეს იყო მეტად რთული და სახიფათო საქმე, რადგანაც მეორე არმიას ფეხდაფეხ მოსდევდა ფრანგების დიდი ლაშქარი.**

ბაგრატიონი დინჯად და ვაჟკაცურად ხვდებოდა ყველა სიძნელეს, მაგრამ იგი უკიდურესად აღშფოთებული იყო ბარკლაის უმოქმედობით, რის გამოც მოწინააღმდეგე ქვეყნის შიგნით ფაქტიურად უბრძოლველად შემოვიდა. „ვიდრე მოწინააღმდეგე შემოიჭრებოდა გასროლის გარეშე, — წერდა იგი 26 ივნისს გრაფ არაკჩეევს, — ჩვენ, კაცმა არ იცის, რატომ, უკანდახევა დავიწყეთ. ვერავის ვერ დაარწმუნებ ვერც ჯარში და ვერც მთელ რუსეთში, რომ გაყიდულები არ ვართ. მე მარტო მთელ რუსეთს ვერ დავიცავ. პირველმა არმიამ მყისვე უნდა დაიწყოს შეტევა ვილნოს მიმართულებით. ნეტავ რისი ეშინია? მე ყოველი მხრიდან მტერი მახვევია, წინასწარ ვერ ვიტყვი საიც გავაღწევ. ღვთის წყალობით, ძილს არ მივეცემი, ოღონდ ჯანმრთელად ვიყო, რაღაც ამ ბოლო დროს მაწუხებს. გთხოვთ, შეუტიეთ, თორემ ცუდი რამ გველის. რუსები არ უნდა გარბოდნენ... ეგრე პრუსიეებზე უარესნი გავხდით. მე ვიპოვი ადგილს და ბრძოლით გავიკვლევ გზას... თქვენ კი უნდა გრცხვენოდეთ... ზურგში გამაგრებული ბანაკი გაქვთ, ფლანგები თავისუფალი, წინ მოწინააღმდეგის სუსტი კორპუსებია... უნდა შეუტიოთ. ჩემი კუდი ყოველდღე ბრძოლაშია... სიხარულით გავაკეთებ ყველაფერს, მაგრამ სინდისიც და სამართლიანობაც ხომ უნდა არსებობდეს. თქვენ უკან ივლით, მე კი სულ გზას უნდა ვიკაფავდე. თუკი ვინმე ჩემ ფიგურას ვერიტანს, უმჯობესია გამათავისუფლოთ ულელისაგან, კისერზე რომ მადევს, სარდლად სხვა გამოგზავნეთ, ჯარს კი უმიზნოდ ნუ აწვალებთ, გირჩევთ, დაუყოვნებლივ შეუტიოთ, ნურავის ნუ უსმენთ“.

ეს გულისწყრომა არსებითად ალექსანდრე I-ის მიმართაა გამოთქმული, რადგანაც სწორედ მისი ბრძანებით იყო მიღებული ფულის მავნე გეგმა, რომლის მძიმე შედეგების გადატანა უმთავრესად ბაგრატიონს და მის არმიას უხდებოდა. აღშფოთებას, გულისტკივილს სხვაც გამოთქვამდა. სუვოროვის სკოლის გენერლები დაბეჯითებით ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ იმპერატორი საომარი მოქმედების გეგმის უვარგისობაში, ისინი დრისას ბანაკის დატოვებას და პირველი და მეორე არმიის დაუყოვნებლივ შეერთებას მოითხოვდნენ.

**ბოლოს და ბოლოს, ჯიუტი იმპერატორი გონს მოვიდა. მან რადიკალურად შეიცვალა აზრი პრუსიელ გენერალზე და აღარც ელაპარაკებოდა. სამხედრო საბჭოზე გადაწყდა დრისას ბანაკის უბრძოლველად დატოვება და აღმოსავლეთის, ქვეყნის სიღრმეში უკანდახევა. ბანაკში ექვსდღიანი დგომის შემდეგ, 2 ივლისს პირველმა არმიამ დასტოვა დრისა და ვიტებსკისაკენ გაემართა, რომელსაც 11 ივლისს მიაღწია.**

ბარკლაი ბრძოლის გამართვას ფიქრობდა ქალაქის კედლებთან და ამიტომაც უცდიდა ბაგრატიონს, რომელიც, მისი ვარაუდით, მალე უნდა გამოჩენილიყო ვიტებსკთან, მაგრამ ვითარება მკვეთრად შეიცვალა და ბრძოლა არ შედგა. საქმე ის იყო, რომ დავუმ რამდენიმე საათით დაასწრო ბაგრატიონს და დაიკავა მოგილიოვი. ეს ამბავი ბაგრატიონმა 9 ივლისს შეიტყო, როდესაც მეორე არმია დაბანაკდა მოგილიოვიდან 40 ვერსის დაშორებით მდებარე ქალაქ სტარი ბიხოვში.

გენერალი ვაჟკაცურად შეხვდა ამ ამბავს და გადაწყვიტა ოკუპირებული ქალაქის გათავისუფლება. თავისი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მან დააკისრა გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რაევსკის. რაევსკი დაუყოვნებლივ მოეკიდა საქმეს. ბრძანების მიღების დღესვე მისი კორპუსი მოგილიოვს 20 ვერსით მიუახლოვდა და დაბანაკდა სოფელ დაშკოვკაში, ხოლო მისი ავანგარდი ქალაქიდან 8 ვერსის მანძილზე განლაგდა.

**რაევსკის კორპუსის წინააღმდეგ მტერმა მრავალრიცხოვანი ძალები დასძრა მარშალ დავუსა და გენერალ მორტიეს მეთაურობით. 11 ივლისს მოწინააღმდეგენი პირისპირ შეხვდნენ ჯერ დაშკოვკასთან, ხოლო მოგვიანებით — სალტანოვკასა და ნოვოსიოლკასთან. ბაგრატიონელები თავგანწირვით იბრძოდნენ, ორჯერ დაჭრილნიც კი არ ტოვებდნენ ბრძოლის ველს.**

მართალია, ამ ოპერაციებში მოგილიოვი ვერ გაათავისუფლეს, მაგრამ მათ მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. დაშკოვკა-სალტანოვკას ბრძოლებმა დავუ დაარწმუნა ბაგრატიონის მტკიცე გადაწყვეტილებაში — დაეხსნა მოგილიოვი. როგორც უკვე ითქვა, რუსებს, მართლაც ჰქონდათ ასეთი განზრახვა, მაგრამ დავუ ვერ მიუხვდა ბაგრატიონს უფრო გვიანდელ გადაწყვეტილებას და სასტიკად მოტყუებული დარჩა. ბაგრატიონი დარწმუნდა თუ არა, რომ მოგილიოვს ვერ აიღებდა, დავუს რწმენის განსამტკიცებლად ჯარის საკმაოდ ძლიერი შენაერთები დატოვა ნოვოსიოლკასთან, თვითონ კი შეეცადა, გადაელახა დნეპრი ნოვი ბიხოვთან. 17 ივლისს გენერლის გადაწყვეტილება ბრწყინვალედ განხორციელდა.

**დიდი მსხვერპლის ფასად მიღწეული ამ წარმატებით ბაგრატიონმა თავი დააღწია მრავალრიცხოვან მდევარს, უზრუნველყო პირველ არმიასთან შეერთება, რითაც გადაწყვიტა 1812 წლის კამპანიის ბედი.**

ბარკლაის არმია, როგორც უკვე ითქვა, ბაგრატიონს ვიტებსკში ელოდა. 5 დღის განმავლობაში რუსები ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ მოძალებულ მტერს, რომლის შესაჩერებლად 13 და 14 ივლისს ოსტროვნოსა და კაკზვაჩინოსთან გაიმართა სისხლისმღვრელი შეტაკებები. ბარკლაი მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილდა. მან გადაწყვიტა, არ დალოდებოდა ბაგრატიონს და დაეწყო გენერალური ბრძოლა. გენერალი ალექსი ერმოლოვი, რომელიც შტაბის უფროსის თანამდებობაზე იყო, აგრეთვე, სხვა გენერლებიც წინ აღუდგნენ სარდლის გადაწყვეტილებას და დიდი კამათის შემდეგ დაარწმუნეს იგი, უარი ეთქვა მასზე. 15 ივლისს ბარკლაი დე-ტოლიმ უბრძანა ჯარს, დაეხია სმოლენსკისაკენ. ამავე დროს მასთან გამოცხადდა ბაგრატიონის ადიუტანტი თავადი მენშიკოვი და აუწყა, რომ მეორე არმიაც სმოლენსკისაკენ მიემართება.

**22 ივლისს სმოლენსკთან მოხდა ორი არმიის შეერთება, რასაც, ვიმეორებთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ომის შემდგომი მსვლელობისათვის. გაერთიანებული არმიის სარდლობა ბარკლაი დე ტოლიმ ითავა.**

**ბაგრატიონმა აცნობა იმპერატორს, რომ იგი ბარკლაის თავისი ნებით დაემორჩილა.**

ამ მნიშვნელოვანმა მოვლენამ საყოველთაო აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია. ხალხი იმედოვნებდა, რომ უკანდახევა შეწყდებოდა და სმოლენსკთან გაიმართებოდა გადამწყვეტი ბრძოლა, რომლის შედეგად მტერი განადგურდებოდა. ასე ფიქრობდა ბაგრატიონიც. მისი არმია მოუთმენლად ელოდა შესაბამის ბრძანებას და მიუხედავად გადატანილი სიმძიმეებისა, მისი საბრძოლო პოტენციალი მაინც მაღალი იყო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



კუტუზოვი და ბაგრატიონი ბრძოლის ველზე




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეექვსე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.
ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# 10 ყველაზე გახმაურებული ძარცვა

**ახლახან გფბ-მ გამოაქვეყნა ხელოვნების სფეროში 10 ყველაზე გახმაურებული დანაშაულის ნუსხა. გატაცებული ნივთების საერთო ღირებულება 600 მლნ ევროს შეადგენს.**



2003 წლის მარტსა და აპრილში, სამხედრო კონფლიქტისას, ერაყის მუზეუმიდან 10.000-მდე ფასდაუდებელი ისტორიული ექსპონატი გაიტაცეს.

1990 წლის მარტში ბოსტონის მუზეუმიდან 13 ფერწერული ტილო მოიპარეს, რომელთა ღირებულება 300 მლნ დოლარს შეადგენს. მათ შორის იყო რემბრანდტის, ედუარდ მანესა და ჰოვარდ ფლინკის ნამუშევრები.

2000 წლის დეკემბერში სამმა უცნობმა ავტომატის მუქარით შვედეთის ნაციონალური მუზეუმიდან რენუარის ორი ნახატი და რემბრანდტის 36 მლნ დოლარად ღირებული ტილო გაიტაცა. მოგვიანებით რენუარის ერთ ნახატს ერთ-ერთ ნარკობუნაგში, მარიხუანით გატენილ ტომარაში, მიაგნეს; დანარჩენი ორი კი 2005 წელს აღმოაჩინეს.



2003 წლის მაისში ვენის მუზეუმიდან მოიპარეს ბენვენუტო ჩელინის ოქროს **„სალიერა“**. ქურდები განთიადისას კიბით აძვრნენ მუზეუმის მეორე სართულზე, გატეხეს მინის ყუთი, რომელშიც XVI საუკუნეში დამზადებული ოქროს ქანდაკება ინახებოდა და მუზეუმიდან გაიტანეს. გატაცებული შედევრის ღირებულება 60 მლნ დოლარს შეადგენდა. 2006 წელს პოლიციამ „სალიერა“ მუზეუმს დაუბრუნა.

ედვარდ მუნკის ნახატები: **„მადონა“** და **„ყვირილი“** 2004 წლის 22 აგვისტოს ოსლოს მუზეუმიდან გაიტაცეს. შეიარაღებული მძარცველები დღისით შეიჭრნენ მუზეუმში და კედლიდან ჩამოგლიჯეს



ტილოები, შემდეგ კი შავი „აუდით“ მიიმალნენ. 2006 წელს ბოროტმოქმედები დააკავეს და ნამუშევრებიც მუზეუმში დააბრუნეს.



1995 წლის ოქტომბერში ნიუ იორკში, ცნობილი მევიოლინის — ერიკა მორონის ბინიდან გაიტაცეს 3 მლნ დოლარად ღირებული **სტრადივარიუსის ვიოლინო**, რომელიც დიდმა ოსტატმა 1727 წელს დაამზადა.

1969 წლის ოქტომბერში პალერმოში, წმინდა ლორენცოს ეკლესიის საკურთხევლიდან კარავაჯოს „შობა“ მოიპარეს. შედევრი 20 მლნ დოლარად იყო შეფასებული. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მოპარული ტილო სიცილიური მაფიის ბოსის — ჯერლანდო ალბერტის მფლობელობაში იყო, თუმცა მას ფერმაში ინახავდნენ, სადაც შედევრი ვირთხებმა და ღორებმა დაღრღნეს.

2002 წლის დეკემბერში ამსტერდამის მუზეუმიდან ვან გოგის 30 მლნ დოლარად ღირებული ფერწერული ტილოები გაიტაცეს. პოლიციამ ორი ეჭვმიტანილი დააკავა, მაგრამ ნახატებს ვერ მიაგნო.

1999 წლის 31 იანვარს ოქსფორდის გალერეიდან სეზანის 3 მლნ დოლარად შეფასებული პეიზაჟი მოიპარეს სწორედ მაშინ, როცა გარეთ ფოიერვერკებს უშვებდნენ.

2003 წლის აგვისტოში შოტლანდიაში, დრუმლანრიგის ციხესიმაგრიდან გაიტაცეს ლეონარდო და ვინჩის შედევრი **„მადონა კვირისთავით“** (65 მლნ დოლარი). ნახატი 2007 წელს იპოვეს.



# ყველაზე ახალგაზრდა მოგზაური



16 წლის ავსტრალიელი ჯესიკა უოტსონი ყველაზე ნორჩი მოგზაურია, რომელმაც შვიდი თვის განმავლობაში თავისი იახტით 37 ათასი კმ გაიარა. რამდენიმე დღის წინ 17 წლის უოტსონმა ფინიშის ხაზს მიაღწია სიდნეის უბეში. გოგონამ გადაცურა წყნარი და ატლანტის ოკეანეები, გარს შემოუარა აფრიკას და გადაკვეთა ინდოეთის ოკეანეც, შემოუარა ავსტრალიას და სიდნეიში დაბრუნდა.

# ყველაზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი



რუმინელმა დიზაინერმა შექმნა ფეხსაცმელი, რომელსაც თავბრუდამხვევი — 30 სმ სიმაღლის ქუსლი აქვს. სამშობლოში მიხაი ალბუს „ფეხსაცმლის არქიტექტორს“ ეძახიან. ასეთი ფეხსაცმელი 1800 დოლარი ღირს.

# კანიო კრისტალესი — ყველაზე ლამაზი მდინარე

კანიო კრისტალესი, ანუ როგორც მას უწოდებენ, ხუთფეროვანი მდინარე, სათავეს მაკარენას ქედიდან, კოლუმბიაში იღებს, აღმოსავლეთისკენ მიედინება და მდინარე გუაიაბეროს უერთდება. კანიო კრისტალესი, მრავალრიცხოვანი წყალმცენარეების გამოისობით, ყვითელი, ცისფერი, მწვანე, შავი და წითელია.

# ყველაზე ძვირადღირებული ლამბორჯინი



სუპერკარების მწარმოებელი იტალიური კომპანია „ლამბორჯინი“, დიზაინისა და ტექნოლოგიების თვალსაზრისით, საუკეთესო ავტომანქანებითაა ცნობილი. 1963 წლიდან კომპანიის მანქანები სულ უფრო მძლავრი, სწრაფი და ძვირადღირებული ხდება, რითაც ღირსეულ კონკურენციას უწევს თავის მთავარ მეტოქე Ferrari-ს. მსოფლიოში ყველზე ძვირადღირებული Lamborghini Reventon Roadster-ია, რომელიც სულ 20 ეგზემპლარადაა გამოშვებული.

# ყველაზე ძვირადღირებული „პომადა“



იგი 62 ათასი დოლარი ღირს. მისი კორპუსი 18-კარატიანი ოქროთია დამზადებული და მოოჭვილია 200 ბრილიანტით. ამას გარდა, შეგიძლიათ შეუკვეთოთ პერსონალური ნახატი, ლოგო ან ინიციალები, რომლებსაც კორპუსზე გამოსახავენ. „პომადას“ ხის ფუტლარი, პომადის წასასმელი ფუნჯი და ნატის ტომსიკა მოჰყვება.

# ყველაზე დიდი ნახატი

**მსოფლიოში ყველაზე დიდი ნახატი მხოლოდ ციდან ჩანს. ის ნევადის შტატის Black rock-ის უდაბნოს ქვიშებზეა გამოსახული. 48 წლის მხატვარმა ჯიმ დენევენმა მასზე მუშაობას 15 დღე მოანდომა. ვეება 9-მილიანი წრე ათასზე მეტ შიდაწრეს მოიცავს.**

# ყველაზე დიდი პორტრეტი

ყველაზე დიდი მოზაიკური პორტრეტი, რომელიც 120 ათასი მოღიმარი ადამიანის ფოტოსურათისგან შედგება, იაპონიის ქალაქ იამაჩუგის მცხოვრებლებმა შექმნეს. მიღწევა ოფიციალურად დაარეგისტრირეს გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა. ორტრეტზე გამოსახულია 1903 წელს დაბადებული იაპონელი პოეტი მისუძუ კანეკო. მოზაიკური გამოსახულების ზომა 31,78/42,82 მ-ს შეადგენს.



# ყველაზე სასარგებლო კერძები

ჟურნალმა „ფორბსმა“ იმ ქვეყნების ნუსხა გამოაქვეყნა, რომლებსაც ჯანმრთელობისა და დღეგრძელობისათვის ყველაზე სასარგებლო კულინარიული ტრადიციები აქვთ. ყველაზე მარგებელი იაპონური სამზარეულო აღმოჩნდა, რადგან ფართოდ იყენებენ კომბოსტოს ყველა სახეობას, თევზსა და სოიოს კერძებს. იაპონელები სრულ დანაყრებამდე არასოდეს ჭამენ.



მეორე ადგილზე სინგაპურის სამზარეულოა, ქვეყანა, სადაც ძირითად საკვებს ბრინჯი წარმოადგენს, თუმცა მენიუში უხვად აქვთ თევზი და ბოსტნეული, ხორცს კი იშვიათად მიირთმევენ, ხოლო ტკბილეულის მიღების მოთხოვნილებას ტროპიკული ხილით იკმაყოფილებენ.

ჩინეთი მესამე ადგილზეა საკვების მარგებლობით, რადგან კერძები ბოსტნეულის, ხილის, მარცვლეულისა და საკმაზი ბალახებისგან მზადდება.

კარგი სამზარეულო აქვთ შვედებსაც, თუმცა კლიმატური თავისებურებების გამოისობით, სუფრაზე ხილისა და ბოსტნეულის სიუხვე არ არის, სამაგიეროდ ბევრია რძის ნაწარმი, შავი პური, თევზი და კენკროვანი ხილი. შვედების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 81 წელს აღწევს.

გასაკვირია, რატომ არ სუქდებიან ფრანგები, რომლებსაც ძალიან უყვართ ხორცი, შოკოლადი, მაღალკალორიული ყველი. საიდუმლო, ალბათ, ისაა, რომ საფრანგეთის მკვიდრნი ხშირად და პატარა ულუფებს მიირთმევენ.

# მსოფლიოს უმდიდრესი მონარქები










**ბუმიბოლ ადულიადე** (ტაილანდი) — 35 მლრდ დოლარი.
**ხალიფა ბენ ზაიდ ალ ნაჰაიანა** (არაბთა გაერთიანებული საამიროები) — 23 მლრდ.
**აბდულა ბენ აბდულ აზიზი** (საუდის არაბეთი) — 21 მლრდ.
**ჰაჯი ჰას ანალ ბოლქია** (ბრუნეი) — 20 მლრდ.
**შეიხი მუჰამედ ბინ რაშიდი** (დუბაი) — 18 მლრდ.
**ჰანს-ადამ II** (ლიხტენშტეინი) — 5 მლრდ.
**ჰამად ბენ ხალიფა ელ ტანი** (კატარი) — 2 მლრდ.
**მუჰამედ VI** (მაროკო) — 1,5 მლრდ.
**ალბერტ II** (მონაკო) — 1,4 მლრდ.
**ქაბუს ბინ საიდი** (ომანი) — 1,1 მლრდ.
**ქარიმ ალ-ჰუსეინი** — 1 მლრდ.
**ელისაბედ II** (ინგლისი) — 650 მლნ.
**საბაჰ ალ-აჰმად ალ-საბაჰი** (ქუვეითი) — 500 მლნ.
**ბეატრის ვილჰელმინა არმჰარდი** (ნიდერლანდები) — 300 მლნ.
**მსვატი III** (სვაზილენდი) — 200 მლნ.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე ცნობილი სექტები

**სექტა იმ რელიგიური ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინია, რომელიც ძირითად რელიგიურ მიმართულებას გამოეყო და ოპოზიციური გახდა. სიტყვა სექტა ლათინურია და სკოლას, გზას, მიმართულებას ნიშნავს. გთავაზობთ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სექტების ჩამონათვალს:**



### ჩარლზ მენსონის „ოჯახი“

მენსონი 1934 წელს დაიბადა. დედამისი სრულიად ნორჩი გოგონა იყო, რომელიც შემდგომ მეძავი გახდა. 60-იანი წლები მენსონმა სან-ფრანცისკოს ციხეებსა და კოლონიებში გაატარა. იგი ძალიან ქარიზმატული იყო და ციხეში მიმდევრები შეიძინა, რომლებიც მის „ოჯახად“ იქცნენ. მენსონი და მისი მოწაფეები, რომლებიც მას „ღმერთსა“ და „სატანას“ უწოდებდნენ, 1968 წელს ლოს-ანჯელესში ჩავიდნენ, რათა თავიანთი ამბიციების რეალიზება მუსიკის სფეროში მოეხდინათ.

მუსიკალური კარიერის კეთების მოსურნე მენსონმა რამდენიმე თავის მიმდევარს, რომელთა შორისაც ქალიშვილებიც იყვნენ, უბრძანა, თავიანთ „მოსისხლე მტრებს“ გასწორებოდნენ. ისინიც, სანადირო დანებით აღჭურვილნი სახლებში შეცვივდნენ და ყველა იქ მყოფი სიცოცხლეს გამოასალმეს. მოკლულთა შორის აღმოჩნდა ფეხმძიმე მსახიობი შერონ ტეიტიც — ცნობილი რეჟისორის, რომან პოლანსკის მეუღლე.



### ჯიმ ჯონსის „სახალხო ტაძარი“

ჯიმ ჯონსი ჯერ კიდევ პატარაობისას ცოცხლად მარხავდა ცხოველებს. ნელ-ნელა მან მეგობრებიც შეიძინა. მალე ჯონსი მიხვდა, რომ სახლი ევიწროებოდა. ამიტომ თავისი „სახალხო ტაძრის“ მიმდევრებთან ერთად კალიფორნიაში გადასახლდა, სადაც მოკლე ხანში საზოგადოების ნაწილის სიყვარულიც დაიმსახურა, შემდეგ მან საკუთარი თავი ღმერთად შერაცხა.

1977 წელს მიმდევრებთან ერთად ის ჰაიანში, ჯონსთაუნში გადასახლდა. 1978 წელს თავის მიმდევრებს ჯერ კონგრესმენის მოკვლა, შემდეგ კი კალიუმის ციანიდით თავის მოწამვლა უბრძანა. დაიღუპა 900 კაცი, მათ შორის 200-მდე ბავშვი და თავად ჯონსიც.



### დევიდ კორეშის „დავიდოვის შტო“

ვერნონ ჰოუელი „დავიდოვის შტოდ“ წოდებული სექტის სწავლებამ გაიტაცა. სექტა ტეხასის შტატში, ვაკოში გაემგზავრა, რათა იქ სამყაროს დასასრულს დალოდებოდა. ჰოუელმა დევიდ კორეში დაირქვა, კულტს სათავეში ჩაუდგა და აპოკალიფსის ქადაგება დაიწყო, რომელიც ყველა ურწმუნოს ელოდა...

სამართალდამცავებს კორეშის სახლის გაჩხრეკა სურდათ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ის იარაღს ინახავდა, მაგრამ რეიდი ნამდვილ ალყად გადაიქცა. „დავიდოვის შტოს“ მიმდევრებმა სახლს ხანძარი გაუჩინეს, რის შედეგადაც დაიღუპა 80 კაცი და თავად კორეშიც.

### ლიუკ ჟურეს „მზის ტაძრის ორდენი“

1980-იან წლებში კონგოში დაბადებულმა ბელგიელმა თერაპევტმა, კანადელ იუველირ ჯოზეფ დი მამბროსთან ერთად ორდენი დააარსა.



ისინი ქადაგებდნენ რომაული კათოლიციზმიდან, ტამპლიერებისგან, როზენკრეიცერებისა და ასტროლოგებისგან ნასესხებ მრწამსს, რომელიც განმტკიცებული იყო ეკოლოგიური კატასტროფის შიშით.

ისინი სიკვდილს პლანეტათშორისი გაქცევის მეთოდად განიხილავდნენ. კულმინაციურ მომენტში ორდენში 500-მდე კაცი იყო. 1994 წლის ოქტომბერში თვითმკვლელობების სერიამ და ხანძრებმა თითქმის მთელი ორდენი გაანადგურა.

### შოკო ასაჰარას „აუმ სინრიკე“

ნახევრად ბრმა იაპონელმა აკუპუნქტურისტმა და იოგას მასწავლებელმა ტიძუო მაცუმოტომ 1987 წელს ახალი რელიგია შექმნა, სახელწოდებით „უზენაესი სიმართლე“.



მის მიმდევრებს სწამდათ, რომ მათ ლიდერს ლევიტაციის უნარი შესწევდა და რომ სამყაროს დასასრული 2000 წელს დადგებოდა.

1995 წლის 20 მარტს საკუთარი წინასწარმეტყველების — სამყაროს დასასრული მომწამლავი გაზის ღრუბლების გამოჩენისას დადგებაო — განსახორციელებლად ასაჰარას მიმდევრებმა ტოკიოს მეტროში სასიკვდილო გაზი **ზარინი** გაუშვეს. დაიღუპა 12 კაცი და მოიწამლა ათასი. ასაჰარა დააკავეს და სიკვდილით დასაჯეს.



### მარშალ ეპლუაიტის „ზეციური კარიბჭე“

მუსიკის ყოფილი მასწავლებელი მარშალი ეპლუაიტი და მედდა ბონი ნეტლსი თავს ღვთის მოციქულებად მიიჩნევდნენ. მათი თქმით, ამოუცნობი მფრინავი ობიექტი ყველა მორწმუნის წასაყვანად მოფრინდებოდა და მათ იხსნიდა. ამ მოძრაობას უამრავი მიმდევარი ჰყავდა, თუმცა ამ ციებ-ცხელებამ მალე გაიარა, ხოლო ნეტლსი 1985 წელს გარდაიცვალა.

1990-იან წლებში ეპლუაიტმა განაახლა თავისი სექტა, ხოლო 1997 წელს მან და მისმა 38 მიმდევარმა მასობრივი თვითმკვლელობა მოაწყეს.



### „ჭეშმარიტად მართლმადიდებლური ეკლესია“

პენზის ოლქში მამა პეტრემ განაცხადა, რომ აპოკალიფსი 2008 წლის მარტში დადგებოდა და რომ ღმერთი ხსნის გზას მას და მის მიმდევრებს უჩვენებდა. მამა პეტრემ (კუზნეცოვმა) სექტის წევრებს უბრძანა, დაეწვათ პასპორტები, რადგან ამ დოკუმენტებში ფიგურირებდა რიცხვი 666, შემდეგ კი თქვა, რომ სექტის წევრებს უნდა მოეწყოთ მიწისქვეშა თავშესაფარი, სადაც 6 კვირას გაატარებდნენ. 2008 წლის აპრილში სექტის წევრები, როგორც იქნა, თავშესაფრიდან ამოვიდნენ. მანამდე, როცა ვინმე მათ გამოყვანას შეეცდებოდა, თავის დაწვით იმუქრებოდნენ. მას შემდეგ, რაც სექტის წევრების უმრავლესობა თავშესაფრიდან გამოვიდა, მათმა ლიდერმა თავი მოიკლა.

# ყველაზე სწრაფი ავტომანქანა

ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების საუკეთესო პილოტი და ზებგერითი სიჩქარის სახმელეთო ტრანსპორტის მართვაში მსოფლიო რეკორდსმენი ენდი გრინი მორიგი გამარჯვებისათვის ემზადება — საათში 1000 მილის, ანუ 1600 კმ-ის სიჩქარე უნდა განავითაროს. ბოლო 20 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთმა ადამიანმა მოახერხა პოლკოვნიკ გრინის „გასწრება“ და ეს თავად გრინი იყო. სიჩქარის ახალი რეკორდის დამყარებას პილოტი 2010 წლის 4 ივლისს აპირებს.

1997 წლის 15 ოქტომბერს, ჰაერში ბგერითი ზღურბლის გადალახვის 50 წლისთავზე, ენდი გრინმა თავის ბოლიდ Thrustssc-ს საათში 1228 კმ განავითარებინა და მსოფლიოში პირველ ზებგერით მძღოლად იქცა. ეს რეკორდი დღემდე ვერავინ მოხსნა, მაგრამ გრინი არსებული რეკორდის გაუმჯობესებას თავად აპირებს. თავის პარტნიორთან — კონსტრუქტორ რიჩარდ ნობელთან ერთად, რომელიც 1983 წლიდან გრინს ახალი ზესწრაფი ბოლიდების შექმნაში ეხმარება, ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავი საათში ჯერ 1290 კმ-მდე, შემდეგ კი 1600 კმ-მდე სიჩქარის განვითარებას აპირებს. ამჯერად ამბიციური გეგმების განხორციელება ავიაციის პოლკოვნიკისათვის უწინდელივით იოლი როდი იქნება. მასთან ერთად სტარტისთვის ემზადება ავტომრბოლელთა კიდევ ორი ჯგუფი აშშ-დან და ავსტრალიიდან, რომლებიც, ასევე, ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებას გეგმავენ. სტარტს სამი სავსებით განსხვავებული ბოლიდი აიღებს: „ჩრდილოამერიკული არწივი“ (აშშ), „ვერცხლისფერი ტყვია“ (ავსტრალია) და ენდი გრინის ახალი ზებგერითი ავტომანქანა „მრბოლელი“ (ბრიტანეთი).



არც ერთ მათგანს ჩვეულებრივი მანქანის არაფერი სცხია — მათ კონსტრუქციებში აეროკოსმოსური და ნანოტექნოლოგიებია გამოყენებული.

# ყველაზე კოსმოსური ოტელი



ბარსელონაში განთავსებულმა კომპანიამ „Galactic Suite ltd“-მა განაცხადა, რომ იწყებს კოსმოსურ ოტელში შვებულების გატარების მსურველთა რეგისტრაციას. მაგრამ ტურისტებს 2012 წლამდე ლოდინი მოუწევთ, რადგან სადგური ჯერ არ აშენებულა. ამ ოტელში სამი დღით გაჩერება 4,5 მლნ დოლარი ეღირება, ტროპიკულ კუნძულზე რვაკვირიანი ვარჯიშის ჩათვლით. მოგზაურობას დღე-ნახევარი დასჭირდება, ხოლო დედამიწიდან 450 კმ-ში მდებარე ორბიტაზე განთავსებულ ოტელში მოხვედრას ერთდროულად მხოლოდ 6 კაცი შეძლებს. ამჟამად კოსმოსში დასვენების სურვილი 43 კაცმა გამოთქვა. სადგურს ანონიმი მილიარდერი აფინანსებს, რომელმაც ამ პროექტში უკვე 3 მლრდ დოლარი დააბანდა.

# ყველაზე უსასრულო წიგნი

თავიდან ელექტრონული წიგნები თვალში საცემად განსხვავდებოდა ქაღალდზე ნაბეჭდი გამოცემებისგან, ახლა კი მათ მაქსიმალურად დაემსგავსა. ამის მაგალითია გერმანელი დიზაინერის — ევალდ ნეიჰოფერის მიერ შექმნილი ელექტრონული წიგნი, რომლის გადაფურცვლაც შეიძლება. მართალია, წიგნი მხოლოდ ორი ფურცლისგან შედგება, მაგრამ თითოეული მათგანი, თავის მხრივ, ორგვერდიანია. სწორედ ამის გამოა შესაძლებელი წიგნის გადაფურცვლა. როგორც კი ოთხი გვერდის წაკითხვას მორჩებით, წიგნის პირველ ფურცელს დაუბრუნდებით, საიდანაც ახალი ტექსტის კითხვას განაგრძობთ. ასე რომ, წიგნი უსასრულოა... თანაც ის ილუსტრირებული და ფერადია.



# ყველაზე ლამაზი ბულდოგი



ამერიკაში, აიოვას შტატის ქალაქ დე-მოინში ქვეყნის ყველაზე ლამაზი ბულდოგი აირჩიეს. გამარჯვებულის გვირგვინი ხვად ძაღლს, სახელად მითბოლს გადაეცა. ამ ყოველწლიურ კონკურსში ყურადღება ექცევა არა მარტო ბეწვისა და თათების სილამაზეს, არამედ „ძაღლურ ღიმილსაც“...

# ყველაზე მაღალი ატრაქციონი

ლას-ვეგასში მსოფლიოში ყველაზე მაღალი ატრაქციონი გაიხსნა. სქაი-ჯამპინგის ყველაზე მაღალი კოშკი 260 მ-ის სიმაღლისაა. შესვლა ექსტრემალური განცდების ყველა მოყვარულს შეუძლია. ნახტომისთვის მზადებასა და გადმოხტომას ნახევარი საათი მაინც სჭირდება. ატრაქციონზე ბილეთის ფასი 100 დოლარს აღწევს.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## როგორ უნდა გარეცხო კატა



**ავსტრიაში მცხოვრები ოთხი თვის სპარსული კატა კიმბა დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ჩართულ სარეცხის მანქანაში აღმოჩნდა გამოკეტილი.**

კატის პატრონის, ლინდსი როჯერსის თქმით, ცხოველი მანქანაში, ალბათ, გასარეცხ ტანსაცმელზე დასაძინებლად შეძვრა. ამის შემდეგ საბრალო ფისოს სარეცხი ფხვნილი მოაფრქვიეს, მათეთრებელი სითხე ჩაამატეს და 30-წუთიანი რეცხვის პროგრამა ჩაურთეს. მიუხედავად იმისა, რომ კიმბა გვარიანად გაირეცხა, გაევლო და გაიწურა კიდევაც, მის პატრონს მანქანიდან სარეცხის გამოლაგებისას კნავილი შემოესმა. საბრალო კატა სასწრაფოდ ვეტერინარულ კლინიკაში წაიყვანეს — სარეცხი ფხვნილის გამო თვალები ეწვოდა და ცრემლი მოსდიოდა. რამდენიმე საათის შემდეგ გარეცხილ-გაფუმფულებული კიმბა თავს მშვენივრად გრძნობდა.

## შოკოლადის ობლიგაციები



**ბრიტანულმა საკონდიტრო კომპანიამ „Hotel Chocolat“ შოკოლადის ობლიგაციები გამოუშვა. ამ ობლიგაციებში დაბანდებული ფულიდან შემოსავალს ინვესტორები შოკოლადით სავსე ყუთების სახით მიიღებენ.**

უახლოეს მომავალში კომპანია თავის მუდმივ კლიენტებს სამწლიან ობლიგაციებს შესთავაზებს. მუდმივი კლიენტების რაოდენობა კი არც ისე ცოტაა. მხოლოდ 100 ათასი წევრი კომპანიას სადეგუსტაციო ჯგუფში ჰყავს. საკონდიტრო შოკოლადის „ფასიანი ქაღალდების“ გაყიდვით დაახლოებით ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგის მოზიდვას გეგმავს.

ინვესტორები, რომლებიც „შოკოლადის ობლიგაციებში“ ორ ათას ფუნტს დააბანდებენ, ორ თვეში ერთხელ 18 ფუნტის შოკოლადს მიიღებენ, ოთხი ათასის დამბანდებლებს კი ასეთი ძღვენი საკონდიტროდან ყოველთვიურად მიუვათ.

## მსოფლიო ჩემპიონატი ტორტების სროლაში



**ინგლისის კენტის საგრაფოში მოხარშული კრემით მორთული ტორტების სროლის მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. ტურნირში სხვადასხვა ქვეყნის 12 გუნდი მონაწილეობდა.**

შეჯიბრში მთავარი ქულათა მოგროვება იყო, ამისთვის კი მონაწილეებს ერთმანეთისთვის ორი მეტრის დაშორებიდან ტორტები უნდა ესროლათ, მხოლოდ მარცხენა ხელით. ქულების მაქსიმალურ რაოდენობას — ექვსს — ის მონაწილე იღებდა, ვინც მოწინააღმდეგეს ტორტს პირდაპირ ცხვირ-პირზე მიათხლიშავდა. 2009 წლის ფესტივალის გამარჯვებულნი ბრიტანელები გახდნენ. ბრიტანეთში კრემიანი ნამცხვრების სროლის ფესტივალი 1967 წლიდან იმართება. თავიდან მასში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მამაკაცებს ჰქონდათ, მოგვიანებით კი წესები შეიცვალა და გუნდებში ქალებიც გამოჩნდნენ. 1987 წლიდან ტურნირის ჩატარების ტრადიცია დაიკარგა, მაგრამ 2007 წელს ბრიტანელებმა ის კვლავ აღადგინეს.

# ევროპის აქილევსის ქუსლი თუ ევროკავშირის საცდელი ბაჭია?

**უკვე ნახევარი წელიწადია, ევროპელებს ვერაფრით გაურკვევიათ, ამ ორი განსაზღვრებიდან რომელი უფრო ზუსტად ასახავს ავბედითი საბერძნეთის ამჟამინდელ სტატუსს. ის, რაც საბერძნეთის პრობლემად ითვლებოდა, ევროკავშირის ბერძნულ დრამად იქცა.**




2010 წლის თებერვალში ევროკავშირის პირველი ეკონომიკური სამიტი იძულებული გახდა, მომავალი 10 წლის განმავლობაში განვითარების გეგმების ნაცვლად საბერძნეთის გადარჩენის თემაზე ემსჯელა. უკვე ცხადი იყო, რომ თუ ის კრიზისს ვერ გადალახავდა, მთელ ევროპასა და ევროზონასაც თან გაიყოლიებდა.

ბერძნული კრიზისი 2009 წლის ოქტომბერში, არჩევნებში პრემიერ გეორგის პაპანდრეულის სოციალისტების პარტიის გამარჯვების შემდეგ დაიწყო. ახალ მთავრობას შემზარავი სიურპრიზი დახვდა — აღმოჩნდა, რომ ეკონომიკაში საქმე სულაც არაა ისე, როგორც ამას „ახალი დემოკრატიის“ მემარჯვენეები ირწმუნებოდნენ.

**მონაცემების გადახედვამ მდგომარეობის ამსახველი საზარელი სურათი აჩვენა: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი დეკლარირებული 3,7%-ის ნაცვლად 12,7%-ს უტოლდებოდა, ეს კი ევროზონის 3%-იან დასაშვებ ბარიერს ოთხჯერ აღემატებოდა. ჯამური (საგარეო და შიდა) სახელმწიფო ვალი საერთო შიდა პროდუქტის 113%-ზე, ანუ 300 მილიარდ ევროზე მეტი აღმოჩნდა.**

**როგორც გაირკვა, ბერძნები თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის „გაუმჯობესებას“ ჯერ კიდევ ევროკავშირში გაწევრიანებამდე შეუდგნენ. თავის მხრივ, ევროკავშირი ზუსტად იგივე პრობლემების წინაშე აღმოჩნდა პორტუგალიასთან, ესპანეთთან და იტალიასთან მიმართებაშიც. ამ ქვეყნების ბანკებისადმი დავალიანება მთლიანობაში 1,3 ტრილიონ ევროს აჭარბებს.**

მაგრამ საბერძნეთი მაინც სულ სხვაა. ეს ქვეყანა უნიკალურ მოვლენად იქცა ევროზონისათვის, რომელსაც 2001 წელს მიუერთდა. ახლა ევროკავშირში არავინ იცის, საბერძნეთის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ რომელ მონაცემებს უნდა ენდონ და რომელს — არა. მაგალითად, იქაური კონსერვატორები ირწმუნებიან, რომ ასეთი დეფიციტი რეალურად არ შეიძლება არსებობდეს და სოციალისტები განგებ ამძიმებენ სიტუაციას, რათა არარსებულ ვალებსა და დეფიციტებთან მათი ბრძოლა უფრო მნიშვნელოვნად გამოიყურებოდეს.

**ბერძნული ხაზინა სისტემატურმა კორუფციამ და პოლიტიკურმა პროტექციონიზმმა გამოაცარიელა. გარდა ამისა, ექსპერტების შეფასებით, ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტის თითქმის 30% „ჩრდილშია“. ბერძნების უმეტესობა საკუთარი შემოსავლების მხოლოდ ნახევრის დეკლარირებას ახდენს და გადასახადებს გაურბის. პაპანდრეუს მთავრობაში სჯერათ, რომ, თუ „ჩრდილოვანი საერთო შიდა პროდუქტი“ გაცხადებულს შეემატება, ქვეყნის ბიუჯეტი დაუყოვნებლივ გაიზრდება დადებით ნიშნულამდე. ამასთან დაკავშირებით, ბერძნებმა პირობა დადეს, რომ მიმდინარე წლის დასრულებამდე ბიუჯეტის დეფიციტს 8%-მდე შეამცირებენ, 2012 წლისათვის კი — 3%-მდე. მოკლედ, „ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები“ გრძელდება.**

რეალური და არა მითიური ელადის პრობლემების ჩამონათვალი კი ასეთია: სუსტი ეკონომიკა, უმუშევრობის მაღალი დონე (გასულ წელს ეს მაჩვენებელი 9%-ს უტოლდებოდა), არასასურველი სავაჭრო ბალანსი (იმპორტი 44 მილიარდი ევროთი აღემატება ექსპორტს), ევროზონის საშუალო მაჩვენებელზე ორჯერ მაღალი ინფლაცია, კონტროლდაკარგული საპენსიო სისტემა, რომელსაც პენსიაზე ნაადრევად გამსვლელთა უდიდესი რაოდენობის გამო 2015 წლისათვის სრული კრახი ელის, სახელმწიფოს მაღალი წილი (40%-მდე) ეკონომიკაში, გადასახადების გადაუხდელობის სტაბილურად მაღალი მაჩვენებელი (წელიწადში 30%-მდე). ამ ყველაფერს ემატება ქვეყანაში გამეფებული წარმოუდგენლად დიდი საპროტესტო განწყობა. ამჟამინდელი პრემიერის მამამ, რომელიც თითქმის ოცი წელი იმყოფებოდა ხელისუფლებაში, ეს პროტესტები უამრავჯერ წაახალისა დათმობით. პრემიერი-შვილი ხალხს პატრიოტიზმისა და რთულ პერიოდში სოლიდარობისაკენ მოუწოდებს, მაგრამ როგორც ქუჩებში შექმნილ განწყობას ემჩნევა, ეს მისი პოლიტიკური კარიერის ფინალია.

**პაპანდრეუ-შვილმა გადაწყვიტა, მკვეთრად შეამციროს სოციალური დანიშნულების ყველა დანახარჯი — საპენსიო, ჯანდაცვის, განათლების, უმუშევრობის დახმარების. სახელმწიფო სექტორში 30-35%-ით მცირდება ხელფასები და, ცხადია, საერთოდ უქმდება მე-13 და მე-14 ხელფასი. გარდა ამისა, უნდა ჩატარდეს სახელმწიფო კომპანიების მასობრივი პრივატიზება, მიღებულ უნდა იქნეს კანონები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება, კერძო კომპანიებმა თანამშრომლებს ხელფასები შეუმცირონ, დამატებითი ღირებულების გადასახადი 19%-დან 21%-მდე უნდა გაიზარდოს, ასევე გაზრდას დაექვემდებარება ბენზინის, ალკოჰოლისა და თამბაქოს გადასახადები. დაწესდება გადასახადი ელექტროენერგიისათვის და გადასახადი ფუფუნებისთვის. ქვეყნის პარლამენტმა ეკონომიის ეს გეგმა ოპერატიულად დაამტკიცა.**

უკმაყოფილო ხალხმა პრემიერს გაფიცვებით, დემონსტრაციებითა და პოლიციასთან ხელჩართული ბრძოლებით უპასუხა. გაფიცულია ყველა — აეროპორტების თანამშრომლები, წარმოებების მუშები, ავტობუსების მძღოლები, სახელმწიფო მოხელეები, გადასახადების ამკრეფები, პორტების მუშები და მეზღვაურები.

**ახლა ევროკავშირი ყველაზე მეტად იმას შიშობს, რომ სოციალისტ ხელისუფლებას ეკონომიასთან დაკავშირებით არაფერი გამოუვა. და თუ საბერძნეთი რეალურად განიცდის დეფოლტს, ის ევროკავშირის მთელ „პერიფერიულ“ ეკონომიკას გაიყოლებს. საბერძნეთი მჭიდროდაა ჩანერგილი ევროზონაში, ასე რომ არ ყოფილიყო, ბერძნებისთვისაც უკეთესი იქნებოდა და მსოფლიო ფინანსური ბაზრებისთვისაც.**

**სავალუტო ბაზრები დეფიციტიანი ეკონომიკის ქვეყნის ვალუტას მოიშორებდნენ და ამით ორთქლს გამოუშვებდნენ. საბერძნეთი სულაც გავიდოდა ევროზონიდან და საკუთარ ვალუტას დაუბრუნდებოდა, მისი დევალვირების შემდეგ კი ყველა ვალს დააბრუნებდა და განაგრძობდა მშვიდად ცხოვრებას. მაგრამ ახლა საბერძნეთის დეფოლტი ავტომატურად განაპირობებს ევროს მიმართ ნდობის შემცირებას, ვალების გაძვირებას ევროზონის ყველა ქვეყნისათვის და შესაბამისად, უფულობისა და კრიზისის ახალი ტალღების აზვირთებას.**

ამის გამოა, რომ ევროზონის მთავარი დონორი ქვეყნები — გერმანია და საფრანგეთი — ასე შფოთავდნენ. ორივემ იცოდა, რომ საბერძნეთის შველა აუცილებელია, მაგრამ არც ერთს არ სურდა, საკუთარი მოსახლეობის მხრებზე ამ ტვირთის აკიდება. ბერძნების 300-მილიარდიანი ვალის რეფინანსირებას წელს 50 მილიარდი ევრო სჭირდებოდა.

**საბერძნეთის გადარჩენის საკითხზე გაჩაღებულმა დებატებმა კი ევროზონის უამრავი შიდა პრობლემა გამოაჩინა. ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტები, მაგალითად პროფესორი ნურიელ რუბინი, ფინანსისტი ჯორჯ სოროსი და ბანკ „Societe Generale“-ს ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ საბერძნეთისადმი გაწეული ნებისმიერი დახმარება გარდაუვალი მოვლენების დროში გადავადების გარდა ვერაფერს შეცვლის და რომ ევროკავშირი მაინც დაიშლება. ბუნდესტაგის დეპუტატები თვლიან, რომ საბერძნეთმა რეფინანსირებისათვის თავისი აქტივები, მათ შორის კუნძულებიც, უნდა გაყიდოს.**

გერმანიის ფინანსთა მინისტრი ვოლფგანგ შოიბლე მოითხოვს, რომ დაწესდეს უმკაცრესი სანქციები ევროზონის იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ფინანსურ დისციპლინას არღვევენ და დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნან ევროზონიდან. ახლა ევროკავშირის ნორმებს თითქმის ყველა ქვეყანა არღვევს, ამდენად, მინისტრის რეკომენდაციები თუ შესრულდა, ევროზონაში მხოლოდ გერმანია დარჩება. მისი მეორე რეკომენდაცია გასაჭირში ჩავარდნილი „მეზობლების“ დასახმარებელი ფონდის შექმნის თაობაზე ევროპარლამენტმა უკვე მოიწონა. მიუხედავად ამისა, იტალიური ბანკის ეკონომისტი მარკო ანუნციატი მიიჩნევს, რომ „ამ ფონდის შექმნა არაფერს შეცვლის, გარდა იმისა, რომ ამით მოხდება წარუმატებლობის აღიარება, აღიარება იმისა, რომ ქვეყნებს არ შეუძლიათ სტაბილურობისა და ზრდის პაქტის პირობების შესრულება და საჭირო ფინანსური დისციპლინის შენარჩუნება“.

**სინამდვილეში ბერძნების გამო მთელი ევროზონა არ დაიღუპება, მაგრამ ევროკავშირის ეკონომიკური გაჯანსაღების ტემპი შენელდება. ერთადერთი, რაც ნამდვილადაა მოსალოდნელი, ევროზონის კარდინალური წმენდა და საერთო საცხოვრებლისთვის ახალი წესების შექმნა იქნება. ამიტომ საბერძნეთი, ევროკავშირის აქილევსის ქუსლი, ევროპული ინტეგრაციისა და ურთიერთდახმარების მამოძრავებელი ძალაა. ევროკავშირს კი არჩევანი არ აქვს — ან იცხოვრებს ასე, ან მთელი ევროზონა დაიშლება.**




*newsland.ru*

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საფრანგეთი რელიგიური ომების ზღვარზეა

**საფრანგეთში მუსლიმანური თემი რიცხოვნებით მეორე, აქტიურობით კი პირველია. ამ თემის გავლენა იმდენად დიდია, რომ, როდესაც მისმა უმნიშვნელო, ყველაზე ახალგაზრდა და მარგინალურმა ნაწილმა ცხელი ნარევით სავსე ბოთლები მოიმარჯვა, მთელი რიგი ქალაქები კოლაფსისმაგვარ მდგომარეობაში ჩაიძირა და ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი გათამაშდა.**

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, არც ერთ ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანს და მით უფრო სახელმწიფო მოხელეს აზრად არ უნდა მოსვლოდა ამ თემის წევრების შეგნებული და მიზანმიმართული დამცირება-პროვოცირება.

საფრანგეთში კი სწორედ ეს ხდება. მინისტრთა საბჭომ ხომ საზოგადოებრივ ადგილებში ფარანჯის ამკრძალავი კანონპროექტი დაამტკიცა. არადა, ფარანჯა სწორედ საზოგადოებრივ ადგილებში გამოყენებისთვისაა და კანონის ფორმულირება უსათუოდ აღიქმება აბუჩად აგდებად. შემოდგომაზე, პარლამენტში განხილვის შემდეგ, კანონი ძალაში შევა. პროექტის მიხედვით, აკრძალვის დამრღვევები 150-ევროიან ჯარიმას გადაიხდიან. მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული მათთვისაც, ვინც ქალებს სახის დამალვას აიძულებს — ამ კატეგორიის ადამიანებს ერთ წლამდე პატიმრობა ელით.

ექსპერტები წინასწარ ამბობდნენ, რომ ამ ნორმატიული აქტის მიღება საზოგადოებაში ანტიისლამური განწყობის პროვოცირებას გამოიწვევდა და ამ პროგნოზების ასრულება შემაშფოთებელი სიზუსტით დაიწყო. პრესა იუწყება, რომ მაღაზიაში ახალგაზრდა მუსლიმან ქალს თავს დაესხნენ. თავდამსხმელი 60 წლის იურისტი ქალი გახლდათ. მან ჯერ უკმაყოფილო კომენტარებით შეამკო მუსლიმანის შავი, დახურული სამოსი, შემდეგ კინკლაობა ხელჩართულ ჩხუბში გადავიდა, ბოლოს კი ადვოკატი 26 წლის მუსლიმანს მივარდა და სახიდან ჩადრი ჩამოჰგლიჯა. კონფლიქტის ორივე მონაწილე დააკავეს.

ამ ინცინდენტს გრანდიოზული რეზონანსი მოჰყვა — საფრანგეთის მუსლიმანი მოსახლეობა აღშფოთებულია; მით უფრო, რომ მასმედიის ცნობით, ფარანჯის აკრძალვა მხოლოდ პირველი ნაბიჯია.

**მდგომარეობა იმდენად დაძაბულია, რომ მასიური არეულობა ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. და ეს მაშინ, როდესაც გაცილებით საღად მოაზროვნე ფრანგი პოლიტიკოსებისა და სამართალდამცავების მტკიცებით, „ფარანჯის პრობლემა“ თავიდან ბოლომდე შეთხზული მითია. მუსლიმანი ქალის სამოსის ამ აქსესუარს საფრანგეთში თითზე ჩამოსათვლელი ადამიანი იყენებს და ეს იოტისოდენადაც კი არ ემუქრება საფრანგეთის კულტურულ იდენტურობას. მაშ, ვის და რისთვის დასჭირდა ამ პროვოკაციული და დისკრიმინაციული საკითხის წამოჭრა და მისი საკანონმდებლო დონეზე განხილვა?**

**ზოგიერთმა ექსპერტმა უკვე გასცა პასუხი ამ კითხვას. მთავარი დამნაშავე სარკოზის კაბინეტის პროისრაელური პოლიტიკაა. მთავრობა ძალიან ხშირად თელ-ავივიდან მიღებული მითითება-დირექტივებით ხელმძღვანელობს და არა — საფრანგეთის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე.**

ამ მიზეზის გათვალისწინებით, საფრანგეთის მთავრობის „უცნაური“ ქმედებები ადვილად ასახსნელი ხდება. საქმე ისაა, რომ ისრაელს უკანასკნელ პერიოდში უკიდურესად აშფოთებს ევროპის ანტისიონისტური განწყობა. შეგახსენებთ, რომ ღაზას სექტორის მიმართ ისრაელის აგრესიას მრავალათასიანი მანიფესტაციები ახლდა. ცხადია, ამ განწყობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ევროკავშირის მუსლიმანური თემები ასრულებდნენ. იყენებდნენ რა თავიანთ გავლენას, ისინი ზემოქმედებას ახდენენ ამ ქვეყნების ხელისუფლებებზე და ისრაელთან მიმართებაში მათი პოლიტიკის ფორმირებას განაპირობებენ.



**ამ ყველაფრის გამო თელ-ავივისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ევროპელი მუსლიმანები და სხვა დანარჩენნი ერთმანეთს გადაჰკიდოს. ამისათვის კი მუსლიმანები უნდა წარმოაჩინოს აგრესიულ მიმტაცებლებად, რომლებიც ევროპის კულტურულ ტრადიციებს უქმნიან საფრთხეს. მუსლიმანების მიმართ დისკრიმინაციული კანონების მიღებით სარკოზი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისათვის მათ პროვოცირებას ცდილობს და არავინ ფიქრობს, რამდენად წაადგება ამგვარი პოლიტიკა ფრანგ ხალხს.**

*segodnia.ru*

# «თალიბანი» ხალხს კარგავს, ამერიკა — რეპუტაციას

**თალიბების წინააღმდეგ ავღანეთში გაჩაღებული სამხედრო ოპერაცია სულ სხვა მიმართულებით მიდის, ვიდრე ეს ნატოს გენერლებს სურდათ. უახლესი, ზეთანამედროვე ამერიკული და ევროპული შეიარაღება, სპეცსახსრები და ტექნოლოგიური მიღწევები სხვა კონტინენტიდან მოსულ ჯარისკაცებს თალიბების საბოლოოდ დამარცხებაში ვერ ეხმარება. თალიბები ამ დრომდეც მტკიცედ ინარჩუნებენ პოზიციებს როგორც საბრძოლო, ასევე პოლიტიკურ სფეროში.**

**საკუთარ სამშობლოშივე უმუშევრად დარჩენილი და უღატაკესი ახალგაზრდობის შთაგონებისას თალიბური აგიტაცია ისლამურ ფუნდამენტალიზმსა და ფანატიზმთან ერთად „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის“ ჟინსაც ეყრდნობა. იყენებენ რა ლოზუნგად უკომპრომისო ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, რადიკალური ისლამისტები თავიანთ რიგებს განუწყვეტლივ ავსებენ ახალ-ახალი მომხრეებით. ამერიკა ესოდენ ეფექტურ „HR — მენეჯმენტს“ მხტუნავი ტექნიკური პროგრესის ნაყოფით ებრძვის და თალიბანის ცოცხალ ძალას სასიკვდილო იარაღის ფოლადის ძალას უპირისპირებს.**

22 მაისს მძლავრი საავიაციო შეტევისას მთელი რიგი დარტყმები მიაყენეს პაკტიას პროვინციაში განლაგებულ თალიბანის პოზიციებს. ამ აქციის შედეგად დაახლოებით 12 ადამიანი დაიღუპა. შეიარაღებული შეტაკება მას შემდეგ მოხდა, რაც ამერიკელმა სამხედროებმა ტერიტორიის პატრულირებისას ორი თალიბი შენიშნეს და ორივე გაანადგურეს. მოგვიანებით მოკლული თალიბების ცხედრების წასაღებად მოსული სამხედრო ვერტმფრენი და 10 ადამიანი განადგურდა.

ამ ყველაფრის პარალელურად, არავისთვისაა საიდუმლო, რომ ამერიკული ჯარი ავღანეთში ძალიან ბევრს სცოდავს. მშვიდობიანი მოსახლეობის ამოწყვეტის ფაქტები იმდენად ბევრია, რომ განსაკუთრებით გახმაურებული შემთხვევების გამოძიებას თავად ამერიკული სარდლობა შეუდგა. საუბარი იმის შესახებ, რომ ნატოს მებრძოლები ნარკოტიკებს მოიხმარენ, ფიზიკურ ძალადობას მიმართავენ როგორც თავიანთი თანამებრძოლების, ასევე ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ და მოწინააღმდეგესთან გარიგებებს აწარმოებენ, სიახლე აღარავისთვისაა. ქვეყანაში მოქმედი უფლებადამცველი ორგანიზაციების ხელთ არსებული უამრავი მტკიცებულებით, ისინი სასტიკად ექცევიან მშვიდობიან მოსახლეობას და დაკავებულებს აწამებენ.

ამერიკული დემოკრატიის „ღირებულებები“ უკვე იმდენად დამკვიდრდა ავღანურ მიწაზე, რომ სხვა კონტინენტის ჯარით გაწამებული ადგილობრივი მოსახლეობა უკვე ამავე დემოკრატიის იარაღით ცდილობს თავის დახსნას. 14 მაისს ნანგარჰანის პროვინციაში ქუჩაში ასობით აღშფოთებული მოქალაქე გამოვიდა. ისინი ნატოს ოკუპაციურ სარდლობას განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვაში ადანაშაულებდნენ. აქციის მონაწილეთა მტკიცებით, ამერიკელმა სამხედროებმა წინა დღეს მამაკაცი და მისი ოთხი ვაჟი მოკლეს, სხვა ოჯახიდან კი ოთხი გოგოა დაღუპული.

საბრძოლო შეტაკებებისას ამერიკელები ძირითადად საბრძოლო ტექნიკის წყალობით ახერხებენ თალიბებთან გამკლავებას. მიუხედავად ამისა, ავღანეთში ამერიკული ჯარების სარდალმა გენერალმა მაკკრისტალმა შარშან ობამას დამატებით 30 000 ჯარისკაცი მოსთხოვა. მათი მოქმედების წარმატებულობა მეტნაკლებად აისახა გილმენდის პროვინციის სამხედრო ოპერაციაზე, მაგრამ ამ ოპერაციის ანალიზი აბსოლუტურად ცხადად ადასტურებს, რომ ამერიკული ჯარი ავღანეთში „მშვიდ ცხოვრებას“ ვერ ეღირსება.

**ოპერაციისას 5 ათასზე მეტ ამერიკელ და ბრიტანელ სამხედროს და მათ დამხმარე 2500 ავღანელ ჯარისკაცს მარჟიდან სულ რამდენიმე ასეული თალიბი უნდა განედევნა. ორკვირიანი ბრძოლა მარტში დასრულდა. გამარჯვება კი მოჩვენებითი აღმოჩნდა: გაწმენდილ რაიონში მუშებად და გლეხებად გადაცმული ისლამისტები ისევ ბრუნდებიან. ამდენად, აშშ ავღანეთში, უკვე კარგა ხანია, პარტიზანული ომის პირობებში იბრძვის; აბსოლუტურად გაუგებარია, რა აზრი აქვს საზაფხულოდ დაგეგმილ მასიურ შეტევას, როცა პირისპირ მდგარ „თალიბანს“ მოწინააღმდეგის ზურგში გაცილებით მეტი „გლეხი-თალიბი“ ჰყავს, ვიდრე ჯარის ნაწილებში. ამ „ოპერაციის“ ბედი წინასწარ ერთმნიშვნელოვნადაა გადაწყვეტილი.**

*segodnia.ru*

# ვიღაცამ ლა-მანშის სრუტეს გადაუფრინა



**ამერიკელმა ჯონათან ტრაპმა უამრავი ფერადი ბუშტი გაბერა, წელზე გამოიბა და, არც მეტი არც ნაკლები, ლა-მანშის სრუტეს გადაუფრინა. ცხადია, ეს საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის მდებარე სრუტის თავზე ამ მეთოდით გადაფრენის მსოფლიოში პირველი შემთხვევა იყო.**

36 წლის ტრაპი თავისი ათასფერი „მფრინავი აპარატით“ კენტის საგრაფოდან აფრინდა და სამი საათის შემდეგ საფრანგეთში, კომბოსტოს მინდვრებზე დაეშვა. დაშვების მეთოდი ბუშტების გროვიდან ზოგიერთების გამოცლა და ჰაერში გაშვება იყო.

ტრაპი აღფრთოვანებულია მოგზაურობისას განცდილი სიამოვნებითა და მის თვალწინ გადაშლილი არაჩვეულებრივი ხედებით. ერთი თვის წინათ ტრაპმა ბუშტებით ფრენის მსოფლიო რეკორდი დაამყარა — მან ჩრდილო კალიფორნიის თავზე დაშვების გარეშე 170 კილომეტრი იფრინა.

# ტატუ «გამომყევი ცოლად»




**სან-დიეგოს მკვიდრმა ჯო უიტენბერგმა თავისი შეყვარებულისთვის დაქორწინების წინადადება პირდაპირ სხეულზე ამოიტვიფრა. „რეიჩელ, გამომყვები ცოლად?“ — ეს წარწერა მამაკაცის მხარზე წყვილს დიდი ხნის მანძილზე მოაგონებს მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს წუთებს.**

უიტენბერგი ტატუს სპეციალისტია, ამიტომ სამუშაო თვითონ შეასრულა. ცხადია, წინასწარ დაამზადა შაბლონი, რომლის მიხედვითაც წარწერა სიმეტრიული და ლამაზი გამოვიდოდა.

როდესაც „შედევრი“ მზად იყო, სიამაყით აღსავსე უიტენბერგი თავის შეყვარებულს რეიჩელ სტრიტერს ეახლა და ჭირსა და ლხინში ერთად ყოფნის წინადადება წერილობით წარუდგინა. რეიჩელის პასუხი — „რა თქმა უნდა“ — სიხარულისგან გადარეულმა საქმრომ ასევე ამოიტვიფრა სხეულზე.

# ინდონეზიაში კაბებს არიგებენ



**ინდონეზიის პროვინცია აჩეხის მთავრობამ 20 ათასი კაბა იმისთვის შეიძინა, რომ მოტკეცილ ჯინსებში გამოწყობილ გოგონებს დაურიგოს. კაბები მომავალი ორი თვის მანძილზე ისლამისტების ტრადიციული ნორმების დარღვევით შემოსილ ქალებს დაურიგდებათ.**

ისლამურ პოლიციას კი ფრიად საპასუხისმგებლო საქმე დაევალა — მათ უნდა გაარკვიონ, ქუჩაში მოსიარულე სუსტი სქესის წარმომადგენელთაგან ვის აცვია გამომწვევად და ვის — არა. ჯერ კაბებს დაურიგებენ, მერე კი, თუ სამჯერ ზედიზედ დაიჭირეს ვიწრო ჯინსებით, ორი კვირით მიაბრძანებენ ციხეში. ცხადია, ადგილობრივ მაღაზიებში ჯინსების გაყიდვა საერთოდ აიკრძალა. დაუმორჩილებლობა კი ლიცენზიის დაკარგვისა და მაღაზიის დახურვის ტოლფასია.

პირველივე დღეს პოლიციამ 18 გოგონა დააკავა. მათ ჯინსები ეცვათ და მოპედებით სეირნობდნენ. პოლიციამ თვრამეტივეს ჩამოართვა შარვლები, გრძელი კაბები გადასცა და განყოფილებიდან შინ მანამ არ გაუშვა, სანამ მუსლიმანი სასულიერო პირებისგან შემეცნებითი გაკვეთილები არ მოისმინეს.

ინდონეზიაში მსოფლიო მასშტაბით ყველაზე მრავალრიცხოვანი მუსლიმანი მოსახლეობაა.

# რატომ ვერ უშველა ნოდარ დუმბაძეს «ვალიდოლმა»

**სიტყვას რომ დიდი ძალა აქვს, დამეთანხმებით. მას შეუძლია სიცოცხლით სავსე ადამიანი მოკლას, მომაკვდავი კი გამოაცოცხლოს, გამოაფხიზლოს. სიტყვის მთქმელმა თუ დამწერმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ კარგ მთქმელს კარგი გამგონე ჰყავს. იყვნენ და არიან მწერლები, პოეტები, მხატვრები, კომპოზიტორები, რეჟისორები, მომღერლები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მაგრამ ყველა მათგანს როდი ჰქონდა ან აქვს მახვილი სიტყვა და იუმორი.**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იუმორით სავსე ქვეყანაა, ახლა ნიჭიერებს „SMS“-ებით ეძებენ. ვისაც მეტი ნაცნობი და მეგობარი ჰყავს, თურმე ისაა ნიჭიერი. ასეთი მიდგომა საქმისადმი მართლაც რომ სასაცილოა. დღეს თბილისში ვარსკვლავთცვენაა, ნამდვილი ვარსკვლავები კი მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონებში განისვენებენ.

**ზოგიერთი ამბავი ან რაიმე ეპიზოდი, რაც ჯერ არ დაბეჭდილა, შესაძლოა, ჩემი თანატოლების მეხსიერებაში იყოს შემორჩენილი, ზოგიც კიდევ ჟურნალ „ნიანგის“ ფურცლებზე ყოფილიყოს გამოქვეყნებული. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, გამოჩენილი ადამიანების გამონათქვამები, ნაკვესები და ე.წ. ფუნაგორიები გავიხსენო და ცოტათი მაინც გავმხიარულდეთ.**

ერთხელ ბიჭობაში, ბიჭებთან რაღაცას ვყვებოდი, მაგრამ რას ვყვებოდი, არ მახსოვს. ნოდარი მაშინ ჩემსავით ჩვეულებრივი ბიჭი იყო და არა ის ნოდარ დუმბაძე, რომელიც დღეს მთაწმინდაზეა დაკრძალული. კარგა ხანს მისმინა და, ამბავი რომ დავამთავრე, მითხრა: — **„ბიჭო! რავარც ამბავს ყობი, მასე რომ წერდე, დიდი მწერალი იქნებიო“.** ვუპასუხე: **„ნოდარ! ხვალიდან დავიწყებ ისე წერას, როგორც ვლაპარაკობ-თქვა“.** შევეცდები, ნოდარის შენიშვნა ახლა მაინც გავითვალისწინო.

1966 წელია. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძეა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე გახლავთ, ჟურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორი კი — ნოდარ დუმბაძე.

პოეტმა მიხეილ ქვლივიძემ დაწერა სატირული ლექსების ციკლი „ქურდს ქუდი ეწვის“. აქედან სამი ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „ნიანგში“, განსაკუთრებით სკანდალური ერთი აღმოჩნდა. გთავაზობთ შემოკლებულ ვარიანტს.

### „უბინაო პოეტის მონოლოგი ბიუროკრატის კაბინეტში“

(სცენა წარმოადგენს ბიუროკრატის კაბინეტს. შემოდის აღელვებული პოეტი. ბიუროკრატი ღიმილით სავარძელზე მიუთითებს).

პოეტი:

**ნუ შეწუხდებით! მე ხელს არ მაძლევს
არც ეგ ღიმილი, არც სავარძელი...
გავძლებ როგორმე უმაგსავარძლოდ,
ვით უბინაოდ დღემდე გავძელი.
...ეს შენ იყავი — მრავალჯერ ნაცად,
უტყუარ ხერხით რომ გამაწვალე,
შენ დამავიწყე ლექსი და ნაცვლად,
განცხადებების წერა მასწავლე!**

(ბიუროკრატი წამოვარდება, პოეტი ხელის აწევით გააჩერებს მას)

**...მაგრად დაეკარ სავარძელს, გესმის?
ვინძლო დაგტოვონ მის ანაბარა!
დე, მის სინდისზე იყოს ეს ლექსი,
ვინც ჩემი ბედი შენ ჩაგაბარა!**

(პოეტი გადის და კარს მიიჯახუნებს. ბიუროკრატი ჯიბიდან ვალიდოლს იღებს).

ვფიქრობ, კომენტარის გარეშე ვერ გადავრჩებით. ჟურნალს ხელს აწერდა ნოდარ დუმბაძე, მაგრამ ეს ლექსი არ წაუკითხავს.

სკანდალი აგორდა და ამბავი ცეკას პირველ მდივნამდე მივიდა. ნოდარს ვალიდოლი დასჭირდა. საჭირო შეიქნა ძნელადგამოსასწორებელი საქმის გამოსწორება. ლექსი არამცთუ კრიტიკული, შეურაცხმყოფელიც იყო ისეთი პიროვნების მიმართ, რომელიც ქართველი ხალხის სიამაყეს წარმოადგენდა. ნოდარს ურეკავდნენ სახლშიც და რედაქციაშიც, ზოგჯერ პირველი მდივნის სახელითაც კი. ჟურნალის მომდევნო ნომერში დაიბეჭდა ჯვებე დუმბავას ფსევდონიმით ლექსი „პადლეცი“:

**„არ იცის მოყვრის დანდობა,
ისე უჯიშო ჯიში აქვს;
რომ ვეღარ შესძლო მხატვრობა
მხატვრული სიტყვა ირჩია.
შეუქეს გამბედაობა:
„ვაჟკაცი ხარო, გულრკინა!“
ძველსა და ახალ თაობას
მიეპარა და უკბინა.
ღვარა ნიანგის ცრემლები:
„მჩაგრავენ, არვინ მარგია!“
ამ დროს კი პოლონურიდან
იტალიურად თარგმნიან.
თავს თვლის სამშობლოს მსახურად,
თუმც მიზნები აქვს გარეწრის;
ნამუსის ქუდი არ ხურავს
და ამიტომაც არ ეწვის“.**

ტელეფონის გაუთავებელი ზარები ერთმა ზარმა დააგვირგვინა.

— ნოდარი ხარ?

— დიახ.

— მე ვასილ მჟავანაძე ვარ!

— კარგი რა, ნუ გაატრაკე, ვიღაცა ხარ! — ყურმილი დაახეთქა ნოდარმა. ცოტა ხნის მერე ურეკავს ნოდარს დევი სტურუა — ცენტრალური კომიტეტის მდივანი, იდეოლოგიის დარგში. ეს უკვე ნოდარისთვის ნაცნობი ხმა იყო.

— გისმენთ დევი გიორგევიჩ!

— მე კი მისმენ, მაგრამ ვასილ პავლოვიჩმა რომ დაგირეკა, იმას რატომ არ დაელაპარაკე?

ამ დროს ნოდარს „ვალიდოლმაც“ ვერ უშველა.

ნოდარი ანაგის ქუჩაზე ახალმიღებულ ბინაში იწვა. სანახავად წავედით: მე, ელგუჯა მაღრაძე და ოთარ ჭელიძე. გზაში ბევრი ვიხუმრეთ და ხუმრობა-ხუმრობით ერთი ლექსი მივუტანეთ:

**„ირაკლი რომ გავეცით,
ნიანგელნი გავბეცდით,
მე ირფარქტით დავეცი,
შელავათი მომეცით,
თუ არა და შემ..ით!“**

ბევრი იცინა და ბოლო სტრიქონში ერთი ასოს ჩანაცვლება შემოგვთავაზა — „მ“-ს მაგივრად „გ“ ჩასვითო.

ჰოდა, რაკი გითხარით, გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამები და ფუნაგორიები გავიხსენოთ და გავხალისდეთ-მეთქი, ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტის — ლადო ასათიანის სხარტულებს გადავავლოთ თვალი: ერთ პოეტზე, რომელიც სხვას პარავდა ლექსებს, თავისად ასაღებდა და ბეჭდავდა, ლადომ ასე დაწერა:

**„გამოვიდა წიგნები
სახელგანთქმულ ციგნების.“
„ის პოეტია მასტიტი,
გამკაფველია სასტიკი,
ნეხვით სავსე აქვს მას ტიკი,
გაპრიალებულს მასტიკით
უნდა მიაჭრა მას თითი...“
„მწერალია ლოველასი
ვერ დამწერი ნოველასი“.**

ამჯერად ეს ვიკმაროთ, დანარჩენებზე — შემდეგ.

**ჟანი სიხარულიძე**

# სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარედ ქართველი აირჩიეს

**სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაცია 1900 წელს შეიქმნა და დღეს მისი წევრი ასორმოცდაათი ქვეყნის მილიონზე მეტი მაღალკვალიფიციური სტომატოლოგია. ამასთან, მასში გაერთიანებულია ყველა წამყვანი სტომატოლოგიური აკადემია, ასევე სტომატოლოგიური მასალების მწარმოებელთა ასოციაცია და ამ სფეროში მოწინავე პოზიციაზე მყოფი ყველა ორგანიზაცია.**



საქართველო, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის დანარჩენი ქვეყნები, ორგანიზაციას 1999 წლიდან შეუერთდა და ამ დროიდან ჩვენი სტომატოლოგების როლი ფედერაციის საქმიანობაში დღემდე მხოლოდ რიგითი წევრობით შემოიფარგლებოდა; დღეს უკვე სხვაგვარადაა — 19 თებერვალს ორგანიზაციის მმართველობით ორგანოში კომუნიკაციების კომიტეტის თავმჯდომარედ (რომელიც ფედერაციის ხუთი კომიტეტიდან მნიშვნელობით ყველაზე მთავარია) თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მამუკა მარგველაშვილი აირჩიეს, რითაც საქართველომ, შეიძლება ითქვას, საპატიო ადგილი დაიკავა ამ ორგანიზაციაში.

თავად მამუკა მარგველაშვილის თქმით, ზემოაღნიშნულ თანამდებობაზე ყოფნის უფლება მას მხოლოდ სამი წლით აქვს (სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციაში კომიტეტის თავმჯდომარის არჩევნები სამ წელიწადში ერთხელ ტარდება). თუმცა დარწმუნებულია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციასა და სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

**მამუკა მარგველაშვილი:**

— პირადად მე სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციასთან თანამშრომლობა 1996 წელს დავიწყე, ანუ სამი წლით ადრე, სანამ საქართველო ამ ორგანიზაციას შეუერთდებოდა. 2007-2009 წლებში ამავე ორგანიზაციის უწყვეტი განათლების ეგიდით ჩვენ ორჯერ ჩავატარეთ კონფერენცია — „დენტალ-თბილისობა“ და მომდევნო კონფერენციების ჩატარებას წლეულს და გაისად, ოქტომბერში, ვაპირებთ.

**ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ამ კონფერენციას ამერიკის სტომატოლოგთა ასოციაცია აღიარებს. ეს თავისთავად ძალიან დიდი მნიშვნელობის აღიარებაა და ამაში გარკვეული წვლილი მეც მიმიძღვის.**

**რაც შეეხება ჩემს არჩევას ფედერაციის კომუნიკაციების კომიტეტის თავმჯდომარედ, სამი წლის ვადით ამირჩია კომიტეტის ექვსმა წევრმა. ამ დროის გასვლის შემდეგ კი არჩევნები ისევ ჩატარდება და თავმჯდომარე ხელახლა აირჩევა.**

მამუკა მარგველაშვილი სტომატოლოგთა ფედერაციის წევრი 2006 წლიდანაა და წარმატებას აქტიურობით, პროფესიონალიზმითა და ორგანიზაციის პოპულარიზაციისთვის გაწეული ფასდაუდებელი სამსახურით მიაღწია. საქართველოდან და მთელი პოსტსაბჭოთა სივრციდან იგი პირველია, ვინც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს.


# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net